სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL
DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

გეოპოლიტუკური ტრანსფორმაციები 21-ე საუკუნეში:

ძალაუფლება, უსაფრთხოება და თანამშრომლობა

GEOPOLITICAL TRANSFORMATIONS IN THE 21ST CENTURY:

POWER, SECURITY, AND COOPERATION

ნაწილი 1
PART 1

სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომათა კრებული
Collection of Papers of the Scientific Conference

გორი, 2026

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

გეოპოლიტუკური ტრანსფორმაციები 21-ე საუკუნეში: ძალაუფლება, უსაფრთხოება და თანამშრომლობა

Geopolitical Transformations in the 21st Century: Power, Security, and Cooperation

ნაწილი 1
PART 1

სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომათა კრებული

Collection of Papers of the Scientific Conference

ბორი, 2026

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მეთაურის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ოქრომჭდლიშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების უფროსი
ნინო ოხანაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
მარიამ ფიფია	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების უფროსი
ლევან ნიკოლეიშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2026
ISBN 978-9941-8-8742-0 (I ნაწილი)

ზურაბ აგლაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი
შადიმან ბიწაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ქეთევან მესხიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ჩახავა	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასისტენტ პროფესორი
გიორგი კბილცეცხლაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
რომეო გალდავა	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი
გიორგი კაკაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ლევან ჭოლიკიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი
ქეთევან ჭიაბრიშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი
რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
თინათინ ჟორჟოლიანი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
შალვა კვეზერელი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გივი დუჩიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
ლევან გეგეშიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

თინათინ კროპაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ზურაბ სამხარაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
მაია გამსახურდია	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი
თეა ბიძინაშვილი

კომპიუტერული დიზაინერი
მარიშა ძულიაშვილი

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze	Deputy Commander of the LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Irakli Uchadze	Head of Magistrature of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ivan Okromtchedlishvili	Head of MA Program in Defence Analysis at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nino Okhanashvili	Associate Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Mariam Pipia	Associate Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Levan Gozalishvili	Head of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Nikoleishvili	Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Agladze	Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Shadiman Bitsadze	Associate Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2026
ISBN 978-9941-8-8742-0 (Part 1)

Ketevan Meskhidze	Associate Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chakhava	Assistant Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kbiltsetskhlashvili	Professor of MA Program in State Resource Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ruslan Darchidze	Acting Head of Bachelor's of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Romeo Galdava	Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kakashvili	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Cholikidze	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili	Head of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chiabrishvili	Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Rusudan Dalakishvili-Chichinadze	Associate Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Jorjoliani	Associate Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Shalva Kvezereli	Associate Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Givi Duchidze	Associate Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Omar Turmanidze	Head of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Gegeshidze	Professor of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Kropadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Kveselava	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Samkharadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Maia Gamsakhurdia	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Editor
Tea Bidzinashvili

Computer Designer
Marisha Dzuliashvili

სარჩევი

საქართველოს გეოპოლიტიკური დილემა გლობალური
გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესში
თადარიგის პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი - - - - - - - - - 13

ციფრული მენეჯმენტი და ციფრული ლიდერობა, როგორც
ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ბერკეტი
ქეთევან ჭიაბრიშვილი, შალვა კვეზერელი - - - - - - - - - - - - 28

ჩინეთის ლათინო-ამერიკული ამბიციები და გეოპოლიტიკური
ბრძოლა დომინირებისთვის
პოლკოვნიკი ლევან ქავთარაძე - - - - - - - - - - - - - - - - - - - 39

მულტიკულტურალიზმის გავლენა
საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე
ვიცე -პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე - - - - - - - - - - - - - - 52

ფისკალური ტრილემა ევროატლანტიკური
ინტეგრაციის კონტექსტში: საქართველო
ძალაუფლების გადანაწილების ეპოქაში
ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ოქრომჭედლიშვილი - - - - - - - - - 62

გლობალიზაციის გავლენა ეროვნული
ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაზე 83
გიგი დუჩიძე - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ევროკავშირის ტრანსფორმაცია თანამედროვე
მსოფლიო წესრიგში: მშვიდობის პროექტიდან
სამხედრო- პოლიტიკურ აქტორამდე 137
მაია გამსახურდია, გიორგი ჩხიკვიშვილი - - - - - - - - - - - -

ძალაუფლებისა და უსაფრთხოების ტრანსფორმაცია ციფრულ
ეპოქაში და გეოპოლიტიკური თანამშრომლობის სტრატეგიები 149
ვიცე-პოლკოვნიკი კახაბერ ყავლაშვილი - - - - - - - - - - - - - -

გლობალური რბოლა კრიტიკული მნიშვნელობის მქონე
მინერალებისთვის, როგორც ახალ ფრონტის ხაზი მსოფლიო
დომინირებისთვის ბრძოლაში 165
ქეთევან მესხიძე -

თურქულ-აზერბაიჯანული სამხედრო ხელშეკრულებები
და რეგიონის უსაფრთხოება 21-ე საუკუნეში 187
ელგუჯა სეხნიაშვილი -

ჩინეთის გეოპოლიტიკური მისწრაფებები და გამოწვევები 197
ვიცე - პოლკოვნიკი ლაშა კლიმიაშვილი - - - - - - - - - - - - - -

ხელოვნური ინტელექტი როგორც სამხედრო სტრატეგიების და
დოქტრინების გარდამქმნელი ძალა თანამედროვე
გეოპოლიტიკაში 206
თეიმურაზ შეშაბერიძე -

Content

Georgia's Geopolitical Dilemma in the Process of
Global Geopolitical Transformation
Retired Colonel Jambul Zaloshvili - **14**

Digital Management and Digital Leadership as Important
Levers for Economic Security
Ketevan Chiabrishvili, Shalva Kvezereli - - - - - - - - - - - - - - - - **30**

China's Latin-American Ambitions and the Geopolitical
Struggle for Dominance
Colonel Levan Kavtaradze - **41**

The Impact of Multiculturalism on the National
Security of Georgia
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze - - - - - - - - - - - - - - - - **53**

Fiscal Trilemma in the Context of Euro-Atlantic Integration:
Georgia in the Era of Redistribution of Power
LTC Ivan Okromtchedlishvili - **63**

The Impact of Globalization on the National Economic Security System
Givi Duchidze - **84**

History, Identity, and Disinformation:
Deconstructing Russian-Language Narratives of the South Caucasus
Maia Manchkhashvili, Miranda Mikadze, Irakli Nodia - - - - - - - - - **107**

Cybersecurity Challenges in the Modern World:
Threats, Trends, and Strategic Responses
Romeo Galdava - **119**

Geopolitical Transformations in the Black Sea Region and Prospects
for the Implementation of the „Greater Romania" Strategic Project
Shadiman Bitsadze - **131**

The Transformation of the European Union in the Contemporary World Order: From a Peace Project to a Military-Political Actor
Maia Gamsakhurdia, Giorgi Chkhikvishvili - - - - - - - - - - - - - - **138**

Transformation of Power and Security in the Digital Era and Strategies for Geopolitical Cooperation
Kakhaber Kavlashvili - **150**

The Global Race for Critical Minerals as a New Frontline in the Battle for World Dominance
Ketevan Meskhidze - 167

Turkish-Azerbaijani Military Biliteral Agreements and Regional Security in the 21-st Century
Elguja Sekhniashvili - **188**

Geopolitical Aspirations and Challenges of China
Lieutenant Colonel Lasha Klimiashvili - - - - - - - - - - - - - - - - - **199**

Artificial Intelligence as a Transformative Force in Military Strategy and Doctrine within Modern Geopolitics
Teimuraz Sheshaberidze - **207**

საქართველოს გეოპოლიტიკური დილემა
გლობალური გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესში

თადარიგის პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების
განყოფილების უფროსი,
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემა ხასიათდება ღრმა გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციებით, რომლებიც დაკავშირებულია ძალაუფლების გლობალურ გადანაწილებასთან, უსაფრთხოების კონცეფციის გაფართოებასთან და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ფორმების ცვლილებასთან. ცივი ომის შემდგომი ერთპოლუსიანი წესრიგი თანდათან იცვლება უფრო კომპლექსური, მრავალპოლუსიანი რეალობით, სადაც იზრდება დიდი ძალების კონკურენცია, ჩნდება ახალი რეგიონული ცენტრები და უსაფრთხოების ტრადიციულ სამხედრო განზომილებას ემატება ეკონომიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური და ჰიბრიდული ფაქტორები. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მცირე სახელმწიფოებზე, რომელთა სტრატეგიული გარემო მაღალი გაურკვევლობითა და რისკებით ხასიათდება.

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ძალაუფლების, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ტრანსფორმაცია 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ სივრცეში და შეაფასოს მათი გავლენა საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე. კვლევა ეფუძნება ანალიტიკურ და შედარებით მეთოდებს და იყენებს საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიულ მიდგომებს. ნაშრომი პასუხობს ოთხ ძირითად საკვლევ კითხვას: როგორ იცვლება ძალაუფლების განაწილება თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; როგორ გარდაიქმნება უსაფრთხოების კონცეფცია; რა როლი აქვს საერთაშორისო და რეგიონულ თანამშრომლობას; და რა გეოპოლიტიკური დილემებისა და შესაძლებლობების წინაშე დგას საქართველო მიმდინარე ტრანსფორმაციების პირობებში.

კვლევის ფარგლებში ნაჩვენებია, რომ გლობალური და რეგიონული ძალაუფლების გადანაწილება, განსაკუთრებით შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის სივრცეში, მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას, თუმცა ამავე დროს აძლიერებს მის უსაფრთხოების რისკებს. რუსეთის ფაქტორი, რეგიონული კონფლიქტები და ჰიბრიდული საფრთხეები კვლავ რჩება საქართველოს უსაფრთხოების გარემოს ძირითად გამოწვევებად. ამასთანავე, ნაშრომი ასაბუთებს, რომ დასავლურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, მრავალმხრივი დიპლომატია და რეგიონული დაკავშირებადობის პროექტები წარმოადგენს საქართველოსთვის მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ შესაძლებლობებს.

კვლევის ძირითადი დასკვნაა, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური პოზიცია 21-ე საუკუნეში განისაზღვრება არა მხოლოდ გარე ძალთა გავლენით, არამედ ქვეყნის უნარით, სწორად გააანალიზოს გლობალური ტრანსფორმაციები, გააძლიეროს შიდა პოლიტიკური და ინსტიტუციური მდგრადობა და ჩამოაყალიბოს თანმიმდევრული, პარტნიორობაზე დაფუძნებული სტრატეგიული კურსი. ნაშრომი სთავაზობს პრაქტიკულ რეკომენდაციებს უსაფრთხოების, თანამშრომლობისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებით და მიზნად ისახავს საქართველოს გეოპოლიტიკური პერსპექტივების სისტემურ გააზრებას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები; ძალაუფლების გადანაწილება; უსაფრთხოება; თანამშრომლობა; მცირე სახელმწიფოები; საქართველო; შავი ზღვის რეგიონი; საერთაშორისო ურთიერთობები.

Georgia's Geopolitical Dilemma in the Process of Global Geopolitical Transformation

Retired Colonel Jambul Zaloshvili
Head of Language Section of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Military Sciences

Abstract

The international system of the 21st century is characterized by profound geopolitical transformations related to the redistribution of power, the expansion of the concept of security, and the transformation of forms of cooperation among states. The post-Cold War unipolar order is gradually giving way to a more complex multipolar reality, marked by intensified great-power competition, the emergence of new regional power centers, and the growing importance of non-traditional dimensions of security, including economic, energy, technological, and hybrid factors. These processes have a particularly significant impact on small states, whose strategic environment is defined by heightened uncertainty and risk.

The aim of this paper is to analyze the transformation of power, security, and cooperation in the contemporary geopolitical landscape and to assess their implications for Georgia's geopolitical position. The study is based on analytical and comparative methods and draws upon contemporary theoretical approaches in international relations. The paper addresses four key research questions: how power distribution is changing in the modern international system; how the concept of security is being transformed; what role international and regional cooperation plays in this process; and what geopolitical challenges and opportunities Georgia faces amid ongoing global transformations.

The analysis demonstrates that global and regional power shifts-particularly in the Black Sea and South Caucasus regions-significantly enhance Georgia's strategic importance while simultaneously increasing its security risks. Russia's role, persistent regional conflicts, and hybrid threats remain central challenges to Georgia's security environment. At the same time, the study argues that cooperation with Western institutions, multilateral diplomacy, and regional connectivity initiatives constitute major geopolitical opportunities for Georgia.

The main conclusion of the paper is that Georgia's geopolitical position in the 21st century is shaped not only by external power dynamics but also by the country's ability to accurately assess global transformations, strengthen internal political and institutional resilience, and pursue a coherent strategic course grounded in partnerships. The paper offers practical recommendations in the areas of security, cooperation, and strategic planning and seeks to contribute to a systematic understanding of Georgia's geopolitical prospects within the broader context of contemporary international relations.

Keywords: Geopolitical transformations; Power redistribution; Security; International cooperation; Small states; Georgia; Black Sea region; International relations

შესავალი

21-ე საუკუნე ხასიათდება გლობალური საერთაშორისო სისტემის სიღრმისეული და მრავალმხრივი ტრანსფორმაციებით, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალაუფლების განაწილება, უსაფრთხოების არქიტექტურა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ფორმები. ცივი ომის შემდგომი ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი თანდათან ადგილს უთმობს კომპლექსურ, მრავალპოლუსიან რეალობას, სადაც იზრდება დიდი ძალების კონკურენცია, ჩნდება ახალი რეგიონული ცენტრები და უსაფრთხოების ტრადიციულ სამხედრო განზომილებას ემატება ეკონომიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური და კიბერუსაფრთხოების ფაქტორები. აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ პოლიტიკურ გარემოზე.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მცირე და საშუალო სახელმწიფოების გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომლებიც იძულებულნი არიან საკუთარი უსაფრთხოებისა და განვითარების სტრატეგიები მუდმივად მოარგონ ცვალებად საერთაშორისო რეალობას. საქართველო წარმოადგენს ასეთ სახელმწიფოს. მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა - შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის სივრცეში, ევროპასა და აზიას შორის - ერთდროულად ქმნის როგორც სერიოზულ გამოწვევებს, ისე მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. რეგიონში არსებული კონფლიქტები, რუსეთის ფედერაციის ფაქტორი, დასავლურ სტრუქტურებთან ინტეგრაციისკენ სწრაფვა და ენერგეტიკული-სატრანზიტო ფუნქცია განსაზღვრავს საქართველოს უსაფრთხოების გარემოს სპეციფიკას 21-ე საუკუნეში.

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ძალაუფლების, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ტრანსფორმაცია თანამედროვე გეოპოლიტიკურ სივრცეში და შეაფასოს მათი გავლენა საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნული მიზნის მისაღ-წევად კვლევა პასუხობს შემდეგ საკვლევ საკითხებს:

როგორ იცვლება ძალაუფლების განაწილება 21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემაში და რა გავლენას ახდენს ეს მცირე სახელმწიფოებზე;

როგორ გარდაიქმნება უსაფრთხოების კონცეფცია თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალობაში და რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველო;

რა როლი აქვს საერთაშორისო და რეგიონულ თანამშრომლობას საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფაში;

რა ძირითადი გეოპოლიტიკური დილემები და სტრატეგიული შესაძლებლობები იკვეთება საქართველოსთვის მიმდინარე გლობალური და რეგიონული ტრანსფორმაციების პირობებში.

კვლევა ეფუძნება ანალიტიკურ და შედარებით მეთოდებს და მიზნად ისახავს საქართველოს გეოპოლიტიკური პერსპექტივების სისტემურ გააზრებას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში.

ძირითადი ნაწილი

21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების გააზრება მოითხოვს რო-გორც საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიების, ისე თანამედროვე მიდგომების ერთობლივ განხილვას. ტრადიციულად, გეოპოლიტიკა უკავშირდებოდა სივრცეს, ტე-რიტორიას და სამხედრო ძალას, თუმცა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ეს ჩარჩო გაფართოვდა მნიშვნელოვანი ელემენტით. გლობალიზაციის, ტექნოლოგიური განვი-თარების და ურთიერთდამოკიდებუ+ლების ზრდამ გეოპოლიტიკური ანალიზი უფრო კომპლექსური გახადა, სადაც ძალაუფლება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო პოტენციალით.[1]

პირველი საკვლევი საკითხი - როგორ იცვლება ძალაუფლების განაწილება 21-ე სა-უკუნის საერთაშორისო სისტემაში და რა გავლენას ახდენს ეს მცირე სახელმწიფოებზე - უკავშირდება საერთაშორისო სისტემის სტრუქტურულ ცვლილებებს. ცივი ომის დასრუ-ლების შემდეგ ჩამოყალიბებული ერთპოლუსიანი მოდელი, რომელშიც შეერთებული შტატები დომინანტურ ძალას წარმოადგენდა, თანდათან იცვლება მრავალპოლუსიანი ან პოლიცენტრული წესრიგით. ამ პროცესში იზრდება ისეთი აქტორების როლი, როგორებიც არიან ჩინეთი, რეგიონული ძალები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რაც ამცირებს გლობალური ჰეგემონიის სტაბილურობას.[2] მცირე სახელმწიფოებისთვის ეს ცვლილება ერთდროულად ქმნის რისკებსა და შესაძლებლობებს: ერთი მხრივ, იზრდება დიდი ძა-ლების კონკურენციის ზეწოლა, ხოლო მეორე მხრივ, ჩნდება მანევრირების და მრავალ-მხრივი დიპლომატიის სივრცე.[3]

მეორე საკვლევი საკითხი - როგორ გარდაიქმნება უსაფრთხოების კონცეფცია თანა-მედროვე გეოპოლიტიკურ რეალობაში - უკავშირდება უსაფრთხოების ცნების შინაარსობ-რივ გაფართოებას. თუ ტრადიციული რეალიზმი უსაფრთხოებას ძირითადად სამხედრო ძალისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით განსაზღვრავდა, თანამედროვე მიდგო-მები ყურადღებას ამახვილებს არატრადიციულ საფრთხეებზე. მათ შორისაა ეკონომიკური

[1] Colin Flint, *Introduction to Geopolitics* (London: Routledge, 2022), 3-7.
[2] John J. Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics* (New York: W. W. Norton, 2014), 360-368.
[3] Barry Buzan and Ole Wæver, *Regions and Powers: The Structure of International Security* (Cambridge: Cambridge University Press, 2004), 45-50.

არასტაბილურობა, ენერგეტიკული დამოკიდებულება, კიბერუსაფრთხოება, დეზინფორმაცია და ჰიბრიდული ომის ფორმები.[4] აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით მნი შვნელოვანია მცირე და ღია ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების-თვის, რომელთა უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული გარე ფაქტორებთან.

თანამედროვე გეოპოლიტიკაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ასევე „რბილი ძალის" კონცეფცია, რომელიც ჯოზეფ ნაის მიერ იქნა განვითარებული. რბილი ძალა გულისხმობს სახელმწიფოს უნარს, საკუთარი მიზნები მიაღწიოს არა იძულებით, არამედ მიმზიდველობით - კულტურის, ღირებულებებისა და პოლიტიკური მოდელის მეშვეობით.[5] 21-ე საუკუნეში „რბილი" და „ხისტი" ძალის კომბინაცია ქმნის „ჭკვიან ძალას", რაც განსაკუთრებით აქტუალურია იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ვერ ეყრდნობიან მხოლოდ სამხედრო რესურსებს.

მესამე საკვლევი საკითხი - რა როლი აქვს საერთაშორისო და რეგიონულ თანამშრომლობას თანამედროვე გეოპოლიტიკაში - პირდაპირ უკავშირდება ლიბერალური ინსტიტუციონალიზმისა და თანამშრომლობის თეორიებს. საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონული ალიანსები და მრავალმხრივი ფორმატები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ კონფლიქტების მართვასა და უსაფრთხოების კოლექტიურ უზრუნველყოფაში.[6] მცირე სახელმწიფოებისთვის თანამშრომლობა წარმოადგენს არა მხოლოდ უსაფრთხოების დამატებით გარანტიას, არამედ საერთაშორისო სისტემაში საკუთარი პოზიციის განმტკიცების საშუალებას.

ამგვარად, 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების თეორიული ანალიზი აჩვენებს, რომ ძალაუფლების გადანაწილება, უსაფრთხოების კონცეფციის გაფართოება და მზარდი თანამშრომლობა ქმნის ახალ რეალობას, რომელშიც მცირე სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, იძულებულნი არიან მუდმივად გადააფასონ საკუთარი სტრატეგიული არჩევანი. აღნიშნული თეორიული ჩარჩო საფუძველს ქმნის განვიხილოთ გლობალური და რეგიონული პროცესები საქართველოს კონკრეტულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში.

21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემა ხასიათდება ძალაუფლების გადანაწილების დინამიკური და არასტაბილური პროცესებით, რაც არსებითად ცვლის როგორც გლობალურ,

---

[4] Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies* (Colchester: ECPR Press, 2007), 1-10.

[5] Joseph S. Nye, *Soft Power: The Means to Success in World Politics* (New York: PublicAffairs, 2004), 5-11.

[6] Robert O. Keohane, *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy* (Princeton: Princeton University Press, 2005), 49-58.

ისე რეგიონულ უსაფრთხოების გარემოს. ცივი ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული ერთპოლუსიანი წესრიგი, რომელშიც შეერთებული შტატები ცენტრალურ როლს ასრულებდა, თანდათან გარდაიქმნება უფრო ფრაგმენტულ და კონკურენტულ სისტემად. ეს ტრანსფორმაცია წარმოადგენს იმ სტრუქტურულ საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს მცირე სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს, გეოპოლიტიკურ მდგომარეობას.

გლობალურ დონეზე ძალაუფლების გადანაწილების პროცესს განაპირობებს დიდი ძალების შორის მზარდი კონკურენცია. შეერთებული შტატები კვლავ ინარჩუნებს მნიშვნელოვან სამხედრო, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ უპირატესობას, თუმცა ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობა და მისი მზარდი პოლიტიკური ამბიციები ქმნის ახალ ბალანსს საერთაშორისო სისტემაში. ჩინეთი აღარ არის მხოლოდ რეგიონული აქტორი და თანდათან ყალიბდება გლობალური ძალაუფლების ერთ-ერთ ცენტრალურ პოლუსად, რაც იწვევს სტრატეგიული კონკურენციის გაღრმავებას, განსაკუთრებით ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში.[7] პარალელურად, რუსეთის ფედერაცია ცდილობს სამხედრო ძალისა და ენერგეტიკული რესურსების გამოყენებით შეინარჩუნოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში და საკუთარი თავი წარმოაჩინოს როგორც გლობალური ძალა.[8]

ეს პროცესები პირდაპირ უკავშირდება პირველ საკვლევ საკითხს - როგორ იცვლება ძალაუფლების განაწილება 21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემაში და რა გავლენას ახდენს ეს მცირე სახელმწიფოებზე. მრავალპოლუსიან გარემოში მცირე სახელმწიფოები აღმოჩნდებიან დიდი ძალების ინტერესთა გადაკვეთის სივრცეში, რაც ზრდის გარე ზეწოლისა და სტრატეგიული გაურკვევლობის დონეს. ამავდროულად, მრავალპოლუსიანობა გარკვეულ მანევრის შესაძლებლობებსაც ქმნის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფოები აქტიურად იყენებენ დიპლომატიურ და ეკონომიკურ ინსტრუმენტებს საკუთარი ინტერესების დასაცავად.[9]

გლობალური ძალაუფლების გადანაწილება განსაკუთრებით მკაფიოდ აისახება რეგიონულ დონეზე. შავი ზღვის რეგიონი 21-ე საუკუნეში ჩამოყალიბდა როგორც სტრატეგიული სივრცე, სადაც იკვეთება დასავლეთის, რუსეთისა და მზარდად - ჩინეთის ინტერესები. ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებამ რეგიონში გააძლიერა დასავლური გავლენა, ხოლო რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ მკვეთრად

[7] Fareed Zakaria, *The Post-American World*, 3rd ed. (New York: W. W. Norton, 2020), 11-29.

[8] Michael Kofman et al., *Russian Military Strategy: Core Tenets and Operational Concepts* (Washington, DC: CNA, 2021), 7-15.

[9] Evelyn Goh, *Great Powers and Hierarchical Order in Southeast Asia: Analyzing Regional Security Strategies* International Security (2008) 32 (3): 113-157. https://doi.org/10.1162/isec.2008.32.3.113

შეცვალა უსაფრთხოების ბალანსი და შავი ზღვა გადააქცია მაღალი რისკის ზონად. აღნიშნული გარემო მნიშვნელოვნად ზრდის რეგიონული სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს, სტრატეგიულ მნიშვნელობას.

სამხრეთ კავკასია წარმოადგენს კიდევ ერთ მაგალითს რეგიონული ძალაუფლების გადანაწილების სირთულისა. რეგიონი ფუნქციონირებს როგორც გეოპოლიტიკური „გადაკვეთის სივრცე", სადაც ერთმანეთს ხვდება რუსეთის, დასავლეთის, თურქეთისა და ირანის ინტერესები. ამ კონტექსტში რეგიონული კონფლიქტები, მათ შორის არასტაბილურობა და ძალთა ბალანსის მუდმივი ცვლილება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უსაფრთხოების საერთო გარემოზე.[10] საქართველოსთვის ეს ნიშნავს, რომ მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა განისაზღვრება არა მხოლოდ გლობალური პროცესებით, არამედ უშუალო რეგიონული დინამიკითაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ და ენერგეტიკულ ფაქტორებს, რომლებიც თანამედროვე გეოპოლიტიკაში ძალაუფლების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. სატრანზიტო დერეფნები, ენერგომატარებლების მიწოდების მარშრუტები და ინფრასტრუქტურული პროექტები გამოიყენება როგორც გავლენის ინსტრუმენტები. შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის კონტექსტში ეს ფაქტორები ზრდის საქართველოს როლს, თუმცა ამავდროულად აძლიერებს მის სტრატეგიულ მოწყვლადობას.[11]

ამრიგად, გლობალური და რეგიონული ძალაუფლების გადანაწილება ქმნის რთულ და მრავალშრიან გეოპოლიტიკურ გარემოს, სადაც მცირე სახელმწიფოები დგანან სერიოზული არჩევანის წინაშე. საქართველოსთვის ეს გარემო ერთდროულად წარმოადგენს გამოწვევას და შესაძლებლობას: ერთი მხრივ, იზრდება უსაფრთხოების რისკები და გარე ზეწოლა, ხოლო მეორე მხრივ, ჩნდება სივრცე აქტიური საგარეო პოლიტიკისა და რეგიონული თანამშრომლობისთვის. აღნიშნული ანალიზი საფუძველს ქმნის საქართველოს უსაფრთხოების გარემოს ტრანსფორმაციის დეტალური განხილვასათვის.

21-ე საუკუნეში საქართველოს უსაფრთხოების გარემო განიცდის ღრმა და სისტემურ ტრანსფორმაციას, რაც განპირობებულია როგორც გლობალური ძალაუფლების გადანაწილებით, ისე რეგიონული დინამიკის ცვლილებით. საქართველოს უსაფრთხოება აღარ განისაზღვრება მხოლოდ ტრადიციული სამხედრო საფრთხეებით; იგი მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და საინფორმაციო განზომილებებს. ეს პროცესი პირდა-

[10] Thomas de Waal, *The Caucasus: An Introduction* (Oxford: Oxford University Press, 2010), 145-160.
[11] Ibid. 148 158.

პირ უკავშირდება მეორე საკვლევ საკითხს - როგორ გარდაიქმნება უსაფრთხოების კონცეფ-ცია თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალობაში და რა გამოწვევების წინაშე დგას საქართ-ველო.

საქართველოს უსაფრთხოების გარემოს ტრანსფორმაციაში ცენტრალური ადგილი უკავია რუსეთის ფედერაციის ფაქტორს. 2008 წლის ომისა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს წინაშე ჩამოყალიბდა გრძელვადიანი უსაფრ-თხოების სტრუქტურული პრობლემა. რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება და შემდგომი „ბორდერიზაციის" პოლიტიკა წარმოადგენს არა მხოლოდ ტერიტორიული მთ-ლიანობის დარღვევას, არამედ მუდმივ ჰიბრიდულ ზეწოლას საქართველოს სახელმწი-ფოებრიობაზე.[12] აღნიშნული გარემო აჩვენებს, რომ ტრადიციული სამხედრო საფრთხე კვლავ რჩება საქართველოს უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად.

ამავდროულად, საქართველოს უსაფრთხოების გარემო მნიშვნელოვნად გაფართოვდა არატრადიციული საფრთხეების მიმართულებით. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტები - დეზინფორმაცია, კიბერშეტევები, ეკონომიკური ზეწოლა და პოლიტიკური გავლენის ოპერაციები - თანამედროვე გეოპოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა.[13] საქართველოს შემთხვევაში ეს საფრთხეები განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ქვეყანა წარმოადგენს ღია პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას, რაც მას მოწყვლადს ხდის გარე ჩარევის მიმართ. ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერუსაფრთხოება გადაიქცა ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგის ცენტრალურ ელემენტებად.

საქართველოს უსაფრთხოების ტრანსფორმაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასავლურ სტრუქტურებთან თანამშრომლობას. ნატოსთან ინტეგრაცია და ევრო-კავშირთან ასოცირების პროცესი წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიის ძირითად საყრდენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერ არ სარგებლობს კოლექტი-ური თავდაცვის ფორმალური გარანტიებით, ნატოსთან თანამშრომლობა ხელს უწყობს თავდაცვის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, სამხედრო რეფორმებსა და სტრატეგიული მდგრადობის გაზრდას.[14] ეს ასახავს იმ რეალობას, რომ თანამედროვე უსაფრთხოება სულ უფრო მეტად ეფუძნება პარტნიორობასა და ინსტიტუციურ ჩართუ-ლობას.

---

[12] Svante E. Cornell and Frederick S. Starr, *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia* (Armonk, NY: M.E. Sharpe, 2009), 215-228.

13 Oscar Jonsson, *The Russian Understanding of War: Blurring the Lines between War and Peace* (Washington, DC: Georgetown University Press, 2019), 64-78.

[14] NATO, *NATO-Georgia Relations: Strengthening Security and Cooperation* (Brussels: NATO, 2023), 5-12.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენერგეტიკულ და სატრანზიტო უსაფრთხოებასაც. საქართველო ფუნქციონირებს როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფანი კასპიის რეგიონსა და ევროპას შორის, რაც ზრდის მის სტრატეგიულ მნიშვნელობას, თუმცა ამავე დროს ქმნის დამატებით რისკებს. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და სატრანზიტო მარშრუტების სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ უსაფრთხოებასთან.[15] ამ კონტექსტში საქართველოს უსაფრთხოება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული რეგიონულ სტაბილურობასთან.

საქართველოს უსაფრთხოების გარემოს ტრანსფორმაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია შიდა პოლიტიკური და ინსტიტუციური მდგრადობა. თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ მცირე სახელმწიფოების უსაფრთხოება დიდწილად დამოკიდებულია არა მხოლოდ გარე ფაქტორებზე, არამედ შიდა მმართველობის ხარისხზე, დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და საზოგადოებრივ ერთიანობაზე.[16] შიდა არასტაბილურობა შეიძლება იქცეს გარე ზეწოლის გამაძლიერებელ ფაქტორად, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უსაფრთხოების კომპლექსურ ბუნებას.

ამრიგად, საქართველოს უსაფრთხოების გარემო 21-ე საუკუნეში წარმოადგენს მრავალგანზომილებიან და დინამიკურ სისტემას, სადაც ერთმანეთს ერწყმის ტრადიციული სამხედრო საფრთხეები, ჰიბრიდული გამოწვევები და თანამშრომლობაზე დაფუძნებული უსაფრთხოების მექანიზმები. ეს ტრანსფორმაცია ქმნის როგორც სერიოზულ რისკებს, ისე შესაძლებლობებს, რომელთა ეფექტიანი გამოყენება დამოკიდებულია საქართველოს სტრატეგიულ არჩევანზე და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის ხარისხზე. აღნიშნული ანალიზი ლოგიკურად გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ თანამშრომლობა, როგორც გეოპოლიტიკური შესაძლებლობა.

21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ რეალობაში თანამშრომლობა სულ უფრო მეტად იქცევა არა მხოლოდ არჩევითად, არამედ აუცილებელ ინსტრუმენტად სახელმწი-ფოებისთვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის ქვეყნებისათვის. ძალაუფლების მრავალპოლუსიანი განაწილებისა და უსაფრთხოების კომპლექსური საფრთხეების პირობებში, ინდივიდუალური სახელმწიფოების შესაძლებლობები ხშირად არასაკმარისია ეროვნული ინტერესების ეფექტიანი დაცვისთვის. სწორედ ამ კონტექსტში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მესამე საკვლევი საკითხი - რა როლი აქვს საერთაშორისო და რეგიონულ

[15] Neil Melvin, *Energy Security and the Black Sea Region* (Stockholm: SIPRI, 2018), 18-26.
[16] Francis Fukuyama, *Political Order and Political Decay* (New York: Farrar, Straus and Giroux, 2014), 25-34.

თანამშრომლობას თანამედროვე გეოპოლიტიკაში და საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფაში.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული მიდგომები თანამშრომლობას განიხილავს როგორც ძალაუფლების ალტერნატიულ ფორმას. ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით, საერთაშორისო ინსტიტუტები და მრავალმხრივი ფორმატები ამცირებენ ანარქიის გავლენას, ზრდიან ნდობას და ქმნიან წესებზე დაფუძნებულ გარემოს.[17] მცირე სახელმწიფოებისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ინსტიტუციური ჩართულობა საშუალებას აძლევს მათ, საკუთარი ინტერესები უფრო ეფექტიანად წარმოაჩინონ საერთაშორისო სისტემაში.

საქართველოს შემთხვევაში თანამშრომლობა წარმოადგენს გეოპოლიტიკურ შესაძლებლობას, რომელიც დაკავშირებულია როგორც უსაფრთხოების, ისე ეკონომიკური განვითარების მიზნებთან. ნატოსა და ევროკავშირთან ურთიერთობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო ან პოლიტიკური განზომილებით; იგი მოიცავს ინსტიტუციურ რეფორმებს, მმართველობის გაუმჯობესებას და სტრატეგიული მდგრადობის გაზრდას. ევროკავშირთან ასოცირების პროცესი და ნატოსთან პრაქტიკული თანამშრომლობა აძლიერებს საქართველოს საერთაშორისო ლეგიტიმაციას და ზრდის მის გეოპოლიტიკურ წონას რეგიონში.[18]

რეგიონულ დონეზე თანამშრომლობა საქართველოსთვის წარმოადგენს უსაფრთხოების რისკების შემცირების ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს. შავი ზღვის რეგიონი, რომელიც ხასიათდება მაღალი კონკურენციითა და უსაფრთხოების გამოწვევებით, ქმნის როგორც საფრთხეებს, ისე თანამშრომლობის პოტენციალს. რეგიონული ინიციატივები ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროში ხელს უწყობს ურთიერთდამოკიდებულების ზრდას, რაც კონფლიქტის ალბათობას ამცირებს. ამ თვალსაზრისით, საქართველო შეიძლება განიხილებოდეს როგორც საკვანძო დამაკავშირებელი რგოლი რეგიონულ თანამშრომლობაში.

თანამშრომლობის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ენერგეტიკულ და სატრანზიტო სფეროებში. მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული პროექტები არა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს ქმნის, არამედ აძლიერებს პარტნიორ სახელმწიფოებს შორის სტრატეგიულ კავშირს. საქართველოს მონაწილეობა ტრანსკასპიურ

[17] Robert O. Keohane, *International Institutions and State Power* (Boulder: Westview Press, 1989), 9-20.
[18] European Union, *EU–Georgia Association Agenda 2021–2027* (Brussels: European Commission, 2021), 3-8.

და შავი ზღვის სატრანზიტო ინიციატივებში ზრდის ქვეყნის მნიშვნელობას დასავლეთისთვის და ამავდროულად ამცირებს მის იზოლაციის რისკს.

მნიშვნელოვანია ასევე თანამშრომლობის როლი „რბილი ძალის" უსაფრთხოების სფეროებში, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება, კრიზისების მართვა და ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიმართულებებით ინფორმაციის გაზიარებას, ერთობლივ სწავლებებს და ინსტიტუციურ მხარდაჭერას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებაში. თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, რომ სწორედ ამ სფეროებში თანამშრომლობა ხშირად უფრო ეფექტიანია, ვიდრე ერთპიროვნული მოქმედება.[19]

ამრიგად, თანამშრომლობა 21-ე საუკუნეში წარმოადგენს საქართველოსთვის არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, არამედ გეოპოლიტიკურ შესაძლებლობას, რომელიც აძლიერებს ქვეყნის უსაფრთხოებას, ზრდის მის საერთაშორისო როლს და ქმნის განვითარების დამატებით რესურსებს. მიუხედავად არსებული შეზღუდვებისა და გამოწვევებისა, მრავალმხრივი და მიზანმიმართული თანამშრომლობა საშუალებას აძლევს საქართველოს, ნაწილობრივ დააბალანსოს გარე ზეწოლა და გააძლიეროს საკუთარი პოზიცია ცვალებად საერთაშორისო გარემოში. აღნიშნული ქმნის საფუძველს ანალიზისთვის, სადაც შეფასებული იქნება საქართველოს გეოპოლიტიკური დილემები და სტრატეგიული არჩევანი.

21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების პირობებში საქართველო დგას რთული და მრავალგანზომილებიანი არჩევანის წინაშე. გლობალური ძალაუფლების გადანაწილება, რეგიონული არასტაბილურობა და უსაფრთხოების ცნების გაფართოება ქმნის გარემოს, სადაც სახელმწიფო სტრატეგია ვერ შემოიფარგლება ერთჯერადი ან მოკლევადიანი გადაწყვეტილებებით. საქართველოს მთავარი გეოპოლიტიკური დილემა უკავშირდება დიდ ძალებს შორის ბალანსირების საკითხს. ერთი მხრივ, ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი მკაფიოდ არის ორიენტირებული ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, რაც ასახავს უსაფრთხოების, დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური მოდერნიზაციის სტრატეგიულ მიზნებს. მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაცია რჩება უშუალო სამხედრო და პოლიტიკური გამოწვევის წყაროდ, რაც ზღუდავს საქართველოს მოქმედების თავისუფლებას და ზრდის ესკალაციის რისკებს.[20] ამ კონტექსტში საქართველოს წინაშე დგას არჩევანი პრინციპულ სტრატეგიულ მიმართულებასა და ტაქტიკურ მოქნილობას შორის.

---

[19] NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence, *Countering Hybrid Threats* (Tallinn: CCDCOE, 2021), 10-18.
[20] Thomas Graham, *Getting Russia Right* (Cambridge: Polity Press, 2023), 112-125.

მნიშვნელოვან დილემას წარმოადგენს უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის ურთიერთკავშირიც. თანამედროვე გეოპოლიტიკაში უსაფრთხოება და ეკონომიკა ერთმანეთისგან განუყოფელია: სტაბილური უსაფრთხოების გარემოს გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური ზრდა, ხოლო ეკონომიკური სისუსტე ზრდის უსაფრთხოების რისკებს. საქართველოსთვის ეს დილემა განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ქვეყანა ცდილობს შეინარჩუნოს სატრანზიტო და საინვესტიციო მიმზიდველობა მაღალი გეოპოლიტიკური რისკების პირობებში.[21] შესაბამისად, სტრატეგიული არჩევანი მოითხოვს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების სინქრონიზაციას.

საქართველოს გეოპოლიტიკური არჩევანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია შიდა პოლიტიკური მდგრადობა. თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ მცირე სახელმწიფოების გარე პოლიტიკის ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია შიდა ინსტიტუციურ სიმყარეზე, დემოკრატიულ მმართველობასა და საზოგადოებრივ კონსენსუსზე.[22] შიდა პოლარიზაცია და ინსტიტუციური სისუსტე ამცირებს ქვეყნის შესაძლებლობას ეფექტიანად უპასუხოს გარე გამოწვევებს და ზრდის გარე აქტორების გავლენის პოტენციალს.

ამავდროულად, გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები საქართველოსთვის ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებსაც. რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, განსაკუთრებით შავი ზღვის კონტექსტში, ზრდის საქართველოს როლს, როგორც დამაკავშირებელ სივრცეს ევროპასა და აზიას შორის. ენერგეტიკული, სატრანზიტო და ციფრული დაკავშირებადობის პროექტები აძლიერებს ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ქმნის დამატებით პოლიტიკურ კაპიტალს დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაში.

სტრატეგიული პერსპექტივის თვალსაზრისით, საქართველოს გრძელვადიანი არჩევანი ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც აერთიანებს უსაფრთხოების გაძლიერებას, თანამშრომლობის გაფართოებას და შიდა მდგრადობის ზრდას. ეს მიდგომა შეესაბამება მცირე სახელმწიფოების თანამედროვე სტრატეგიულ პრაქტიკას, სადაც წარმატება განისაზღვრება არა ძალაუფლების მაქსიმალიზაციით, არამედ რისკების მართვითა და პარტნიორობაზე დაფუძნებული გავლენით.[23]

ამრიგად, საქართველოს გეოპოლიტიკური დილემები 21-ე საუკუნეში არ წარმოადგენს მხოლოდ შეზღუდვებს; ისინი ერთდროულად ქმნის სტრატეგიული არჩევანის სივრცეს.

---

[21] World Bank, *Georgia: Economic Update – Managing Uncertainty* (Washington, DC: World Bank, 2022), 6-14.
[22] Ivan Krastev and Stephen Holmes, *The Light That Failed: A Reckoning* (New York: Pegasus Books, 2019), 87-96.
[23] Annette Baker Fox, *The Power of Small States* (Chicago: University of Chicago Press, 1959), 3-12.

ქვეყნის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებს საქართველო გლობალური ტრანსფორმაციების სწორად გააზრებას, საკუთარი როლის რეალისტურ შეფასებას და გრძელვადიან, თანმიმდევრულ სტრატეგიაზე დაფუძნებულ მოქმედებას.

დასკვნა

კვლევამ გვაჩვენა, რომ 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები - ძალაუფლების გადანაწილება, უსაფრთხოების ცნების გაფართოება და თანამშრომლობის მზარდი მნიშვნელობა - არსებითად ცვლის მცირე სახელმწიფოების სტრატეგიულ გარემოს. გლობალური საერთაშორისო სისტემა თანდათან გადადის უფრო მრავალპოლუსიან და კონკურენტულ ფორმატში, რაც ზრდის როგორც გაურკვევლობას, ისე მანევრის სივრცეს. ამ პროცესებში საქართველო ერთდროულად გვევლინება როგორც გეოპოლიტიკური ზეწოლის ობიექტად, ისე აქტორად, რომელსაც შეუძლია საკუთარი როლის გაძლიერება სწორი სტრატეგიული არჩევანის პირობებში.

კვლევის თეორიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკაში ძალაუფლება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობებით. უსაფრთხოება მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, ტექნოლოგიურ და საინფორმაციო განზომილებებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე სახელმწიფოებისთვის. საქართველოს შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ეროვნული უსაფრთხოება ვერ იქნება უზრუნველყოფილი მხოლოდ თავდაცვითი ზომებით და საჭიროებს კომპლექსურ, მრავალგანზომილებიან მიდგომას.

გლობალური და რეგიონული ძალაუფლების გადანაწილების ანალიზმა ცხადყო, რომ შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონი 21-ე საუკუნეში გადაიქცა მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობის სივრცედ. დიდი ძალების კონკურენცია, რეგიონული კონფლიქტები და ენერგეტიკული ფაქტორები ქმნის უსაფრთხოების არასტაბილურ გარემოს, რომელშიც საქართველო აღმოჩნდება გარე ინტერესების გადაკვეთის სივრცეში. ამ პირობებში ქვეყნის უსაფრთხოება და განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონული დინამიკის სწორ გააზრებასთან.

საქართველოს უსაფრთხოების გარემოს ტრანსფორმაციის შეფასებამ აჩვენა, რომ ქვეყნის წინაშე კვლავ დგას ტრადიციული სამხედრო საფრთხეები, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებული გამოწვევები. ამასთანავე, მზარდ მნიშვნელობას იძენს ჰიბრიდული საფრთხეები, კიბერუსაფრთხოება და საინფორმაციო ზემოქმედება.

დასავლურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ინსტიტუციური ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ საყრდენს, თუმცა მისი ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შიდა პოლიტიკური და ინსტიტუციური მდგრადობის ხარისხზე.

ნაშრომში დასაბუთდა, რომ თანამშრომლობა თანამედროვე გეოპოლიტიკაში წარმოადგენს არა მხოლოდ არჩევანს, არამედ სტრატეგიულ შესაძლებლობას. საერთაშორისო და რეგიონულ ფორმატებში აქტიური მონაწილეობა აძლიერებს საქართველოს უსაფრთხოებას, ზრდის მის საერთაშორისო ლეგიტიმაციას და ქმნის დამატებით რესურსებს ეკონომიკური განვითარებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შავი ზღვის რეგიონში ინფრასტრუქტურული, ენერგეტიკული და სატრანზიტო პროექტების გეოპოლიტიკური პოტენციალი.

ზემოაღნიშნული მიგნებების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. **სტრატეგიული თანმიმდევრულობის გაძლიერება** - საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას, რომელიც მკაფიოდ აერთიანებს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და რეალისტურ რისკების მართვას.
2. **უსაფრთხოების კომპლექსური მიდგომის განვითარება** - აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში სამხედრო, ეკონომიკური, ენერგეტიკული და კიბერუსაფრთხოების ელემენტების ინტეგრაცია.
3. **რეგიონული და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება** - საქართველომ უნდა გააგრძელოს აქტიური ჩართულობა შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ინიციატივებში, რათა შეამციროს იზოლაციის რისკი და გააძლიეროს საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიცია.
4. **შიდა პოლიტიკური და ინსტიტუციური მდგრადობის განმტკიცება** - დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და საზოგადოებრივი კონსენსუსის ზრდა წარმოადგენს გარე უსაფრთხოების მნიშვნელოვანი წინაპირობას.
5. **ეკონომიკური და სატრანზიტო პოტენციალის სტრატეგიული გამოყენება** - ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტები უნდა იქცეს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად.

საბოლოოდ, ნაშრომი აჩვენებს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მომავალი განისაზღვრება არა მხოლოდ გარე ძალთა მოქმედებით, არამედ ქვეყნის უნარით, სწორად

გააანალიზოს გლობალური ტრანსფორმაციები და ჩამოაყალიბოს თანმიმდევრული, რეალისტური და პარტნიორობაზე დაფუძნებული სტრატეგია. სწორედ ამგვარი მიდგომა ქმნის საფუძველს საქართველოს უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარებისათვის ცვალებად საერთაშორისო გარემოში.

ბიბლიოგრაფია

Baker Fox, Annette. *The Power of Small States*. Chicago: University of Chicago Press, 1959.

Buzan, Barry. *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies*. Colchester: ECPR Press, 2007.

Buzan, Barry, and Ole Waever. *Regions and Powers: The Structure of International Security*. Cambridge: Cambridge University Press, 2003.

Cornell, Svante E., and Frederick S. Starr. *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia*. Armonk, NY: M.E. Sharpe, 2009.

European Union. *EU–Georgia Association Agenda 2021–2027*. Brussels: European Commission, 2021.

Flint, Colin. *Introduction to Geopolitics*. London: Routledge, 2017.

Fukuyama, Francis. *Political Order and Political Decay*. New York: Farrar, Straus and Giroux, 2014.

Goh, Evelyn. *"Great Powers and Hierarchical Order in Southeast Asia: Analyzing Regional Security Strategies."* International Security 32, no. 3 (2008): 113–157. https://doi.org/10.1162/isec.2008.32.3.113,

Graham, Thomas. *Getting Russia Right*. Cambridge: Polity Press, 2023.

Jonsson, Oscar. *The Russian Understanding of War: Blurring the Lines between War and Peace*. Washington, DC: Georgetown University Press, 2019.

Keohane, Robert O. *International Institutions and State Power*. Boulder: Westview Press, 1989.

Keohane, Robert O. *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy*. Princeton: Princeton University Press, 2005.

Kofman, Michael, et al. *Russian Military Strategy: Core Tenets and Operational Concepts*. Washington, DC: CNA, 2021.

Krastev, Ivan, and Stephen Holmes. *The Light That Failed: A Reckoning*. New York: Pegasus Books, 2019.

Melvin, Neil. *Energy Security and the Black Sea Region*. Stockholm: SIPRI, 2018.

Mearsheimer, John J. *The Tragedy of Great Power Politics*. New York: W. W. Norton, 2014.

NATO. *NATO-Georgia Relations: Strengthening Security and Cooperation*. Brussels: NATO, 2023.

NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence. *Countering Hybrid Threats*. Tallinn: CCDCOE, 2021.

Nye, Joseph S. *Soft Power: The Means to Success in World Politics*. New York: PublicAffairs, 2004.

Waal, Thomas de. *The Caucasus: An Introduction*. Oxford: Oxford University Press, 2021.

World Bank. *Georgia: Economic Update - Managing Uncertainty*. Washington, DC: World Bank, 2022.

Zakaria, Fareed. *The Post-American World*. 3rd ed. New York: W. W. Norton, 2020.

ციფრული მენეჯმენტი და ციფრული ლიდერობა, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ბერკეტი

ქეთევან ჭიაბრიშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი
orcid.org/my-orcid?orcid=0000-0001-7293-5786

შალვა კვეზერელი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განვიხილავთ ციფრული მენეჯმენტისა და ციფრული ლიდერობის არსს, ურთიერთკავშირსა და მნიშვნელობას თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში. მასში ხაზგასმულია, რომ ციფრული მენეჯმენტი ორიენტირებულია ტექნოლოგიების სტრატეგიულ გამოყენებაზე ოპერაციული ეფექტურობის გასაზრდელად და მოიცავს მონაცემთა ანალიტიკას, ავტომატიზაციასა და ციფრული კომუნიკაციის პლატფორმების ინტეგრაციას. ციფრული ლიდერობა კი ფოკუსირდება ორგანიზაციული კულტურის ტრანსფორმაციაზე, ინოვაციების ხელშეწყობასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე. ორივე კონცეფციას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარებაში, ვინაიდან ციფრულად ძლიერი ინსტიტუციები ქმნიან გამძლე ეკონომიკურ გარემოს.

ნაშრომში ვრცლად განხილულია ციფრული ლიდერობის ძირითადი მახასიათებლები: ვიზიონერული აზროვნება, აგილურობა, ემპათია და კოლაბორაციული მიდგომა. ეფექტური ციფრული ლიდერი არა მხოლოდ პასუხობს მიმდინარე ტექნოლოგიურ ტრენდებს, არამედ პროაქტიულად ამზადებს ორგანიზაციას მომავალი ცვლილებებისთვის, ქმნის „cross-functional“ თანამშრომლობის პლატფორმებს და ამყარებს კულტურას, სადაც შეცდომა განიხილება სწავლის, და არა დასასჯელი ფაქტის, შესაძლებლობად.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ციფრული ტრანსფორმაციის ძირითად გამოწვევებს, მათ შორის: უნარების დეფიციტს შრომის ბაზარზე, ცვლილებებისადმი ორგანიზაციულ წინააღმდეგობას, კულტურულ ბარიერებს, კიბერუსაფრთხოების მზარდ საფრთხეებს, „legacy“ სისტემების ინტეგრაციის სირთულეებს და ციფრულ დანაწევრებას, რომელმაც შეიძლება ახალი უთანასწორობა შექმნას ორგანიზაციაში. პარალელურად იდენტიფიცირებულია მნიშვნელოვანი შესაძლებლობები — ოპერაციული ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ზრდა, მომხმარებელთა გამოცდილების პერსონალიზაცია, მონაცემებზე დაფუძნებული სტრატეგიული გადაწყვეტილებები, ახალი საეკოსისტემო პარტნიორობები და სამუშაო ძალის მოქნილობა.

ნაშრომი ასევე მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებული განხორციელებისათვის: ბიზნეს მიზნებთან დაკავშირებული მკაფიო ციფრული სტრატეგიის შემუშავება, „agile“ მეთოდოლოგიების გამოყენება, ინვესტიციები თანამშრომელთა გადამზადებასა და „upskilling“-ში, გამჭვირვალე ცვლილებების მენეჯმენტი და ტექნოლოგიურ კომპანიებთან სტრატეგიული პარტნიორობა.

საბოლოოდ, ნაშრომში ხაზგასმულია, რომ წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს ჰოლისტიკურ მიდგომას, რომელიც ერთდროულად მოიცავს ტექნოლოგიურ ინოვაციას,

ორგანიზაციული კულტურის გარდაქმნასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას. „Cross-functional“ თანამშრომლობის, უწყვეტი სწავლისა და ციფრული ხედვის ერთობლიობა ორგანიზაციებს ანიჭებს მდგრად კონკურენტულ უპირატესობას ციფრულ ეპოქაში.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მენეჯმენტი, ციფრული ლიდერობა, თანამედროვე ორგანიზაციები, კიბერუსაფრთხოება, ორგანიზაციული კულტურა და ღირებულებები

Digital Management and Digital Leadership as Important Levers for Economic Security

Ketevan Chiabrishvili
Professor of Bachelor's program in Management of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Economics
orcid.org/my-orcid?orcid=0000-0001-7293-5786

Shalva Kvezereli
Associate Professor of Bachelor's program in Management of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Academic Doctor of Business Administration

Abstract

The paper examines the essence, interrelationships, and significance of digital management and digital leadership in the modern economic environment, with particular emphasis on their role as important levers for national economic security. It is highlighted that digital management is oriented towards the strategic use of technologies to increase operational efficiency, encompassing data analytics, process automation, and the integration of digital communication platforms. Digital leadership focuses on the transformation of organizational culture, fostering innovation, and developing human capital to navigate the rapidly evolving digital landscape. Both concepts play a crucial role in strengthening the economic security of a country, as digitally capable organizations create resilient institutional environments.

The study provides a detailed analysis of the core attributes of effective digital leaders, including visionary thinking, agility, empathy, and a collaborative approach. Effective digital leaders do not merely respond to current technological trends; they proactively prepare their organizations for future change, build cross-functional collaboration platforms, and cultivate a culture in which failure is treated as a learning opportunity rather than a punishable outcome.

Significant attention is devoted to the main challenges of digital transformation, including skills shortages in the labor market, organizational resistance to change, cultural barriers, growing cybersecurity threats, technical complexities in integrating legacy systems, and digital fragmentation that may create new inequalities within organizations. In parallel, the paper identifies substantial opportunities arising from successful digital adoption — increased operational efficiency and productivity, personalized customer experiences, data-driven strategic decision-making, new ecosystem partnerships, and greater flexibility of the workforce.

The paper also presents practical recommendations for successful digital transformation: developing a clear digital strategy aligned with overall business objectives, adopting agile methodologies, investing in employee reskilling and upskilling, maintaining transparent change management communication, and establishing strategic partnerships with technology companies and innovative startups.

In conclusion, the paper emphasizes that successful digital transformation requires a holistic approach that integrates technological innovation, organizational culture change, and human capital development. Cross-functional collaboration, continuous learning, and clear digital vision together give organizations a sustainable competitive advantage in the digital age.

Key words: Digital management, digital leadership, modern organizations, cybersecurity, organizational culture and values

შესავალი

ციფრული ტრანსფორმაცია თანამედროვე ბიზნეს და ეკონომიკური გარემოს განუყოფელი ნაწილი გახდა. ორგანიზაციები მუდმივად ეძებენ გზებს, რათა გამოიყენონ ტექნოლოგიური მიღწევები კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ პროცესში კლიდური როლი უკავია ციფრულ მენეჯმენტს და ციფრულ ლიდერობას - ორ ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ განსხვავებულ კონცეფციას, რომლებიც განსაზღვრავენ თუ როგორ მართავენ და ხელმძღვანელობენ ორგანიზაციები ციფრულ ეპოქაში.

ციფრული მენეჯმენტი წარმოადგენს ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიულ გამოყენებას ორგანიზაციული პროცესების ოპტიმიზაციისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით. იგი მოიცავს ციფრული რესურსების დაგეგმვას, ორგანიზებას, კონტროლს და კოორდინაციას. ციფრული ლიდერობა კი უფრო ფართო კონცეფციაა, რომელიც ფოუსირებულია ორგანიზაციული კულტურის ტრანსფორმაციაზე, ინოვაციების წახალისებასა და გუნდის შთაგონებაზე ციფრული ცვლილებების მიმართ.

თანამედროვე ლიტერატურა ხაზს უსვამს, რომ ციფრული ლიდერობა არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური კომპეტენცია, არამედ გულისხმობს ადამიანური რესურსების განვითარებას, ვიზიონერულ აზროვნებას და ადაპტირების უნარს სწრაფად ცვალებად გარემოში. ეს ნაშრომი განიხილავს იმ ძირითად გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებსაც აწყდებიან ორგანიზაციები ციფრული მენეჯმენტისა და ციფრული ლიდერობის დანერგვის პროცესში.

ციფრული მენეჯმენტის არსი და ძირითადი კომპონენტები ციფრული მენეჯმენტი წარმოადგენს მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომას, რომელიც ინტეგრირებულია ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობებთან. ის მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან განზომილებას: მონაცემების ანალიტიკა და მენეჯმენტი, ციფრული პროცესების ავტომატიზაცია, დისტანციური მუშაობის ორგანიზება და ციფრული კომუნიკაციის სისტემების გამოყენება.

მონაცემთა მენეჯმენტი ციფრული მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ასპექტია. „ორგანიზაციები დღეს წვდომას იღებენ უზარმაზარ მოცულობის მონაცემებზე, რომლებიც სწორად გამოყენების შემთხვევაში შეუძლიათ ბიზნეს ინტელექტის საფუძველი გახდნენ. თუმცა, მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ეფექტური ინტერპრეტაცია მოითხოვს სპეციალიზებულ უნარებსა და ინსტრუმენტებს. ციფრულ მენეჯერებს უნდა

ესმოდეთ როგორ გარდაქმნან „raw“ მონაცემები „actionable insights“-ად, რომლებიც ხელს შეუწყობს სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღებას.“[1]

ავტომატიზაცია და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ასევე გახდა ციფრული მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილი. რობოტიზებული პროცესების ავტომატიზაცია საშუალებას იძლევა ორგანიზაციებმა შეამცირონ რუტინული ამოცანების შესრულებაზე დახარჯული დრო და რესურსები, რაც თანამშრომლებს აძლევს საშუალებას კონცენტრირება გაუკეთონ უფრო სტრატეგიულ და შემოქმედებით დავალებებზე.

ციფრული კომუნიკაციის პლატფორმები რადიკალურად შეცვალეს თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაზიარების მოდელები. „Teams, Slack, Zoom“ და მსგავსი ინსტრუმენტები ახდენენ გეოგრაფიული საზღვრების მოხსნას და ქმნიან ახალ შესაძლებლობებს გლობალური გუნდების კოორდინაციისთვის. თუმცა, ეს ტექნოლოგიები ასევე მოითხოვს ახალ მენეჯმენტის უნარებს დისტანციური თანამშრომლების მოტივაციისა და კოორდინაციის სფეროში.

ციფრული ლიდერობის ხედვა და მახასიათებლები ციფრული ლიდერობა სცილდება ტექნოლოგიური კომპეტენციის ფარგლებს და წარმოადგენს ორგანიზაციული ტრანსფორმაციის ხელმძღვანელობის უნარს. ციფრული ლიდერები არიან ცვლილებების აგენტები, რომლებიც ქმნიან ხედვას ციფრული მომავლისთვის და შთააგონებენ გუნდებს ამ ხედვის რეალიზებისკენ.

ვიზიონერული აზროვნება ციფრული ლიდერობის ქვაკუთხედია. ეფექტური ციფრული ლიდერები არა მხოლოდ რეაგირებენ მიმდინარე ტექნოლოგიურ ტრენდებზე, არამედ წინასწარმეტყველებენ მომავალ ცვლილებებს და პროაქტიულად ამზადებენ ორგანიზაციებს მათთვის. ისინი ხედავენ ტექნოლოგიის პოტენციალს არა როგორც მიზანს, არამედ როგორც საშუალებას ბიზნეს ღირებულების შესაქმნელად.

აგილურობა და ადაპტირების უნარი არის კიდევ ერთი გადამწყვეტი მახასიათებელი. ციფრული ეკოსისტემა სწრაფად იცვლება და ის, რაც დღეს არის წარმატებული პრაქტიკა, ხვალ შეიძლება მოძველებული გახდეს. ციფრული ლიდერები უნდა იყვნენ მოქნილები, ღიად აღიქვამდნენ ახალ იდეებს და აქტიურად ახალისებდნენ ექსპერიმენტების კულტურას თავიანთ ორგანიზაციებში.

[1] G. C. Kane, D.Palmer, A. N.Phillips, D.Kiron, & N.Buckley, Strategy, not Technology, Drives Digital Transformation. MIT Sloan Management Review and Deloitte University Press, 14, 1-25. გვ. 15, (2015).

ემპათია და ადამიანზე ორიენტირებული მიდგომა აუცილებელია ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში. ტექნოლოგიური ცვლილებები ხშირად იწვევს შიშს და წინააღმდეგობას თანამშრომლების მხრიდან. ციფრული ლიდერები უნდა ესმოდეთ ამ შიშების ბუნება, ეფექტურად აკომუნიცირონ ცვლილებების სარგებელი და მხარი დაუჭირონ თანამშრომლებს ახალი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში.

„კოლაბორაციული მიდგომა და „cross-functional" თანამშრომლობის წახალისება ასევე მნიშვნელოვანია. ციფრული ტრანსფორმაცია ვერ განხორციელდება მხოლოდ „IT" დეპარტამენტის მიერ - იგი მოითხოვს ორგანიზაციის ყველა ფუნქციური ერთეულის ჩართულობას. ციფრული ლიდერები ქმნიან პლატფორმებს სადაც სხვადასხვა დეპარტამენტების წარმომადგენლები ერთად მუშაობენ საერთო მიზნების მისაღწევად."[2]

ძირითადი გამოწვევები ციფრული მენეჯმენტისა და ლიდერობის დანერგვაში ციფრული ტრანსფორმაციის გზაზე ორგანიზაციები აწყდებიან მრავალ გამოწვევას, რომელთა დაძლევაც მოითხოვს სისტემურ მიდგომას და უწყვეტ ძალისხმევას.

უნარების დეფიციტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ბარიერს. ციფრული ეკონომიკა მოითხოვს ახალ კომპეტენციებს, რომელთა მქონე სპეციალისტები მწირია შრომის ბაზარზე. მონაცემთა ანალიტიკის, კიბერუსაფრთხოების, ხელოვნური ინტელექტისა და „cloud computing"-ის სპეციალისტების მოძიება და შენარჩუნება გახდა უმნიშვნელოვანესი გამოწვევა ბევრი ორგანიზაციისთვის. უფრო მეტიც, არსებული თანამშრომლების გადამზადება და „upskilling" ასევე მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს დროსა და რესურსებში.

ორგანიზაციული წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ არის კიდევ ერთი ფუნდამენტური გამოწვევა. ადამიანები ბუნებრივად არიან მიდრეკილნი სტატუს ქვოს შენარჩუნებისკენ და ციფრული ტრანსფორმაცია, რომელიც ხშირად გულისხმობს მუშაობის რადიკალურ ცვლილებას, იწვევს შფოთვას და წინააღმდეგობას. ეს წინააღმდეგობა შეიძლება გამოვლინდეს როგორც პასიურ ფორმებში (ახალი სისტემების არაეფექტური გამოყენება), ასევე აქტიურ ფორმებში (ღია კრიტიკა და საბოტაჟი).

კულტურის ტრანსფორმაცია სავარაუდოდ ყველაზე რთული და ხანგრძლივი პროცესია. ტრადიციული იერარქიული და ბიუროკრატიული ორგანიზაციული კულტურები ხშირად არათავსებადია ციფრული ეპოქის მოთხოვნებთან. ციფრული გარემო მოითხოვს უფრო

[2] G.Westerman, D.Bonnet, & A.McAfee, Leading Digital: Turning Technology into Business Transformation. Harvard Business Review Press. გვ. 27, (2014).

მოქნილ, დეცენტრალიზებულ და ექსპერიმენტებზე ორიენტირებულ კულტურას, სადაც წარუმატებლობა განიხილება როგორც სწავლის შესაძლებლობა და არა დასასჯელი ფაქტი.

კიბერუსაფრთხოების საფრთხეები მუდმივად იზრდება ციფრულ გარემოში. ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს, გახდნენ უფრო დაუცველი კიბერშეტევების მიმართ. მგრძნობიარე მონაცემების დაცვა, „GDPR“ და სხვა რეგულაციების დაცვა, ასევე ჰაკერული თავდასხმებისგან თავის დაცვა მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და ინვესტიციებს.

ტექნოლოგიური ინტეგრაცია და „legacy“ სისტემების პრობლემა ასევე აღსანიშნავია. ბევრ ორგანიზაციას აქვს მოძველებული „IT“ ინფრასტრუქტურა, რომელიც არ არის თავსებადი თანამედროვე ციფრულ სისტემებთან. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ძველ სისტემებთან ინტეგრირებისას შეიძლება იყოს ტექნიკურად რთული, ძვირი და რისკიანი.

ციფრული დანაწევრება და ინკლუზიური ტრანსფორმაციის უზრუნველყოფა არის საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი გამოწვევა. ციფრული ტრანსფორმაცია არ უნდა ქმნიდეს ახალ არათანასწორობას ორგანიზაციაში იმ თანამშრომლებს შორის, ვისაც აქვს ციფრული უნარები და ვისაც არა. გენერაციული განსხვავებები ასევე შეიძლება გახდეს ბარიერი, როდესაც უფროსი თაობის თანამშრომლები უჭირთ ადაპტაცია ახალ ტექნოლოგიებთან.

შესაძლებლობები და სტრატეგიული უპირატესობები მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, ციფრული მენეჯმენტი და ლიდერობა ქმნის უმნიშვნელოვანეს შესაძლებლობებს ორგანიზაციებისთვის, რომლებიც წარმატებით ახერხებენ მათ დანერგვას.

ოპერაციული ეფექტურობის გაზრდა არის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სარგებელი. ავტომატიზაცია, ციფრული პროცესები და მონაცემების ანალიტიკა საშუალებას იძლევა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად შეამცირონ ოპერაციული ხარჯები, აამაღლონ პროდუქტიულობა და აღმოფხვრან შეცდომები, რომლებიც დამახასიათებელია მანუალური პროცესებისთვის. ციფრული ინსტრუმენტები ასევე საშუალებას იძლევა რეალურ დროში მონიტორინგის და კონტროლის განხორციელების, რაც აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფეს და ხარისხს.

მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესება წარმოადგენს კიდევ ერთ სტრატეგიულ უპირატესობას. ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ორგანიზაციებმა უკეთ გაიგონ თავიანთი მომხმარებლების საჭიროებები, შესთავაზონ პერსონალიზებული პრო-

დუქტები და სერვისები და შექმნან „seamless omnichannel“ გამოცდილება. დღეს მომხმარებლები ელიან სწრაფ, მოხერხებულ და პერსონალიზებულ სერვისს - და ციფრული ტექნოლოგიები ამის უზრუნველყოფის საშუალებებს იძლევა.

„ინოვაციის და ექსპერიმენტირების კულტურის ხელშეწყობა ქმნის გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობას. ციფრული ინსტრუმენტები, როგორიცაა „A/B testing“ პლატფორმები, „rapid prototyping“ ტექნოლოგიები და „agile“ მეთოდოლოგიები, საშუალებას იძლევა ორგანიზაციებმა სწრაფად დატესტონ ახალი იდეები და უფრო სწრაფად მიაწოდონ ისინი ბაზარს. ციფრული გარემო ამცირებს ექსპერიმენტების ღირებულებას და საშუალებას იძლევა „fail fast, learn faster“ მენტალობის განხორციელებას.“[3]

მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება ხდება ორგანიზაციული კონკურენტუნარიანობის საფუძველი. ციფრული ტექნოლოგიები აგროვებენ და ამუშავებენ უზარმაზარ მოცულობის მონაცემებს, რომლებიც სწორად გამოყენებისას იძლევა შეუდარებელ „insights“-ს ბაზრის ტრენდების, მომხმარებლის ქცევის და ოპერაციული პერფორმანსის შესახებ. „predictive analytics და machine learning“ ალგორითმები საშუალებას იძლევა ორგანიზაციებმა წინასწარ იხილონ მომავალი ტრენდები და პროაქტიულად მოიქცნენ.

სამუშაო ძალის მობილიზაცია და ფლექსიბილურობა წარმოადგენს მნიშვნელოვან უპირატესობას დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში. ციფრული კომუნიკაციისა და კოლაბორაციის ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა ორგანიზაციებმა დაიქირაონ საუკეთესო ტალანტები გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად და შესთავაზონ თანამშრომლებს უფრო მოქნილი სამუშაო რეჟიმები, რაც აუმჯობესებს მუშახელის კმაყოფილებას და შენარჩუნებას.

ეკოსისტემური მიდგომა და პარტნიორობის ახალი მოდელები ხდება შესაძლებელი ციფრული პლატფორმების საშუალებით. ორგანიზაციებს შეუძლიათ უფრო ადვილად თანამშრომლობა გაუწიონ პარტნიორებს, მომწოდებლებსა და მომხმარებლებს, მათთან ერთად შექმნან ღირებულების ახალი მოდელები და წვდომა მიიღონ ახალ ბაზრებსა და მომხმარებელთა სეგმენტებზე.

რეკომენდაციები და პრაქტიკა წარმატებული ციფრული ტრანსფორმაციის განსახორციელებლად ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ მრავალმხრივ სტრატეგიას, რომელიც ერთდროულად მოიცავს ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ და კულტურულ ასპექტებს.

[3] T.Schwarzmüller, P.Brosi, D.Duman, & I. M. Welpe, How Does the Digital Transformation Affect Organizations? Key Themes of Change in Work Design and Leadership. Management Revue, 29(2), 114-138. გვ. 14, (2018).

პირველ რიგში, ორგანიზაციებმა უნდა შექმნან მკაფიო ციფრული ხედვა და სტრატეგია, რომელიც დაკავშირებულია მთლიან ბიზნეს მიზნებთან. ციფრული ტრანსფორმაცია არ უნდა იყოს მხოლოდ ტექნოლოგიური პროექტი, არამედ ბიზნეს ტრანსფორმაცია, რომელიც ეყრდნობა ტექნოლოგიას. ამ ხედვის კომუნიკაცია და ყველა დონის თანამშრომლის ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

უწყვეტი სწავლისა და განვითარების კულტურის დამკვიდრება აუცილებელია. ორგანიზაციებმა უნდა ინვესტირება მოახდინონ გაუკეთონ თანამშრომლების ტრენინგსა და განვითარებაში, შექმნან „learning platforms“ და წაახალისონ „continuous upskilling“. ეს მოიცავს არა მხოლოდ ტექნიკურ უნარებს, არამედ „soft skills“-ებსაც, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და ადაპტაციის უნარი.

„Agile“ და „iterative“ მიდგომის გამოყენება ციფრული ინიციატივების განხორციელებაში საშუალებას იძლევა ორგანიზაციებმა სწრაფად რეაგირება მოახდინონ ცვლილებებზე და მუდმივად აუმჯობესონ თავიანთი პროდუქტები და სერვისები. „waterfall“ მეთოდოლოგიის ნაცვლად, რომელიც ხშირად ზედმეტად რიგიდული და ნელია ციფრული გარემოსთვის, „agile“ მიდგომა უზრუნველყოფს მეტ ფლექსიბილურობას და სწრაფ ღირებულების მიწოდებას.

ცვლილებების მენეჯმენტი და კომუნიკაცია უნდა იყოს პრიორიტეტი. წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიების დანერგვას, არამედ ადამიანების განვითარების სწორად წარმართვას. გამჭვირვალე კომუნიკაცია, თანამშრომლების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და შიშების გაგებისა და მოგვარების მცდელობა გადამწყვეტია წინააღმდეგობის დაძლევაში.

"პარტნიორობამ ტექნოლოგიურ კომპანიებთან და სტარტაპებთან შეიძლება დააჩქაროს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი. ბევრი დიდი ორგანიზაცია არჩევს გარე ექსპერტიზის მოზიდვას, თანამშრომლობას „innovative“ სტარტაპებთან, ან კორპორაციული „venture capital“-ის გზით ინვესტირებას ახალ ტექნოლოგიებში. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა უფრო სწრაფად წვდომა მიიღონ ახალ ტექნოლოგიებსა და იდეებზე.

საბოლოო ჯამში, ციფრული მენეჯმენტი და ლიდერობა უნდა იყოს მთელი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა და არა მხოლოდ „IT“ დეპარტამენტის. ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს „cross-functional“ თანამშრომლობას, სადაც ყველა დეპარტამენტი - გაყიდვები, მარკეტინგი, ოპერაციები, „HR“, ფინანსები - აქტიურად არის ჩართული პროცესში და იზიარებს საერთო ხედვას.

დასკვნა

ციფრული მენეჯმენტი და ციფრული ლიდერობა წარმოადგენს ორგანიზაციული წარმატების აუცილებელ ელემენტებს თანამედროვე ბიზნეს გარემოში. მიუხედავად იმ მრავალრიცხოვანი გამოწვევისა, რომელსაც ორგანიზაციები აწყდებიან ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში - უნარების დეფიციტი, ორგანიზაციული წინააღმდეგობა, კულტურული და ღირებულებითი ტრანსფორმაცია, კიბერუსაფრთხოების საფრთხეები - ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიულმა გამოყენებამ შეიძლება უზარმაზარი შესაძლებლობები შექმნას.

წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს ჰოლისტიკურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ ინოვაციას, ორგანიზაციული კულტურის ტრანსფორმაციას და ადამიანური კაპიტალის განვითარებას. ციფრული ლიდერები უნდა იყვნენ ვიზიონერები, რომლებიც არა მხოლოდ ხედავენ ტექნოლოგიების პოტენციალს, არამედ ახერხებენ თავიანთი გუნდების შთაგონებას და მხარდაჭერას ამ ცვლილებების განხორციელებაში.

ციფრული ეპოქა განაგრძობს ევოლუციას და ორგანიზაციებს, რომლებიც წარმატებით შეძლებენ ციფრული მენეჯმენტისა და ლიდერობის პრინციპების დანერგვას, მოიპოვებენ მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას. ოპერაციული ეფექტურობის გაზრდა, მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება, ინოვაციური კულტურის ჩამოყალიბება და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი - ეს ყველაფერი ხდება ორგანიზაციული წარმატების საფუძველი XXI საუკუნეში.

მომავალი ეკუთვნის იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ხედავენ ციფრულ ტრანსფორმაციას არა როგორც ერთჯერად პროექტს, არამედ როგორც უწყვეტ მოგზაურობას, რომელიც მოითხოვს მუდმივ სწავლას, ადაპტაციას და განახლებას. ციფრული მენეჯმენტი და ლიდერობა კი არის ის კომპასი, რომელიც ორგანიზაციებს უხელმძღვანელებს ამ რთულ, მაგრამ ფასდაუდებელ მოგზაურობაში.

ბიბლიოგრაფია

Kikutadze, V., Sikharulidze, D., & Lekishvili, T. (2023). Peculiarities of Digital Transformation of Higher Educational Institutions in Georgia. (Springer).

Abuselidze, G., & Zoidze, T. (2024). Digital Transformation in Georgian Banking: Trends and Current Level of Adoption. *European Journal of Sustainable Development*, 13(4), 341.

Kane, G. C., Palmer, D., Phillips, A. N., Kiron, D., & Buckley, N. (2015). Strategy, not Technology, Drives Digital Transformation. *MIT Sloan Management Review and Deloitte University Press*, 14, 1–25.

Westerman, G., Bonnet, D., & McAfee, A. (2014). *Leading Digital: Turning Technology into Business Transformation*. Harvard Business Review Press.

Schwarzmüller, T., Brosi, P., Duman, D., & Welpe, I. M. (2018). How Does the Digital Transformation Affect Organizations? Key Themes of Change in Work Design and Leadership. *Management Revue*, 29(2), 114–138.

Vial, G. (2019). Understanding Digital Transformation: A Review and a Research Agenda. *Journal of Strategic Information Systems*, 28(2), 118–144.

Kane, G. C., Phillips, A. N., Copulsky, J., & Andrus, G. (2019). *The Technology Fallacy: How People Are the Real Key to Digital Transformation*. MIT Press.

Omol, E. J. (2024). Organizational digital transformation: from evolution to future trends. *Digital Transformation and Society*, 3(3), 240–256.

Müller, S. D., Konzag, H., Nielsen, J. A., & Sandholt, H. B. (2024). Digital transformation leadership competencies: A contingency approach. *International Journal of Information Management*, 75, 102734.

ჩინეთის ლათინო-ამერიკული ამბიციები და გეოპოლიტიკური ბრძოლა დომინირებისთვის

პოლკოვნიკი ლევან ქავთარაძე
საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და
სამხედრო განათლების სარდლის მოადგილე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ბოლო პერიოდში მსოფლიო საზოადოება სხვადასხვა შიდაპოლიტიკური კრიზისებისა და ღია კონფლიქტების მომსწრე გახდა, რაც გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის ცვლილების აშკარა საწყისებს ქმნის და ბუნდოვანს ხდის მსოფლიო წესრიგის დამყარების გზებსა და ვადებს. მას შემდეგ, რაც ამერიკელმა სპეცსამსახურებმა ვენესუელის პრეზიდენტის, ნიკოლას მადუროს დაკავების ოპერაცია ჩაატარეს, პეკინმა დიდი ხნის შემდეგ დუმილი დაარღვია და პირველად ღიად, მკვეთრი განცხადება გააკეთა, რომელიც დიპლომატიურ საყვედურს კი არა მუქარით შეზავებულ გაფრთხილებას ჰგავდა. ამან თეთრი სახლის ოფისებში ვნებათაღელვა გამოიწვია. „თუ ვაშინგტონი ბოლომდე ასე გააგრძელებს, მსოფლიო შესაძლოა ისეთი შედეგების წინაშე აღმოჩნდეს, რომლის შეცვლასაც ვერავინ შეძლებს“ - განაცხადა ჩინეთმა, რასაც ზოგი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ჩინეთის ოფიციალური განცხადებების უკან არა მხოლოდ უკმაყოფილება, არამედ პანიკური შიში იმალება. პეკინი ხვდება, რომ კარაკასში განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლოა ჩინეთის ოცწლიანი შეუპოვარი ძალისხმევის შედეგად განხორციელებული ინვესტიციებისა თუ პოლიტიკური შეთანხმებების განადგურება გამოიწვიოს.

სტატიის მიზანია ვენესუელაში შეერთებული შტატების მიერ ჩატარებული ოპერაციის გავლენის გაანალიზება ჩინეთის ლათინო-ამერიკული ამბიციებისა და სტრატეგიის ჭრილში. ათწლეულების განმავლობაში ჩინეთმა ვენესუელაში სამოც მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩადო, რათა უზრუნველეყო აზიური გიგანტის ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულ რესურსზე - ნავთობზე სტაბილური წვდომა. ახლა კი, აშშ-ის მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად ყველაფერი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, რამდენადაც ვენესუელას ნავთობმოპოვებასთან დაკავშირებულ საკვანძო ობიექტებზე კონტროლი შეერთებულმა შტატებმა აიღო.

კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ ვენესუელაში განვითარებული მოვლენები ჩინეთისთვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდა, რეგიონში გავლენის დაკარგვისა და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. პეკინში გააცნობიერეს, რომ ეს მხოლოდ პარტნიორის დაკარგვა კი არ იყო, არამედ კარგავდნენ აქტივებს, რომელთა აღდგენაც შეუძლებელი იქნებოდა. უფრო მეტიც, ვენესუელას დაკარგვა საფრთხეს უქმნის მიწოდების ჯაჭვის რღვევას, რომელზეც პირდაპირ არის დამოკიდებული ჩინეთის ენერგეტიკული უსაფრთხოება. ანალიტიკოსების შეფასებით, სასწორზე 350 მილიარდ დოლარზე მეტი ნავთობის მარაგი, შეთანხმებები და კონტრაქტები დევს, რასაც პეკინი ლათინურ ამერიკაში საკუთარი გავლენის გარანტად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ იყო ჩინეთის რეაქცია ასეთი მკაცრი. პეკინმა აშშ-ის მიერ ვენესუელაში განხორციელებული ოპერაცია საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევად გამოაცხადა, დაგმო ამერიკის მიერ ,,მსოფლიო პოლიციელის“ როლის თამაში და მოითხოვა მადუროს დაუყოვნებელი გათავისუფლება. თუმცა, ოფიციალური სიტყვების უკან გაცილებით სერიოზული მიზეზი იმალება: შიში იმისა, რომ ვენესუელას დაკარგვა დომინოს ეფექტის დასაწყისი იქნება, რაც დასავლეთ ნახევარსფეროში ჩინეთის მთელ სტრატეგიას ჩამოშლის, რამეთუ მადუროს წასვლით არა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები, არამედ 2007 წლის შემდეგ დამყარებული გეოპოლიტიკური კავშირებიც რისკის ქვეშ დგება.

ნაშრომში აქცენტირება ხდება ვენესუელაში განვითარებული მოვლენების შედეგად ჩინეთის საპასუხო ქმედებებსა და ეკონომიკური ზეწოლის ბერკეტებზე, რომელსაც ჩინეთი იარაღად იყენებს. კერძოდ, პეკინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, განიხილება აზიაში მოქმედი ამერიკული კორპორაციების წინააღმდეგ საპასუხო ზომების გატარების შესაძლებლობა, ასევე

იშვიათი მეტალების ექსპორტზე კონტროლის გამკაცრება და შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია მოწინავე ტექნოლოგიებისა და იარაღის წარმოებისთვის. თუ ეს ნაბიჯები გადაიდგა, შეერთებული შტატების ეკონომიკას მნიშვნელოვანი დარტყმა მიადგება, რაც შესაძლოა ყველაზე მძიმე აღმოჩნდეს ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

ნაშრომში, ასევე, ყურადღება გამახვილებულია გარემოებებზე, რაც განაპირობებს ჩინეთის მხრიდან ასეთი გადამწყვეტი ქმედების განხორციელებას და რატომ გახდა ვენესუელა მისთვის უკუქცევის წერტილი. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი პეკინის ინტერესებისგან შორს ჩანს, მაგრამ პასუხი ჩინური ინვესტიციების მასშტაბებში, პეკინსა და კარაკასს შორის დამყარებულ კავშირებსა და ვენესუელის ნავთობის საბადოებში უკვე ჩადებულ მილიარდობით დოლარშია.

ხსენებული მოვლენების გამო, ნავთობის ყოველი ბარელი, აღჭურვილობა თუ ყველა ხელმოწერილი კონტრაქტი შესაძლო დაკარგვის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ ვენესუელას ნავთობის 85% ჩინეთში გადის, რაც იმას ნიშნავს, რომ პეკინი ეფექტურად აკონტროლებს არა მხოლოდ ქვეყნის ვალს, არამედ მის საექსპორტო ეკონომიკას. ამიტომ, ვაშინგტონის განცხადება ამერიკული კომპანიების მიერ ვენესუელას ინფრასტრუქტურის აღდგენის დაწყებასთან დაკავშირებით, პეკინმა პირდაპირ საფრთხედ აღიქვა, რადგან მასში ამოიკითხა გზავნილი - „ყველაფერი, რაც თქვენ ააშენეთ, ახლა ჩვენი კონტროლის ქვეშაა“. სწორედ აქ შეიცვალა ჩინური დიპლომატიის ტონი. მაგრამ რა მოხდება შემდეგ? როგორი იქნება პეკინის საპასუხო რეაგირება? რამდენად შესაძლებელია აღნიშნული კრიზისი გასცდეს დიპლომატიურ დაპირისპირებას? ეს არის კითხვები, რომელიც აქტიურად განიხილება მსოფლიო საზოგადოების მიერ და ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. თუმცა, ერთი რამ უკვე ცხადია - თუ ვითარება უკონტროლო გახდება, შედეგები შესაძლოა გაცილებით მძიმე და ფართომასშტაბიანი აღმოჩნდეს, ვიდრე ამჟამად ჩანს. უფრო მეტიც, ამან შესაძლოა მთლიანად შეცვალოს გლობალურ ძალთა ბალანსი მსოფლიოში.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, ვენესუელა, შეერთებული შტატები, ნავთობი, იშვიათი მეტალები, ენერგეტიკა, ეკონომიკა, ტექნოლოგიები.

China's Latin-American Ambitions and the Geopolitical Struggle for Dominance

Colonel Levan Kavtaradze
Deputy Commander of Training and Military Education Command of the Georgian Armed Forces,
Doctoral Student of the Military Engineering Doctoral Program of Georgian Technical University

Abstract

In recent years, the international community has witnessed a number of internal political crises and open conflicts, which create clear indications of a transformation in the global security architecture and render uncertain both the pathways and the timeframe for the establishment of a stable world order. After U.S. intelligence services conducted an operation to detain the President of Venezuela, Nicolás Maduro, Beijing broke its long silence and, for the first time, issued an openly sharp statement that resembled not merely a diplomatic reproach but rather a warning mixed with threats. This development caused considerable concern within the offices of the White House. "If Washington continues along this path, the world may face consequences that no one will be able to reverse," China stated. Some analysts believe that behind China's official statements lies not only dissatisfaction but also a sense of alarm. Beijing realizes that the developments in Caracas could potentially destroy investments and political agreements achieved through more than two decades of persistent Chinese efforts.

The purpose of this article is to analyze the impact of the operation carried out by the United States in Venezuela within the context of China's ambitions and strategy in Latin America. Over the past decades, China has invested more than sixty billion U.S. dollars in Venezuela in order to secure stable access to one of the Asian giant's most strategic resources—oil. However, as a result of the operation conducted by the United States, these investments have now been placed at risk, as the United States has assumed control over key facilities related to Venezuela's oil production.

The study reveals that the developments in Venezuela pose significant risks for China in terms of losing influence in the region and undermining the country's energy security. In Beijing it has become clear that this is not merely the loss of a partner, but the potential loss of assets that would be impossible to restore. Moreover, the loss of Venezuela threatens to disrupt supply chains on which China's energy security directly depends. According to analysts, more than 350 billion U.S. dollars in oil reserves, agreements, and contracts are at stake—assets that Beijing considers a guarantee of its influence in Latin America. This explains the severity of China's reaction. Beijing declared the US operation in Venezuela a gross violation of international law, condemned America's role as the "world's policeman" and demanded Maduro's immediate release. However, behind these official statements lies a far more serious concern: the fear that losing Venezuela could trigger a domino effect that would collapse China's broader strategy in the Western Hemisphere, since Maduro's departure would put not only economic interests but also geopolitical ties established since 2007 at risk.

The paper also focuses on China's potential response measures and the economic pressure instruments that Beijing may employ as leverage. In particular, according to China's Ministry of Foreign Affairs, the possibility of implementing retaliatory measures against American corporations operating in Asia is being considered, as well as tightening control and imposing restrictions on the export of rare metals and minerals that are essential for the production of advanced technologies and weapons. Should such measures be implemented, the United States economy could face a significant blow, potentially one of the most severe in recent decades.

The study further examines the circumstances that could prompt China to undertake such decisive actions and explains why Venezuela has become a critical turning point for Beijing. At first glance, these events may appear distant from China's core interests; however, the explanation lies in the scale of Chinese investments, the strategic ties established between Beijing and Caracas, and the billions of dollars already invested in Venezuela's oil fields.

As a result of these developments, every barrel of oil, every piece of equipment, and every signed contract has come under the risk of potential loss. The situation is further aggravated by the fact that 85% of Venezuela's oil exports are directed to China, meaning that Beijing effectively controls not only the country's debt but also a large portion of its export economy. Therefore, Washington's announcement regarding the initiation of reconstruction of Venezuela's infrastructure by American companies was perceived by Beijing as a direct threat, interpreting it as a message: "Everything you built is now under our control." It was at this point that the tone of Chinese diplomacy changed. Yet several questions remain: what will happen next? How will Beijing respond? To what extent could this crisis escalate beyond diplomatic confrontation? These questions are actively debated within the international community and remain unanswered. One thing, however, is already clear—if the situation becomes uncontrollable, the consequences may be far more severe and far-reaching than they currently appear. Moreover, it may fundamentally alter the global balance of power.

Keywords: China, Venezuela, United States, oil, except metals, energy, economy, technologies

შესავალი

XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენ-დენციად ჩამოყალიბდა გლობალური ძალთა ბალანსის ტრანსფორმაცია, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება დიდი სახელმწიფოების გავლენის გაფართოების მცდელობებში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლათინური ამერიკა, რომელიც ისტორიულად შეერთებული შტატების გავლენის სფეროდ მიიჩნევა, თუმცა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში რეგიონში აქტიურად გაიზარდა ჩინეთის ეკონომიკური, ენერგეტიკული და პოლიტიკური მონაწილეობა. აღნიშნულმა პროცესმა ლათინური ამერიკა გლობალური გეოპოლიტიკური კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არენად აქცია, რაც საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისათვის მნიშ-ვნელოვან ანალიტიკურ საკითხს წარმოადგენს.

ჩინეთის ლათინო-ამერიკული სტრატეგიის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ვენესუელას, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობის მარაგების მფლობელია და პეკინის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვ-ნელოვან როლს ასრულებს. 2000-იანი წლებიდან დაწყებული ჩინეთმა ვენესუელაში გა-ნახორციელა მილიარდობით დოლარის ინვესტიცია ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურისა და ფინანსური თანამშრომლობის სფეროებში, რაც ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ფორმირებას დაედო საფუძვლად. ამასთან დაკავშირებით, არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ჩინეთი რეგიონში ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყე-ნებით ცდილობს როგორც ენერგეტიკული რესურსების სტაბილური მიწოდების უზ-რუნველყოფას თავისი ქვეყნისათვის, ისე საკუთარი გლობალური პოლიტიკური გავლენის გაფართოებას.

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ვენესუელაში განვითარე-ბული ბოლო პოლიტიკური მოვლენების ფონზე, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალეს რეგიონში ძალთა განლაგება და ჩინეთის სტრატეგიული ინტერესები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენეს. ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების მიერ კარაკასში ოპერაციის ჩატარება და პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს დატყვევება შოკი აღმოჩნდა არა მხოლოდ ვენესუელის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, თუმცა, აღნიშნულმა მოვლენამ ყველაზე მეტად პეკინი შეძრა, რამდენადაც, მან მალევე გააცნობიერა, რომ ეს იყო არა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა შორეულ ლათინურ ამერიკაში, არამედ სტრატეგიული დარტყმა ამ მიმართულებით ჩინეთის მიერ ბოლო ათწლეულების მანძილზე წარმოებულ საგარეო პოლიტიკაზე. ვენესუელა წარმოადგენს იმ რგოლს, რომლის მეშვეობითაც ჩინეთი

გარკვეულწილად უზრუნველყოფს საკუთარ ნავთობდამოუკიდებლობას ახლო აღმოსავლეთისა და დასავლური კორპორაციების ზეწოლისგან[1]. პეკინმა გააცნობიერა, რომ ეს საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ ნავთობს, არამედ მის, როგორც მოკავშირეების დაცვის უნარის მქონე ძალის გლობალურ პრესტიჟსაც. ამ ფონზე, ვენესუელაში არსებული კრიზისი აღარ წარმოადგენს მხოლოდ შიდა პოლიტიკურ პროცესს, არამედ იგი გადაიქცა გეოპოლიტიკური კონკურენციის სივრცედ, სადაც ერთმანეთს დიდი სახელმწიფოების ეკონომიკური, ენერგეტიკული და უსაფრთხოების ინტერესები უპირისპირდება. სწორედ ამიტომ, ვენესუელაში მიმდინარე მოვლენების ანალიზი მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს გლობალური ძალთა კონკურენცია დასავლეთ ნახევარსფეროში.

ნაშრომის მიზანია ვენესუელაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ანალიზი ჩინეთის ლათინო-ამერიკული სტრატეგიისა და გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში. კვლევა ეფუძნება მეორეულ სამეცნიერო წყაროებს, ანალიტიკურ ანგარიშებსა და საერთაშორისო მედიის მასალებს, რაც შესაძლებელს ხდის შეფასდეს აღნიშნული პროცესების გავლენა ჩინეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და რეგიონულ პოლიტიკაზე.

ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ვენესუელაში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად დააზიანა ჩინეთის სტრატეგიული პოზიციები ლათინურ ამერიკაში და შექმნა რისკი როგორც მისი ენერგეტიკული ინტერესებისთვის, ისე რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ბალანსისთვის. შესაბამისად, აღნიშნული კრიზისი შეიძლება იქცეს გარდამტეხ ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს ჩინეთის შემდგომ სტრატეგიას დასავლეთ ნახევარსფეროში და დიდ სახელმწიფოებს შორის კონკურენციის მომავალ დინამიკას.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომი დაფუძნებულია სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდზე. კერძოდ, კვლევა განხორციელდა მეორეულ სამეცნიერო-ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით. აგრეთვე, გამოყენებულ იქნა პროცესის მიდევნების (Process Tracing), შემთხვევის შესწავლისა (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდები.

[1] S. S. Mehdi, „The Energy Paradox: America's Quest for Venezuelan Oil in a World China Is Electrifying, Modern Diplomacy", Energy, 12.02.2026, https://tinyurl.com/9x2ak9aa, (Accessed 14.02.2026).

ძირითადი ნაწილი

ამერიკულმა ენერგეტიკულმა კორპორაციებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები აშშ-ის ეგიდით შექმნილ ვენესუელის დროებით მთავრობასთან, ნავთობის საბადოების ექსპლუატაციის უფლებების გადაცემასთან დაკავშირებით. ჩინელები დარწმუნებულნი არიან, რომ ყველაფერს, რაც მათ ააშენეს, ახლა უბრალოდ ართმევენ და თუ ამას დაუშვებენ, ხვალ შესაძლოა ჩინეთის ნებისმიერ სხვა მოკავშირესაც იგივე დაემართოს. სწორედ ამიტომ იყო პეკინის რეაქცია მყისიერი. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ის ელჩი დაიბარა და დაუყოვნებლივი ახსნა-განმარტება მოითხოვა. ამავდროულად, ჩინეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში საერთაშორისო სამართლის დარღვევასთან დაკავშირებით დისკუსია წამოიწყო, თუმცა, პეკინის რეალური ქმედებები კულისებს მიღმა ვითარდება.

მადუროს დაპატიმრების გამოცხადებიდან რამდენიმე საათში, ჩინეთის უმსხვილესმა სახელმწიფო ბანკებმა დოლარის რეზერვების ჩინურ ვალუტა იუანსა და ოქროში მასიური კონვერტაცია დაიწყო[2], რაც თანამედროვე ეკონომიკური ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს კაპიტალმოძრაობად იქცა. იუანის კურსი გამყარდა, ხოლო იშვიათი მეტალების ბაზარმა რყევები დაიწყო. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ჩინეთი ფინანსური კრიზისისთვის ემზადება, რამაც შეიძლება აშშ-ის ტექნოლოგიური ჯაჭვების რღვევა გამოიწვიოს. იშვიათი მეტალები თანამედროვე ინდუსტრიის მთავარი წარმმართველი ძალაა, რომლის გარეშე მიკროჩიპების, სმარტფონების, ელექტრონიკის, ელექტრომობილებისა თუ საბრძოლო იარაღის წარმოება შეუძლებელია. ჩინეთზე მოდის ამ ელემენტების მსოფლიოში არსებული გადამუშავების 90%-ზე მეტი.[3] პეკინის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების შიდა წყაროების განცხადებით, განიხილება იშვიათი მეტალების ექსპორტის დროებითი შეზღუდვა შეერთებული შტატებისა და ნატოს ქვეყნებისთვის, რაც ეკონომიკური ბლოკადის ეკვივალენტი იქნება, რომელსაც შესაძლოა კოლოსალური შედეგები მოჰყვეს[4]. პეკინმა იცის, რომ ვაშინგტონს საჭირო რაოდენობის ხსენებული იშვიათი რესურსების ალტერნატიული მომწოდებლები არ ჰყავს და შესაბამისად, ერთმა ასეთმა ნაბიჯმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეანელოს ამერიკული თვითმფრინავების, უპილოტო საფრენი აპარატების, ჰიპერბგერითი რაკეტებისა და მაღალი სიზუსტის იარაღის/სისტემების

[2] A.Fahrutdinov, „Chinese bank customers converted a record amount of foreign currency into yuan“, Onivest, 16.01.2026, https://tinyurl.com/3v7bfpdt, (Accessed 14.02.2026).

[3] Article: „China expands rare earths restrictions, targets defense and chips users“, Reuters, 10.10.2025, https://redirme.com/njdrcw, (Accessed 14.02.2026);

[4] B.Gracelin, „China's New Rare Earth and Magnet Restrictions Threaten U.S. Defense Supply Chains“, The Center for Strategic and International Studies (CSIS), 09.10.2025, https://tinyurl.com/bdfxudzd, (Accessed 14.02.2026);

წარმოება. ეს კი ზუსტად ის არის, რაზეც ჩინური მხარე მიანიშნებს აშშ-ს თავის ულტიმატუმში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საპასუხო ზომები ,,ფაზლის" მხოლოდ ერთი ნაწილია. არსებობს ასევე ფინანსური იარაღი. შეერთებულმა შტატებმა შესაძლოა სანქციები დაუწესოს თავის მოკავშირეებს, რისთვისაც ჩინეთი დიდი ხანია ემზადება. სწორედ ამიტომ შექმნა მან ვენესუელასთან, ირანთან და რუსეთთან კრიპტოვალუტაზე დაფუძნებული პარალელური ფინანსური სისტემა, რომლის საშუალებითაც ტრანზაქციები დოლარის გვერდის ავლით ხორციელდება[5].

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 2025 წლის აგვისტოში, ჩინურმა კომპანია Aerospace Science and Industry Corp.-მა ვენესუელასგან 25 მილიონი ბარელი ნავთობი შეიძინა, რომლის დროსაც ანგარიშსწორება დოლარისა და დასავლური ბანკების გვერდის ავლით - ბლოკჩეინზე დაფუძნებულ პლატფორმაზე კრიპტოვალუტით მოხდა[6]. ამ სახის ტრანზაქციების თვალყურის დევნება ან დაბლოკვა შეუძლებელია. ეს არის გლობალური გადახდების ახალი ფორმატი, რომელშიც აშშ კარგავს თავისი ზეწოლის მთავარ ბერკეტს - კონტროლს გლობალურ ვალუტაზე. ახლა კი, შეერთებული შტატების მიერ ვენესუელაში განხორციელებული ოპერაციის შემდეგ, ჩინეთს შეუძლია აღნიშნული მექანიზმის იარაღად გამოყენება და სანქციების ქვეშ მყოფი ყველა ქვეყნისთვის სწავლება, თუ როგორ არის შესაძლებელი ამერიკული ფინანსური სისტემისთვის გვერდის ავლა.

თუმცა, მოცემულ ვითარებაში ყველაზე საკვანძო ასპექტი ფულთან ერთად ინფრასტრუქტურაა, რომელიც პეკინის შეშფოთებას იწვევს. ოცი წლის განმავლობაში ჩინეთი არა მხოლოდ ინვესტიციებს დებდა ვენესუელაში, არამედ თავადაც ინტეგრირდა მასში. ჩინელმა ინჟინრებმა ააშენეს ელექტროსადგურები, სატელეკომუნიკაციო ქსელები, სათვალთვალო სისტემები და თანამგზავრული კომპლექსებიც კი. პეკინმა ვენესუელაში ათობით თანამგზავრული კომუნიკაციისა და მონიტორინგის სადგური დაამონტაჟა[7], რამაც ქვეყანა დასავლეთ ნახევარსფეროში ფაქტობრივად ჩინეთის სადაზვერვო ქსელის საყრდენ წერტილად აქცია[8]. ეს სადგურები აგროვებენ მონაცემებს გადაზიდვების, ჯარების გადაადგილების, ნავთობსადენებისა და ენერგეტიკული სისტემების შესახებ. და ახლა, როდესაც აშშ

[5] B.Rajesh, S.Somya, „China's Digital Yuan: An Alternative to the Dollar-Dominated Financial System", Carnegie Russia Eurasia Center, 31.08.2021, Pdf.

[6] M.Brown, Ricaurte-Orozco C., „China's Oil Hunger Fuels Venezuela's Crypto Shift", Foreign Policy Talks, 0912.2025, https://tinyurl.com/58er9a4d, (Accessed 14.02.2026);

[7] L, X.Ohio, ,,China's sensitive technology at risk after Trump abducts Venezuelan leader Maduro", my News, 01, 2026, https://tinyurl.com/3esyed7a, (Accessed 14.02.2026);

[8] L.J.Eads, „While the U.S. moved in Venezuela, China was listening", The Washington Times, 01.2026, https://tinyurl.com/2jpjxj42, (Accessed 14.02.2026);

აკონტროლებს კარაკასს, შესაძლოა ყველა ეს ობიექტი ამერიკული კონტროლის ქვეშ აღმოჩნდეს. ამიტომ, პეკინისთვის ეს მხოლოდ მოკავშირის დაკარგვა არ არის, ეს სტრატეგიული მონაცემების გაჟონვის რისკია.[9] სწორედ ამიტომ, ჩინელი სამხედრო ანალიტიკოსები დაჟინებით აცხადებენ, რომ ვენესუელა არ უნდა დათმონ,[10] თუნდაც კონფრონტაციის ფასად. ასე რომ, ახლა ლოგიკურად ჩნდება კითხვა: გაჩერდება ჩინეთი აქ თუ ბოლომდე იბრძოლებს საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დასაცავად? მით უფრო, როდესაც სასწორზე მხოლოდ ფული და ნავთობი აღარ დევს; ეს დიდი სახელმწიფოს პრესტიჟია, რომელიც მსოფლიოს მეორე პოლუსად ქცევას ისახავს მიზნად. თუ პეკინი უკან დაიხევს, პარტნიორი ქვეყნები აღარ ჩათვლიან მასთან ალიანსს დაცვის გარანტად, მაგრამ თუ ჩინეთი მკაცრად უპასუხებს, მსოფლიო შესაძლოა ,,ცივი ომის ახალ ფაზაში" შევიდეს. ამდენად, აღნიშნული მოვლენების ყველაზე ამბიციური ნაწილი - შედეგები და კონფლიქტის შესაძლო განვითარების სცენარია.

ვენესუელას ოპერაციის საწყისი შედეგებისთანავე პეკინმა დუმილი დაარღვია და „საპასუხო რეაგირებაზე", „სტრატეგიულ მიზნებსა" და შედეგებზე გაამახვილა მსოფლიოს ყურადღება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური დიპლომატიის ერა დასრულდა და ღია გეოპოლიტიკური ბრძოლა დაიწყო. ოფიციალური განცხადებების ტონი მკვეთრად შეიცვალა და ახლა უკვე საუბარი მხოლოდ ვენესუელას კი არა, გლობალურ უსაფრთხოებას ეხება.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ღიად განაცხადა, რომ თუ საერთაშორისო საზოგადოება აღნიშნულ მოცემულობას უგულებელყოფს, მსგავსი ოპერაცია მომავალში შესაძლოა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში - აზიიდან დაწყებული, აფრიკამდე განხორციელდეს. ეს განცხადება არა მხოლოდ დიპლომატიური მუქარა, არამედ მთელი გლობალური არქიტექტურის ცვლილების შესახებ გაფრთხილება იყო.

ამავდროულად, ჩინეთს პარტნიორებმაც დაუჭირეს მხარი[11]. მოსკოვი გამოვიდა განცხადებით, დაგმო ვენესუელას საქმეებში ჩარევის ფაქტი და გაეროს უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომის მოწვევა მოითხოვა. ირანმა პეკინს სოლიდარობა გამოუცხადა და სახელმწიფოების სუვერენიტეტის დასაცავად საერთაშორისო კოალიციის შექმნა შესთავაზა. ამერიკული ინტერვენციის წინააღმდეგ ლათინურ ამერიკაში მასობრივი საპროტესტო

[9] Ibid.
[10] K. E.Ratigan, ,,How Is China Viewing U.S. Actions in Venezuela – an Affront, an Opportunity, or a Blueprint?" The conversation, 01.2026, https://tinyurl.com/4kfwys3n, (Accessed 14.02.2026).
[11] P.Giusto, „What the US Intervention in Venezuela Means for China's Presence in Latin America", The Diplomat, 10.01.2026, https://tinyurl.com/mu6ckwym, (Accessed 14.02.2026).

აქციები ბრაზილიასა და არგენტინაშიც დაიწყო. რიო-დე-ჟანეიროსა და ბუენოს-აირესის ქუჩებში ბევრ პლაკატს ჩინური ლოზუნგები ჰქონდა. მსოფლიო საზოგადოებამ დაინახა, რომ დაიწყო რაღაც გაცილებით დიდი, ვიდრე უბრალო კიდევ ერთი დიპლომატიური კონფლიქტი - ალიანსების მშვიდი, მაგრამ გლობალური რესტრუქტურიზაცია.

მადუროს დატყვევების შემდეგ, ვენესუელაში არასტაბილური ვითარების ფონზე ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. რამდენიმე პროვინციამ უარი თქვა ახალი დროებითი მთავრობის აღიარებაზე და დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. მარაკაიბასა და კარაბობოს შტატ ვალენსიაში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს აშშ-ის არმიასა და ძველი რეჟიმის მომხრეებს შორის.[12] ამით ისარგებლა ჩინეთმა და ფარულად აამოქმედა საკუთარი კავშირები, რომელიც კარაკასთან მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. ქვეყანაში ჩინელი სამოქალაქო სპეციალისტების ჩასვლა დაიწყო, რომლებიც ოფიციალურად ინჟინრებსა და ენერგეტიკოსებს განასახიერებდნენ, თუმცა, აშშ-ის სადაზვერვო წყაროების თანახმად, მათ შორის ჩინელი სპეცსამსახურის თანამშრომლებიც იყვნენ, რომელთა ამოცანას პეკინის მიერ ორი ათწლეულის განმავლობაში აშენებულ ინფრასტრუქტურაზე კონტროლის შენარჩუნება წარმოადგენს.

ყველაზე სენსიტიურ საკითხად ნავთობი იქცა. ხელისუფლების შეცვლისთანავე, ამერიკულმა კორპორაციებმა გამოაცხადეს წარმოების სიმძლავრეების აღდგენისთვის მზადყოფნა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ნავთობის დანადგარების უმეტესობა ჩინური აღჭურვილობითა და პროგრამული უზრუნველყოფით მუშაობდა, რაც სპეციალური წვდომის კოდებს მოითხოვდა[13]. ამდენად, აღნიშნული სისტემების გადატვირთვა ჩინელი სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ახლა კი პეკინს აქვს ბერკეტი, რომლის წინასწარ განჭვრეტა ვაშინგტონმაც კი ვერ შეძლო. ჩინეთს შეუძლია ვენესუელას ნავთობი ციფრული საკეტისა და გასაღების ქვეშ შეინახოს. ეს ტექნოლოგიური ფაქტორი სანქციების ახალ ფორმად იქცა, ოღონდ ამჯერად უკვე შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

[12] Defense News: „Military action in Venezuela: details and analysis | Defense News Weekly Full Episode“ 01.9.26, https://tinyurl.com/yt56mmke, (Accessed 14.02.2026);

[13] E.Downs & Palacios L., „US Action Threatens Venezuela-China Oil Flows, Debt Repayment, and Investments, Key Details of the PDVSA-China Reliance“, January 7, 2026, https://tinyurl.com/muf8asvp, (Accessed 14.02.2026).

ამასობაში, კარიბის ზღვის აუზში კიდევ ერთმა დრამამ იჩინა თავი. კუბა, რომლის ეკონომიკა პირდაპირ იყო დამოკიდებული ვენესუელის ნავთობზე, ენერგეტიკული კოლაფსის წინაშე აღმოჩნდა[14]. საწვავის მარაგი თითქმის განახევრდა და მთელ კუნძულზე ელექტროენერგიის ფართომასშტაბიანი გათიშვა დაიწყო. ჰავანა საპროტესტო აქციებმა მოიცვა. მთავრობამ შეერთებული შტატები დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ვენესუელაში ჩარევამ საფრთხე შეუქმნა მთელი რეგიონის უსაფრთხოებას. ჩინეთმა მაშინვე ისარგებლა შექმნილი ვითარებით და დიპლომატიური არხებით კუბას სასწრაფოდ დახმარება შესთავაზა: აღჭურვილობის, საკვებისა და, რაც მთავარია, საწვავის მარაგის სახით[15]. ჩინურმა ტანკერებმა გუანჯოუსა და შენჟენის პორტებიდან დაიწყეს მოძრაობა აფრიკის გვერდის ავლით ატლანტის ოკეანისკენ. ეს იყო სიმბოლური ჟესტი, რომელმაც მსოფლიოს აჩვენა, რომ ჩინეთი თავის მოკავშირეებს არ ტოვებს. თუმცა, ამ ჟესტის მიღმა კარგად გათვლილი სტრატეგია იმალება.

პეკინი კარგად აცნობიერებს, რომ დასავლეთ ნახევარსფეროში არსებული ყველა კრიზისი შეერთებული შტატების პოზიციებს ასუსტებს. კუბის კრიზისი ქმნიდა ჰუმანიტარულ ზეწოლას შეერთებულ შტატებზე. ლტოლვილების მასობრივი გადინების შემთხვევაში, სწორედ ფლორიდის ამერიკული სანაპირო აღმოჩნდება ასობით ათასი ადამიანის მიგრაციის უშუალო სამიზნე. ჩინეთში აღნიშნული ვითარება პოლიტიკურ სარკისებურ ანარეკლად აღიქმება. თუ ამერიკას შეუძლია ლათინური ამერიკის დესტაბილიზაცია, პეკინს შეუძლია კრიზისის შექმნით უპასუხოს ამერიკის საზღვართან. სწორედ ასე ჩინეთს თანდათანობით გადაჰყავს კონფლიქტი ეკონომიკური დონიდან სტრატეგიულ დონეზე.

ვიდრე მსოფლიო აქტიურად განიხილავს ვენესუელას მოვლენებს, პეკინი ახალ გლობალურ მოდელზე იწყებს საუბარს. ჩინელი ანალიტიკოსები ამჟამინდელ ვითარებას „სიმართლის მომენტს“ უწოდებენ. პეკინი აღარ აპირებს დასავლეთის მიერ დადგენილი წესებით თამაშს. კულუარებში ჩინეთის ელიტის მიერ უკვე განიხილება დოლარში არსებული აქტივების გატანის დაჩქარების, იუანით ვაჭრობის გაფართოების, საუდის არაბეთთან და არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან თანამშრომლობის გაძლიერების გეგმები. გარდა ამისა, ჩინეთის ნავთობკორპორაციები აწარმოებენ მოლაპარაკებებს თეირანთან ერთობლივი ენერგეტიკული დერეფნის შესაქმნელად, რომელიც ამერიკული მარშრუტებისთვის სრულად გვერდის ავლის შესაძლებლობას იძლევა, რაც იმას ნიშნავს, რომ

[14] B.Devyanshi, Srinivasan R., „How Venezuela's oil collapse is plunging Cuba into energy and food crisis“, The Hindu, 27.01,2026, https://tinyurl.com/4cpubpv9, (Accessed 14.02.2026);
[15] L. R Tamayo., „Xi Jinping approves new round of aid from the People's Republic of China to Cuba“, 21.01.2026, https://tinyurl.com/4w664n2k, (Accessed 14.02.2026).

პეკინი აპირებს კრიზისის გამოყენებას ახალი გლობალური ეკონომიკური ბლოკის პლაც-დარმად, რომელშიც დოლარი დაკარგავს დომინირებას.

ამასობაში, ვაშინგტონში შეშფოთება იზრდება. პენტაგონის ინფორმაციით, ჩინურმა თა-ნამგზავრებმა კარიბის ზღვის აუზში აშშ-ის სამხედრო ბაზების აქტიური მონიტორინგი დაიწყეს. გარდა ამისა, ორბიტაზე გამოჩნდა ახალი თანამგზავრები უცნობი ფუნქციებით, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩინეთის საჰაერო ძალებს ეკუთვნით. მათი ორბიტები ვენე-სუელასა და ცენტრალურ ამერიკას კვეთს, რაც აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოებში შეშ-ფოთებას იწვევს. სამხედრო ანგარიშებში სულ უფრო ხშირად მოიხსენიება „ჩინეთის ციფ-რული“ ყოფნა მათი ინტერესის სფეროებში. ეს უბრალო მეტაფორა არ არის. ჩინური სატე-ლეკომუნიკაციო აღჭურვილობა მართლაც დამონტაჟდა ვენესუელაში და ახლა მისი გამო-ყენება შესაძლებელია მთელი სამხრეთ ამერიკის მონიტორინგისთვის[16].

დასკვნა

ამდენად, აშკარაა, რომ მსოფლიომ იმ წერტილს მიაღწია, სადაც ნებისმიერმა შეცდომამ შესაძლოა ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს. თუ ჩინეთი გადაწყვეტს ეკონომიკური სანქც-იების დაწესებას, იშვიათი მეტალების ექსპორტის შეზღუდვას ან აშშ-ის ქსელების წინააღმდეგ კიბეროპერაციების გააქტიურებას, შედეგები შეიძლება არაპროგნოზირებადი იყოს.

ექსპერტები ამ მოვლენას უკვე XXI საუკუნის კარიბის კრიზისს უწოდებენ, თუმცა, გან-სხვავება იმაშია, რომ სარაკეტო დანადგარების ნაცვლად საქმე ნავთობს, მონაცემებსა და ტექნოლოგიებს ეხება. დაპირისპირება ახლა არა მხოლოდ ხმელეთზე, არამედ ციფრულ სივრცეშიც მიმდინარეობს, სადაც ომსა და მშვიდობას შორის ზღვარი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება. ამ კონტექსტში ლოგიკურად ჩნდება მთავარი კითხვა: მიმართავს თუ არა ჩინეთი უშუალო დაპირისპირებას თუ მხოლოდ ეკონომიკური და დიპლომატიური ზეწოლით შემოიფარგლება? ზოგიერთი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ პეკინი შეეცდება ბალანსის შენარჩუნებას, რათა თავიდან აიცილოს გლობალური კატასტროფის პრო-ვოცირება. სხვები კი თვლიან, რომ სიფრთხილის დრო უკვე გავიდა, რადგან თუ ჩინეთი აშშ-ს ვენესუელაზე კონტროლის შენარჩუნების საშუალებას მისცემს, ეს იქნება სიგნალი მსოფლიოსთვის, რომ გლობალური ძალაც კი ვერ ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას რეგიონს მიღმა. ამიტომ, ის, რაც კარაკასში დაიწყო, აღარ შეიძლება დასრულდეს

[16] Dale H., „China Ready for War to Defend Its Latin American Infiltration After Maduro Capture“, CBN News, 01.2026, https://tinyurl.com/347j3tnd, (Accessed 14.02.2026).

განცხადებების მარტივი გაცვლით. ეს ახალი ეპოქის დასაწყისია - ეპოქის, სადაც ეკონომიკა, ენერგეტიკა და ტექნოლოგიები იარაღად იქცა და ერთ პატარა შეცდომასც კი შეუძლია მსოფლიო რუკის შეცვლა. შემდგომში უკვე ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად შორს წავა ვაშინგტონი და პეკინი.

ბიბლიოგრაფია

Article: „China expands rare earths restrictions, targets defense and chips users“, Reuters, 10.10.2025, https://redirme.com/djdkah, (Accessed 14.02.2026) ;

Brown M. and Ricaurte-Orozco C., „China's Oil Hunger Fuels Venezuela's Crypto Shift“, Foreign Policy Talks,. 0912.2025, https://redirme.com/zcnryp, (Accessed 14.02.2026);

Dale H., „China Ready for War to Defend Its Latin American Infiltration After Maduro Capture“, CBN News, 01.2026, https://tinyurl.com/347j3tnd, (Accessed 14.02.2026);

Defense News: „Military action in Venezuela: details and analysis | Defense News Weekly Full Episode“ 01.9.26, https://tinyurl.com/yt56mmke (Accessed 14.02.2026);

Devyanshi B., Srinivasan R., „How Venezuela's oil collapse is plunging Cuba into energy and food crisis“, The Hindu, 01,2026, https://tinyurl.com/4cpubpv9 (Accessed 14.02.2026);

Downs E., & Palacios L., „US Action Threatens Venezuela-China Oil Flows, Debt Repayment, and Investments, Key Details of the PDVSA-China Reliance“, January 7, 2026, https://tinyurl.com/muf8asvp (Accessed 14.02.2026);

Eads L.J., „While the U.S. moved in Venezuela, China was listening“, The Washington Times, 01.2026, https://tinyurl.com/2jpjxj42 (Accessed 14.02.2026);

Fahrutdinov A., „Chinese bank customers converted a record amount of foreign currency into yuan“, Onivest, 16.01.2026, https://tinyurl.com/3v7bfpdt (Accessed 14.02.2026);

Giusto P., „What the US Intervention in Venezuela Means for China's Presence in Latin America“ , The Diplomat, 10.01.2026, https://tinyurl.com/mu6ckwym, (Accessed 14.02.2026);

Gracelin B., „China's New Rare Earth and Magnet Restrictions Threaten U.S. Defense Supply Chains“, The Center for Strategic and International Studies (CSIS), 09.10.2025, https://tinyurl.com/bdfxudzd (Accessed 14.02.2026);

Mehdi S. S., „The Energy Paradox: America's Quest for Venezuelan Oil in a World China Is Electrifying, Modern Diplomacy“, Energy, 12.02.2026, https://tinyurl.com/9x2ak9aa (Accessed 14.02.2026);

Ohio L., X., „China's sensitive technology at risk after Trump abducts Venezuelan leader Maduro , my News, 01, 2026, https://tinyurl.com/3esyed7a (Accessed 14.02.2026);

Rajesh B., Somya S., „China's Digital Yuan: An Alternative to the Dollar-Dominated Financial System“, Carnegie Russia Eurasia Center, 31.08.2021, Pdf;

Ratigan K. E., How Is China Viewing U.S. Actions in Venezuela – an Affront, an Opportunity, or a Blueprint? The conversation, 01.2026, https://tinyurl.com/4kfwys3n (Accessed 14.02.2026);

Tamayo L. R., „Xi Jinping approves new round of aid from the People's Republic of China to Cuba“, 01.2026, https://tinyurl.com/4w664n2k (Accessed 14.02.2026).

მულტიკულტურალიზმის გავლენა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე

ვიცე -პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე
სსიპ თავდაცვის მოხალისის მოხალისეებთან და
ახალგაზრდობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ოფიცერი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ეს ნაშრომი იკვლევს მულტიკულტურალიზმსა და ეროვნულ უსაფრთხოებას შორის ურთიერთ კავშირს საქართველოში. ნაშრომი აანალიზებს მულტიკულტურალიზმის როლს, როგორც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის ჩარჩოს და სტრატეგიული ინსტრუმენტს სახელმწიფო სტაბილურობისა და გარე საფრთხეების მიმართ მდგრადობის გასაძლიერებლად.

ნაშრომში განხილულია, რომ ისტორიულად მრავალეთნიკურ და მრავალრელიგიურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, კულტურული მრავალფეროვნების ეფექტური მართვა აუცილებელია შიდა ერთიანობის უზრუნველყოფისა და კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ქართველი მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით, კვლევა ხაზს უსვამს, რომ სუსტი ინტეგრაციის მექანიზმები, იდენტობის პოლიტიზაცია და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა შეიძლება შექმნას დაუცველობები, რომელთა გამოყენებაც წარმატებით შეუძლიათ გარე აქტორებს. ასევე ყურადღება ეთმობა გეოპოლიტიკური ზეწოლის როლს, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადაც ეთნიკური დაძაბულობა ისტორიულად უცხო ძალების მიერ იყო გამოყენებული.

ასევე განხილულია უმცირესობების უფლებების დაცვა და დემოკრატიული მმართველობა, როგორც დასავლურ პოლიტიკურ და უსაფრთხოების სტრუქტურებში ინტეგრაციის ძირითადი წინაპირობა. ამავდროულად, კვლევა კრიტიკულად აფასებს მულტიკულტურალიზმის შეზღუდვებს და აღნიშნავს, რომ ძლიერი ინსტიტუციური ჩარჩოებისა და საერთო სამოქალაქო იდენტობის გარეშე, შეიძლება წარმოიქმან სოციალური ფრაგმენტაცია და უსაფრთხოების რისკები.

საერთო ჯამში, კვლევა ასკვნის, რომ მულტიკულტურალიზმი საქართველოში წარმოადგენს როგორც ეროვნული ერთობის შესაძლებლობას, ასევე უსაფრთხოების გამოწვევას. მისი ეფექტური მმართველობა მოითხოვს დაბალანსებულ მიდგომას, რომელიც აძლიერებს ეროვნულ ერთიანობას, დემოკრატიულ ინსტიტუტებს და სახელმწიფო უსაფრთხოებას.

საკვანძო სიტყვები: მულტიკულტურალიზმი, ეროვნული უსაფრთხოება, გამოწვევები.

The Impact of Multiculturalism on the National Security of Georgia

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze
Officer of the Volunteer and Youth Relations Department of
LEPL Volunteer Defense,
Caucasus International University Faculty of Social Sciences
PhD student in Political Doctoral Educational Program

Abstract

This paper examines the interrelationship between multiculturalism and national security in Georgia. The paper analyzes the role of multiculturalism as a framework for protecting the rights of ethnic and religious minorities and a strategic tool for strengthening state stability and resilience to external threats.

The paper argues that in a historically multiethnic and multireligious country like Georgia, effective management of cultural diversity is essential to ensure internal cohesion and prevent conflict. Drawing on the work of Georgian scholars, the study highlights that weak integration mechanisms, identity politicization, and socio-economic inequality can create vulnerabilities that can be successfully exploited by external actors. Attention is also paid to the role of geopolitical pressures, especially in the South Caucasus region, where ethnic tensions have historically been exploited by foreign powers.

It also discusses the protection of minority rights and democratic governance as key prerequisites for integration into Western political and security structures. At the same time, the study critically assesses the limitations of multiculturalism, noting that without strong institutional frameworks and a common civic identity, social fragmentation and security risks can arise.

Overall, the study concludes that multiculturalism in Georgia represents both an opportunity for national unity and a security challenge. Its effective governance requires a balanced approach that strengthens national unity, democratic institutions, and state security.

Keywords: Multiculturalism, National Security, Challenges.

შესავალი

უსაფრთხოების რეფორმები, რომლებიც საქართველოში 2004-2007 წლებში განხორციელდა, კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებდა ქვეყნის შიდა სტაბილურობისა და გარე საფრთხეების მართვის კონტექსტში. მულტიკულტურალიზმის კონცეფცია ამ რეფორმებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რადგან ქვეყნის შიდა ეთნიკური დაპირისპირებები და გარე ზეწოლა ამ პერიოდში განსაკუთრებულად მწვავე იყო. უსაფრთხოების რეფორმები მიზნად ისახავდა არა მხოლოდ გარე საფრთხეების პრევენციას, არამედ შიდა ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვასა და ერთიან ქართულ სივრცეში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას, რაც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების საფუძველს ქმნიდა. დავით დარჩიაშვილის კვლევაში ,,უსაფრთხოების რეფორმა საქართველოში'' განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ მულტიკულტურალიზმის მართვა პირდაპირ კავშირში იყო უსაფრთხოების რეფორმებთან, რადგან სახელმწიფო სუსტდებოდა შიდა ეთნიკური დაპირისპირებების შედეგად.

რა არის მულტი კულტურალიზმი?

მულტიკულტურალიზმის სიღრმისეულად განმარტებისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას ნიშნავს კულტურა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განმარტებათა ლექსიკონში კულტურა განმარტებულია, როგორც საზოგადოების ცხოვრების მატერიალური და არამატერიალური ფასეულობა, მათ შორისაა ხელოვნება, ლიტერატურა, ტრადიციები, რელიგია, სოციალური წყობა და სხვა, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრების წესს არეგულირებს. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ კულტურა მოიცავს ყველაფერს, რაც საზოგადოებას მემკვიდრეობით, ისტორიული მეხსიერებით ან სოციალური ხაზით აქვს მიღებული.[1]

მულტიკულტურალიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოცემულობას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია განხორციელდეს ქვეყნის შიგნით კულტურული მრავალფეროვნების მრავალრელიგიური, მრავალკულტურული და მრავალეთნიკური საზოგადოების სახელმწიფოსთან ურთიერთობის ანალიზი. აღნიშნული ურთიერთობა ირიბად და რიგ შემთხვევაში პირდაპირა ზემოქმედებს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოების პოლიტიკაზე.[2]

---

[1] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3701 (ბ.ნ 18 .03.2026)

[2] ნ. ბუჯაშვილი, „მულტიკულტურალიზმის კონცეფცია და კულტურული მრავალფეროვნების იდეის განხორციელება საქართველოში“, სადისერტაციო ნაშრომი. 2018.

უსაფრთხოების რეფორმების მიზანი იყო აღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე შესაძლო დაპირისპირებების დეესკალაცია და სტაბილური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომელიც მოახდენდა, როგორც შიდა კონფლიქტების გაღვივების, ასევე გარე ზეწოლიდან მომდინარე გამოწვევების პრევენციას. მოცემულ კონტექსტში, მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა იყო არამარტო ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის მექანიზმი, არამედ ინსტრუმენტი, რომელიც სახელმწიფოს შიდა სტაბილურობასა და გარე ძალების ჩარევის პრევენციას ემსახურებოდა.[3]

ძირითადი ნაწილი

როგორც შესავალში ავღნიშნეთ უსაფრთხოების რეფორმების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ის, რომ მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა არ შეიძლება იყოს მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისკენ მიმართული. იგი უნდა ემსახურებოდეს უფრო ფართო მიზანს, რომელიც გულისხმობს ეროვნული ინტერესების და უსაფრთხოების დაცვას. წინამდებარე რეფორმების კონტექსტში, მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის წარმატება დამოკიდებული იყო მძლავრ ინსტიტუციურ მექანიზმებზე, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შიდა სტაბილურობისა და უსაფრთხოების დაცვას. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემამ უზრუნველყოს ისეთი ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც არა მხოლოდ იცავენ ეთნიკური უმცირესობების უფლებებს, არამედ საშუალებას აძლევენ სახელმწიფოს, ეფექტურად უპასუხოს გარე საფრთხეებს და შიდა დაპირისპირებებს.[4]

ლია მელიქიშვილის ნაშრომში „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“ განმარტავს, რომ მულტიკულტურულობის საკითხი საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, როდესაც ქვეყანა ისტორიულად აერთიანებდა სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს ქართველებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, ოსებს, აფხაზებს და სხვებს. ტრადიციული კულტურა, როგორც საერთო ღირებულებითი სივრცე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ მრავალფეროვნების ინტეგრაციაში. თუმცა თანამედროვე ეპოქაში, გლობალიზაციის, ინფორმაციული სივრცის გახსნილობისა და პოლიტიკური პროცესების გავლენით, ტრადიციული სოციალური მექანიზმები ხშირად განიცდის

[3] დ. დარჩიაშვილი, „უსაფრთხოების რეფორმა საქართველოში 2004-2007“. გამომემლობა, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2008.
[4] იქვე. დარჩიაშვილი, დ. 2008..

ტრანსფორმაციას. ეს ტრანსფორმაცია ქმნის ახალ გამოწვევებს, რადგან ძველი ნორმები შეიძლება აღარ იყოს საკმარისი სოციალური თანხმობის შესანარჩუნებლად.[5]

თანამედროვე მულტიკულტურულ გარემოში კი იზრდება ინდივიდუალური უფლებების, განსხვავებულობისა და იდენტობის თვითგამოხატვის მნიშვნელობა. ეს ცვლილება, ერთი მხრივ, დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, საჭიროებს შესაბამის პოლიტიკურ და ინსტიტუციურ მექანიზმებს, რათა მრავალფეროვნება არ გადაიზარდოს კონფლიქტში.[6]

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია იდენტობის პოლიტიზება. როდესაც ეთნიკური ან რელიგიური იდენტობა ხდება პოლიტიკური მობილიზაციის ინსტრუმენტი, მულტიკულტურული გარემო შეიძლება გადაიქცეს დაპირისპირების არენად. მელიქიშვილის მიერ აღწერილი კულტურული ნორმების ერთიანობის პრინციპი გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ, რომ საერთო ღირებულებითი ჩარჩოს გარეშე მრავალფეროვნება რთულად მართვადია. ამდენად, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა სხვა საკითხებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ და სოციალური ინტეგრაციის საკითხებსაც.[7]

ნილსონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობების საკითხი წარმოადგენს, როგორც გეოპოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტს, ისე შიდა დემოკრატიული პროცესების არასათანადო მართვის შედეგად წარმოშობილ სტრუქტურულ პრობლემას. თუ ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არის სრულყოფილი, მაშინ ეს ჯგუფები უფრო მეტად გახდებიან გარე ძალების მანიპულაციის ობიექტები. ამრიგად, საქართველო უნდა უზრუნველყოფდეს ისეთ პოლიტიკურ გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს უმცირესობების სოციალურ ინტეგრაციას და მათი ინტერესების დაცვას, რათა თავიდან აიცილოს გარე ზეწოლის შესაძლო გავლენა. მულტიკულტურალიზმის მართვა ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ეროვნული უმცირესობების უფლებები არ დარჩეს უგულებელყოფილი და მათი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური იყოს. ეს საშუალებას მისცემს ქვეყანას შეინარჩუნოს არა მხოლოდ შიდა სტაბილურობა, არამედ დაინტერესებული გარე ძალების ზეწოლისგან დაიცვას თავი.[8]

---

[5] ლ.მელიქიშვილი, „რადიციული კულტურა და საზოგადოება“, გამომემლობა მწიგნობარი. თბილისი.2019.
[6] იქვე.
[7] იქვე. ლ.მელიქიშვილი, 2019.
[8] N. Nilsson, Obstacles to Building a Civic Nation: Georgia's Armenian Minority and Conflicting Threat Perceptions. Ethnopolitics, გვ 190-195. https://doi.org/10.1080/17449050701422535, 2009. (ბ.ნ 15. 03. 2026)

კახა ფუტკარაძის მოსაზრებით მრავალეთნიკური სახელმწიფოსთვის, ეთნო-რელიგიური ჯგუფების საკითხების სწორად მართვა ეროვნული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ავტორი კვლევაში ,,ეთნო-რელიგიურ ჯგუფებთან დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში" განხილულია, რომ რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება ქვეყნის სიმდიდრესთან ერთან მნიშვნელოვანი უსაფრთხოების რისკების შემცველიცაა. იგი განსაკუთრებულად აქტუალურია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, სადაც ისტორიულად სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები თანაარსებობდნენ. მრავალეთნიკურობის მართვა, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი, მოითხოვს მკაფიო და კარგად გააზრებულ სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს როგორც შიდა სტაბილურობის შენარჩუნებას, ასევე გარე საფრთხეების პრევენციას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც მეზობელი ქვეყნები, ხშირად იყენებენ ეთნიკური დაპირისპირებებს ქვეყნის შიდა უსაფრთხოების შესარყევად. საქართველოს ეთნო-რელიგიური მრავალფეროვნება არის მისი სოციალური და კულტურული იდენტობის ნაწილი, მაგრამ ამავდროულად, ეს მრავალფეროვნება შეიძლება იქცეს სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების რისკად, თუ ის არასწორად იმართება. ისტორიულად, სამხრეთ კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ რეგიონს, სადაც ეთნიკური დაპირისპირებები და რელიგიური კონფლიქტები განსაკუთრებით ხშირია. არსებული კონფლიქტები ხშირად ექცევა გარე აქტორების მიერ პოლიტიკური მიზნების სამსახურში, რაც მიმართულია შიდა დესტაბილიზაციისა და სახელმწიფოებრივი სტაბილურობის შესუსტებისკენ. აღნიშნული პრაქტიკა ნათლად იკვეთება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების მაგალითზე, სადაც ეთნიკური დაძაბულობები გადაიზარდა ორგანიზებულ სეპარატისტულ პროცესებში და შექმნა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის სერიოზული საფრთხე.[9]

გეოპოლიტიკური მოწყვლადობა საქართველოსთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან კონტექსტს აძლევს მულტიკულტურალიზმის საკითხებს. სამხრეთ კავკასიის რეგიონი წარმოადგენს გეოპოლიტიკურად სენსიტიურ სივრცეს სადაც სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ არსებული ზეწოლები და მანიპულაციები მტრულად დაინტერესებული ჯგუფებისა და ქვეყნების ხელში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მაგალითად, რუსეთი ხშირად იყენებს რეგიონში არსებული ეთნიკური დაპირისპირებების

[9] K.Putkaradze, I. Japaridze, & T.Putkaradze, „National Security Problems Related To Ethno-religious Groups In The South Caucasus (Georgian Case)". Journal, "Defense and Science", № 1, 2022, https://doi.org/10.61446/ds.1.2022.6460 , (ბ.ნ 14. 03. 2026)

მანიპულაციის ინსტრუმენტს, რათა შექმნას შიდა არეულობები და გააძლიეროს თავისი გავლენა. ეს პოლიტიკური სტრატეგია ნათლად გამოიხატა 2008 წლის აგვისტოს ომში, როდესაც რუსეთმა გამოიყენა ეთნიკური დაპირისპირებები, რათა თავის სასარგებლოდ განეხორციელებინა სამხედრო ინტერვენცია და გაეზარდა თავისი პოლიტიკური გავლენა რეგიონში.[10]

გარდა ამისა, ეთნო-რელიგიური ჯგუფების პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, რათა ქვეყანამ შეძლოს თავისი ეროვნული ინტერესების დაცვა გლობალურ არენაზე. ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების უფლებების პატივისცემა და მათი პოლიტიკური ჩართულობა არა მხოლოდ შიდა სტაბილურობას უზრუნველყოფს, არამედ გარე ძალების მიერ მათი მანიპულირების შანსებს ამცირებს. საქართველოს ხელისუფლება იზიარებს მოცმულობას იმის შესახებ, რომ შიდა მრავალფეროვნების მართვა სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს იმ პირობებში, როდესაც მეზობელი ქვეყნები მუდმივად ცდილობენ ეთნიკური დაპირისპირებების გაღვივებას შიდა არეულობების გასაძლიერებლად.

გიორგი ვოლსკის სადისერტაციო ნაშრომი „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ-პოლიტიკური განზომილებები და მათი პრევენციის მექანიზმები (ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს შედარებითი ანალიზი)'' აქცენტს აკეთებს საქართველოში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები საფრთხეზე და აღნიშნავს, რომ ეს იგი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ნაშრომში განხილულია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალური და პოლიტიკური განზომილებები და მათი პრევენციის მექანიზმები. ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობები ხშირად დამოკიდებულია სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ გარემოზე, რაც ნიშნავს, რომ მათი მართვა მოითხოვს კომპლექსურ და სტრატეგიულ პოლიტიკას.[11]

საქართველოში, სადაც ეთნიკური მრავალფეროვნება წარმოადგენს ქვეყნის შიდა სტრუქტურების მნიშვნელოვან კომპონენტს, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენცია აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების სტაბილურობისთვის. მაგალითად, აფხაზეთში და სამაჩაბლოში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ეთნიკური ნიადაგზე წამოჭრილი უთანხმოება შეიძლება გადაიზარდოს ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში, როდესაც სახელმწიფო ვერ ახერხებს ამ ჯგუფების უფლებების და ინტერესების დაცვას,

[10] Ibid. Putkaradze, K., Japaridze, I., & Putkaradze, 2022.

[11] გ. ვოლსკი, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ-პოლიტიკური განზომილებები და მათი პრევენციის მექანიზმები (ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს შედარებითი ანალიზი)". სადისერტაციო ნაშრომი.2021.

ასევე მათ შორის შემრიგებლური პოლიტიკის განხორციელებას. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში დაცული იყო უმცირესობების (აფხაზების) უფლებები და მათ იდენტობის დაკარგვას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, თუმცა აფხაზეთში ვითარების ესკალაცია სწორედ ამ კუთხით წარიმართა. მსგავსი სიტუაციების სტაბილიზაციისთვის საჭიროა ძლიერი საზოგადოებრივი ერთობის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებული იქნება ერთიან იდეოლოგიაზე. სწორედ ეს და მსგავსი სისუსტეები იქნა გამოყენებული აფხაზეთში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ.[12]

რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვა და მათი ეფექტიანი ინტეგრაცია სახელმწიფოს სტრატეგიულ პრიორიტეტად უნდა იქცეს. ეს აუცილებელია იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ ერთი და იმავე ეთნიკურ ჯგუფს შეიძლება ეკუთვნოდეს განსხვავებული რელიგიური იდენტობები, რაც ინდივიდებისა და ჯგუფების თვითაღქმაზე არსებით გავლენას ახდენს. ასეთ პირობებში იდენტობის განმსაზღვრელი ნიშნები ხშირად უფრო მეტად რწმენაზეა დაფუძნებული, ვიდრე საერთო კულტურულ თუ ისტორიულ ღირებულებებზე. აღნიშნული გარემოება სახელმწიფოსგან მოითხოვს ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემას და სოციალური ერთიანობის განმტკიცებას.

მკვლევარების ნაშრომების მსგავსად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაც ხაზს უსვამს, რომ ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების უფლებების დაცვა და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მულტიკულტურალიზმის მართვის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი თავს დაცულად იგრძნობს და ჩართული იქნება ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში. ამასთან, კონცეფცია მიუთითებს, რომ გარე საფრთხეების პრევენციისთვის მულტიკულტურალიზმის სტრატეგიული მართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა სახელმწიფომ შეძლოს შიდა სტაბილურობისა და გარე ზეწოლებისგან თავდაცვა.[13]

დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რათა თავიდან იქნას აცილებული შიდა კონფლიქტები

[12] იქვე. გ. ვოლსკი, 2021.
[13] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. საქართველოს პარლამენტის დაგდენილება. 2011. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1555410?publication=0

და გარე ზეწოლები. მულტიკულტურალიზმის მართვა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების უფლებების დაცვას, მათი სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაციის სტრატეგიულ მართვას და გარე საფრთხეების პრევენციას. გრძელვადიან პერსპექტივაში მხოლოდ ამ გზით შეძლებს საქართველო, როგორც მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური ქვეყანა, საკუთარი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ანალიზი აჩვენებს, რომ მულტიკულტურალიზმი რთული და მრავალგანზომილებიანი ფენომენია, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე. როგორც მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური სახელმწიფო, საქართველო ორმაგი გამოწვევის წინაშე დგას შეინარჩუნოს კულტურული მრავალფეროვნება პოლიტიკური სტაბილურობისა და ეროვნული ერთიანობის უზრუნველყოფის პარალელურად.

განხილვამ აჩვენებს, რომ უსაფრთხოების რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შიდა ეთნიკური დაძაბულობის მოგვარებასა და სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში. თუმცა, გრძელვადიანი სტაბილურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ უსაფრთხოების მექანიზმებზე, არამედ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმატებულ ინტეგრაციაზე ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასეთი ინტეგრაციის მიუღწევლობა ზრდის შიდა ფრაგმენტაციის რისკს და ქმნის გარე ჩარევის შესაძლებლობებს.

საბოლოო ჯამში, საქართველოს უნარი, დააბალანსოს მრავალფეროვნება და ერთიანობა, განსაზღვრავს მისი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტურობას. სტრატეგიულად მართული მულტიკულტურული ჩარჩო, რომელიც დაფუძნებულია ინკლუზიურობაზე, თანასწორობასა და ძლიერ სახელმწიფო ინსტიტუტებზე შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარების და შიდა სტაბილურობისა საფუძველი.

ბიბლიოგრაფია

ბუჯაშვილი, ნ. „მულტიკულტურალიზმის კონცეფცია და კულტურული მრავალფეროვნების იდეის განხორციელება საქართველოში“. სადისერტაციო ნაშრომი. 2018.

დარჩიაშვილი, დ. „უსაფრთხოების რეფორმა საქართველოში 2004-2007.“ გამომცემლობა, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2008.

ვოლსკი, გ. „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ-პოლიტიკური განზომილებები და მათი პრევენციის მექანიზმები (ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს შედარებითი ანალიზი)“. სადისერტაციო ნაშრომი.

მელიქიშვილი, ლია. „რადიციული კულტურა და საზოგადოება“. გამომემლობა მწიგნობარი. თბილისი, 2019.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №356. საქართველოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021–2030. თბილისი. 2021.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. საქართველოს პარლამენტის დაგდენილება. 2011.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3701 (18.003.2026)

Nilsson, N. Obstacles to Building a Civic Nation: Georgia's Armenian Minority and Conflicting Threat Perceptions. Ethnopolitics. 2009. https://doi.org/10.1080/17449050701422535 (ბ.ნ 21. 03. 2026)

Putkaradze, K., Japaridze, I., & Putkaradze, T. National Security Problems Related To Ethno-religious Groups In The South Caucasus (Georgian Case). J. Defense and Science. №1, 2022. https://doi.org/10.61446/ds.1.2022.6460 (ბ.ნ 20. 03. 2026)

ფისკალური ტრილემა ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში: საქართველო ძალაუფლების გადანაწილების ეპოქაში

ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ოქრომჭედლიშვილი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების უფროსი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

XXI საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები - ძალაუფლების სტრუქტურული გადანაწილება, მრავალვექტორული ჰეგემონიური კონკურენციის გამძაფრება და ტრანსატლანტიკური ალიანსების ევოლუცია - ნატოს ასპირანტ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი საქართველოს, ფუნდამენტური ფისკალური გამოწვევების წინაშე აყენებს. 2008 წლის ომის სტრატეგიული მემკვიდრეობა, უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის ესკალაცია და ნატოს 2%-იანი ვალდებულების ირგვლივ განვითარებული პოლიტიკური დინამიკა ქვეყნებს ე.წ. „ფისკალური ტრილემის" - ადეკვატური თავდაცვის, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთდროული უზრუნველყოფის - ვალდებულების წინაშე აყენებს.

წინამდებარე ნაშრომი ამ ტრილემის სამ გამოვლინებას იკვლევს: პირველი - როგორ ახდენს გეოპოლიტიკური კონტექსტი გავლენას ფისკალური სივრცის სტრუქტურასა და თავდაცვის ბიუჯეტის ფორმირების ლოგიკაზე; მეორე - რა როლს ასრულებს ბიუჯეტის გამჭვირვალობა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გეოპოლიტიკური ლეგიტიმაციის პროცესში; მესამე - რა გაკვეთილებს გვაძლევს საქართველოს შედარებითი გამოცდილება.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია შედარებითი ანალიზი, რომელიც მოიცავს ხუთ სახელმწიფოს: ესტონეთს, ლიეტუვას, ლატვიას, პოლონეთსა და საქართველოს. ანალიტიკური ჩარჩო ეფუძნება ნატოს თავდაცვის ხარჯების ანგარიშს (2025), ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey 2023) მონაცემებს, PEFA ჩარჩოს და სახელმწიფო ბიუჯეტის დოკუმენტებს. კვლევა განიხილავს სამი სტრატეგიული მოდელის - ეფექტიანობის (ბალტიის), ამბიციური ინვესტიციის (პოლონეთის) და ოპტიმიზაციის (საქართველოს) - სისტემურ შედარებას.

კვლევის ძირითადი დასკვნები სამ დებულებაში მდგომარეობს. პირველი, გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები პირდაპირ კარნახობს ეროვნული ბიუჯეტის სტრუქტურას: ბიუჯეტი სახელმწიფოს სტრატეგიული პოზიციის ფინანსური გამოხატულებაა და არა მხოლოდ ტექნიკური სააღრიცხვო დოკუმენტი. მეორე, ბიუჯეტის გამჭვირვალობა ასპირანტ სახელმწიფოებში მმართველობის ტექნიკური პარამეტრი კი არ არის, არამედ ევროატლანტიკური ნდობის მოპოვებისა და ინტეგრაციის ლეგიტიმაციის ქვაკუთხედია: საქართველოს მიერ მიღწეული OBI 87/100 ქულა (2023, გლობალური ლიდერი) ამ ლოგიკის ყველაზე ნათელი დადასტურებაა. მესამე, ოპტიმიზაციის სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია ინტეროპერაბილობასა და ინსტიტუციურ ეფექტიანობაზე, გეოპოლიტიკური გარანტიების გარეშე მყოფი სახელმწიფოებისთვის ყველაზე მდგრად ფისკალურ მიდგომად რჩება.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია, თავდაცვის ბიუჯეტი, ფისკალური ტრილემა, ფისკალური მდგრადობა, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ძალაუფლების გადანაწილება, საქართველო, ნატო, უსაფრთხოების სექტორის მმართველობა.

Fiscal Trilemma in the Context of Euro-Atlantic Integration: Georgia in the Era of Redistribution of Power

LTC Ivan Okromtchedlishvili
Associate Professor of Sulkhan-Saba Orbeliani University,
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Head of Masters Program in Defence Analysis,
Doctor of Business Administration (PhD)

Abstract

The geopolitical transformations of the 21st century - the structural redistribution of power, the intensification of multi-vector hegemonic competition, and the evolution of transatlantic alliances — confront NATO-aspiring states, particularly Georgia, with fundamental fiscal challenges. The strategic legacy of the 2008 war, the ongoing escalation of the conflict in Ukraine, and the political dynamics surrounding NATO's 2% defence spending commitment collectively impose what this paper terms the "fiscal trilemma": the simultaneous requirement to maintain adequate defence, preserve macroeconomic stability, and sustain inclusive socio-economic development - all within severely constrained fiscal space.

This paper investigates three interrelated dimensions of this trilemma: first, how geopolitical context shapes the logic of fiscal space and defence budget formation; second, what role budget transparency plays in securing geopolitical legitimacy within the Euro-Atlantic integration process; and third, what comparative lessons Georgia's experience offers to similarly positioned aspirant states.

The study employs a structured comparative analysis across five states - Estonia, Lithuania, Latvia, Poland, and Georgia - drawing on NATO Defence Expenditure Reports (2025), the Open Budget Survey (2023), the PEFA assessment framework, and national budget documentation. Three strategic archetypes are systematically evaluated: the efficiency model (Baltic states), the ambitious investment model (Poland), and the optimisation model (Georgia).

The findings yield three principal conclusions. First, geopolitical transformations directly determine the structure of national budgets: the defence budget is no longer a technical accounting document but a financial expression of a state's strategic commitments and geopolitical positioning. Second, fiscal transparency in aspirant states is not merely a governance metric but a cornerstone of Euro-Atlantic legitimacy-building - Georgia's ranking as the global leader in the Open Budget Index (87/100, 2023) exemplifies this logic most clearly. Third, the optimisation strategy - centred on interoperability, institutional efficiency, and disciplined fiscal management - remains the most sustainable approach for states operating without formal Article 5 security guarantees, as it maximises strategic output relative to available resources.

Keywords: geopolitical transformation, defence budget, fiscal trilemma, fiscal sustainability, Euro-Atlantic integration, power redistribution, Georgia, NATO, security sector governance.

შესავალი

XXI საუკუნე, განსაკუთრებით 2008 წლის შემდგომი პერიოდი, გლობალური ძალაუფლების სტრუქტურული გადანაწილების ეტაპს წარმოადგენს. ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ეროზია, ჩინეთისა და რუსეთის რევიზიონიზმი, ტრანსატლანტიკური ვალდებულებების გადახედვა და თავდაცვის ტვირთის გაზიარების (burden-sharing) გარშემო ნატოს შიდა დაძაბულობა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი საქართველოს, ფუნდამენტური გამოწვევების წინაშე აყენებს: ვინ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას, რა ფასად და ვის ხარჯზე?

თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში აღნიშნული კითხვები უშუალო კავშირშია ფისკალური პოლიტიკის პრობლემატიკასთან. მას შემდეგ, რაც 2022 წლიდან ნატოს ევროპელმა წევრებმა თავდაცვის ბიუჯეტების სასწრაფო ზრდა დაიწყეს,[1] ხოლო აშშ-ის ადმინისტრაციამ მოკავშირეებს „ფასის სამართლიანი გადახდისკენ" მოუწოდა, ნათელი გახდა, რომ ძალაუფლების სტრუქტურული ტრანსფორმაცია პირდაპირ განსაზღვრავს ეროვნული ბიუჯეტების სტრუქტურას.

საქართველო ამ პრობლემატიკის განსაკუთრებულ და ანალიტიკურად ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს. ქვეყანა 2008 წლიდან ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციის პირობებში არსებობს, ნატოს სრულფასოვანი წევრობის ფორმალური გარანტიების გარეშე, თუმცა ამ სტატუსის მიღწევისკენ სწრაფვა კვლავ მის კონსტიტუციურ სტრატეგიულ პრიორიტეტად რჩება.[2] შექმნილ ვითარებაში ქვეყანა ვალდებულია, გადაჭრას ე.წ. „ფისკალური ტრილემა" - უზრუნველყოს ადეკვატური თავდაცვა, შეინარჩუნოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას - და ეს ყველაფერი ერთდროულად, შეზღუდული ფისკალური სივრცის პირობებში. ეს სამი მიზანი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რაც ნებისმიერ მმართველობით გადაწყვეტილებას ღრმა კომპრომისებზე დაფუძნებული არჩევანის ხასიათს ანიჭებს.

წინამდებარე ნაშრომი ამტკიცებს, რომ გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები XXI საუკუნეში ეროვნული ბიუჯეტის ფორმირების ლოგიკას ფუნდამენტურად ცვლიან, ხო-ლო ბიუჯეტის გამჭვირვალობა ასპირანტ სახელმწიფოებში მმართველობის ტექნიკური პარამეტრი კი არ არის, არამედ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გეოპოლიტიკური ლეგიტიმაციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ მთავარი თეზისის დასაბუთებისთვის ნაშრომი სამ

[1]NATO, *Defence Expenditure of NATO Countries (2014–2025)* (Brussels: NATO, 2025). https://redirme.com/e4rxrg, (Accessed, 19.03. 2026).

[2]საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78 (2017 წლის კონსტიტუციური ცვლილება). https://redirme.com/ej46mq, (გადამოწმებულია, 19.03. 2026).

ანალიტიკურ კითხვას პასუხობს: როგორ ცვლის გეოპოლიტიკური კონტექსტი ფისკალური სივრცისა და თავდაცვის ბიუჯეტის ურთიერთმიმართების ლოგიკას; რა როლს ასრულებს ბიუჯეტის გამჭვირვალობა ევროატლანტიკური ინტეგრაციის ლეგიტიმაციის პროცესში; რა გაკვეთილები გამომდინარეობს საქართველოს გამოცდილებიდან და როგორ იკვეთება ქვეყნის სპეციფიკა ბალტიის ქვეყნების და პოლონეთის შედარებითი ანალიზის ფონზე.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია შედარებითი ანალიზი, რომელიც მოიცავს ხუთ სახელმწიფოს - ესტონეთს, ლიეტუვას, ლატვიას, პოლონეთს და საქართველოს - და ეფუძნება ნატოს თავდაცვის ხარჯების ანგარიშს (2025), ღია ბიუჯეტის კვლევის მონაცემებს (Open Budget Survey 2023), PEFA შეფასების ჩარჩოს და ეროვნულ საბიუჯეტო დოკუმენტაციას.

ნაშრომი სამ ორიგინალურ ანალიტიკურ კონცეფციას ავითარებს: *ფისკალური ტრილემის* ჩარჩოს - ადეკვატური თავდაცვის, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და სოციალური განვითარების ერთდროული მართვის პრობლემატიკას; *სტრატეგიული ტიპოლოგიების* სისტემას, რომელიც სამ მოდელს გამოყოფს (ეფექტიანობის, ამბიციური ინვესტიციის და ოპტიმიზაციის); და *კოლექტიური თავდაცვის სარწმუნოობის დივიდენდის კონცეფციას*[3] - ნატოს სრულფასოვანი წევრობით მიღებულ სტრატეგიულ შეღავათს, რომელიც წევრ სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, გაიზიაროს კოლექტიური შეკავების (deterrence) ეფექტი და, ამ საფუძველზე, საკუთარი თავდაცვის ხარჯები უფრო ეფექტიანად გაანაწილოს.

ნაშრომი სტრუქტურულად სამ ნაწილად ვითარდება: პირველი ნაწილი ქმნის კონცეპტუალურ ჩარჩოს, მეორე ახორციელებს შედარებით ანალიზს და მესამე ავითარებს ფისკალური გამჭვირვალობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურთიერთმიმართების ორიგინალურ არგუმენტს. შედარებითი ანალიზისთვის შერჩეული ხუთი სახელმწიფო - ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი და საქართველო - სამ ანალიტიკურ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: პირველი, ყველა მათგანი ნატოს წევრია ან ასპირანტი, რაც ევროატლანტიკური ინტეგრაციის საერთო ინსტიტუციურ ჩარჩოს ქმნის; მეორე, ისინი წარმოადგენენ ფისკალური სტრატეგიის განსხვავებულ მოდელებს - ეფექტიანობის, ამბიციური ინვესტიციისა და ოპტიმიზაციის - რაც ტიპოლოგიური შედარების საშუალებას იძლევა;

[3] ავტორის ორიგინალური ანალიტიკური კატეგორია. მახლობელი კონცეფტუალური ჩარჩოსთვის იხ. Todd Sandler and Keith Hartley, *The Political Economy of NATO: Past, Present, and into the 21st Century* (Cambridge: Cambridge University Press, 1999), 26–68.

მესამე, ყველა ქვეყანა ძირითადი საერთაშორისო ფისკალური ინსტრუმენტებით - PEFA, IMF Article IV და ნატოს თავდაცვის ხარჯების სტატისტიკით - შეფასებულია, რაც მონაცემთა შედარებადობას უზრუნველყოფს. ბალტიის სამი სახელმწიფო ერთ ტიპოლოგიურ ჯგუფად განიხილება, ვინაიდან მათი ფისკალური და სამხედრო ინტეგრაციის მოდელები სტრუქტურულ მსგავსებას ავლენს, თუმცა ქვეყნის დონის მონაცემები ინდივიდუალურად არის წარმოდგენილი.

ძირითადი ნაწილი

1. გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები და თავდაცვის ბიუჯეტი

1.1. ნატოს 2%-იანი სტანდარტი - ტექნიკური ნორმიდან გეოპოლიტიკურ სიგნალამდე

ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტმა საქართველოსთვის „მომავალი წევრობის" პერსპექტივა გამოაცხადა,[4] თუმცა სულ რამდენიმე თვეში ეს პოლიტიკური სიგნალი რუსეთ-საქართველოს ომმა შეცვალა. ეს თანხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა; იგი ასახავდა საერთაშორისო პოლიტიკის იმ სტრუქტურულ ლოგიკას, სადაც ვერბალური პოლიტიკური სიგნალები და რეალური უსაფრთხოების გარანტიები განსხვავებული წონის მატარებელია.[5]

ნატოს თავდაცვის ხარჯების მშპ-ის (GDP) 2%-იანი სტანდარტი, რომელიც 2014 წელს უელსის სამიტზე დაკონკრეტდა, გეოპოლიტიკური ლოგიკის ბიუჯეტურ გამოხატულებად იქცა.[6] აღნიშნული ნორმა ზომავს სახელმწიფოს მზადყოფნას, გაიზიაროს კოლექტიური თავდაცვის ტვირთი (burden-sharing). 2022 წლის შემდეგ ეს სტანდარტი ტრანსატლანტიკური ურთიერთობების „ლაკმუსის ქაღალდის" ფუნქციას ასრულებს და კვლავ პოლიტიკური დისკურსის ცენტრშია.

საქართველოსთვის აღნიშნული 2%-იანი ნიშნულის შესრულება სიმბოლური დატვირთვის მატარებელია: ის ემსახურება ნატოსთან სიახლოვისა და სანდოობის დემონსტრირებას. შესაბამისად, 2%-იან მაჩვენებელს ქვემოთ მნიშვნელოვანი ჩამოსვლა შესაძლოა განხილულ იქნას გეოპოლიტიკური სიგნალის გაუარესებად.[7]

---

[4] NATO, *Bucharest Summit Declaration* (Brussels: NATO, 2008) https://redirme.com/ph5pup, (Accessed, 19.03. 2026).
[5] Thomas C. Schelling, *Arms and Influence (*New Haven: Yale University Press, 1966), 35–91.
[6] NATO, *Wales Summit Declaration* (Brussels: NATO, 2014). https://redirme.com/gz6be6, (Accessed, 19.03. 2026).
[7] ნაშრომის ანალიტიკური ჩარჩო ეფუძნება ნატოს 2%-იან სტანდარტს, რომელიც სტატიის მომზადების პროცესში, 2025 წლის ივნისში ჰააგის სამიტზე გადაიხედა: 2035 წლისთვის წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი გახდნენ გამოყონ მშპ-ის სულ მცირე 3.5% ძირითადი თავდაცვის ხარჯებისთვის და დამატებით 1.5% თავდაცვასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის (კიბერუსაფრთხოება, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, სამოქალაქო მომზადება). ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო ამძიმებს ამ ნაშრომში განხილულ ფისკალურ

1.2. უკრაინის კონფლიქტი და ევროპული თავდაცვის ხარჯების გადახედვა

2022 წლის თებერვლის შემდეგ ევროპული უსაფრთხოების გარემო რადიკალურად შეიცვალა. პოლონეთმა თავდაცვის ხარჯების მშპ-ის 4%-მდე გაზრდა დააანონსა; ბალტიის ქვეყნებმა ეს მაჩვენებელი 3-4%-ის ფარგლებში განსაზღვრეს; გერმანიამ კი გამოაცხადა *Zeitenwende* - ისტორიული გარდატეხა მის საგარეო და თავდაცვით პოლიტიკაში.[8] ეს ახალი „შეიარაღების ციკლი“ წარმოადგენს ევროპული ძალაუფლების გადანაწილების ფინანსურ გამოვლინებას.

საქართველოსთვის ეს ტრანსფორმაცია შერეული გავლენების მქონეა: ერთი მხრივ, იგი ზრდის ზეწოლას 2%-იანი სიმბოლური ნიშნულის ფარგლებში თავდაცვის ხარჯების გაზრდის მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის პარტნიორი ქვეყნების მხრიდან ორმხრივი ინიციატივების შესაძლებლობას.[9] ფისკალური სივრცე საქართველოსთვის არ არის მხოლოდ შიდა ეკონომიკური პარამეტრი - ის პირდაპირ განისაზღვრება ფართო გეოპოლიტიკური კონტექსტით.

2. კონცეპტუალური ჩარჩო: ფისკალური ტრილემა და სტრატეგიული ტიპო-ლოგიები

ფისკალური პოლიტიკა, ფართო გაგებით, წარმოადგენს სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა ერთობლიობას შემოსავლების მობილიზებისა და ხარჯების განხორციელების შესახებ, რომლებიც მიმართულია მაკროეკონომიკური სტაბილურობის, რესურსების ოპტიმალური განაწილებისა და სოციალური კეთილდღეობის ამაღლებისკენ.[10] გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების კონტექსტში ამ განმარტებას კიდევ ერთი, სტრატეგიული განზომილება ემატება: ფისკალური პოლიტიკა ასევე სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ამბიციებისა და შეზღუდვების ფინანსური ბარომეტრია.

ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიზნები - მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რესურსების ეფექტიანი განაწილება, საჯარო ხარჯების ეფექტიანი მართვა და საბიუჯეტო გამჭვირვალობა - გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით სრულიად განსხვავებულ სტრატეგიულ წონას იძენს. იმ მცირე სახელმწიფოებისთვის, რომელთა ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია და რომლებიც აქტიური სამხედრო საფრთხის პირობებში

ტრილემას ნატოს ასპირანტი სახელმწიფოებისთვის. იხ. NATO, *Hague Summit Declaration* (The Hague: NATO, 25 June 2025).

[8] Olaf Scholz, „Policy Statement by the Federal Chancellor" [Regierungserklärung], German Bundestag, 27 February 2022. https://redirme.com/kqkwqr, (Accessed, 19.03. 2026).

[9] NATO, *Relations with Georgia* (Brussels: NATO, 2025). https://redirme.com/xdbdn6, (Accessed, 19.03. 2026).

[10] Richard A. Musgrave, *The Theory of Public Finance: A Study in Public Economy* (New York: McGraw-Hill, 1959), 3–5.

ფუნქციონირებენ, ეს მიზნები სახელმწიფოებრივი გადარჩენის აუცილებელი ინსტრუ-მენტებია.

თავდაცვის ხარჯების მდგრადობის შეფასებისას სამ ძირითად კრიტერიუმს განსა-კუთრებული ანალიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. პირველი კრიტერიუმი - *ფისკალური სივრცე* - გულისხმობს თავდაცვის ხარჯების შესაბამისობას ქვეყნის საერთო საბიუჯეტო შესაძლებლობებთან.[11] ფისკალური სივრცის შეფასება მოიცავს საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირებას (საგადასახადო შემოსავლები და საგრანტო დახმარება), არსებული სტრუქტურული ვალდებულებების (mandatory / rigid expenditure) - საჯარო სექტორის სახელფასო ფონდი, პენსიები, სოციალური ტრანსფერები, ჯანმრთელობის დაცვის პროგ-რამები და სახელმწიფო ვალის მომსახურება - სრულ აღრიცხვასა და ახალი სახელმწიფო ვალდებულებების ფარგლების გონივრულ განსაზღვრას. საქართველოს მაგალითზე ამ ლოგიკის ილუსტრირება შემდეგნაირად შეიძლება: IMF-ის მონაცემებით, სახელმწიფოს კონსოლიდირებული საბიუჯეტო შემოსავლები შეადგენს მშპ-ის დაახლოებით 28%-ს, ხოლო მიმდინარე ხარჯები - ხელფასები, სოციალური ტრანსფერები, ვალის მომსახურება და საოპერაციო ხარჯები - მშპ-ის დაახლოებით 22.5%-ს.[12] ამ მონაცემების საფუძველზე, ავტორის გამოთვლით, სტრუქტურული ვალდებულებები დაახლოებით 20%-ს შეადგენს,[13] დარჩენილი დაახლოებით 8% კი დისკრეციული (განაწილებადი) ფისკალური სივრცეა, რომელიც თავდაცვასა და სხვა პრიორიტეტულ სფეროებს - განათლებას, ჯანდაცვასა და ინფრასტრუქტურას - შორის ნაწილდება. ამ კონტექსტში - და იმის გათვალისწინებით, რომ ბიუჯეტის დეფიციტი (~2.5% მშპ-ის) ნაწილობრივ სწორედ ამ სივრცეს ავსებს, თავდაცვის ბიუჯეტი მშპ-ის 2%-მდე ოდენობით ფაქტობრივად ხელმისაწვდომი ფისკალური სივრცის დაახლოებით მეოთხედს იკავებს - რაც თავისთავად გამოხატავს კომპრომისის სიღრმეს, რომელიც სახელმწიფომ სხვა სოციალური ვალდებულებების ხარჯზე უნდა გასწიოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2%-იანი მაჩვენებლის რეალური შინაარსი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ნატოს ანალიტიკური ჩარჩოს შესაბამისად, ეროვნული თავდაცვის ბიუჯეტები, როგორც წესი, სამ ფართო კატეგორიად განიხილება: პერსონალის ხარჯები (ხელფასები, სოციალური უზრუნველყოფა და პენსიები),

[11] S.Peter Heller, *Understanding Fiscal Space, IMF Policy Discussion Paper PDP/05/04* (Washington, DC: International Monetary Fund, 2005), 3–6.

[12] International Monetary Fund, *Georgia: 2025 Article IV Consultation* (Washington, D.C.: IMF, 2025) https://redirme.com/gg2exg, (Accessed, 19.03. 2026).

[13] მიმდინარე ხარჯებიდან (~22.5%) გამოიყოფა საქონლისა და მომსახურების ნაწილი (~2–3%), რომელიც ბუნებით დისკრეციულია; შედეგად, სტრუქტურული (rigid) ვალდებულებები ავტორის გამოთვლით შეადგენს დაახლოებით 20%-ს.

ოპერაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯები (operations and maintenance) და შეიარაღებისა და ტექნიკის განვითარებისა და შეძენის ხარჯები, მათ შორის კვლევა-განვითარება (R&D).[14] პრაქტიკაში პერსონალის ხარჯები ხშირად 2%-ის ნახევარს ან მეტს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ ფაქტობრივი დისკრეციული სამხედრო ინვესტიციების სივრცე გაცილებით ვიწროა, ვიდრე ნომინალური ციფრი გვაფიქრებინებს. ამ კუთხით, საქართველოს 2%-იანი ნიშნული გეოპოლიტიკური სიგნალის ფუნქციას ასრულებს, თუმცა მისი კაპიტალური შემადგენელი - ის ნაწილი, რომელიც ოპერაციულ სამხედრო შესაძლებლობებს ქმნის - შეზღუდულია. ეს გარემოება ნატოს შიგნით „burden-sharing"-ის შეფასებებს კიდევ უფრო ამძიმებს: ერთი და იგივე 2% სხვადასხვა ქვეყანაში სრულიად განსხვავებულ ოპერაციულ შესაძლებლობებს შეიძლება გამოხატავდეს.

მეორე კრიტერიუმი - *გრძელვადიანი ხელმისაწვდომობა* - გულისხმობს, რომ თავდაცვის ხარჯები მდგრადი უნდა იყოს არა მხოლოდ მიმდინარე ეტაპზე, არამედ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს მიდგომა მოითხოვს ყველა მსხვილი სამხედრო შესყიდვისა თუ პროგრამისთვის სრული სასიცოცხლო ციკლის ღირებულების (full life-cycle costing) სისტემატურ გათვლას. კერძოდ, ახალი სამხედრო ტექნიკის შეძენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო შესყიდვის საწყისი ღირებულება, არამედ მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ექსპლუატაციის, მოვლა-პატრონობის, პერსონალის მომზადებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯებიც.[15] ამ ანალიტიკური ელემენტის იგნორირება კრიტიკული ფისკალური ხარვეზების გენერატორი ხდება, რომლებიც წლების შემდეგ ბიუჯეტის მოქნილობას სერიოზულად ზღუდავს.

მესამე კრიტერიუმი - *შემოსავლების წყაროების სტაბილურობა* - განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც საგარეო დაფინანსებაზე არიან დამოკიდებულნი. თავდაცვის ბიუჯეტში საგრანტო კომპონენტის მნიშვნელოვანი წილის შემთხვევაში ამ დახმარების შემცირება ან შეწყვეტა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას სტრუქტურულ საფრთხეს უქმნის. ეს კრიტერიუმი შეიცავს უფრო ფართო ინსტიტუციურ გაკვეთილსაც: თავდაცვის ბიუჯეტი, რომელიც ეროვნულ შემოსავლებს ეფუძნება და პარლამენტის მყარ ზედამხედველობას ექვემდებარება, ბევრად მდგრადია, ვიდრე ვადებზე, პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და სტრატეგიულ ინტერესებზე დამოკიდებული გარე ფინანსური ნაკადი.[16]

---

[14] NATO, *Funding NATO* (Brussels: NATO, 2025). https://redirme.com/ga3mvc, (Accessed, 19.03. 2026).
[15] Keith Hartley, *The Economics of Defence Policy: A New Perspective* (London: Routledge, 2011), 87–92.
[16] William Byrd, "The Financial Dimension of Security Sector Reform," in The Future of Security Sector Reform, red. Mark Sedra (Waterloo: CIGI, 2010), 307.

თავდაცვის ხარჯების ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების შეფასება კომპლექსური საკითხია. გეოპოლიტიკური ფაქტორი აღნიშნულ ეკვილიბრიუმს ახალი კუთხით წარმოაჩენს: ქვეყნებში, სადაც ფიზიკური უსაფრთხოება სასიცოცხლო მნიშვნელობის ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობაა, თავდაცვის ხარჯები ეკონომიკური ზრდის ეგზოგენურ შეზღუდვად კი არ განიხილება, არამედ ეკონომიკური სანდოობის (*economic credibility*) განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება.[17] ზემოაღნიშნული სამი კრიტერიუმი - *ფისკალური სივრცე, გრძელვადიანი ხელმისაწვდომობა* და *შემოსავლების სტაბილურობა* - სწორედ ამ სანდოობის ინსტიტუციურ სტრუქტურას ქმნის, რომელზეც ნატოს ასპირანტი სახელმწიფოების ფისკალური სტრატეგია უნდა დაეყრდნოს.

XXI საუკუნის გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალი ასპირანტი სახელმწიფოები ე.წ. „ფისკალური ტრილემის" რთული გამოწვევის წინაშე დააყენა.[18] ეს ტრილემა გულისხმობს სამი, ხშირ შემთხვევაში კონფლიქტური მიზნის ერთდროულ მიღწევას შეზღუდული ფისკალური სივრცის პირობებში: *პირველი* -ადეკვატური თავდაცვის უზრუნველყოფა ეროვნული უსაფრთხოების გარანტიების განსამტკიცებლად; *მეორე* - მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, რაც გრძელვადიანი ინვესტიციების საფუძველია; და *მესამე* - მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება, რაც აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმაციისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის.

ხუთი სახელმწიფოს შედარებითი ანალიზის საფუძველზე, წინამდებარე კვლევა გამოყოფს სამ სტრატეგიულ ტიპს, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ პრიორიტეტებს ატარებს:

1. *ეფექტიანობის მოდელი (ბალტიის ქვეყნების მოდელი):* ორიენტირებულია საჯარო ფინანსების მართვის უმაღლეს სტანდარტებსა და მრავალმხრივ სამხედრო თანამშრომლობაზე, რაც ოპტიმალური ინსტიტუციური მექანიზმებით ანაზღაურებს მცირე სახელმწიფოების ეკონომიკურ ლიმიტებს.

---

[17] Andrei Iura, „Sustainable Defence Economics: Evaluating the Impact of Public Sector Financing Models on National Security Outcomes," International Conference KNOWLEDGE-BASED ORGANIZATION 31, № 2 (2025): 53–54.

[18] ტერმინი „ტრილემა" აქ გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით. Mundell-Fleming-ის კლასიკური ტრილემისგან განსხვავებით, სადაც სამი მიზნიდან ერთი სრულად გამოირიცხება, ამ შემთხვევაში სამივე მიზანი ნაწილობრივ მიღწევადია, თუმცა შეზღუდული ფისკალური სივრცის პირობებში მათი ერთდროული სრული რეალიზაცია შეუძლებელია. ანალოგიური ტერმინოლოგია გამოიყენება Rodrik-ის „პოლიტიკური ტრილემის" კონტექსტშიც." Robert A. Mundell, „Capital Mobility and Stabilization Policy under Fixed and Flexible Exchange Rates," Canadian Journal of Economics and Political Science 29, №4 (1963): 475–485; J. Marcus Fleming, „Domestic Financial Policies under Fixed and under Floating Exchange Rates," IMF Staff Papers 9, №3 (1962): 369–380.; Dani Rodrik, The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy (New York: W. W. Norton & Company, 2011), 200–201.

2. *ამბიციური ინვესტიციური მოდელი (პოლონური მოდელი):* გულისხმობს თავდაცვის ხარჯების მაღალ წილს მშპ-ში, რომელიც გამოიყენება როგორც ეროვნული ინდუსტრიის სტიმულატორი და ტექნოლოგიური ტრანსფერის მექანიზმი.
3. *ოპტიმიზაციის მოდელი (ქართული მოდელი):* ორიენტირებულია ფისკალურ დისციპლინაზე, ინტეროპერაბილობასა და შეზღუდული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან განაწილებაზე, რათა მინიმალური დანახარჯებით მიღწეულ იქნას მაქსიმალური სტრატეგიული შედეგი.

3. სამი სტრატეგიული მოდელი: შედარებითი ანალიზი

3.1. ბალტიის მოდელი: ეფექტიანობა ასიმეტრიული ზეწოლის პირობებში

ბალტიის ქვეყნები — ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა - ნატოს 2%-იანი სტანდარტის ყველაზე თანმიმდევრული შემსრულებლები არიან. 2025 წლისთვის ესტონეთმა 3.38%, ლატვიამ 3.73%, ხოლო ლიეტუვამ 4.0%-ით განსაზღვრეს თავდაცვის ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში, რაც ნატოს ევროპელ წევრებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.[19]

ბალტიის ქვეყნების სტრატეგიის ფისკალური არქიტექტურა *„ეფექტიანობის მოდელს"* ეყრდნობა, რომელიც ოთხ ძირითად კომპონენტს მოიცავს.

პირველი - *ეროვნული თავდაცვის განვითარების გეგმების მდგრადობა.* ესტონეთი, მაგალითად, ეყრდნობა ათწლიან ეროვნულ თავდაცვის განვითარების გეგმას (2022–2031), რომელიც ოთხწლიანი სამინისტროს განვითარების გეგმის მეშვეობით განხორციელდება, ხოლო წლიური ბიუჯეტის ციკლი კონკრეტულ საქმიანობებს განსაზღვრავს - ეს სამდონიანი სტრუქტურა უზრუნველყოფს ნატოს შესაძლებლობების სამიზნეებთან (NATO Capability Targets) სისტემატურ ჰარმონიზაციას.[20]

მეორე - *ინსტიტუციურად განმტკიცებული ფისკალური ვალდებულება.* მაგალითად, ესტონეთში 2012 წლიდან პარტიულ-პოლიტიკური კონსენსუსით დადგენილია, რომ თავდაცვის ბიუჯეტი არ შეიძლება ჩამოვარდეს მშპ-ის 2%-ს ქვემოთ; ეს ინსტიტუციური ვალდებულება ამცირებს საბიუჯეტო ციკლის გავლენის რისკს და გრძელვადიანი სამხედრო შესყიდვების დაგეგმვას საიმედო საფინანსო საფუძველს უქმნის.[21]

მესამე - *ევროკავშირის ჩარჩოს ინტეგრაცია.* ბალტიის სახელმწიფოები, PESCO-ს ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, თავდაცვის ხარჯების სისტემატურ ზრდას

[19] NATO, *Defence Expenditure of NATO Countries* (2014–2025), 9–11.
[20] Estonian Ministry of Defence, *Ministry of Defence Development Plan 2024–2027* (Tallinn: Estonian Ministry of Defence, 2024). https://redirme.com/s3r7d7, (Accessed, 19.03. 2026).
[21] Estonian Ministry of Defence, „Defence Budget." https://redirme.com/uhc69m, (Accessed, 19.03. 2026).

ახორციელებენ, ხოლო 2025 წელს ძალაში შესული SAFE პროგრამა წევრ სახელმწიფოებს 150 მლრდ ევრომდე გრძელვადიანი სესხის სახით დამატებითი სახსრების მოზიდვის საშუალებას აძლევს - ეს ევროკავშირის ობლიგაციების გამოშვებით ფინანსდება და ეროვნულ თავდაცვის ინვესტიციებს ავსებს.[22]

მეოთხე - *ბალტიის სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობა.* ისეთი ინიციატივები, როგორებიცაა BALTRON (ბალტიის საზღვაო ესკადრა, 1998), BALTDEFCOL (ბალტიის თავდაცვის კოლეჯი, 1999) და ერთობლივი სამხედრო სწავლებები, წარმოადგენს თავდაცვის ტვირთის გაზიარების (burden-sharing) ეფექტიანი ფისკალური მოდელის მაგალითს - სადაც რესურსების გაერთიანება ამცირებს ინდივიდუალურ ხარჯებს და ზრდის კოლექტიურ შესაძლებლობებს.[23][24]

ბალტიის ქვეყნების გამოცდილება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს გაკვეთილს შეიცავს: ნატოს სრულფასოვანი წევრობა სახელმწიფოს ანიჭებს *კოლექტიური თავდაცვის სარწმუნოობის დივიდენდს* - რომელიც ფისკალური ტვირთის ასიმეტრიას ამცირებს. საქართველო კი, ამ „დივიდენდის" გარეშე, გეოპოლიტიკური სიგნალების გაგზავნას არაპროპორციულად მაღალი ფისკალური ტვირთით ახორციელებს. ქვეყანა იძულებულია, გადაიხადოს ნატოს წევრობის „ფასი" (სტანდარტების შესრულება) უსაფრთხოების ფორმალური გარანტიების გარეშე.[25]

3.2. პოლონეთის მოდელი: ამბიცია, ინვესტიციური ლოგიკა და სამრეწველო ინტეგრაცია

პოლონეთი ამჟამად ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის თავდაცვის ყველაზე მაღალი დანახარჯების (მშპ-ის 4%+) მქონე ქვეყანაა. 2025 წლის მონაცემებით, პოლონეთმა მშპ-ის 4.48% გამოყო თავდაცვის სფეროსთვის, რაც წარმოადგენს ნატოს მოქმედ წევრ სახელმწიფოებს შორის უმაღლეს მაჩვენებელს.[26]

ეს სტრატეგიული არჩევანი სამ ურთიერთდაკავშირებულ ლოგიკას ეფუძნება:

- *გეოპოლიტიკური ლიდერობა* - პოლონეთი ევროპის კონტინენტზე უმსხვილესი სახმელეთო სამხედრო ძალის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად; რუსეთის აგრესიის ფონზე,

---

[22] European Council, *Security Action for Europe (SAFE)* (Brussels: Council of the EU, 27 May 2025). https://redirme.com/dcdk3c, (Accessed, 19.03. 2026).

[23] Andris Sprūds and Māris Andžāns, red., *Security in the Baltic Sea Region: Realities and Prospects. The Rīga Conference Papers 2017* (Riga: Latvian Institute of International Affairs, 2017).

[24] Estonian Ministry of Defence; Latvia Ministry of Defence; Baltic Defence College, https://www.baltdefcol.org (Accessed, 19.03. 2026).

[25] კოლექტიური თავდაცვის ასიმეტრიული განაწილების თეორიული საფუძვლისთვის იხ. Sandler and Hartley, *The Economics of Defense (1995),* 23–27; ასიმეტრიის ემპირიული გამოვლინების შესახებ ბალტიის კონტექსტში იხ. NATO, *Defence Expenditure of NATO Countries* (2014–2025), 9–11.

[26] NATO, *Defence Expenditure of NATO Countries (2014–2025)*, 11.

ისტორიული გამოცდილებით (1939 წელი) განპირობებული ეგზისტენციური შიში ახლებური სტრატეგიული სიგნალია;[27][28]

- *სამხედრო-სამრეწველო სინერგია* - სამხედრო ტექნიკის, კერძოდ, K2PL *Black Panther*-ის ტიპის ტანკების ლოკალიზაცია, ასევე FA-50 და K9 *Thunder*-ის ადგილობრივი წარმოება; თავდაცვის ხარჯი ამ შემთხვევაში ნაწილობრივ გარდაიქმნება სამამულო ინდუსტრიის სუბსიდიად და ტექნოლოგიური ტრანსფერის კატალიზატორად;[29]
- *ფისკალური დიზაინი* - შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის ფონდის (*Fundusz Wsparcia Sił Zbrojnych - FWSZ*) შექმნა, რომელიც ეროვნული ბიუჯეტის ლიმიტების მიღმა (მაგრამ სახელმწიფო გარანტიით), თავდაცვის ხარჯების ექსტრაბიუჯეტურ დაფინანსებას უზრუნველყოფს.[30]

პოლონეთის ფისკალური გამოცდილება ადასტურებს, რომ თავდაცვის ბიუჯეტი არ არის მხოლოდ ხარჯი, არამედ ძალაუფლების პოზიციის ფინანსური გამოხატულება. „ინვესტიციური“ ლოგიკა გამოიხატება იმაში, რომ თავდაცვაზე მიმართული ყოველი ერთეული კაპიტალი ორმაგ შედეგს იძლევა: ნატოსთვის მიმართულ გეოპოლიტიკურ სიგნალს და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებას.

პოლონეთის მოდელის ადაპტაცია საქართველოსთვის შეზღუდულია ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური მასშტაბების სხვაობის გამო, თუმცა მისი გარკვეული კომპონენტები პერსპექტიულია: თავდაცვის ტექნოლოგიური ეკოსისტემის განვითარება, სამამულო სამრეწველო ბაზის გამოყენება და სპეციალიზებული ფისკალური ინსტრუმენტის (მაგალითად, სახელმწიფო სამხედრო ფონდის) დანერგვა.

3.3. საქართველო: სამი ასიმეტრია ფისკალური ოპტიმიზაციის სტრატეგიაში

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა სამი ძირითადი ასიმეტრიით ხასიათდება:

- *გარანტიების ასიმეტრია:* ქვეყანა მიილტვის ნატოს სტანდარტებისკენ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული კოლექტიური თავდაცვის გარანტიების გარეშე;[31][32]

---

[27] Kinga Torbicka, *Poland's Security in the 21st Century: Challenges, Strategies and Prospects* (Paris: Fondation pour l'innovation politique, 2025), 4–6.

[28] Marcin Terlikowski, „Defence and Industrial Policy in Poland," IRIS, 2017. https://redirme.com/njp5fb, Accessed, 19.03. 2026).

[29] Riccardo Castagnoli, „Poland's Military Surge: Strategic Investments and Recent Developments in Polish Armed Forces," Finabel, 2024. https://redirme.com/pvakek, (Accessed, 19.03. 2026).

[30] Rzeczpospolita Polska, *Ustawa z dnia 11 marca 2022 r. o obronie Ojczyzny [Act on the Defense of the Homeland],* Dz.U. 2022 poz. 655, Art. 41. https://redirme.com/czs267, (Accessed, 19.03. 2026).

[31] NATO, *Relations with Georgia* (Brussels: NATO, 2025). https://redirme.com/xqeugn, (Accessed, 19.03. 2026).

[32] NATO, *Planning and Review Process,* last Updated: 06 May 2025. https://redirme.com/2xm5xr, (Accessed, 19.03. 2026).

- *ოკუპაციის ასიმეტრია:* ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია ამცირებს ქვეყნის სტრატეგიულ სიღრმეს, ტაქტიკურ ელასტიურობასა და შეკავების (*deterrence*) ფიზიკურ სივრცეს;
- *ეკონომიკური ასიმეტრია:* მშპ-ის 2%-იანი ნიშნული პოლონეთის შემთხვევაში (ნომინალური მშპ დაახლოებით 914 მლრდ აშშ დოლარი, 2024 წლის მდგომარეობით)[33] და საქართველოს შემთხვევაში (ნომინალური მშპ დაახლოებით 34 მლრდ აშშ დოლარი, 2024 წლის მდგომარეობით)[34] ერთი და იმავე პროცენტული მაჩვენებელია, თუმცა მათ უკან სრულიად განსხვავებული ფინანსური რესურსი დგას.

მიუხედავად აღნიშნული ასიმეტრიებისა, საქართველო ფისკალური დისციპლინის ბალანსს ინარჩუნებს: 2024 წლის მონაცემებით, მთავრობის ვალმა მშპ-ს 36.1% შეადგინა. საგულისხმოა, რომ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ევროკავშირის მაასტრიხტის კრიტერიუმებით დადგენილ 60%-იან ზღვარს და ნაშრომში განხილულ ქვეყნებს შორის -ესტონეთი (23.5%), ლიეტუვა (38%), ლატვია (~43%), პოლონეთი (~54%) - საქართველოს 36.1%-იანი მაჩვენებელი საბიუჯეტო კანონმდებლობით განმტკიცებულ ფისკალური დისციპლინის პოლიტიკას ასახავს.[35][36] ქვეყანა ამ ასიმეტრიებს ოპტიმიზაციის სტრატეგიით მართავს, სადაც აქცენტი გადატანილია ინტეროპერაბილობაზე, რაოდენობრივი უპირატესობის ნაცვლად.[37]

3.4. სინთეზური შედარება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ესტონეთის, ლატვიის, ლიეტუვის, პოლონეთისა და საქართველოს თავდაცვის, უსაფრთხოებისა და ფისკალური სტრატეგიის ძირითადი პარამეტრების შედარებითი ანალიზი. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, თუ როგორ ადაპტირებენ სახელმწიფოები თავიანთ ფისკალურ პოლიტიკას ცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოსთან.

---

[33] International Monetary Fund. *Poland data*. https://redirme.com/rabn36, (Accessed წლის 19.03. 2026).

[34] International Monetary Fund. *Georgia: 2025 Article IV Consultation* (Washington, D.C.: IMF, 2025) https://redirme.com/war47r, (Accessed, 19.03. 2026).

[35] Eurostat, Government Finance Statistics (2024). https://redirme.com/zpeh7x, ; IMF, Georgia: 2025 Article IV Consultation (Washington, D.C.: IMF, 2025). (Accessed 19.03. 2026).

[36] „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი (2011, ბოლო ცვლილება 2024), მუხლი 2: ბიუჯეტის დეფიციტი — მშპ-ის არაუმეტეს 3%, მთავრობის ვალი — მშპ-ის არაუმეტეს 60%. https://redirme.com/r9y45t, ; Eurostat, Government Finance Statistics (2024). (გადამოწმებულია, 19.03. 2026).

[37] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, *ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2026–2029 წლებისათვის* (თბილისი, 2026). https://www.mof.ge/ka/BDD (გადამოწმებულია, 19.03. 2026).

ცხრილი 1. შედარებითი ანალიზი: ფისკალური სტრატეგია და გეოპოლიტიკური კონტექსტი.[38]

კრიტერიუმი	ესტონეთი	ლატვია	ლიეტუვა	პოლონეთი	საქართველო
ნატოს სტატუსი	სრული წევრი (2004)	სრული წევრი (2004)	სრული წევრი (2004)	სრული წევრი (1999)	ასპირანტი (2008+)
თავდ. ბიუჯეტი (GDP %)	~3.38% (2025)	~3.73% (2025)	~4.00% (2025)	~4.48% (2025)	~1.8% (2024)
გეოპ. რისკი	სასაზღვრო ზეწოლა (კალინინგ.)	ეგზისტ. საფრთხე (კალინ.+ბელ.)	ეგზისტ. საფრთხე (კალინ.+ბელ.)	ლიდერობის ამბიცია (EU/NATO)	ოკუპაცია 20% (2008+)
სტრატ. ტიპი	ეფექტ. მოდელი (MTEF)	ეფექტ. მოდელი (MTEF)	ეფექტ. მოდელი (MTEF)	ამბიც. ინვესტ. მოდელი	ოპტიმ. მოდელი (MTEF)
მე-5 მუხლის (Art. 5) გარანტია	კი	კი	კი	კი	არა
OBI (გამჭვირვალობის) ქულა	N/A	N/A	N/A[39]	59/100, 2023	№1 მსოფლ. (87/100, 2023)
საბიუჯეტო ჩარჩო	MTEF+ პროგრ.	MTEF+ პროგრ.	MTEF+ პროგრ.	MTEF+PPBS	MTEF+პროგრ. (2011-დან)

ანალიტიკური მიმოხილვა

მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს მნიშვნელოვან კორელაციას ნატოს წევრობის სტატუსსა და ფისკალური სტრატეგიის ხასიათს შორის. ნატოს სრულუფლებიანი წევრები (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი) მეტწილად ეყრდნობიან კოლექტიური თავდაცვის მექანიზმებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი ინარჩუნებენ მაღალ თავდაცვით დანახარჯებს. ეს ფენომენი აიხსნება მათი გეოპოლიტიკური მდებარეობით და „ტვირთის თანაბარი გაზიარების“ (*burden-sharing*) პრინციპისადმი ერთგულებით.

საქართველოს შემთხვევა განსხვავებულია: მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა არ სარგებლობს მე-5 მუხლის კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიებით, ის ახერხებს თავდაცვის ხარჯების მუდმივ ზრდას და მაღალ ფისკალურ დისციპლინას. საქართველოს მიერ ღია

[38] *წყარო: NATO Defence Expenditure Report 2025; Open Budget Survey 2023; International Monetary Fund 2024; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი; ავტორის სინთეზი.*

[39] ბალტიის სახელმწიფოები — ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა — არ შედიან ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) 2023 წლის შეფასების 125 ქვეყნის ნუსხაში; შესაბამისად, OBI ქულა მათთვის მიუწვდომელია (N/A). OBI-ს არარსებობა არ ნიშნავს ბიუჯეტის გამჭვირვალობის დაბალ დონეს — ეს ასახავს IBP-ის შერჩევის პროცედურას, რომელიც უპირატესად განვითარებადი ქვეყნებისა და ემერჯენტული ეკონომიკების შეფასებაზეა ორიენტირებული. International Budget Partnership, Open Budget Survey 2023 (Washington, D.C.: IBP, 2024). https://redirme.com/gx6mej

ბიუჯეტის ინდექსში მიღწეული პირველი ადგილი (№1 მსოფლიოში) მიუთითებს იმაზე, რომ გამჭვირვალობა წარმოადგენს საქართველოს „რბილი ძალის“ (soft power) იმ მნიშვნელოვან რესურსს, რომლითაც ქვეყანა ცდილობს გარკვეულწილად აანაზღაუროს უსაფრთხოების არქიტექტურაში არსებული ასიმეტრია.

წინამდებარე კვლევის ანალიტიკური ჩარჩოს ფარგლებში, საქართველოს სტრატეგიული მიდგომა შეიძლება დახასიათდეს, როგორც „ოპტიმიზაციის მოდელი", რომელიც ორიენტირებულია PARP-ის ჩარჩოს ფარგლებში ნატოს სტანდარტებთან ინტეროპერაბილობის მიღწევაზე.[40] ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ფორმალური უსაფრთხოების ქოლგა, საჯარო ფინანსების მაღალი დისციპლინა და ბიუჯეტის გამჭვირვალობა შეიძლება წარმოადგენდეს ევროატლანტიკური ლეგიტიმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

4. ბიუჯეტის გამჭვირვალობა და ევროატლანტიკური ლეგიტიმაცია

ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მყოფ ასპირანტ ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება, მაქსიმალურად შეათავსონ საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემები საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან. მნიშვნელოვანია განვასხვავოთ გამჭვირვალობა, როგორც ***სუბსტანციური*** *(არსებითი)* მმართველობის პარამეტრი - ანუ საჯარო ფინანსების მართვის რეალური ხარისხის გამოხატულება - გამჭვირვალობისგან, როგორც ***სიგნალისაგან,*** რომელიც მიმართულია გარე აუდიტორიის - ინვესტორების, დონორების ან ინტეგრაციის პარტნიორების - დასარწმუნებლად; სწორედ PEFA-ს შეფასება, რომელიც სახელმწიფო ხარჯვის ციკლის 94 ინდივიდუალურ განზომილებას - ბიუჯეტის სანდოობიდან გარე აუდიტამდე -ზომავს დამოუკიდებელი გადამოწმების პროცესის საფუძველზე, სუბსტანციური ინტერპრეტაციის ემპირიულ საფუძველს ქმნის და საშუალებას იძლევა, საქართველოს შემთხვევა *სუბსტანციური გამჭვირვალობის* და არა მხოლოდ *სიგნალის* მაგალითად განვიხილოთ.[41] საქართველოსთვის ბიუჯეტის გამჭვირვალობა არ არის მხოლოდ ტექნიკური აუცილებლობა; ის წარმოადგენს ინტეგრაციის გეოპოლიტიკური ლეგიტიმაციის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს, რომელიც ადასტურებს ქვეყნის მზაობას, მართოს საჯარო ფინანსები ევროატლანტიკური მმართველობის სტანდარტების შესაბამისად.

---

[40] NATO, *Planning and Review Process,* last Updated: 06 May 2025. https://redirme.com/gtr6a3, „ოპტიმიზაციის მოდელი" ავტორის ანალიტიკური კლასიფიკაციაა.

[41] PEFA Secretariat, *Georgia Public Expenditure and Financial Accountability Assessment 2022*. (Washington, D.C.: World Bank / PEFA Secretariat, 2022). https://redirme.com/9nz64y, (Accessed 19.03. 2026).

4.1. PEFA ჩარჩო და ღია ბიუჯეტის ინდექსი (Open Budget Index)

სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ჩარჩო (Public Expenditure and Financial Accountability - PEFA) 31 ინდიკატორის მეშვეობით ზომავს საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობასა და სანდოობას.[42] საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ამ მიმართულებით მოწმობს მყარ ინსტიტუციურ ტრანს-ფორმაციას: 2022 წლის PEFA შეფასებით, საქართველო 59 ქვეყანას შორის პირველ ადგილს იკავებს მუდმივი გაუმჯობესების კუთხით; 94 შეფასებული განზომილებიდან 21 გაუმჯობესდა, 66 - შენარჩუნდა, და მხოლოდ 7 -გაუარესდა.[43]

ღია ბიუჯეტის ინდექსში (Open Budget Index 2023) საქართველო 87/100 ქულით მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის პირველ ადგილს იკავებს, რაც გლობალური მასშტაბით უპრეცედენტო შედეგია. ბიუჯეტის ზედამხედველობის კომპონენტში ქვეყანა 125 სა-ხელმწიფოს შორის მე-4 ადგილზეა (83/100 ქულა). აღნიშნული მაჩვენებლები ადასტურებს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმართული მმართველობითი ვალდებულე-ბები უკვე რეალურ, გაზომვად ფინანსურ პოლიტიკაშია ტრანსფორმირებული. გამ-ჭვირვალობის ასეთი მაღალი ხარისხი ამცირებს კორუფციულ რისკებს და ზრდის საერთაშორისო პარტნიორების ნდობას საქართველოს ფისკალური სისტემის მიმართ.[44]

4.2. ნატოს ინტეროპერაბილობა და ბიუჯეტის სტრუქტურული ტრანსფორმაცია

ნატოს სტანდარტიზაციის შეთანხმებები (STANAG) მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს ეროვნული ბიუჯეტის სტრუქტურულ ნომენკლატურაზე, რაც აუცილებელია ალიანსის წევრებთან სამხედრო და ფინანსური თავსებადობის მისაღწევად. საქართველო 2011 წლი-დან აქტიურად იყენებს პროგრამულ ბიუჯეტირებას, რაც ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის სტრატეგიულ მიდგომას უსვამს ხაზს.[45]

ამ პროცესის გრძელვადიანი ეფექტი პოზიტიურია: საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩოს (MTEF), პროგრამული ბიუჯეტირების და შესრულების მკაცრი კონტროლის დან-ერგვა უზრუნველყოფს თავდაცვის ხარჯების რაციონალურ განაწილებას.[46] შედეგად, ბიუჯეტის სტრუქტურა ხდება მეტად მოქნილი და ადაპტირებადი ნატოს თავდაცვის

---

[42] PEFA Secretariat, *Framework for Assessing Public Financial Management* (Washington, D.C.: PEFA Secretariat, 2016), 6. https://redirme.com/bsgmff, (Accessed, 19.03. 2026).

[43] Ibid. PEFA Secretariat, , 2022.

[44] International Budget Partnership, *Open Budget Survey 2023: Georgia* (Washington, D.C.: IBP, 2024), 3. https://redirme.com/2a7pz9, (Accessed, 19.03. 2026).

[45] საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385, 2011 წლის 8 ივლისი, „პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის შესახებ." (თბილისი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011). https://redirme.com/n2rhss

[46] World Bank, *Beyond the Annual Budget: Global Experience with Medium-Term Expenditure Frameworks* (Washington, D.C.: World Bank, 2013), 2.

დაგეგმვის პროცესებთან (NDPP), რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ქვეყნის თავდაცვის-უნარიანობას და აჩქარებს ინტეროპერაბილობის მიღწევის პროცესს.[47]

დასკვნა და პოლიტიკის რეკომენდაციები

წინამდებარე ნაშრომში განხილული ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია სამი ფუნდამენტური დებულების გამოყოფა, რომლებიც განსაზღვრავს თანამედროვე სახელ-მწიფოთა ფისკალურ ქცევას გეოპოლიტიკური გაურკვევლობის პირობებში:

1. *გეოპოლიტიკა, როგორც ბიუჯეტის განმსაზღვრელი ფაქტორი:* თანამედროვე გეოპო-ლიტიკური ტრანსფორმაციები პირდაპირ ზემოქმედებს ეროვნული ბიუჯეტის სტრუქ-ტურაზე. ბიუჯეტი აღარ არის მხოლოდ ტექნიკური, აღრიცხვითი დოკუმენტი; იგი წარ-მოადგენს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ვალდებულებების, სტრატეგიული პრიორი-ტეტებისა და უსაფრთხოების ამბიციების ფინანსურ გამოხატულებას.
2. *ფისკალური გამჭვირვალობა, როგორც ლეგიტიმაციის ინსტრუმენტი:* ევროატლანტ-იკური ინტეგრაციისკენ მიმავალი ასპირანტი სახელმწიფოებისთვის ბიუჯეტის გამჭ-ვირვალობა მმართველობის მხოლოდ ტექნიკური პარამეტრი არ არის. იგი ინტეგრაციის პროცესის გეოპოლიტიკური ლეგიტიმაციის ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომელიც ად-ასტურებს ქვეყნის მზაობას, შეესაბამებოდეს ევროატლანტიკური მმართველობის სტან-დარტებს.
3. *ფისკალური ტრილემის მართვის მოდელები:* საქართველო წარმოადგენს ე.წ. „ფისკალუ-რი ტრილემის“ - თავდაცვის უზრუნველყოფის, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების - მართვის ორიგინალურ შემთხვევას. კვ-ლევა მიუთითებს, რომ ქართული ოპტიმიზაციის სტრატეგია, რომელიც ფოკუსი-რებულია ინტეროპერაბილობასა და ინსტიტუციურ ეფექტიანობაზე, მიმდინარე გეო-პოლიტიკურ ვითარებაში ერთ-ერთ ყველაზე მდგრად მიდგომას წარმოადგენს იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც მოქმედებენ ფორმალური უსაფრთხოების გარანტი-ების გარეშე.

ნაშრომში განხილული სამი სტრატეგიული მოდელიდან, საქართველოს ფისკალური, გეოპოლიტიკური და ინსტიტუციური კონტექსტის გათვალისწინებით, ოპტიმიზაციის სტრატეგია წარმოადგენს ყველაზე რეალისტურ მიდგომას: იგი ეყრდნობა არსებულ PFM ინფრასტრუქტურას და არ მოითხოვს ფისკალური სივრცის მკვეთრ გაფართოებას. ამ

[47] A.C. Taliaferro et al., *Defense Governance and Management: Improving the Defense Management Capabilities of Foreign Defense Institutions* (Alexandria, VA: Institute for Defense Analyses, 2017), 22–25.

ჩარჩოში ინსტიტუციური ტრანსფორმაცია - MTEF-ის, პროგრამული ბიუჯეტირებისა და გამჭვირვალობის სტანდარტების განვითარება - არ არის მხოლოდ ტექნიკური პროცესი, არამედ ნატოსთან ინტეგრაციის არამატერიალური, თუმცა სტრატეგიულად მყარი ინვესტიცია. ფისკალური ოპტიმიზაცია საშუალებას აძლევს ქვეყანას, გაუძლოს გეოპოლიტიკურ შოკებს და შეინარჩუნოს სუვერენიტეტი - პირობებში, სადაც თავდაცვისა და ეკონომიკური განვითარების რესურსები კონკურენციას უწევენ ერთმანეთს. საბოლოოდ, ამ ტრილემის გადაწყვეტა დამოკიდებულია არა მხოლოდ ბიუჯეტის ციფრებზე, არამედ იმ პოლიტიკურ ნებასა და მმართველობით კულტურაზე, რომელიც უსაფრთხოებას, დემოკრატიასა და ეკონომიკურ პროგრესს ერთ კოჰერენტულ სახელმწიფოებრივ პროექტად აერთიანებს. ეს კვლევა წარმოადგენს ამ კავშირის ანალიტიკურ დასაბუთებას და ემსახურება მომავალი კვლევებისთვის ემპირიული ბაზის შექმნას.

პოლიტიკის რეკომენდაციები

საქართველოს უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგრადობის გასაძლიერებლად, მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- *გამჭვირვალობის სტანდარტების შენარჩუნება და განვითარება:* ბიუჯეტის გამჭვირვალობის გლობალური ლიდერის პოზიციების (OBI 2023: 87/100) შენარჩუნებასთან ერთად, აუცილებელია მოქალაქეთა მონაწილეობითი ბიუჯეტირების კომპონენტის (44/100) გაძლიერება, რაც გაზრდის საზოგადოებრივ ნდობასა და ჩართულობას.
- *დაგეგმვის პროცესების ჰარმონიზება:* საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩოს (MTEF) სრული ჰარმონიზება თავდაცვის დაგეგმვის პროცესთან, რაც უზრუნველყოფს თავდაცვითი საჭიროებებისა და ფინანსური შესაძლებლობების სინქრონიზაციას.
- *სამხედრო-სამრეწველო სინერგიის განვითარება:* საქართველოს ფისკალური შესაძლებლობების ფარგლებში, ადგილობრივი თავდაცვითი ინდუსტრიის თანდათანობითი სტიმულირება და ტექნოლოგიური ტრანსფერის წახალისება, რაც შეამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას და შექმნის დამატებით ეკონომიკურ ეფექტს.
- *საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება:* თავდაცვისა და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტის ანალიტიკური შესაძლებლობების გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნას თავდაცვის ხარჯების შესრულების მუდმივი და მაღალკვალიფიციური მონიტორინგი.

- *ინსტიტუციური თანამშრომლობის გაღრმავება:* პარტნიორ ქვეყნებთან საბიუჯეტო გამოცდილების გაზიარების ფორმალური ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს საერთო უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვას.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78 (2017 წლის კონსტიტუციური ცვლილება). https://redirme.com/7s6xe6, (გადამოწმებულია, 19.03. 2026).

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. *2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.* თბილისი, 2024. https://redirme.com/h6wjnv, (გადამოწმებულია, 19.03. 2026).

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. *ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2026-2029 წლებისათვის.* თბილისი, 2026. https://www.mof.ge/ka/BDD, (გადამოწმებულია, 19.03. 2026).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385, 2011 წლის 8 ივლისი, „პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის შესახებ." თბილისი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011. https://redirme.com/374d6y

საქართველოს პარლამენტი. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი. 2011 წლის 1 ივლისი, №4985-რს (ბოლო ცვლილება: 2024 წლის 27 ივნისი, №4296). მუხლი 2. https://redirme.com/6p353p, (გადამოწმებულია, 19.03. 2026).

Born, H., P. Fluri, and A. Johnsson, red. *Parliamentary Oversight of the Security Sector.* Geneva: DCAF, 2003. https://redirme.com/vx4fkr, (Accessed, 19.03. 2026).

Byrd, W. "The Financial Dimension of Security Sector Reform." In The Future of Security Sector Reform, red. M. Sedra, 301–314. Waterloo: CIGI, 2010. https://redirme.com/pxs9h3, (Accessed, 19.03. 2026).

Castagnoli, R. *Poland's Military Surge: Strategic Investments and Recent Developments in Polish Armed Forces.* Finabel, 2024. https://redirme.com/jqx5jg , (Accessed, 19.03. 2026).

Estonian Ministry of Defence. *National Defence Development Plan 2022–2031; Ministry of Defence Development Plan 2024–2027* . Tallinn: Estonian Ministry of Defence, 2024. https://redirme.com/qggpxf, (Accessed, 19.03. 2026).

Estonian Ministry of Defence. *Ministry of Defence Development Plan 2024–2027* (Tallinn: Estonian Ministry of Defence, 2024). https://redirme.com/bnkkgk, (Accessed 19.03. 2026).

Estonian Ministry of Defence. „Defence Budget." https://redirme.com/7vkq2q, (Accessed 19.03. 2026).

Estonian Ministry of Defence; Latvia Ministry of Defence; Baltic Defence College, https://www.baltdefcol.org, (Accessed, 19.03. 2026).

European Council. *Security Action for Europe (SAFE)* (Brussels: Council of the EU, 27 May 2025). https://redirme.com/cd4t2n, (Accessed, 19.03. 2026).

Eurostat, Government Finance Statistics (2024). https://redirme.com/4fe3zr, (Accessed, 19.03. 2026).

Fleming, J. Marcus. „Domestic Financial Policies under Fixed and under Floating Exchange Rates." IMF Staff Papers 9, №3 (1962): 369–380. https://redirme.com/x4caqn, (Accessed, 19.03. 2026).

Hartley, Keith. *The Economics of Defence Policy: A New Perspective*. London: Routledge. 2011. https://redirme.com/r523qe, (Accessed, 19.03. 2026).

Heller, Peter S. 2005. *Understanding Fiscal Space*. IMF Policy Discussion Paper PDP/05/04. Washington, DC: International Monetary Fund. https://redirme.com/yv562h, (Accessed, 19.03. 2026).

International Budget Partnership. *Open Budget Survey 2023: Georgia.* Washington, D.C.: IBP, 2024. https://redirme.com/zeqah9, (Accessed, 19.03. 2026).

International Monetary Fund. *Poland data.* https://redirme.com/embcat, (Accessed, 19.03. 2026).

International Monetary Fund. *Georgia: 2025 Article IV Consultation* (Washington, D.C.: IMF, 2025). https://redirme.com/kwjm7b, (Accessed, 19.03. 2026).

Iura, A. "Sustainable Defence Economics: Evaluating the Impact of Public Sector Financing Models on National Security Outcomes." International Conference KNOWLEDGE-BASED ORGANIZATION 31, № 2 (2025): 53–61. https://redirme.com/6aenx6, (Accessed, 19.03. 2026).

Mundell, Robert A. „Capital Mobility and Stabilization Policy under Fixed and Flexible Exchange Rates." Canadian Journal of Economics and Political Science 29, №4 (1963): 475–485. https://redirme.com/zxsk7n, (Accessed, 19.03. 2026).

Musgrave, Richard A. *The Theory of Public Finance: A Study in Public Economy*. New York: McGraw-Hill, 1959. https://redirme.com/65qnsn, (Accessed, 19.03. 2026).

NATO. *Bucharest Summit Declaration.* Brussels: NATO, 2025. https://redirme.com/fnfq3b , (Accessed 19.03. 2026).

NATO. *Defence Expenditure of NATO Countries (2014–2025).* Brussels: NATO, 2025. https://redirme.com/rkhkdb, (Accessed, 19.03. 2026).

NATO. *Funding NATO.* Brussels: NATO, 2025. https://redirme.com/hx5p5j, (Accessed 19.03. 2026).

NATO. *Hague Summit Declaration*. The Hague: NATO, 25 June 2025. https://redirme.com/xu924v, (Accessed, 19.03. 2026).

NATO. *Planning and Review Process.* last Updated: 06 May 2025. https://redirme.com/jgfv26, (Accessed, 19.03. 2026).

NATO. *Relations with Georgia.* Brussels: NATO, 2025. https://redirme.com/y22ewd, (Accessed, 19.03. 2026).

PEFA Secretariat. *Framework for Assessing Public Financial Management.* Washington, D.C.: PEFA Secretariat, 2016. https://redirme.com/kz7skp, (Accessed, 19.03. 2026).

Rzeczpospolita Polska. *Ustawa z dnia 11 marca 2022 r. o obronie Ojczyzny [Act on the Defense of the Homeland],* Dz.U. 2022 poz. 655, Art. 41. https://redirme.com/md5xhr, (Accessed, 19.03. 2026).

Robinson, M. "Performance Budgeting Models and Mechanisms." In Performance Budgeting, red. M. Robinson. London: Palgrave Macmillan, 2007. https://www.pfmresults.com/files/Chapter-1.pdf

Rodrik, Dani. The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy. New York: W. W. Norton & Company, 2011. http://digamo.free.fr/rodrikg11.pdf, (Accessed, 19.03. 2026).

Sandler, Todd, and Keith Hartley. *The Economics of Defense*. Cambridge: Cambridge University Press. 1995. https://redirme.com/ryuubn, (Accessed, 19.03. 2026).

Sandler, Todd, and Keith Hartley. *The Political Economy of NATO: Past, Present, and into the 21st Century.* Cambridge: Cambridge University Press, 1999. https://redirme.com/pmb3vp, (Accessed, 19.03. 2026).

Schelling, Thomas C. *Arms and Influence*. New Haven: Yale University Press, 1966.

Sprūds, A., & M. Andžāns (Eds.), *Security in the Baltic Sea Region: Realities and Prospects. The Rīga Conference Papers 2017* (pp. 14-22). Latvian Institute of International Affairs. https://redirme.com/7k4vk2, (Accessed, 19.03. 2026).

Scholz, Olaf „Policy Statement by the Federal Chancellor" [Regierungserklärung], German Bundestag, 27 February 2022. https://redirme.com/ubtd5s, (Accessed, 19.03. 2026).

Taliaferro, A. C., et al. *Defense Governance and Management: Improving the Defense Management Capabilities of Foreign Defense Institutions, Part 1: Program Budgeting and Program Analysis Seminar.* Alexandria, VA: Institute for Defense Analyses, March, 2017. https://redirme.com/3qsews, (Accessed, 19.03. 2026).

Terlikowski, M. „Defence and Industrial Policy in Poland - IRIS." 2017 https://redirme.com/qw5r57, (Accessed, 19.03. 2026).

TORBICKA, K. *POLAND'S SECURITY IN THE 21ST CENTURY: CHALLENGES, STRATEGIES AND PROSPECT*. The Fondation pour l'innovation politique, 2025. https://redirme.com/fetg4j, (Accessed, 19.03. 2026).

World Bank. *Beyond the Annual Budget: Global Experience with Medium-Term Expenditure Frameworks*. Washington, D.C.: World Bank, 2013. https://redirme.com/pn4cqq, (Accessed, 19.03. 2026).

გლობალიზაციის გავლენა ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაზე

გიგი დუჩიძე
სსიპ დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

კვლევა ეხება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობას XXI საუკუნის გლობალიზაციის პირობებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკების იდენტიფიკაციაზე, მათი მართვის მექანიზმებზე და სახელმწიფო სტრატეგიების ეფექტიანობაზე. კვლევის მიზანია გაანალიზოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მოწყვლადობა გლობალური პროცესების მიმართ და შემუშავდეს რეკომენდაციები ეროვნული ეკონომიკური მდგრადობის გასაძლიერებლად.

კვლევა ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ გლობალიზაციის ზრდა ერთდროულად ქმნის შესაძლებლობებს ეკონომიკური განვითარებისთვის და ზრდის პოლიტიკურ-ეკონომიკურ რისკებს, ხოლო სახელმწიფოს სტრატეგიული და სისტემური მოქმედებები მნიშვნელოვნად ამცირებს აღნიშნული რისკების გავლენას. კვლევამ დაადგინა, რომ ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება არის მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ფინანსურ სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, საინვესტიციო გარემოს დაცვას, ტექნოლოგიურ პროგრესსა და საერთაშორისო თანამშრომლობას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიტიკური სტაბილურობა, კანონის უზენაესობა, ფინანსური რეგულირება და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულება პირდაპირ განაპირობებს ეკონომიკურ მდგრადობას. როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მაგალითები ადასტურებს, რომ სახელმწიფო სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ფინანსურ დივერსიფიკაციას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ინოვაციების ინტეგრაციას და კრიზისების მართვის მექანიზმებს, ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას გლობალური გამოწვევების მიმართ.

რეკომენდაციები მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის გაძლიერებას, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ენერგეტიკული დივერსიფიკაციის განვითარებას, რისკების მართვის სისტემების და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, ასევე საზოგადოების ეკონომიკური განათლებისა და ინფორმირებულობის ზრდას. კვლევის შედეგები ადასტურებს ჰიპოთეზას და წარმოადგენს საფუძველს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მომავლის სტრატეგიული ფორმირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება, გლობალიზაცია, პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკები, სახელმწიფო სტრატეგია, ფინანსური სტაბილურობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ინოვაციები, საერთაშორისო თანამშრომლობა.

The impact of globalization on the national economic security system

Givi Duchidze
Associate Professor of Bachelor's program in Management of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Business Administration

Abstract

This study examines the state of national economic security in the context of 21st-century globalization, with particular emphasis on identifying political-economic risks, their management mechanisms, and the effectiveness of state strategies. The aim of the research is to analyze the vulnerabilities of the national security system to global processes and to develop recommendations to strengthen national economic resilience.

The research is based on the hypothesis that globalization simultaneously creates opportunities for economic development and increases political-economic risks, while strategic and systematic state actions significantly mitigate the impact of these risks. The study found that national economic security is a multi-component system encompassing financial stability, energy security, investment protection, technological advancement, and international cooperation.

The findings indicate that political stability, rule of law, financial regulation, and adherence to international agreements directly affect economic resilience. Both national and international case studies confirm that state strategies involving financial diversification, energy security, integration of innovations, and crisis management mechanisms enhance a country's economic resilience against global shocks.

The recommendations include strengthening strategic economic planning, ensuring financial stability, developing energy diversification, improving risk management systems, enhancing international cooperation, and increasing public economic literacy and awareness. The research confirms the hypothesis and provides a foundation for the strategic development of national economic security policies.

Keywords: national economic security, globalization, political-economic risks, state strategy, financial stability, energy security, innovations, international cooperation.

შესავალი

XXI საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკური სისტემა განიცდის სწრაფ და მრავალმხრივ ტრანსფორმაციას, რომლის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს გლობალიზაცია. გლობალიზაცია გულისხმობს ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური და კულტურული პროცესების ინტენსიურ ინტეგრაციას, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებს სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის ზრდა და ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ქმნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს, სადაც ეროვნული ეკონომიკები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვნად ზრდის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, თუმცა ამავდროულად წარმოშობს ახალ ეკონომიკურ რისკებსა და გამოწვევებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

მსოფლიო ეკონომიკური პრაქტიკა არაერთ მაგალითს გვთავაზობს, როდესაც გლობალურმა ეკონომიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეროვნული ეკონომიკების სტაბილურობასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მრავალი სუსტი მხარე წარმოაჩინა და მნიშვნელოვნად დააზარალა მრავალი ქვეყნის ეკონომიკა. აღნიშნულმა კრიზისმა ნათლად აჩვენა, რომ გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოება აღარ არის მხოლოდ შიდა ეკონომიკური პოლიტიკის საკითხი, არამედ იგი პირდაპირ არის დაკავშირებული საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებთან და გლობალური ფინანსური სისტემის სტაბილურობასთან.

ეკონომიკური უსაფრთხოება თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ კომპონენტად მიიჩნევა. იგი გულისხმობს ეკონომიკური სისტემის ისეთ მდგომარეობას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვას, ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას და მდგრადი განვითარების შესაძლებლობას. ეკონომიკური უსაფრთხოება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა ფინანსური სტაბილურობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, საგარეო ვაჭრობის ბალანსი, ტექნოლოგიური განვითარება და ეკონომიკური რესურსების ეფექტიანი მართვა. სწორედ ამ ფაქტორების ერთობლიობა განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის მდგრადობას და მის შესაძლებლობას წარმატებით გაუმკლავდეს გლობალური ეკონომიკური გარემოს გამოწვევებს.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა კიდევ უფრო რთულ ამოცანად გადაიქცევა. საერთაშორისო ბაზრებზე მაღალი ინტეგრაცია ზრდის საგარეო ეკონომიკურ დამოკიდებულებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან გამოწვევად იქცევა მცირე და ღია ეკონომიკებისთვის. ასეთ ქვეყნებში ეკონომიკური სტაბილურობა ხშირად დამოკიდებულია საერთაშორისო ვაჭრობაზე, უცხოურ ინვესტიციებზე და გლობალური ფინანსური სისტემის მდგომარეობაზე. ამ პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ეფექტიან ინტეგრაციას და ამავდროულად იცავს ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს.

გლობალიზაციის პროცესების პარალელურად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციასა და ციფრულ ეკონომიკას. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, ელექტრონული კომერციის ზრდა და მონაცემებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად ცვლის ეკონომიკური საქმიანობის ფორმებსა და სტრუქტურას. ეს პროცესები ქმნის ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკური განვითარებისათვის, თუმცა ამავდროულად წარმოშობს კიბერუსაფრთხოების, ტექნოლოგიური დამოკიდებულებისა და ეკონომიკური მონაცემების დაცვის ახალ გამოწვევებს. შესაბამისად, თანამედროვე პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემამ უნდა მოიცვას არა მხოლოდ ტრადიციული ეკონომიკური ფაქტორები, არამედ ციფრული ეკონომიკისა და ტექნოლოგიური უსაფრთხოების საკითხებიც.

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ გარემოში ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება გეოპოლიტიკური დაძაბულობის, საერთაშორისო სავაჭრო კონკურენციისა და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პირობებში. ენერგეტიკული ბაზრების არასტაბილურობა, სავაჭრო შეზღუდვები, ფინანსური კრიზისები და გლობალური ეკონომიკური შოკები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკების სტაბილურობაზე. ასეთ პირობებში სახელმწიფოებს უწევთ ეკონომიკური პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიების ისეთი მოდელების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკური სისტემის მდგრადობას და ხელს უწყობს ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნებას. ეკონომიკური ურთიერთობების და გლობალური ფინანსური სისტემის სიღრმისეულ ანალიზს. სწორედ ამიტომ გლობალიზაციისა და ეკონომიკური უსაფრთხოების ურთიერთკავშირის კვლევა წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

კვლევის მიზანია გლობალიზაციის პროცესების გავლენის ანალიზი ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაზე და იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტიანობას თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში. კვლევის ფარგლებში განხილული იქნება ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული საფუძვლები, გლობალიზაციის ეკონომიკური ასპექტები, მისი გავლენა ეროვნული ეკონომიკების სტაბილურობაზე და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა გლობალიზაციის პირობებში, ხოლო კვლევის საგანია გლობალური ეკონომიკური პროცესების გავლენა ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად კომპონენტებსა და მექანიზმებზე. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის, შედარებითი კვლევის, სტატისტიკური მონაცემების შეფასებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის მეთოდები.

აღნიშნული საკითხის კვლევა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას. შესაბამისად, გლობალიზაციისა და ეკონომიკური უსაფრთხოების ურთიერთკავშირის შესწავლა ხელს უწყობს ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას, ეკონომიკური რისკების მართვის მექანიზმების გაუმჯობესებას და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პირობებში.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკური უსაფრთხოების ცნებამ პირველად აქტიურად დაიწყო გამოყენება XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეკონომიკური რისკების დონე. ამ პერიოდში ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილებოდა როგორც სახელმწიფოს უნარი უზრუნველყოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ეკონომიკური რესურსების ეფექტიანი გამოყენება. თანამედროვე პირობებში აღნიშნული ცნება მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცავს ეკონომიკური განვითარების მრავალ ასპექტს, მათ შორის ფინანსურ სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ინოვაციურ განვითარებასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს.

კვლევებში ეკონომიკური უსაფრთხოება ხშირად განიმარტება როგორც ისეთი ეკონომიკური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დაცვას შიდა და გარე ეკონომიკური საფრთხეებისგან. როგორც ბრიტანელი მკვლევარი ბარი ბუზანი აღნიშნავს, ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან განზომილებას და მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების შესაძლებლობებთან.[1]

ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს მრავალგანზომილებიან სისტემას, რომელიც მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს. მეცნიერები ეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურაში რამდენიმე ძირითად კომპონენტს გამოყოფენ, რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის მდგრადობას და განვითარების შესაძლებლობებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ფინანსური უსაფრთხოება, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ფინანსური სისტემის სტაბილურობასთან. ფინანსური უსაფრთხოება გულისხმობს საბანკო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, სახელმწიფო ფინანსების მდგრადობას და ინფლაციის კონტროლის შესაძლებლობას. ფინანსური სისტემის სტაბილურობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური განვითარებისათვის, რადგან იგი უზრუნველყოფს ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტობას და საინვესტიციო გარემოს სტაბილურობას.

ეკონომიკური უსაფრთხოების კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოად-გენს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თანამედროვე ეკონომიკაში ენერგეტიკული რესურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური განვითარების პროცესში. ენერგეტიკული რესურსების ხელმისაწვდომობა და მათი სტაბილური მიწოდება განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობას და ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობას. სწორედ ამიტომ ენერგეტიკული უსაფრთხოება განიხილება როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ელემენტი.

მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ასევე საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ვაჭრობასთან, ექსპორტისა და იმპორტის ბალანსთან და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებთან. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების

[1] Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* (Boulder: Lynne Rienner Publishers, 1991).

პროცესზე, ამიტომ საგარეო ეკონომიკური დამოკიდებულება შეიძლება გახდეს როგორც ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა, ასევე ეკონომიკური რისკების წყარო.

ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკური ინდიკატორები. მათ შორის მნიშვნელოვანია ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდის ტემპი, ინფლაციის დონე, სახელმწიფო ვალის მოცულობა, საგარეო სავაჭრო ბალანსი და ინვესტიციების მოცულობა. აღნიშნული ინდიკატორები საშუალებას იძლევა შეფასდეს ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა და გამოვლინდეს ეკონომიკური უსაფრთხოების შესაძლო რისკები.

როგორც ამერიკელი ეკონომისტი, ნობელიანტი ჯოზეფ სტიგლიცი აღნიშნავს, ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური უსაფრთხოების დონეზე, რადგან სწორად დაგეგმილი ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემის მდგრადობას და ეკონომიკური კრიზისების პრევენციას.[2]

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად. ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენს სახელმწიფოს შესაძლებლობას დაიცვას საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები შიდა და გარე საფრთხეებისგან. ეკონომიკური ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

ეკონომიკური სტაბილურობა ქმნის საფუძველს სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობისათვის. ძლიერი ეკონომიკა უზრუნველყოფს სახელმწიფოს ფინანსურ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია თავდაცვის, სოციალური პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის. შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოება პირდაპირ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების სხვა მიმართულებებსაც, მათ შორის სამხედრო, სოციალურ და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა გლობალიზაციის პირობებში. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოებს შორის, რაც ზრდის როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობებს, ასევე ეკონომიკური

[2] Joseph Stiglitz, *Globalization and Its Discontents* (New York: W.W. Norton & Company, 2002).

რისკების დონეს. ასეთ პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვას და ეკონომიკური რისკების მართვის მექანიზმების განვითარებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია სახელმწიფოს ინსტიტუციურ შესაძლებლობებზე, ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ დაგეგმვაზე და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიან მართვაზე. სწორედ ამიტომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა განიხილება როგორც ეროვნული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულება.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესს, რომელმაც ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურა და ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების პირობები. გლობალიზაცია განიხილება როგორც ეკონომიკური, ფინანსური, ტექნოლოგიური და ინსტიტუციური ინტეგრაციის პროცესი, რომელიც ზრდის სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას და ქმნის ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეს. აღნიშნული პროცესი ხასიათდება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო მოძრაობის ზრდით, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც გლობალურ ეკონომიკურ სისტემაზე, ისე ეროვნული ეკონომიკების განვითარებაზე.

გლობალიზაციის ისტორიული განვითარება რამდენიმე ეტაპად შეიძლება განიხილებოდეს. პირველი ეტაპი დაკავშირებულია საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებასთან და მსოფლიო ბაზრების ფორმირებასთან XIX საუკუნეში, როდესაც ინდუსტრიულმა რევოლუციამ მნიშვნელოვნად გაზარდა წარმოების მოცულობა და საერთაშორისო სავაჭრო კავშირები. მეორე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ინსტიტუციური საფუძვლები ჩამოყალიბდა ისეთი ორგანიზაციების შექმნით, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და მოგვიანებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. აღნიშნულმა ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთაშორისო ფინანსური და სა-ვაჭრო სისტემის სტაბილიზაციაში და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებაში.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი განსაკუთრებით დაკავშირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან და ციფრული ეკონომიკის ფორმირებასთან. ინტერნეტის გავრცელებამ, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებმა და ტრანსპორტის

განვითარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ეკონომიკური საქმიანობის გეოგრაფიული შეზღუდვები. შედეგად, საერთაშორისო კომპანიებმა შეძლეს წარმოებისა და მომსახურების გლობალური ქსელების შექმნა, ხოლო სახელმწიფოებმა – უფრო აქტიური მონაწილეობა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.

როგორც ბრიტანელი სოციოლოგი ენტონი გიდენსი აღნიშნავს, გლობალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომლის შედეგად სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები ფართოვდება და ძლიერდება მსოფლიო მასშტაბით, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ეკონომიკური განვითარების ტრადიციულ მოდელებს.[3] სწორედ ამიტომ გლობალიზაციის კვლევა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა.

გლობალიზაციის განვითარებას განაპირობებს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთობლივად განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესს. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება. ბოლო ათწლეულებში საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც დაკავშირებულია როგორც სავაჭრო ბარიერების შემცირებასთან, ისე ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარებასთან. საერთაშორისო ვაჭრობა საშუალებას აძლევს ქვეყნებს გამოიყენონ შედარებითი უპირატესობები და უფრო ეფექტიანად განაწილონ ეკონომიკური რესურსები.

გლობალიზაციის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ზრდა. თანამედროვე პირობებში ფინანსური რესურსები სწრაფად გადაადგილდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რაც ხელს უწყობს ინვესტიციების ზრდას და ეკონომიკური განვითარების პროცესის დაჩქარებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური განვითარების პროცესში, რადგან ისინი ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების გავრცელებას, სამუშაო ადგილების შექმნას და წარმოების ეფექტიანობის ზრდას.

ტექნოლოგიური პროგრესი ასევე წარმოადგენს გლობალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაამარტივა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და შექმნა ახალი შესაძლებლობები გლობალური ეკონომიკური ქსელების ფორმირებისათვის. ციფრული ტექ-

[3] Anthony Giddens, *Runaway World: How Globalization is Reshaping Our Lives* (New York: Routledge, 2000).

ნოლოგიების გამოყენება საშუალებას აძლევს კომპანიებს ეფექტიანად მართონ საერთა-შორისო ოპერაციები და სწრაფად მიიღონ ინფორმაცია მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე პროცესების შესახებ.

გლობალიზაციის პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ასევე ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას. ასეთი კომპანიები წარმოადგენენ გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ სუბიექტს, რადგან ისინი ქმნიან წარმოებისა და მომსახურების საერთაშორისო ქსელებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებზე. როგორც ჯოზეფ სტიგლიცი აღნიშნავს, ტრანსნაციონალური კომპანიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, რადგან ისინი ხელს უწყობენ ტექნოლოგიების გავრცელებას და ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციას.[4]

გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა ეროვნული ეკო-ნომიკების განვითარებაზე. დადებითი ასპექტებიდან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება, ინვესტიციების ზრდა და ტექნოლოგიური პროგრესის გავრცე-ლება. გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენონ მსოფ-ლიო ბაზრების პოტენციალი და გაზარდონ საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობები. საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაცია ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, წარმოების ეფექტიანობის ზრდას და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობე-სებას.

გლობალიზაცია ასევე ხელს უწყობს ცოდნისა და ტექნოლოგიების სწრაფ გავრცელებას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური განვითარების პროცესში. თანამედრო-ვე პირობებში ტექნოლოგიური ინოვაციები სწრაფად ვრცელდება სხვადასხვა ქვეყნებში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური განვითარების ახალ შესაძლებლობებს და წარმოების თა-ნამედროვე მეთოდების დანერგვას.

თუმცა გლობალიზაციას აქვს გარკვეული რისკებიც. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწ-ვევას წარმოადგენს ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდა საერთაშორისო ბაზრებზე. ეროვნული ეკონომიკები უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე, უცხო-ურ ინვესტიციებსა და საერთაშორისო ფინანსურ სისტემაზე. ასეთ პირობებში გლობალურ ეკონომიკაში წარმოშობილმა კრიზისებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ეროვნული ეკონომიკების სტაბილურობაზე.

[4] Ibid. Joseph Stiglitz, 2002.

მსოფლიო ეკონომიკური პრაქტიკა აჩვენებს, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისები სწრაფად ვრცელდება საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელმაც მნიშვნელოვნად იმოქმედა მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ნათლად წარმოაჩინა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ურთიერთდამოკიდებულება.

გლობალიზაციის კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო კონკურენციის ზრდა. მსოფლიო ბაზრებზე ინტეგრაცია ზრდის კონკურენციას ადგილობრივ კომპანიებს შორის, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უარყოფითად აისახოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. ასევე იზრდება ეკონომიკური უთანასწორობის რისკიც, რადგან გლობალიზაციისგან მიღებული სარგებელი სხვადასხვა ქვეყნებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის არათანაბრად ნაწილდება.

ამგვარად, გლობალიზაცია წარმოადგენს მრავალმხრივ ეკონომიკურ პროცესს, რომელიც ერთდროულად ქმნის როგორც განვითარების შესაძლებლობებს, ასევე ეკონომიკურ რისკებს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პროცესების სიღრმისეული ანალიზი და ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის დადებითი ეფექტების მაქსიმალურ გამოყენებას და ეკონომიკური რისკების ეფექტიან მართვას.

გლობალიზაციის პროცესი წარმოშობს მრავალი შესაძლებლობას, მაგრამ ამავდროულად მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის სახელმწიფოების ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემას. ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის უნარი უზრუნველყოს სტაბილურობა, განვითარება და ეროვნული ინტერესების დაცვა შიდა და გარე საფრთხეებისგან. გლობალიზაცია, სთავაზობს ინვესტიციების ზრდას, ტექნოლოგიური ინოვაციების გავრცელებას და საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას, თუმცა ის ასევე ზრდის ეკონომიკურ მოწყვლადობას გლობალურ შოკებთან მიმართებაში.

როგორც ბარი ბუზანსი აღნიშნავს, თანამედროვე ეროვნული უსაფრთხოება აღარ მოიცავს მხოლოდ სამხედრო ან პოლიტიკურ ფაქტორებს; ეკონომიკური უსაფრთხოება გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფოს მდგრადობის შენარჩუნებაში, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში. ფინანსური და სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, ენერგეტიკული ბაზრების მოწყვლადობა, და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები. ეს ქმნის ახალ ტიპის რისკებს, რომლებიც პირდაპირ შეეხება ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური სისტემები უფრო მეტად დამოკიდებული ხდება საერთაშორისო ვაჭრობაზე, უცხოურ ინვესტიციებზე და გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად არიან ინტეგრირებულნი მსოფლიო ბაზრებში, იზიარებენ როგორც სარგებელს, ასევე ეკონომიკურ რისკებს. მაგალითად, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ გლობალური ფინანსური შოკი სწრაფად ვრცელდება მცირე და საშუალო ეკონომიკებზე, სადაც სახელმწიფოების ეკონომიკა ძლიერ არის დამოკიდებული საერთაშორისო ფინანსურ სისტემაზე.[5]

გლობალიზაციამ შექმნა ახალი ტიპის სენსიტიური ფაქტორები, როგორიცაა:

- ფინანსური ბაზრების ინტერ-კავშირი, რაც ზრდის ქვეყნის სტაბილურობის დამოკიდებულებას გლობალურ ფინანსურ პროცესებზე;
- ენერგეტიკული ბაზრების მონოპოლიები, რომლებიც ხელს უწყობს ენერგორესურსებზე დამოკიდებულების გაძლიერებას;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა, რაც ზოგჯერ აძლიერებს ეკონომიკურ პოლიტიკურ დომინირებას საერთაშორისო დონეზე.

ამის შედეგად, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება აღარ შეიძლება განიხილებოდეს იზოლირებულად შიდა პროცესების კონტექსტში. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს გლობალური ეკონომიკური პროცესების გავლენას და სჭირდება ეფექტიანი მექანიზმები რისკების იდენტიფიცირებისა და მართვისათვის.

გლობალიზაციის დადებითი ასპექტები ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით დაკავშირებულია საერთაშორისო თანამშრომლობასთან, ინვესტიციების მოზიდვასთან და ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფ გავრცელებასთან. საერთაშორისო ვაჭრობა საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს გაზარდონ შემოსავლები, გამოიყენონ შედარებითი უპირატესობები და დააჩქარონ ეკონომიკური ზრდა.

ფინანსური გლობალიზაცია ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც დადებითად აისახება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე. ჯოზეფ სტიგლიცი აღნიშნავს, რომ სწორად მართვადი გლობალიზაციას შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური ეფექტიანობა, თუმცა მისი დადებითი ეფექტი პირდაპირ დამოკიდებულია ეკონომიკური პოლიტიკის ხარისხზე.[6]

---

[5] Global Financial Crisis, *Global Financial Crisis Report* (Washington, DC: IMF, 2009).
[6] Ibid. Joseph Stiglitz, 2002.

გლობალიზაცია ასევე ზრდის ცოდნის, ტექნოლოგიების და საუკეთესო პრაქტიკის საერთაშორისო გადანაწილებას. ციფრული ეკონომიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელება საშუალებას აძლევს ეროვნულ კომპანიებს უფრო სწრაფად დანერგონ ინოვაციები, რაც ზრდის კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემის მდგრადობას.

გლობალიზაციის უარყოფითი ეფექტები ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოე-ბის სისტემაზე დაკავშირებულია რისკებთან, რომლებიც ხშირად არის უცხოური და გლობალური წყაროებით გამოწვეული. ესენია:

- ფინანსური კრიზისები და შოკები, რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო ბანკების ქსელებში;
- სავალუტო რისკები, განსაკუთრებით ქვეყნებში, სადაც ვალუტის კონტროლი სუსტია;
- ენერგეტიკული და რესურსული დამოკიდებულება, რაც ზრდის მოწყვლადობას გეოპოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებაში;
- მოლაპარაკების არათანაბარი პირობები საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებში, რაც ზოგჯერ ზღუდავს მცირე ეკონომიკების შესაძლებლობას დაიცვას ეროვნული ინტერესები.

ამ პროცესების გამო, სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ ისეთი სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც მაქსიმალურად ანელებს გლობალური შოკების გავლენას. მაგალითად, სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ეკონომიკური დივერსიფიკაცია, ეროვნული სერვისების მხარდაჭერა და სტრატეგიული სექტორების დაცვა პირდაპირ მიზნად ისახავს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებას.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნება მოითხოვს ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკას და რეგულირების სისტემას. სახელმწიფოები იყენებენ შემდეგ ძირითად მექანიზმებს:

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა–ინფლაციის კონტროლი, სახელმწიფო ვალის მართვა, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სიღრმისეული დაგეგმარება.
2. სტრატეგიული სექტორების დაცვა–ენერგეტიკა, სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, საკვები, კიბერუსაფრთხოება.
3. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მართვა – სავაჭრო ხელშეკრულებების ნორმატივები, იმპორტ-ექსპორტის ბალანსი, უცხოური ინვესტიციების კონტროლი.
4. კრიზისების მართვის მექანიზმები – ეროვნული რეზერვები, ფინანსური შოკების მოდელირება, სავალუტო სარეზერვო პოლიტიკა.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ეკონომიკებისთვის გლობალიზაცია წარმოადგენს როგორც განვითარების, ასევე რისკის წყაროს. მაგალითად, მცირე ღია ეკონომიკები, როგორიცაა საქართველოში, განსაკუთრებულად დამოკიდებულია ექსპორტზე, უცხოურ ინვესტიციებზე და ენერგორესურსების იმპორტზე. შედეგად, საერთაშორისო ფასების ცვლილებები, უცხოური კაპიტალის ნაკადების ცვლილება და გეოპოლიტიკური მოვლენები პირდაპირ აისახება ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

ამგვარად, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა უნდა იყოს ადაპტირებული გლობალური პროცესების გავლენაზე და მოიცავდეს როგორც ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ დაგეგმვას, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობასა და ფინანსურ მექანიზმებს, რომლებიც ზრდიან ეკონომიკური სისტემის მდგრადობას.

როგორც ბარი ბუზანი აღნიშნავს, ეკონომიკური უსაფრთხოება გადამწყვეტ როლს ასრულებს ეროვნულ უსაფრთხოებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გლობალური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფოების მოწყვლადობას.[7] ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების ეფექტიანად დაგეგმვა და იმპლემენტაცია მოითხოვს როგორც შიდა ეკონომიკური მექანიზმების გაძლიერებას, ისე საერთაშორისო თანამშრომლობის აქტიური გამოყენებას.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ძირითადი ელემენტია სტრატეგიული ეკონომიკური დაგეგმვა, რომელიც მოიცავს ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სტრატეგიებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სახელმწიფო განსაზღვრავს:

- ეროვნული ეკონომიკის მთავარი სექტორების პრიორიტეტებს;
- ფინანსური სტაბილურობის მექანიზმებს;
- ენერგეტიკული და რესურსული უსაფრთხოების გეგმებს;
- საგარეო ვაჭრობის და ინვესტიციების პოლიტიკას.

სტრატეგიული დაგეგმვა უზრუნველყოფს ეკონომიკური სისტემის მდგრადობას და საშუალებას აძლევს სახელმწიფოს ეფექტიანად მართოს გლობალური საფრთხეები, როგორიცაა საერთაშორისო ფინანსური კრიზისები, ენერგეტიკული ბაზრების არასტაბილურობა, სავალუტო შოკები და გლობალური ეკონომიკური ცვლილებები.

---

[7] Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* (Boulder: Lynne Rienner Publishers, 1991).

მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნები იყენებენ მაკროეკონომიკურ გეგმებს, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო რეზერვების ფორმირებას, კრიზისების მოდელირებას და ეკონომიკური დივერსიფიკაციის პროგრამებს. ამგვარი პრაქტიკა უზრუნველყოფს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას გლობალური ეკონომიკური შოკების დროს, რაც პირდაპირ ახდენს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებაზე გავლენას.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ენერგეტიკული უსაფრთხოება. თანამედროვე ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ენერგორესურსებზე, ამიტომ ენერგეტიკული სტრატეგია წარმოადგენს სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარ ელემენტს.

ენერგეტიკული სტრატეგიის ფარგლებში სახელმწიფოები ახორციელებენ:

- ენერგომატარებლებზე ეროვნული კონტროლის გაძლიერებას;
- ალტერნატიული ენერგორესურსების განვითარებას;
- ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას;
- ენერგეტიკულ სუბსიდიებსა და ინვესტიციების მოზიდვას.

ეს ღონისძიებები მიზნად ისახავს ენერგომომარაგების სანდოობის უზრუნველყოფას, ენერგორესურსებზე გარე დამოკიდებულების შემცირებას და ეროვნული ეკონომიკის მდგრადობის გაძლიერებას. როგორც აღნიშნავს დანიელ იერგინი, ენერგეტიკული უსაფრთხოება პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე და გრძელვადიან განვითარებაზე.[8]

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ელემენტია ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფინანსური პოლიტიკა მოიცავს საბიუჯეტო, საგადასახადო და მონეტარულ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, სახელმწიფო ვალის მართვას და კრიზისების წინააღმდეგ თავდაცვითი რესურსების შექმნას.

ფინანსური პოლიტიკის ეფექტიანი მართვა მოითხოვს:

- ფისკალური დისციპლინის დაცვას;
- კრიზისების რისკების შეფასებასა და პრევენციას;
- ბანკების სისტემური რისკების კონტროლს;
- სავალუტო სარეზერვო პოლიტიკის გაძლიერებას.

[8] Daniel Yergin, *The Prize: The Epic Quest for Oil, Money & Power*, 2nd ed. (New York: Free Press, 1991).

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ფინანსური სისტემები უფრო მეტად არის დამოკიდებული საერთაშორისო ბანკებზე და ფინანსურ ბაზრებზე, ამიტომ სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა უნდა იყოს ადაპტირებული გლობალური ცვლილებების კონტროლისთვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ხაზს უსვამს, რომ ფინანსური სტაბილურობა წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს.[9]

სახელმწიფოები იყენებენ კრიზისების მართვის მექანიზმებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ გლობალური შოკების გავლენა. მათ შორის გამოირჩევა:

- ეროვნული რეზერვების შექმნა საკვებისა და ენერგორესურსებისათვის;
- ფინანსური სარეზერვო ფონდის ფორმირება;
- სავალუტო რისკების მონიტორინგი;
- ეკონომიკური დივერსიფიკაციის პროგრამები.

ამგვარი მექანიზმები უზრუნველყოფს სახელმწიფოს სწრაფ რეაგირებას გლობალურ ეკონომიკურ შოკებზე და ზრდის ეროვნული ეკონომიკური სისტემის მდგრადობას.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტიანი სტრატეგიული დაგეგმარება და რეგულირების სისტემები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების დონეს. მაგალითად:

- ნორვეგია იყენებს სახელმწიფო ნავთობ-რეზერვს და სუვერენული სიმდიდრის ფონდს (Sovereign Wealth Fund–ს), რაც უზრუნველყოფს გლობალური ენერგეტიკული შოკების მიმართ მდგრადობას.
- შვედეთი და დანია ახორციელებენ ფინანსურ და ენერგეტიკულ დივერსიფიკაციას, რაც ზრდის ეკონომიკის მდგრადობას.
- სინგაპური ყურადღებას ამახვილებს კრიზისების პრევენციაზე, ეროვნული სარეზერვო სისტემების განვითარებაზე და საგარეო ვაჭრობის სტრატეგიულ კონტროლზე.

მოგვიანებით, მსგავსი პრაქტიკა შეიძლება დაეხმაროს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო, უფრო ეფექტიანად დაიცვან ეროვნული ინტერესები გლობალური პროცესების პირობებში.

პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევას ეროვნული უსაფრთხოების სისტემისთვის. ისინი მოიცავენ ისეთი მოვლენების პოტენციურ გავლენას, რომლებიც ერთდროულად პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ სფეროებში ხორციელდება. ეროვნული ეკონომიკური სისტემის მდგრადობა

[9] **International Monetary Fund**, *World Economic Outlook: Managing Globalization* (Washington, DC: IMF, 2007).

დამოკიდებულია სახელმწიფოს უნარზე პროგნოზირება გაუკეთოს რისკებს, გამოავლინოს მოწყვლადობის წერტილები და განსაზღვროს ეფექტიანი რეაგირების სტრატეგიები.

როგორც აღნიშნავს რობერტ კაპლანი, პოლიტიკური ცვლილებები, ან საერთაშორისო კონფლიქტები ხშირად ქმნიან ეკონომიკურ შოკებს, რომლებიც პირდაპირ აისახება ეროვნული უსაფრთხოების ხარისხზე.[10] ასეთ პირობებში სახელმწიფოები ვალდებულნი არიან განახორციელონ წინასწარ დაგეგმილი პოლიტიკა, რათა შემცირდეს პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების ზემოქმედება.

პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკების კატეგორიები მოიცავს:

- პოლიტიკურ რისკებს, როგორიცაა სახელმწიფო ინსტიტუტების სიმტკიცის სუსტი დონე, არამდგრადი კანონმდებლობა, შიდა კონფლიქტები;
- ეკონომიკურ რისკებს, როგორიცაა ინფლაცია, სავალუტო არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისები, კორუფცია;
- საერთაშორისო რისკებს, როგორიცაა სავაჭრო სანქციები, გლობალური ფინანსური შოკები, გეოპოლიტიკური დაძაბულობა.

პოლიტიკური რისკები ხშირად არის დაკავშირებული სახელმწიფოს შიდა სტაბილურობასთან და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკურ გარემოზე. მაგალითად, პოლიტიკური გადაწყვეტილებების უეცარი ცვლილება, ინსტიტუტების სისუსტე ან სახელმწიფო პოლიტიკის არათანმიმდევრულობა ქმნის ისეთ პირობებს, სადაც ეკონომიკური ინვესტიციები შეიძლება დაბრკოლდეს.

პოლიტიკური რისკების მართვა მოიცავს:

- კანონის უზენაესობის და ინსტიტუტების გამყარებას;
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროგნოზირებადობის უზრუნველყოფას;
- შიდა კონფლიქტების პრევენციას და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას.

გლობალური მაგალითები აჩვენებს, რომ პოლიტიკური რისკების კონტროლი პირდაპირ განსაზღვრავს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური სისტემა არ არის სტაბილური, უცხოური ინვესტიციები ნაკლებად შედის, რაც ზრდის ეროვნული ეკონომიკის მოწყვლადობას.

[10] Robert Kaplan. *The Coming Anarchy: Shattering the Dreams of the Post Cold War*. New York: Random House, 2000

ეკონომიკური რისკები დაკავშირებულია ფინანსურ სისტემასთან, ეროვნული ვალუტის სტაბილურობასთან, საბიუჯეტო დისციპლინასთან და სავალუტო კონტროლთან. გლობალიზაციის პირობებში ეს რისკები მძლავრდება, რადგან ეროვნული ეკონომიკა უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე.

ეკონომიკური რისკების ძირითადი ელემენტებია:

- სავალუტო არასტაბილურობა – ვალუტის სწრაფი კურსის ცვლილებები გავლენას ახდენს იმპორტსა და ექსპორტზე;
- ფინანსური კრიზისები – საერთაშორისო ბანკების შოკები, მეწარმეობის რისკები;
- გლობალური ფასების ცვლილება – ენერგორესურსების, სურსათის, ტექნოლოგიების ფასების ფლუქტუაციები.

სახელმწიფოები იყენებენ სხვადასხვა მექანიზმებს ეკონომიკური რისკების მართვისთვის, მათ შორის ფინანსურ რეზერვებს, კრიზისების პრევენციის გეგმებს და ეროვნული ვალუტის დივერსიფიკაციის პოლიტიკას.

გლობალური ეკონომიკური პროცესები ქმნიან ასევე საერთაშორისო რისკებს, რომლებიც ხშირად აღემატება ერთ სახელმწიფოს შესაძლებლობებს. საერთაშორისო ფინანსური კრიზისები, სავაჭრო სანქციები, გლობალური ენერგეტიკული ბაზრების არასტაბილურობა ქმნის პირობებს, სადაც ეროვნული ეკონომიკა უფრო მოწყვლადი ხდება.

მაგალითად, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ გლობალური ფინანსური შოკები სწრაფად ვრცელდება საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში, რაც აუცილებლობას ქმნის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმების აქტიური გამოყენებისა. ასევე, გლობალური სანქციები ან სავაჭრო ბარიერები გავლენას ახდენენ ექსპორტზე და უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე, რაც პირდაპირ ამცირებს ეკონომიკის მდგრადობას.

გლობალური ეკონომიკური პროცესები ქმნიან ასევე საერთაშორისო რისკებს, რომლებიც ხშირად აღემატება ერთ სახელმწიფოს შესაძლებლობებს. საერთაშორისო ფინანსური კრიზისები, სავაჭრო სანქციები, გლობალური ენერგეტიკული ბაზრების არასტაბილურობა ქმნის პირობებს, სადაც ეროვნული ეკონომიკა უფრო მოწყვლადი ხდება.

მაგალითად, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ გლობალური ფინანსური შოკები სწრაფად ვრცელდება საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში, რაც აუცილებლობას ქმნის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმების აქტიური გამოყენებისა.

ასევე, გლობალური სანქციები ან სავაჭრო ბარიერები გავლენას ახდენენ ექსპორტზე და უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, რაც პირდაპირ ამცირებს ეკონომიკის მდგრადობას.

ეროვნული გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნები, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ რისკების მართვის სტრატეგიას, უფრო მდგრადი არიან გლობალური შოკების მიმართ. მაგალითად:

- შვედეთი და ნორვეგია – ფინანსური დივერსიფიკაცია, ენერგეტიკული უსაფრთხოება, რეზერვების შექმნა;
- სინგაპური – საერთაშორისო ვაჭრობის კონტროლი, ინვესტიციების უსაფრთხოება;
- გერმანია – ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა და ენერგეტიკული დივერსიფიკაცია.

საქართველოს შემთხვევაში მსგავსი პრაქტიკა შეიძლება დაეხმაროს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის გაძლიერებაში, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომლებიც დამოკიდებული არიან გლობალურ ბაზრებზე.

დასკვნა

გლობალიზაციის პროცესებმა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდამ ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება სამ ეტაპად დაყო სახელმწიფო სტრატეგიაში: შიდა ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, საერთაშორისო პროცესებთან ადაპტირება და რისკების ეფექტიანი მართვა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვლენილია რამდენიმე ძირითადი დასკვნა:

პირველ რიგში, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება აღარ წარმოადგენს მხოლოდ საბიუჯეტო ან ფინანსური სისტემის საკითხს. ის მოიცავს ენერგეტიკულ, ფინანსურ, ტექნოლოგიურ და საინფორმაციო კომპონენტებს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც შიდა ეკონომიკურ პროცესებთან, ისე გლობალურ ეკონომიკურ გარემოსთან. თანამედროვე უსაფრთხოების კონცეფცია უკვე მოიცავს ეკონომიკურ კომპონენტებს როგორც სტრატეგიულ ფაქტორს, რაც უდიდეს გავლენას ახდენს სახელმწიფოს მდგრადობაზე.

მეორეც, გლობალიზაცია წარმოშობს როგორც შესაძლებლობებს, ისე რისკებს. შესაძლებლობების ნაწილი დაკავშირებულია ინვესტიციების მოზიდვასთან, ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენებასთან და საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასთან. თუმცა რისკები მოიცავს ფინანსურ და სავალუტო კრიზისებს, ენერგორესურსებზე დამოკიდებულებას, საერთაშორისო სანქციებს და გეოპოლიტიკურ არასახარბიელო პროცესებს. გლობალიზაციის

დადებითი ეფექტი მაქსიმალურად ჩანს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა სტრატეგიულად არის შემუშავებული და მიმართულია რისკების მართვისკენ.

მესამე, პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკების მართვა წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ყველაზე აქტუალურ კომპონენტს. სახელმწიფოებს უწევთ ეფექტური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მოიცავს: პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას, კრიზისების მართვის მექანიზმების გამოყენებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და საერთაშორისო თანამშრომლობას. პოლიტიკური ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკურ სტაბილურობას და შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოების ხარისხს.

მეოთხე, ეროვნული მაგალითები აჩვენებენ, რომ ეფექტიანი სტრატეგიები მოიცავს როგორც შიდა რეგულირების სისტემას, ისე საერთაშორისო პრაქტიკას. ნორვეგია, შვედეთი, დანია და სინგაპური წარმოადგენენ წარმატებულ მოდელებს, სადაც ფინანსური დივერსიფიკაცია, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ინვესტიციების კონტროლი და ეროვნული რეზერვების შექმნა უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრადობას გლობალურ შოკებთან მიმართებაში.

კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაციის შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებას:

1. სტრატეგიული ეკონომიკური დაგეგმვის გაძლიერება:

სახელმწიფომ უნდა შემუშავოს გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ყველა სტრატეგიულ სექტორს – ენერგეტიკას, ფინანსებს, ინფრასტრუქტურას და ტექნოლოგიებს. სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს როგორც შიდა ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ისე გლობალური ბაზრების ანალიზს.

2. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა:

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მტკიცე ფინანსური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ვალუტის სარეზერვო სტრატეგიას, საბიუჯეტო დისციპლინას და ბანკების სისტემური რისკების კონტროლს. ფისკალური სტაბილურობა წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების აუცილებელ ელემენტს, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში.

3. ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება:

საქართველოსთვის რეკომენდებულია ენერგეტიკული დივერსიფიკაციის პროგრამების შემუშავება, ალტერნატიული ენერგორესურსების განვითარების ხელშეწყობა, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და სტრატეგიული მარაგების შექმნა.

4. რისკების მართვის მექანიზმების განვითარება:

სახელმწიფომ უნდა შექმნას ეროვნული რეზერვები საკვებისა და ენერგორესურსებისათვის, კრიზისების მართვის სპეციალიზებული სტრუქტურები, სავალუტო რისკების მონიტორინგი და ეკონომიკური დივერსიფიკაციის პრევენციული პროგრამები.

5. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება:

სახელმწიფომ უნდა გაამყაროს პოზიცია საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებში, აქტიურად იმუშაოს სავაჭრო ხელშეკრულებების, ინვესტიციების გარანტიების და რეგიონული ინტეგრაციის პროგრამებში. საერთაშორისო თანამშრომლობა ზრდის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მდგრადობას გლობალური შოკების მიმართ.

6. ინოვაციების და ტექნოლოგიების ინტეგრაცია:

დასაშვებია მეტი ყურადღება გაეცეს ციფრულ ეკონომიკას, ტექნოლოგიურ ინოვაციებს, ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარებას და მათი გამოყენებას ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაძლიერება ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და აძლიერებს ეკონომიკურ მდგრადობას.

7. ეროვნული ნორმატიული ჩარჩოს გაძლიერება:

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კანონის უზენაესობა, ინვესტიციების დაცვა და ინსტიტუტების სტაბილურობა. რეგულირების ეფექტიანობა უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრულ გარემოს, რაც ზრდის საინვესტიციო მიმზიდველობას და მინიმუმამდე დაჰყავს პოლიტიკური რისკები.

კვლევის შედეგად ნათელია, რომ ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება XXI საუკუნეში არის მრავალსაფეხურიანი, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კომპონენტი, რომელიც მოიცავს შიდა ეკონომიკურ სტაბილურობას, საერთაშორისო პროცესებთან ადაპტირებას და პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკების ეფექტიან მართვას.

ბიბლიოგრაფია

Barry Buzan. *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era*. Boulder: Lynne Rienner Publishers, 1991.

Joseph Stiglitz. *Globalization and Its Discontents*. New York: W.W. Norton & Company, 2002.

Anthony Giddens, *Runaway World: How Globalization is Reshaping Our Lives* (New York: Routledge, 2000).

Joseph Stiglitz, *Globalization and Its Discontents* (New York: W.W. Norton & Company, 2002).

Global Financial Crisis. *Global Financial Crisis Report*. Washington, DC: IMF, 2009.

Joseph Stiglitz, *Globalization and Its Discontents* (New York: W.W. Norton & Company, 2002).

Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* (Boulder: Lynne Rienner Publishers, 1991).

Daniel Yergin, *The Prize: The Epic Quest for Oil, Money & Power*, 2nd ed. (New York: Free Press, 1991).

International Monetary Fund, *World Economic Outlook: Managing Globalization* (Washington, DC: IMF, 2007).

Robert Kaplan. *The Coming Anarchy: Shattering the Dreams of the Post Cold War*. New York: Random House, 2000

ისტორია, იდენტობა და დეზინფორმაცია: სამხრეთ კავკასიის რუსულენოვანი ნარატივების დეკონსტრუქცია

მაია მანჩხაშვილი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

მირანდა მიქაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

ირაკლი ნოდია
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე მოხსენება მიზნად ისახავს რუსულენოვან ისტორიოგრაფიულ ტექსტებში (2024 წელს გამოცემული წიგნის „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ისტორია") სამხრეთ კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოსა და მისი ოკუპირებული რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) შესახებ ჩამოყალიბებული ნარატივების კრიტიკულ გაანალიზებას. კვლევა ეფუძნება მონოგრაფიული ხასიათის წყაროების აკადემიურ თარგმანს რუსულიდან ქართულ ენაზე და შემდგომ მათ კომპლექსურ კვლევას, რომელიც მოიცავს შინაარსობრივ, ტერმინოლოგიურ, დისკურსულ და სტილისტიკურ ანალიზს. ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გავრცელებული როგორც კონტექსტუალისტური (ისტორიულ-კრიტიკული), ისე ინტერნალისტური (ტექსტის შიდა ანალიზზე ორიენტირებული) მიდგომები, რაც შესაძლებელს ხდის წყაროს როგორც ისტორიული პროდუქტის, ასევე ნარატიული კონსტრუქციის სახით გააზრებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ენობრივ და დისკურსულ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ისტორიული მოვლენების ინტერ-პრეტაცია და მათი პოლიტიზება.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია რამდენიმე საკვანძო თემატური მიმართულება: სკვი-თური სამყაროსა და კავკასიის ურთიერთმიმართების ინტერპრეტაცია, ინდოევროპული და ირანული ეთნოგენეზის თეორიების გამოყენება რეგიონულ კონტექსტში, აგრეთვე ალან-ოსური იდენტობის ისტორიული კონსტრუირება. აღნიშნული თემები რუსულენოვან ნარატივებში ხშირად წარმოდგენილია როგორც ისტორიული უწყვეტობისა და ეთნიკური ლეგიტიმაციის არგუმენტი, რაც საჭიროებს კრიტიკულ გადამოწმებას.

ანალიზის შედეგად გამოვლენილია, რომ რიგ შემთხვევებში ტექსტებში გამოყენებული არგუ-მენტაცია ეყრდნობა სელექტიურად შერჩეულ წყაროებს, ტერმინოლოგიურ არაზუსტობას, ანა-ქრონისტულ მიდგომებსა და დისკურსულ მანიპულაციებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა თანამედროვე ეთნიკური იდენტობების პროექცია ძველ ისტორიულ პერიოდებზე, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფაქტების გენერალიზაცია და ალტერნატიული ინტერპრეტაციების იგნორირება. მსგავსი მიდგომები ქმნის ნარატივს, რომელიც არა მხოლოდ მეცნიერულად სადავოა, არამედ გარკვეულ შემთხვევებში ატარებს დეზინფორმაციულ და იდეოლოგიურ ხასიათს. ნაშრომში სისტემატიზებულია დეზინფორმაციული და მიკერძოებული ფრაზები ორიგინალ ენაზე (რუსულად), მათთვის დართულია განმარტებები და კრიტიკული კომენტარები, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ტექსტის შიდა წინააღმდეგობები და

ნარატიული სტრუქტურის თავისებურებები. აღნიშნული ანალიზი აჩვენებს, რომ ენობრივი ფორმულირებები ხშირად გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი ისტორიული რეალობის რეკონ-სტრუქციის ნაცვლად მისი კონსტრუირებისთვის.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი აერთიანებს თარგმანსა და კრიტიკულ ანალიზს ერთიან კვლევით ჩარჩოში, რაც იძლევა შესაძლებლობას არა მხოლოდ ტექსტის შინაარსობრივი გადმოცემის, არამედ მისი დისკურსული ფუნქციის გამოვლენისა. ამგვარი მიდგომა განსაკუთ-რებულ მნიშვნელობას იძენს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური ისტორიის კონტექსტში, სადაც ისტორიოგრაფია ხშირად პოლიტიკური დისკურსის ნაწილად გვევლინება.

კვლევის შედეგები ხელს უწყობს ისტორიული ტექსტების კრიტიკული წაკითხვის კულტურის განვითარებას და წარმოაჩენს იმ ნარატიულ სტრატეგიებს, რომლებიც გამოიყენება ისტორიული ლეგიტიმაციისა და იდენტობის კონსტრუირების პროცესში. კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც სამხრეთ კავკასიის ისტორიის ობიექტურ შესწავლაში, ისე ზოგადად დეზინფორმაციის კვლევის მიმართულებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია; ისტორიოგრაფია; დეზინფორმაცია; ნარატიული ანალიზი

History, Identity, and Disinformation: Deconstructing Russian-Language Narratives of the South Caucasus

Maia Manchkhashvili
Associate Professor, Sulkhan-Saba Orbeliani University,
Doctor of Political Science

Miranda Mikadze
Associate Professor, Caucasus International University,
Doctor of Political Science

Irakli Nodia
Assistant, Sulkhan-Saba Orbeliani University,
PhD Candidate, Tbilisi State University

Abstract

The present study aims to critically analyze the narratives constructed in Russian-language historiographical texts concerning the South Caucasus, with a particular focus on Georgia and its occupied region (former Autonomous District of South Ossetia). The research is based on the academic translation of monographic sources from Russian into Georgian, followed by a comprehensive analysis encompassing content, terminology, discourse, and stylistics.

The theoretical and methodological framework of the study draws upon both contextualize (historical-critical) and internal (text-oriented) approaches commonly used in the humanities. This combined perspective enables the interpretation of the source material both as a product of its historical context and as a constructed narrative. Particular attention is paid to the linguistic and discursive mechanisms through which historical events are interpreted and politicized.

The study examines several key thematic directions, including the interpretation of the relationship between the Scythian world and the Caucasus, the application of Indo-European and Iranian ethnocentric theories in a regional context, and the construction of Alan-Ossetian identity within historical narratives. In Russian-language historiography, these themes are often presented as arguments for historical continuity and ethnic legitimacy, which necessitates critical reassessment.

The analysis reveals that, in a number of cases, the arguments presented in these texts rely on selectively chosen sources, terminological inaccuracies, anachronistic approaches, and discursive manipulation. Particularly notable are strategies such as the projection of modern ethnic identities onto ancient historical periods, the generalization of contextualized facts, and the neglect of alternative interpretations. Such approaches produce narratives that are not only scientifically debatable but, in certain instances, carry elements of disinformation and ideological bias.

The study systematizes dis-informative and biased expressions in their original language (Russian), providing corresponding explanations and critical commentary. This approach allows for the identification of internal inconsistencies and the structural features of the narrative. The analysis demonstrates that linguistic formulations often function not merely as tools of historical reconstruction, but as instruments of constructing historical reality.

The novelty of the research lies in integrating translation and critical analysis within a unified analytical framework, enabling not only the accurate rendering of the source text but also the identification of its discursive function. This approach is particularly significant in the context of the conflict-laden history of the South Caucasus, where historiography frequently operates as part of a broader political discourse.

The findings contribute to the development of critical reading practices in historical studies and highlight the narrative strategies employed in processes of historical legitimization and identity construction. The study offers valuable insights both for the objective study of the history of the South Caucasus and for the broader field of disinformation research within the humanities.

Keywords: South Caucasus; Historiography; Disinformation; Narrative Analysis

შესავალი

სამხრეთ კავკასიის ისტორიის ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონთან მიმართებით, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ისტორიო-გრაფიულ ტრადიციებზე და მათში დამკვიდრებულ ნარატიულ ჩარჩოებზე. რუსული და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფია ხშირად იყენებს იმპერიულ დისკურსს, რომლის მიზანია რუსეთის როლის ლეგიტიმაცია რეგიონში და ისტორიული პროცესების შესაბამისი ინტერპრეტაცია.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს გააანალიზოს სახელმძღვანელოს[1] რამდენიმე ეპიზოდში/პარაგრაფებში წარმოდგენილი კონკრეტული ტექსტები, რომლებიც ეხება მე-XVIII საუკუნის ბოლო და XX-ე საუკუნის დასაწყისს და გამოავლინოს ის დეზინფორმაციული, ნარატიული და სტილისტიკური მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც იქმნება მიკერძოებული ისტორიული სურათი. ამ სტატიის ფარგლებში საკვლევი წიგნის სრული გაანალიზება შეუძლებელია. ჩვენ აქ მხოლოდ მცირე ნაწილს და კონკრეტულ საკითხებს შევეხებით.

კვლევის მეთოდები

კვლევა ეფუძნება თვისებრივ (qualitative) კვლევით დიზაინს და აერთიანებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გავრცელებულ რამდენიმე კომპლემენტარულ მეთოდს, რაც უზრუნველყოფს წყაროს მრავალმხრივ და სიღრმისეულ ანალიზს.

პირველ რიგში, გამოყენებულია ტექსტოლოგიური და თარგმანის ანალიზის მეთოდი, რომლის ფარგლებში განხორციელდა რუსულენოვანი ისტორიოგრაფიული ტექსტის აკადემიური თარგმანი ქართულ ენაზე. თარგმანის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტერმინოლოგიურ სიზუსტეს, კონცეპტუალური ეკვივალენტების შერჩევას და იმ დისკურსული ნიუანსების შენარჩუნებას, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი ანალიზისთვის. აღნიშნული ეტაპი ქმნის საფუძველს ტექსტის შინაარსობრივი და დისკურსული კვლევისათვის.

შემდგომ ეტაპზე გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზი (content analysis), რომლის მიზანია ტექსტში გამოკვეთილი ძირითადი თემატური მიმართულებების, ნარატივებისა და არგუმენტაციული სტრუქტურების იდენტიფიკაცია. ამ მეთოდის საშუალებით ხდება ისეთი საკვანძო საკითხების სისტემატიზაცია, როგორიცაა ეთნოგენეზის თეორიები, ისტორიული უწყვეტობის ნარატივები და რეგიონული იდენტობის კონსტრუქციები.

---

[1] [1] Р. С. Бзаров, Ю. С. Гаглойти, Р. Х. Гаглойти и др., “История Республики Южная Осетия”. Учебник для общеобразовательных организаций /– Цхинвал: Глобус, 2024. – 328 с.

კვლევის ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს კრიტიკული დისკურსის ანალიზი (Critical Discourse Analysis - CDA), რომელიც მიმართულია იმ ენობრივი და რიტორიკული მექანიზმების გამოვლენაზე, რომელთა საშუალებითაც ხდება ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაცია, პოლიტიზება და იდეოლოგიზაცია. აღნიშნული მეთოდი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს ძალაუფლებრივი ურთიერთობები, ნარატიული სტრატეგიები და დეზინფორმაციული ტექნიკები, რომლებიც ტექსტში არის ინტეგრირებული.

ინტერნალისტური მიდგომის ფარგლებში განხორციელდა ტექსტის შიდა ანალიზი, რაც გულისხმობს არგუმენტაციის ლოგიკური თანმიმდევრულობის, ტერმინოლოგიური სიზუსტის, ანაქრონიზმების და შიდა წინააღმდეგობების იდენტიფიკაციას. ეს მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა ტექსტის თვითკონსისტენტურობის შეფასება.

დამატებით გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომლის ფარგლებში კვლევაში განხილული ნარატივები შედარებულია ალტერნატიულ აკადემიურ წყაროებთან. ეს უზრუნველყოფს წარმოდგენილი ინტერპრეტაციების კრიტიკულ გადამოწმებას და შესაძლო მიკერძოების გამოვლენას.

კვლევის პროცესში ასევე გამოიყენება კვალიფიკაციური კოდირების ტექნიკა, whereby (სადაც) ტექსტში იდენტიფიცირებული ფრაზები და ნარატიული ელემენტები კლასიფიცირდება თემატური კატეგორიების მიხედვით (მაგ., „ეთნიკური ლეგიტიმაცია“, „ისტორიული უწყვეტობა“, „დეზინფორმაციული სტრატეგია“), რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სისტემატიზაციას და ანალიზის სიღრმეს.

ძირითადი ნაწილი

დეზინფორმაციული ნარატივის ძიება

სახელმძღვანელოს V-VI-VII თავებში ძირითადად საუბარია ოსეთ-რუსეთის ურთიერთობებზე XVII-XVIII საუკუნეებში.[2] აღსანიშნავია, რომ ავტორები საუბრობენ რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიერთებაზე დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიების მიერთების კონტექსტში. ამავდროულად, უგულებელყოფილია ფაქტი, რომ შიდა ქართლის მთიანეთის (დროებით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი) დაპყრობა, დანარჩენ ქართლთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიისას მოხდა.

[2] I-IV თავები ეხება უძველეს და შუა საუკუნეების პერიოდებს.

ძირითადი ტექსტის ანალიზიდან კარგად სჩანს მსჯელობის მკვეთრად პროპაგანდისტული ხასიათი. გვხვდება ისეთი ტერმინები, რომლებსაც იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნიათ. დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ მსჯელობა იმპერიული და საბჭოთა ისტორიოგრაფიის სტილში მიმდინარეობს. სახელმძღვანელოს ავტორები იყენებენ რუსულ დოკუმენტურ კრებულებსა და ოს ავტორთა ნაშრომებს: ჯანაევი, Присоединение Осетии к России (1957). Исторические связи осетин с русским народом (1960); სუნდუკოვი История Осетии. Век XVIII – начало XIX (1989); История Осетии (1992) და სხვ. ამ და სხვა საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი იყო იდეოლოგიური პროპაგანდისტული ელემენტებით საუბარი, ვიდრე კრიტიკულად გააზრებული ისტორიული ანალიზი. წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ავტორებიც მსჯელობის ნაწილში ზემოთხსენებული ავტორების ნაშრომებს ეყრდნობიან და იზიარებენ მათი მსჯელობის პათოსს. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ქართული წყაროები თითქმის საერთოდ არ სჩანს და მათი როლი და მნიშვნელობა მიზანმიმართულად იგნორირებულია. რუსული ტექსტი გაჯერებულია იდეოლოგიური ფრაზებით. ასე მაგალითად, მთელ ტექსტში გაბნეული შემდეგი ფრაზები: „ნებაყოფლობითი მიერთება“, „ისტორიული გარდაუვალობა“, „რუსეთი როგორც განმათავისუფლებელი“, „ოსების საუკუნოვანი მისწრაფება”. სახელმძღვანელოს ავტორები ცდილობენ, რომ რუსეთი წარმოაჩინონ, როგორც ერთადერთი რეალური პოლიტიკური ძალა, რომელსაც ოსები ნებაყოფლობით მიეკედლნენ. სრულად იგნო-რირებულია ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა (1762-1798) და ქართლის სამეფოს ურთიერთობების ისტორია ჩრდილოეთ კავკასიის ამ რეგიონთან მიმართებით, იმ ფონზე, როცა ქართულ წყაროებში (სიგელები, მიმოწერა და სხვ.) ერეკლე II-სა და ოსების სამხედრო კავშირები დადასტურებულია და ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენს. ავტორები დუმილით უვლიან გვერდს ამ ფაქტს. ასევე, ტექსტში ავტორები ცდილობენ რაიმე ფორმით „საბაბი” და „გამართლება” უპოვონ რუსეთის იმპერიის ექსპანსიას - თითქოსდა ოსები თანამონაწილეები ყოფილიყვნენ ამ პროცესის. ასეთი ნარატივი კი რუსულ იმპერიულ პოზიციას ამაგრებს და არაფერი აქვს საერთო აკადემიურ დისკუსიასთან. ასევე, უნდა აღნიშნოს, რომ ავტორები ერთიან კონტესტში მსჯელობენ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ოსების განსახლების არეალზე და შიდა ქართლის მთიანეთზე, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით უზუსტობაა, რადგან ქართლში (დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობის) მცხოვრები ოსები პოლიტიკურიად ქართლ-კახეთის შემადგენლობაში იყვნენ. ავტორები კი ცდილობენ, რომ ცხინვალის რეგიონი წარმოაჩინონ, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერ-

თეული. ავტორები კი ცდილობენ, რომ ცხინვალის რეგიონი წარმოაჩინონ, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. ამასთანავე, დასავლელი მოგზაურები (ბასილი ერისთავი, ევროპელი დიპლომატები) მიუთითებენ, რომ რუსული ადმინისტრაციის დამყარება ცხინვალის რეგიონში ყოველთვის არ ხდებოდა „ხალისით“. იგნორირებულია ის ფაქტი, რომ ამ რეგიონის „შეერთება” რუსეთის იმპერიასთან ერთბაშად არ მომხდარა, არამედ როგორც დანარჩენ საქართველოში, აქაც იყო ხანგრძლივი წინააღმდეგობის პროცესი, რომელიც სხვადასხვა სოფელსა და თემში სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა.

პარაგრაფები გაჯერებულია იმპერიულ-პოლიტიკური თეზისებით, სადაც რუსეთი დადებითადაა წარმოჩენილი, ხოლო ქართული ფაქტორი თითქმის უგულებელყოფილია. სახელმძღვანელოს ავტორების მსგავსს ნარატივს ქვემოთ განხილული დეზინფორმაციული ფრაზები და ტერმინები ნათლად ასახავს. ჩვენ ქვემოთ ყველა მნიშვნელოვან დეზინფორმაციულ ფრაზასა და ტერმინოლოგიას დეტალურად განვიხილავთ, რათა მკითხველმა მკაფიოდ გამიჯნოს სად არის დეზინფორმაცია და სად არის ისტორიული სინამდვილე.

პირველი თვალშისაცემი ფაქტია მოსახლეობის საერთო რაოდენობა XVIII საუკუნის შუა ხანებში: ზოგი ავტორი 200 ათასზე მეტ მცხოვრებს ასახელებს.[3] ცხადია, ეს მონაცემები გადაჭარბებულია. მთიან რეგიონში ასეთი რაოდენობა გაზვიადებული სჩანს. სხვა წყაროები მიუთითებენ, რომ მოსახლეობა 60-80 ათასზე მეტია.[4] ავტორები ცდილობენ რუსეთი წარმოაჩინონ, როგორც “სტრატეგიული მოკავშირე”. ტერმინი გამოიყენება მიკერძოებულ კონტექსტში, რათა რუსეთის შემდგომი ანექსია ნეიტრალურ-პოზიტიურ ქმედებად წარმოჩინდეს. ამას ადასტურებს რუსული ტექსტის ფრაზა: «Историческому союзу Алании-Осетии с Россией не было политической, хозяйственной, культурной альтернативы”[5] - აქ ავტორები საუბრობენ, რომ რუსეთთან ისტორიულ კავშირს არ ჰქონდა არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური და არც კულტურული ალტერნატივა. ისტორიულად ცნობილია, რომ სანამ რუსეთის იმპერია გამოჩნდებოდა რეგიონში, მანამდე არსებობდა სპარსეთთან და ოსმალეთთან კავშირები. აღნიშნული ფრაზა პროპაგანდისტულ ელფერს ატარებს. დეზინფორმაციულია შემდეგი ფრაზაც „Только Россия готовилась признать аланский суверенитет и строить отношения на основе взаимных обязательств”[6] - ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რუსეთს სურდა ალანური სუვერენიტეტის აღიარება და ურთიერთობების

[3] Б. А. Джанаев. *Присоединение Осетии к России*, Орджоникидзе, 1957, გვ. 45-47.
[4] Б. А. ДжанаевА. А. Сундуков. *История Осетии. XVIII – начало XIX вв.*, Владикавказ, 1989 — **გვ. 52–55.**
[5] იქვე, Р. С. Бзаров, Ю. С. Гаглойти, Р. Х. Гаглойти и др, 2024, გვ., 110. с. 108.
[6] იქვე, გვ., 109.

ურთიერთვალდებულებებზე დამყარება. ვფიქრობთ, რომ მსგავსი მსჯელობა ლოგიკას მოკლებულია. ცნობილია, რომ ბოლო პერიოდამდე რუსეთს არასდროს არ ჰქონია მიზნად შიდა ქართლის მთიანეთისთვის სუვერენიტეტი მიენიჭებინა, პირიქით, მიზანი იყო სრული ანექსია. შემთხვევითი არც ის გახლავთ, რომ ამ კონტექსტშივე სახელმძღვანელოს ავტორები ქართული სამეფო-სამთავროების გავლენას უარყოფითად ახასიათებდნენ. ამის მიმანიშნებელია ფრაზა: „Опыт общения с грузинскими владениями оказался отрицательным…"[7] - მსგავსი რადიკალური მსჯელობა ცალსახად გამორიცხავს და უგულ-ვებელყოფს ქართულ-ოსური ურთიერთობების დადებით პოლიტიკურ-კულტურულ ას-პექტებს (მაგალითისთვის სავაჭრო-ეკონომიკური და რელიგიური ურთიერთობები და სხვ.).

ავტორები ცდილობენ სიტყვების „ოსებისა" და „ოსეთის" წარმომავლობის უგულვებელ-ყოფას და აღნიშნავენ, რომ ეს ტერმინები „ოსები" და „ოსეთი" რუსეთში XVIII საუკუნეში გაჩნდა. მსგავსი მსჯელობა გადაჭარბებულია. მართალია, ტერმინები რუსულიდან გავრ-ცელდა ევროპულ ენებში, მაგრამ „ოსები" და „ოსეთი" ქართული წყაროებიდან მომდინა-რეობს. გვინდა, ამ ნაწილს ცოტა მეტი ყურადღება დავუთმოთ. ტერმინი „ოსეთი" (рус. Осетия) თავისი წარმომავლობით ეთნონიმზეა დამყარებული. „ოსი" / „осетин" – რუსულში დამკვიდრებული სახელწოდებაა ალანთა შთამომავლებისა. რუსებმა ეს ტერმინი მიიღეს მეზობელი ხალხებისგან. ქართულში სიტყვა „ოსი" იხმარებოდა უკვე შუა საუკუნეებში – მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში". ქართველები ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ჩრდილო-ეთ კავკასიაში მცხოვრებ ალანურ ტომებს. ქართული ფორმა „ოსი" რუსულში გადაიღეს როგორც „осетин". რუსულში ქართულიდან გადმოიღეს სწორედ ეს ფორმა – „Осетия". XVII–XVIII სს-ში რუსულ წერილობით წყაროებში უკვე ჩანს „Осетия" როგორც ოსების მიწის სახელწოდება.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინის-ტრაციული ერთეული საბჭოთა პერიოდში გაჩნდა 1922 წელს. მანამდე ტერიტორია გორის მაზრის უბნებად იყო დაყოფილი და ცალკე როგორს ასეთი „სამხრეთ ოსეთის" ერთეული არ არსებობდა. წერილობით წყაროებში, XIX საუკუნემდე, ოსეთთან დაკავშირებული ტერმინები „სამხრეთი" და „ჩრდილოეთი" არ ფიქსირდება. ეს ტერმინები მას შემდეგ ჩნ-დება, რაც რუსეთის იმპერიამ საქართველო მიიერთა. რუსულ ტექსტს წითელ ხაზად გას-

[7] იქვე, გვ., Р. С. Бзаров, Ю. С. Гаглойти, Р. Х. Гаглойти и др, 2024, გვ.110.

დევს ავტორებისეული ნარატივი, თითქოსდა ოსები ნებაყოფლობით შეუერთდნენ რუსეთის იმპერიას. ამას ადასტურებს ტექსტში ნახსენები ფრაზა: „Народ выбрал Россию".[8] სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად ეს იყო ელიტარული შეთანხმება და გეოპოლიტიკური იძულება. მსგავსი დატვირთვა გააჩნია შემდეგ ფრაზებსაც: „Осетины добровольно приняли покровительство России"; „сохранив при этом полную внутреннюю самостоятельность"; „вековая мечта осетин сбылась".[9] ამ ნაწილში ავტორები ცდილობენ გვერდი აუარონ იმ სამხედრო-პოლიტიკურ ზეწოლას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა განიცდიდა რუსეთის იმპერიის მხრიდან და ამას წყაროებიც აღწერენ. ზემოთნახსენები თითოეული ფრაზა იდეოლოგიური ხასიათისაა, რომლებიც არ ეფუძნება ერთმნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს — ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში არსებობდა როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე ძალებიც. რუსეთის იმპერიალისტური მმართველობის დამყარება წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა. სახელმძღვანელოს ავტორები ცდილობენ გაატარონ ნარატივი, თითქოსდა, ოსი ხალხი ეძებდა რუსეთის მფარველობას. ზოგი რუსეთზე ამყარებდა იმედს, ნაწილი ქართულ სამეფო-სამთავროებზე. ხალხის „ერთიანი ნება", როგორც ამის წარმოჩენა სურთ ავტორებს, არ არსებობდა. აშკარა დეზინფორმაციულია მსჯელობა, როცა საუბარია ოსების ერთგულებაზე რუსეთის მიმართ. ავტორები ცდილობენ დუმილით აუარონ გვერდი ოსური თემების წინააღმდეგობასა და აჯანყებებს რუსეთის წინააღმდეგ. ავტორები ცდილობენ ხაზი გაუსვან იმ ფაქტს, რომ „რუსეთი ოსეთის ბუნებრივი მოკავშირე იყო",[10] რაც ცხადია, მიკერძოებული შეფასებაა და არ ასახავს ისტორიულ რეალობას. რუსეთი ყოველთვის თავისი იმპერიული ინტერესებით მოქმედებდა და არამხოლოდ „ბუნებრივი მოკავშირეობის" საფუძველზე. სხვა წყაროები (ქართლის მეფეების წერილები, ევროპელი დიპლომატების მოხსენებები) აჩვენებს, რომ რუსეთი იყენებდა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიას, როგორც სტრატეგიულ საყრდენს კავკასიაში. რეალურად, რუსეთი საკუთარ იმპერიალისტურ გავლენას აძლიერებდა.

რუსულ ტექსტში სადავოა ავტორების შემდეგი ფრაზაც: „Народ выбрал Россию – „сначала как стратегического союзника, затем в качестве своего национального государства".[11] ეს ფრაზა წარმოადგენს აშკარა ისტორიულ დეზინფორმაციას. ოსებს/ალანებს XVII–XVIII სს. არ ჰქონიათ ერთიანი სახელმწიფოებრივი ერთეული, რომ

[8] იქვე, გვ., იქვე, Р. С. Бзаров, Ю. С. Гаглойти, Р. Х. Гаглойти и др, 2024, გვ. 109.
[9] იქვე, გვ., 110-111.
[10] იქვე, Р. С. Бзаров, Ю. С. Гаглойти, Р. Х. Гаглойти и др, 2024, გვ., 112-113
[11] იქვე, გვ., 109.

ერთხმად „აირჩიათ“ რუსეთი. ეს ნარატივი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოიყენებოდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გასამართლებლად. სპეციალურადაა გამოყენებული სიტყვები „народ выбрал“, რომელიც ქმნის „ერთსულოვნების“ ილუზიას. ეს ტიპიური პროპაგანდისტული ხერხია. მიკერძოებულია შემდეგი შეფასებაც: „Историческому союзу Алании-Осетии с Россией не было политической, хозяйственной, культурной альтернативы”,[12] სადაც ავტორები ცდილობენ ისტორიული ვითარება ისე წარმოაჩინონ, რომ ოსებისთვის თითქოს მხოლოდ რუსეთი იყო „ერთადერთი გზა“. ისტორიული რეალობა სხვაგვარი იყო. ქართულ წყაროებში აღნიშნულია ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსების ურთიერთობები ქართულ სამეფოებთან. ქართული წყაროები (ქართლის ცხოვრება) და ევროპელი მოგზაურების ჩანაწერები ადასტურებენ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში კავკასიის პოლიტიკურ სივრცეში რამდენიმე დიდი სახელმწიფო დომინირებდა რუსეთის გარდა. რუსეთი კი როგორც იმპერია, მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება. შესაბამისად, მცდარია მტკიცება, რომ ოსების ინტერესი რუსეთის იმპერიის მიმართ თავიდანვე არსებობდა. “Только Россия готовилась признать аланский суверенитет и строить отношения на основе взаимных обязательств”[13] - ეს ფრაზა დეზინფორმაციულია, რადგან რუსეთი არასოდეს აღიარებდა „ალანურ სუვერენიტეტს“. ამას თავად ოსი ისტორიკოსი ჩიბიროვიც აღიარებს.[14] პირიქით, რუსეთის პოლიტიკა მიმართული იყო იმპერიის გაფართოებაზე და ადგილობრივი საზოგადოების დაქვემდებარებაზე.[15]

დასკვნა

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ რუსულენოვან ისტორიოგრაფიულ ნარატივებში სამხრეთ კავკასიის, განსაკუთრებით როგორც მთელი საქართველოს, ისე კონკრეტულად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის შესახებ წარმოდგენილი ინტერ-პრეტაციები ხშირ შემთხვევაში არ ეფუძნება სრულყოფილ და კრიტიკულად გადა-მოწმებულ წყაროთა ბაზას. ანალიზმა აჩვენა, რომ გამოყენებული არგუმენტაცია ხშირად ეყრდნობა სელექტიურ წყაროთმცოდნეობას, ტერმინოლოგიურ ბუნდოვანებასა და ანაქრონისტულ მიდგომებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ მეცნიერულ სანდოობას.

განსაკუთრებით გამოიკვეთა დისკურსული სტრატეგიები, რომლებიც მიზნად ისახავს ისტორიული ნარატივის პოლიტიზებასა და იდეოლოგიზაციას. ასეთ სტრატეგიებს შორის

[12] იქვე, Р. С. Бзаров, Ю. С. Гаглойти, Р. Х. Гаглойти и др, 2024, გვ.,109.
[13] იქვე, გვ., 110.
[14] А. О. Чибиров, Осетия в составе России (2002), с. 109.
[15] Basil Dmytryshyn - Imperial Russia; a source book, 1700-1917 (1974), c.109.

მნიშვნელოვანია თანამედროვე ეთნიკური იდენტობების პროექცია ძველ ისტორიულ პერიოდებზე, ისტორიული მოვლენების კონტექსტიდან ამოგლეჯა და მათი გენერალიზაცია, ასევე ალტერნატიული აკადემიური ინტერპრეტაციების იგნორირება. აღნიშნული მიდგომები ქმნის ისტორიული უწყვეტობისა და ეთნიკური ლეგიტიმაციის კონსტრუირებულ სურათს, რომელიც ხშირად არ შეესაბამება ისტორიულ რეალობას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ენობრივი და ტერმინოლოგიური არჩევანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნარატივის ფორმირებაში: ტექსტში გამოყენებული ფორმულირებები ხშირად ფუნქციონირებს არა როგორც ნეიტრალური აღწერა, არამედ როგორც დისკურსული ინსტრუმენტი, რომელიც გავლენას ახდენს მკითხველის აღქმაზე. შედეგად, ისტორიოგრაფიული ტექსტი გარდაიქმნება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის საშუალებად, არამედ იდენტობისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის კონსტრუირების მექანიზმად.

ამგვარად, კვლევა ადასტურებს, რომ ისტორიოგრაფია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ კონტექსტში ხშირად სცდება აკადემიური ნეიტრალობის ფარგლებს და გადადის პოლიტიკურ-იდეოლოგიური დისკურსის სივრცეში, რაც საჭიროებს მის კრიტიკულ გადააზრებას და მრავალმხრივ ანალიზს.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილია შემდეგი რეკომენდაციების შეთავაზება:

1. აკადემიური სტანდარტების გაძლიერება – ისტორიოგრაფიულ კვლევებში აუცი-ლებელია წყაროთა კრიტიკული ანალიზის, მრავალმხრივი გადამოწმებისა და ტერმინოლოგიური სიზუსტის მკაცრი დაცვა, რათა შემცირდეს მიკერძოებული ინტერპრეტაციების რისკი.
2. ალტერნატიული წყაროების ჩართვა – საჭიროა სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო აკადემიური წყაროების პარალელური გამოყენება, რათა თავიდან იქნას აცილებული ერთმხრივი და პოლიტიზებული ნარატივების დომინირება.
3. კრიტიკული წაკითხვის კულტურის განვითარება – როგორც აკადემიურ სივრცეში, ისე ფართო საზოგადოებაში უნდა გაძლიერდეს ისტორიული ტექსტების კრიტიკული ანალიზის უნარები, რაც შეამცირებს დეზინფორმაციის გავრცელების ეფექტს.

4. საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობა –ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული ისტორიოგრაფიის კვლევა საჭიროებს საერთაშორისო თანამშრომლობას, რაც უზრუნველყოფს უფრო დაბალანსებულ და ობიექტურ კვლევით შედეგებს.

ბიბლიოგრაფია

А. О. Чибиров, Осетия в составе России (2002). История Республики Южная Осетия. Учебник для общеобразовательных организаций / Р. С. Бзаров, Ю. С. Гаглойти, Р. Х. Гаглойти и др. – Цхинвал: Глобус (2024).

Basil Dmytryshyn, Imperial Russia: A Source Book, 1700–1917 (1974).

კიბერუსაფრთხოების გამოწვევები თანამედროვე მსოფლიოში: საფრთხეები, ტენდენციები და სტრატეგიული რეაგირება

რომეო გალდავა
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი,
მათემატიკის დოქტორი

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა. სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების მზარდი დამოკიდებულება ინფორმაციულ სისტემებზე ზრდის კიბერშეტევების მაშტაბსა და სირთულეს. ამავე დროს ინტერნეტის გლობალურმა გავრცელებამ თანამედროვე საზოგადოება გადააქცია ციფრულ ეკოსისტემად, სადაც ეკონომიკური საქმიანობა, სახელმწიფო მმართველობა და სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვნად დამოკიდებული გახდა ციფრულ ინფრასტრუქტურაზე. ამ გარემოებებმა გამოიწვია ახალი ტიპის საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია კიბერსივრცეში განხორციელებულ აქტივობებთან. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა კიბერშეტევების რაოდენობა და მოიცვა როგორც ტექნოლოგიური, ასევე პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხებიც. მნიშვნელოვანია, რომ გაფართოვდა კიბერდამნაშავეთა არეალიც, რომელშიც ჩართული არიან როგორც ინდივიდუალური ჰაკერები, ასევე ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები და სახელმწიფოებიც კი. ასეთ პირობებში კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს როგორც ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს საკითხს, ასევე ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და საზოგადოების კეთიდღეობისა და განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს. ამ ფაქტორებმა მნიშვნელოვნად გაზარდა კიბერსივრცეში არსებული რისკები, რამაც გამოიწვია კიბერუსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების მნიშვნელოვანი გაფართოვება. ამ პირობებში კიბერუსაფრთხოება გახდა ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტი.

წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია კიბერუსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები, მათ შორის კიბერკრიმინალის გლობალიზაცია, კრიტიკული ინფრასტრუქტურის მოწყვლადობა და ახალი ტექნოლოგიებით გამოწვეული საფრთხეები. კვლევის ფარგლებში სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კიბერდანაშაულის ეკონომიკური მასშტაბი სწრაფად იზრდება და უკვე აღემატება ბევრი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს, რენსომვეარი და ფიშინგი რჩება ყველაზე გავრცელებულ შეტევის ფორმებად, ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად ზრდის კიბერშეტევების ეფექტიანობას, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტი მნიშვნელოვნად ამცირებს ორგანიზაციების შესაძლებლობას ეფექტურად დაიცვან საკუთარი ინფრასტრუქტურა. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ კიბერუსაფრთხოება მომავალშიც დარჩება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ გამოწვევად. კვლევის შედეგები კი მიუთითებს, რომ კიბერუსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ გამოწვევად რჩება. კიბერდანაშაულის ეკონომიკური ზარალის ზრდა, კიბერშეტევების ტექნოლოგიური განვითარება და უსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტი ქმნის რთულ უსაფრთხოების გარემოს. აღნიშნული გარემოებები განაპირობებენ კიბერუსაფრთხოების ინტეგრირებული სტრატეგიის შემდგომი განვითარების აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს როგორც ტექნოლოგიური უსაფრთხოების სისტემების განვითარებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, კიბერუსაფრთხოების განათლების განვითარებას, ასევე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას კიბერშეტევების გამოვლენაში.

ნაშრომში დასკვნით სახით აღნიშნულია, რომ კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას. კიბერდანაშაულის ეკონომიკური ზარალის ზრდა და კიბერშეტევების ტექნოლოგიური განვითარება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს როგორც ტექნოლოგიურ ინოვაციებს, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობას და განათლებას.

საკვანძო სიტყვები: კიბერუსაფრთხოება, კიბერშეტევები, ინფორმაციული უსაფრთხოება, კიბერ-კრიმინალი, კიბერუსაფრთხოების მართვა.

Cybersecurity Challenges in the Modern World: Threats, Trends, and Strategic Responses

Romeo Galdava
Professor of Bachelor's Program in Informatics of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Mathematics

Abstract

The rapid development of digital technologies has significantly increased the importance of cybersecurity. The growing dependence of states and organizations on information systems increases the scale and complexity of cyberattacks. At the same time, the global spread of the Internet has transformed modern society into a digital ecosystem, where economic activity, state governance, and social communication have become significantly dependent on digital infrastructure. These circumstances have led to new types of threats related to activities carried out in cyberspace. It is noteworthy that the number of cyberattacks has increased significantly in recent times and has encompassed technological, as well as political, military, economic and legal issues. It is important that the scope of cybercriminals has also expanded, involving both individual hackers and organized criminal groups and even states. In such conditions, ensuring cybersecurity is both a key issue of the national security strategy and an important component of the country's economic stability and the well-being and development of society. These factors have significantly increased the risks in cyberspace, which has led to a significant expansion of international scientific research in the field of cybersecurity. In these conditions, cybersecurity has become an important component of national security.

The presented work analyzes modern challenges of cybersecurity, including the globalization of cybercrime, the vulnerability of critical infrastructure and threats posed by new technologies. Within the framework of the study, based on statistical data, it was revealed that the economic scale of cybercrime is growing rapidly and already exceeds the gross domestic product of many countries, ransomware and phishing remain the most common forms of attack, artificial intelligence significantly increases the effectiveness of cyberattacks, the shortage of cybersecurity specialists significantly reduces the ability of organizations to effectively protect their infrastructure. The above circumstances indicate that cybersecurity will remain one of the most important strategic challenges in the future. The results of the study indicate that cybersecurity remains one of the most important strategic challenges in the modern world. The increase in economic losses from cybercrime, the technological development of cyberattacks, and the shortage of security specialists create a difficult security environment. The above circumstances determine the need for further development of an integrated cybersecurity strategy, which in turn includes the development of technological security systems, strengthening international cooperation, the development of cybersecurity education, as well as the use of artificial intelligence in detecting cyberattacks.

The paper concludes that cybersecurity is one of the most important challenges of the modern world. The increasing economic losses from cybercrime and the technological development of cyberattacks require a complex approach that combines both technological innovations, as well as international cooperation and education.

Keywords: Cybersecurity, cyberattacks, information security, cybercrime, cybersecurity management.

შესავალი

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტენსიურმა განვითარებამ და ინტერნეტის გავრცელების გლობალურმა მაშტაბებმა თანამედროვე მსოფლიო გადააქცია ციფრულ ეკოსისტემად, სადაც ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, საჯარო მმართველობა, ფინანსური ოპერაციები თუ სოციალური კომუნიკაცია სულ უფრო მეტად დამოკიდებული გახდა ციფრულ ინფრასტრუქტურაზე.

ამ გარემოებებმა გამოიწვია ახალი ტიპის საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია კიბერსივრცეში განხორციელებულ აქტივობებთან. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა კიბერშეტევების რაოდენობა და მოიცვა როგორც ტექნოლოგიური, ასევე პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხებიც.

მნიშვნელოვანია, რომ გაფართოვდა კიბერდამნაშავეთა არეალიც, რომელშიც ჩართული არიან როგორც ინდივიდუალური ჰაკერები, ასევე ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები და სახელმწიფოებიც კი. ასეთ პირობებში კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს როგორც ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს საკითხს, ასევე ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და საზოგადოების კეთიდღეობისა და განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს.

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კიბერსივრცეში არსებული რისკები, რამაც გამოიწვია კიბერუსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების მნიშვნელოვანი გაფართოვება.

აღნიშნულ საკითხებზე ძალზედ მნიშვნელოვანია ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც ძირითად ეთმობა კიბერუსაფრთხოების გამოწვევებს, კონცეფ-ციებსა და პრაქტიკას. ამ მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ მომზადებული კვლევა **„კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში: არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები“**, სადაც დასაბუთებულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კარგად აგებული კიბერსივრცის არქიტექტურა, სწორად გადანაწილებული უფლებამოსილებები, ანგარიშვალდებულება და კოორდინაცია, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კიბერსივრცის გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირებას.[1]

[1] მარი მავლენიშვილი, ნინი ბალარჯიშვილი. „კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში: არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები“. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI). თბ., 2020.

აღსანიშნავია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭრით ქართველი მეცნიერების (ნანი არაბული, აკაკი შეყილაძე, ვლადიმერ ადამია, ზაზა ცირამუა) მიერ გამოცემული მონოგრაფია **„კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, კონცეფციები და პრაქტიკა“**, სადაც კონცეპტუალუ-რად განხილულია ინფორმაციული უსაფრთხოების ძიროთადი პრინციპები, კიბრსივრცის თანამედროვე გამოწვევები და მათთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები.[2]

კვლევითი და შედარებითი ანალიზის მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანია ბექა ლეჟავას სამეცნიერო სტატია **„საქართველოს კიბერუსაფრთხოების ინდექსის შედარებითი ანალიზი“**, სადაც გაანალიზებულია საქართველოში არსებული კიბერუსაფრთხოების ეკოსისტემა და აღწერილია თუ რა გამოწვევების წინაშეა ქართული კიბერსივრცე და როგორ გავლენას ახდენს ის ქვეყნის კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსზე.[3]

საქართველოში არსებული კიბერსივრცის ახალი გამოწვევების შესწავლის კუთხით მნიშვნელოვანია ვლადიმერ სვანიძის მიერ გამოცემული წიგნი **„კიბერსივრცის ახალი გამოწვევები და საქართველო“,** სადაც აღწერილია კიბერსივრცეში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები და თანამედროვე გამოწვევბი, როგორც საქართველოში, ასევე გლობალურ დონეზე.[4]

კიბერუსაფრთხოების კონცეპტუალური საკითხების განხილვა ძალზედ აქტუალურია უცხოელი მეცნიერების შრომებშიც. ამ მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანია R.V. Solms და J.V Niekerk - ის ნაშრომი **„From Information Security to Cyber Security“,** სადაც ავტორები აღნიშნავენ, რომ კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების გაფართოებულ ფორმას, რომელიც მოიცავს არა მარტო ტექნოლოგიურ სისტემებს, არამედ სოციალურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ ასპექტებს.[5]

კიბერუსაფრთხოების გლობალური გამოწვევების ანალიზში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანეს ამერიკელმა მეცნიერებმა Peter W. Singer და Allan Friedman-მა, რომლებიც თავიანთ ნაშრომში **„Cybersecurity and Cyberwar: What Everyone Needs to Know “** აღნიშნავენ, რომ კიბერსივრცე გადაიქცა საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან სფეროდ, სადაც უკვე

---

[2] ნანი არაბული, აკაკი შეყილაძე, ვლადიმერ ადამია, ზაზა ციარამუა. კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, კონცეფციები და პრაქტიკა“. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბ., 2024

[3] ბექა ლეჟავა. „საქართველოს კიბერუსაფრთხოების ინდექსის შედარებითი ანალიზი“. ჟურნალი „პოლიტიკა“, ტომი 7, #3, თბ., 2023

[4] ვლადიმერ სვანიძე. „კიბერსივრცის ახალი გამოწვევები და საქართველო“, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2022.

[5] R.V. Solms, J.V Niekerk. „From Information Security to Cyber Security“. Publisher: “Computers & Security”, 2023.

სახელმწიფოები იყენებენ კიბერშეტევებს როგორც პოლიტიკური და სტრატეგიული გავლენის ინსტრუმენტს.[6]

კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიურ ასპექტებს ფართოდ განიხილავს ამერიკელი მეცნიერი William Stallings თავის ნაშრომში **„Effective Cybersecurity: A Guide to Using Best Practices and Standards“,** სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ორგანიზაციული უსაფრთხოების პოლიტიკას, რისკების მართვას და უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვის აუცილებლობას.[7]

აღნიშნული საკითხები განხილულია მრავალი საერთაშორისო კვლევის ფარგლებში. სხვადასხვა ანგარიშის მიხედვით, კიბერდანაშაულის ეკონომიკური ზარალი ყოველწლიურად იზრდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ ეკონომიკურ პრობლემასაც. საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. მაგალითად, **European Union Agency for Cybersecurity**[8] რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს, სადაც ასახულია ევროპაში კიბერუსაფრთხოების ძირითადი საფრთხეების ტენდენციები. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, აგრეთვე, კიბერუსაფრთხოების გლობალური შეფასების ერთერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი - **Global Cybersecurity Index**[9]**,** რომელიც აფასებს ქვეყნების მზადყოფნას კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. აღნიშნული ინდექსი აერთიანებს სამართლებრივ, ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ და საგანმანათლებლო ფაქტორებს.

თანამედროვე კვლევები ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანურ ფაქტორს კიბერუსაფრთხოებაში. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, კიბერინციდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეულია მომხმარებელთა არასაკმარისი ცნობიერებით ან უსაფრთხოების წესების დარღვევით.

ზემოაღნიშნული კვლევების ანალიზი აჩვენებს, რომ კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს მრავალგანზომილებიან პრობლემას, რომელიც მოითხოვს ტექნოლოგიური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მიდგომების ინტეგრაციას.

---

[6] Peter W. Singer, Allan Friedman. „Cybersecurity and Cyberwar: What Everyone Needs to Know“. OUP USA, 2024.

[7] William Stallings. „Effective Cybersecurity: A Guide to Using Best Practices and Standards“, Publisher : “Addison-Wesley Professional”, 2018

[8] European Union Agency for Cybersecurity (2025) - https://redirme.com/qxeybs გადამოწმებულია 31.03.2026

[9] Global Cybersecurity Index (2025)- https://www.itu.int/en/ITU-D/Cybersecurity/pages/global-cybersecurity-index.aspx

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ეტაპზე კიბერუსაფრთხოება განისაზღვრება როგორც ტექნოლოგიური და ორგანიზაციული, ასევე სამართლებრივი მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული სისტემებისა და მონაცემების დაცვას არასანქცირებული წვდომისაგან, დაზიანებისა და განადგურებისაგან. როგორც ცნობილია კიბერუსაფრთხოების კონცეფცია ეფუძნება ე.წ. **CIA** მოდელს, რომელიც მოიცავს სამ ძირითად პრინციპს:

- **კონფიდენციალურობა (Confidentiality)** - ინფორმაციის დაცვა არასანქირებული წვდომისაგან;
- **მთლიანობა (Integrity)** - მონაცემების სიზუსტის უზრუნველყოფა;
- **ხელმისაწვდომობა (Availability)** - უფლებამოსილი მომხმარებელთათვის სისტემებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად კიბერუსაფრთხოების თეორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა რისკების პრევენცია და მართვა, კიბერინციდენტებზე რეაგირება და ინფორმაციული მდგრადობა.

ამ ეტაპზე გამოიკვეთა კიბერუსაფრთხოების რამდენიმე ძირითადი გამოწვევა:

1. **კიბერკრიმინალის გლობალიზაცია - კიბერდანაშაული ერთერთი ყველაზე** მზარდი და გლობალური დანაშაულის ფორმა გახდა. კიბერკრიმინალურ ჯგუფებს შესაძლებლობა აქვთ იმოქმედონ საერთაშორისო მასშტაბით და ისარგებლონ სხვადასხვა ქვეყნების ტექნოლოგიური და სამართლებრივი სისტემების სისუსტეებით.
2. **კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება -** კრიტიკული ინფრასტრუქტურა მოიცავს ისეთ სისტემებს, რომელთა ფუნქციონირება კრიტიკუ-ლად აუცილებებლია საზოგადოების ნორმალური საქმიანობისათვის. მასზე შეტევამ შეიძლება გამოიწვიოს ფართომაშტაბიანი ეკონომიკური და სოციალური კრიზისი.
3. **ახალი ტექნოლოგიებით გამოწვეული საფრთხეები -** ახალი ტექნოლოგიების სწარაფი გავრცელება ზრდის კიბერუსაფრთხოების რისკებს, მათ შორისაა **ნივთების ინტერნეტი (IoT), ხელოვნური ინტელექტი (AI), ღრუბლოვანი ტექნოლოგიები და სხვ.**
4. **ადამიანური ფაქტორი კიბერუსაფრთხოებაში** - კიბერუსაფრთხოების დარღვევების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ადამიანურ ფაქტორთან. არასაკმარისი ცოდნა და უსაფრთხოების წესების უგულველყოფა ხშირად ხდება კიბერშეტევების მთავარი მიზეზი. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლებისა და ცნობიერების ამაღლებას კიბერუსაფრთხოების კუთხით.

აღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე საჭირო გახდა სტრატეგიული მიდგომების ჩამოყალიბება კიბერუსაფრთხოების მართვის კუთხით, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე აერთიანებს ტექნოლოგიურ, ინსტიტუციურ და საგანმანათლებლო კომპონენტებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია:

- **ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგიები** - ბოლო წლებში ქვეყნები ანვითარებენ ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგიებს, რომლებიც განსაზღვრავენ კიბერსივრცეში მოქმედების ძირითად პრინციპებს;
- **საერთაშორისო თანამშრომლობა** - კიბერკრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე. ინფორმაციის გაცვლა და ერთობლივი ოპერაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- **ტექნოლოგიური ინოვაციები** - ხელოვნური ინტელექტის და სხვა მსგავსი სისტემების გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო სწრაფად გამოვლინდეს კიბერშეტევები და შემცირდეს მათი გავლენა.

აღნიშნული საკითხების კვლევის მიზნით გამოყენებულ იქნა კომბინირებული ანალიტიკური მეთოდი, რომელიც აერთიანებს მეორადი მონაცემების ანალიზს, საერთაშორისო ანგარიშების შედარებით შეფასებას და სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაციას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გაზარდა კიბერშეტევების რაოდენობა და ეკონომიკური ზარალი. ირკვევა, რომ კიბერკრიმინალი უკვე გახდა ერთერთი ყველაზე მაშტაბური ეკონომიკური საფრთხის მატარებელი მსოფლიოში.

კვლევების მიხედვით კიბერდანაშაულის გლობალური ეკონომიკური ზარალია 2025 წლისთვის **10.5 ტრილიონ დოლარს** აღწევს, მონაცემთა დარღვევის საშუალო ღირებულება **4.4 – 4.8 მილიონ დოლარს** შეადგენს, ყოველდღიურად დაახლოებით **2300-ზე მეტი** კიბერშეტევა ხორციელდება, წელიწადში საშუალოდ **850 000 და** ა.შ. (იხ. შესაბამისი ცხრილები და დიაგრამები)

ცხრილი 1. კიბერუსაფრთხოების გლობალური სტატისტიკა (2024 – 2025)[10]

მაჩვენებელი	რაოდენობა
კიბერდანაშაულის გლობალური ზარალი	**10.5 ტრილიონი დოლარი**
მონაცემთა დარღვევის საშუალო ღირებულება	**$4.44 – $4.88 მილიონი**

[10] Cybercrime Market Report 2025. https://redirme.com/2zderq (Accessed 31.03.2026)

ყოველდღიური შეტევების რაოდენობა	**საშუალოდ 2300**
ყველაზე გავრცელებული შეტევის ტიპი	**Ransomware**
კიბრუსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტი	**≈4.8 მილიონი სამუშაო ადგილი**

ძალზედ საგულისხმოა ზარალის ზრდის დინამიკა, რომელიც აჩვენებს, რომ ბოლო წლებში (2018 – 2025) ეკონომიკური ზარალი თითქმის შვიდჯერ გაიზარდა, რაც მიუთითებს კიბერუსაფრთხოების სფეროში რისკების სწრაფ ზრდაზე



დიაგრამა 1. კიბერდანაშაულის ეკონომიკური ზარალის ზრდა[11]

ცხრილი 2. კიბერშეტევების რეგიონული გავრცელება[12]

რეგიონი	**კვირეული შეტევა ორგანიზაციებზე**
აფრიკა	**3370**
აზია-ოკეანია	**2863**
ლათინური ამერიკა	**2844**
ევროპა	**1557**
ჩრდილოეთ ამერიკა	**1298**

[11] Cybercrime Market Report 2025. https://redirme.com/ej7kfe (Accessed 31.03.2026)
[12] Ibid.

ეს მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ კიბერშეტევების ინტენსივობა განსაკუთრებით მაღალია განვითარებად რეგიონებში, სადაც კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურა ხშირად ნაკლებად განვითარებულია.

ცხრილი 3. კიბერშეტევები სექტორულ ჭრილში[13]

სექტორი	მონაცემთა დარღვევის საშუალო ღირებულება (USD)
ჯანდაცვა	**$7.42 – $10 მილიონი**
ფინანსური სექტორი	**$6.08 მილიონი**
ტექნოლოგიური კომპანიები	**$5 მილიონი**
სახელმწიფო სექტორი	**$2.55 მილიონი**
გლობალური საშუალო	**$4.44 მილიონი**

ამ მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რო ზოგიერთ სექტორში ზარალი მნიშვნელოვნად უფრო მაღალია. მაგალითად, ჯანდაცვის სექტორში მონაცემთა დარღვევის საშუალო ღირებულება დაახლოებით **7–10 მილიონ დოლარს აღწევს**, რაც მას ყველაზე მოწყვლად სექტორად აქცევს.

ცხრილი 4. კიბერშეტევების ძირითადი ტიპები[14]

შეტევის ტიპი	გავრცელების მაჩვენებელი %
Ransomware	≈ 44%
Phishing	≈ 25 %
Malware	≈ 18%
Supply chain attacks	≈ 8%
სხვ	≈ 5%

კიბერშეტევების სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე გავრცელებული თავდასხმის მეთოდი კვლავ **რენსომვეარია (Ransomware)**, რომელიც ზოგიერთ კვლევაში ყველა შეტევის დაახლოებით **60 - 70%-ს** შეადგენს.

[13] Ibid. Cybercrime Market Report 2025.
[14] Ibid.

ძალზედ საინტერესოა მონაცემთა დარღვევის ძირითადი მიზეზების/ფაქტორების სტატისტიკა, საიდანაც ირკვევა, რომ კიბერუსაფრთხოების ერთერთი ყველაზე მნიშნელოვანი გამოწვევა კვლავ ადამიანური ფაქტორია.



დიაგრამა 2. მონაცემთა დარღვევის ძირითადი მიზეზები/ფაქტორები[15]

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე იკვეთება გარკვეული მნიშვნელოვანი ტენდენცია:

- პირველ რიგში, კიბერუსაფრთხოების საფრთხეები სწრაფად იზრდება როგორც ეკონომიკური, ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით. კიბერდანაშაულის გლობალური ზარალი უკვე ტრილიონობით დოლარს აღწევს და მომავალ წლებში კიდევ უფრო გაიზრდება.
- მეორე მნიშვნელოვანი ტენდენცია არის კიბერშეტევების ტექნოლოგიური განვითარება. თანამედროვე ეტაპზე აქტიურად გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი და სხვა ავტომატიზირებული სისტემები, რაც ზრდის შეტევების სიჩქარესა და ეფექტიანობას.
- მესამე მნიშვნელოვანი პრობლემა არის კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტი, რომელიც მსოფლიოში დაახლოებით **4.8 მილიონი სამუშაო ადგილით** განისაზღვრება.

[15] Ibid. Cybercrime Market Report 2025.

დასკვნა

კიბერუსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ სტაბილურობაზე. კიბერშეტევების ზრდა და მათი სირთულის გაძლიერება მიუთითებს იმაზე, რომ კიბერსივრცე იქცა სტრატეგიული კონკურენციის მნიშვნელოვან სფეროდ.

ამ პირობებში კიბერუსაფრთხოების ეფექტიანი მართვა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ, ინსტიტუციურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს. ამავე დროს მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ინოვაციები, სამართლებრივი რეგულაციები და საერთაშორისო თანამშრომლობა. მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომის პირობებში იქნება შესაძლებელი თანამედროვე კიბერრისკების შემცირება და უსაფრთხო ციფრული გარემოს შექმნა.

წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა გარკვეული ტენდენცია, კერძოდ:

- **კიბერდანაშაულის ეკონომიკური მასშტაბი სწრაფად იზრდება** და უკვე აღემატება ბევრი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს.
- **რენსომვეარი და ფიშინგი** რჩება ყველაზე გავრცელებულ შეტევის ფორმებად.
- **ხელოვნური ინტელექტი** მნიშვნელოვნად ზრდის კიბერშეტევების ეფექტიანობას.
- **კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტი** მნიშვნელოვნად ამცირებს ორგანიზაციების შესაძლებლობას ეფექტურად დაიცვან საკუთარი ინფრასტრუქტურა.

ეს ტენდენციები მიუთითებს, რომ კიბერუსაფრთხოება მომავალშიც დარჩება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ გამოწვევად. კვლევის შედეგები კი მიუთითებს, რომ კიბერუსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ გამოწვევად რჩება. კიბერდანაშაულის ეკონომიკური ზარალის ზრდა, კიბერშეტევების ტექნოლოგიური განვითარება და უსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტი ქმნის რთულ უსაფრთხოების გარემოს.

ასეთ პირობებში აუცილებელია კიბერუსაფრთხოების ინტეგრირებული სტრატეგიის შემდგომი განვითარება, რომელიც მოიცავს:

- ტექნოლოგიური უსაფრთხოების სისტემების განვითარებას
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას
- კიბერუსაფრთხოების განათლების განვითარებას
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას კიბერშეტევების გამოვლენაში.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას. კიბერდანაშაულის ეკონომიკური ზარალის ზრდა და კიბერშეტევების ტექნოლოგიური განვითარება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ ინოვაციებს, საერთაშორისო თანამშრომლობას და განათლებას.

ბიბლიოგრაფია

მავლენიშვილი, მარი, ბალარჯიშვილი, ნინი, „კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში: არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები“. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI). თბ., 2020

არაბული, ნანი, შეყილაძე, აკაკი, ადამია, ვლადიმერ, ციარამუა, ზაზა, კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, კონცეფციები და პრაქტიკა“. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბ., 2024

ლეჟავა, ბექა, „საქართველოს კიბერუსაფრთხოების ინდექსის შედარებითი ანალიზი“. ჟურნალი „პოლიტიკა“, ტომი 7, #3, თბ., 2023

სვანიძე, ვლადიმერ, „კიბერსივრცის ახალი გამოწვევები და საქართველო“, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2022

კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების 2025-2030 წლების სტრატეგია. https://dga.gov.ge/files/mUMPR8s3w59z.pdf (გადამოწმებულია 30.03.2026)

Solms, R.V. Niekerk J.V., „From Information Security to Cyber Security“. Publisher: “Computers & Security”, 2023

Singer, Peter W., Friedman, Allan, „Cybersecurity and Cyberwar: What Everyone Needs to Know“. OUP USA, 2024.

Stallings, William, „Effective Cybersecurity: A Guide to Using Best Practices and Standards“, Publisher : “Addison-Wesley Professional”, 2018

European Union Agency for Cybersecurity (2025) - https://redirme.com/fz7myh (Accessed 31.03.2026)

Global Cybersecurity Index (2025)- https://redirme.com/y5qp3x (Accessed 31.03.2026)

Cybercrime Market Report 2025 - https://redirme.com/u4by4m (Accessed 31.03.2026)

გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია შავი ზღვის რეგიონში და „დიდი რუმინეთის“ სტრატეგიული პროექტის რეალიზაციის პერსპექტივები

შადიმან ბიწაძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის დოქტორი

აბსტრაქტი

2026 წლის 23 მარტს კიშინიოვში ყირიმის საერთაშორისო პლატფორმის ეგიდით გაიმართა კონფერენცია, რომელიც შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი. კონფერენცია მოლდოვისა და უკრაინის თავდაცვის სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით იყო ორგანიზებული და იმ დიალოგის გაგრძელებას წარმოადგენდა, რომელსაც 2023 წელს ბუქარესტში, ხოლო 2024 წელს კი სოფიაში ჩაეყარა საფუძველი.

კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში კაია კალასი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რეგიონში უსაფრთხოების ჰაბის შექმნის აუცილებლობის შესახებ და მასში რუმინეთის წამყვან როლს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა.

ნატო აშშ-ის სახით აძლიერებეს თავის სამხედრო - პოლიტიკურ ყოფნას რეგიონში, სადაც უმთავრეს პლაცდარმად რუმინეთი განიხილება,[1] რაც საშუალებას აძლევს მას „დიდი რუმინეთის“ გეოპოლიტიკური პროექტის აღსრულების მექანიზმი აამუშავოს, რადგან ამ მხრივ შესაბამისი ვითარება, როგორც ჩანს იქმნება.

ამა წლის 11 იანვარს მოლდოვის პრეზიდენტმა მაია სანდუმ ბრიტანული პოდკასტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა - „რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, ხმას რუმინეთთან გაერთიანებას მივცემდი. შეხედეთ, რა ხდება მსოფლიოში, მოლდოვის მსგავსი პატარა ქვეყნისთვის სულ უფრო რთულდება დემოკრატიულ და სუვერენულ სახელმწიფოდ გადარჩენა და რა თქმა უნდა, რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა“.[2] აღნიშნული განცხადების გაკეთებიდან მოკლე ხანში - 25 მარტს მოლდოვის პარლამენტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დსთ-ს დატოვების შესახებ...

„დიდი რუმინეთის“ შექმნის გზაზე, 1866 – 1947 წლებში რუმინეთის სამეფოს არსებობის მანძილზე გარკვეული შედეგები მიღწეულ იქნა - უნგრული ტრანსილვანია და ბულგარული დობრუჯა შემოერთებულია და იწყება გადამწყვეტი ბრძოლა მოლდოვისათვის, რაც საბოლოოდ მისი „შთანთქმით“ უნდა დამთავრდეს. მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება სრულიად ჯდება რუმინეთის ეროვნულ ინტერესებში და რეალიზაციის შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია განსაზღვროს კიდეც მომავალში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურის სტრუქტურა.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია, რეგიონალური უსაფრთხოება, ეროვნული ინტერესები.

---

[1] შადიმან ბიწაძე.., საქართველო- რუმინეთის პარტნიორული თანამშრომლობის ასპექტები შავი ზღვის რეგიონში, სამხედრო შრომები, სსიპ. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, გორი., 2022, გვ.49.

[2] ელ.რესურსი https://redirme.com/46wsg3 (ბოლო წვდომა 31.03.2026)

Geopolitical transformations in the Black Sea region and prospects for the implementation of the „Greater Romania" strategic project

Shadiman Bitsadze
Associate Professor of Master's Program in Security Studies of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of History

Abstract

On March 23, 2026, a conference dedicated to security issues in the Black Sea region was held in Chisinau under the auspices of the International Crimean Platform. The conference was co-organized by the Ministries of Defense of Moldova and Ukraine and was **continues the dialogue launched in Bucharest in 2023 and subsequently in Sofia in 2024.**

In her remarks,The High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy, Kaja Kallas, emphasizes building a regional security hub and has highlighted crucial importance to Romania's leading role in this process.

NATO, represented by the United States, is strengthening their military-political presence in the region, where Romania positioning as the main springboard for activating the mechanism for implementing the geopolitical project of "Greater Romania," as an appropriate situation seems to be emerging in this regard.

On January 11 of this year, Moldova's President Maia Sandu stated in an interview with a British podcast: "If there were a referendum, I would vote for unification with Romania. Look at what's happening in the world: it's becoming increasingly difficult for a small country like Moldova to survive as a democratic and sovereign state and, of course, to stand up to Russia". Shortly after the above-mentioned statement, on March 25, the Moldovan parliament unanimously adopted a decision to withdraw from the CIS...

On the path to creating of "Greater Romania", during the existence of the Kingdom of Romania from 1844 to 1947, certain results were achieved - Hungarian Transylvania and Bulgarian Dobruja were united, and a decisive struggle for Moldova began, which should ultimately end with its "absorption.

Such a scenario is entirely in line with Romania's national interests and, if realized, could even determine the future security architecture of the Black Sea region.

Key words: Geopolitical transformation, regional security, national interests.

შესავალი

XIV საუკუნეში თანამედროვე რუმინეთის ტერიტორიაზე რამდენიმე სამთავრო ჩამოყალიბდა. XVIII საუკუნის დასაწყისში ბუკოვინა ავსტრიის იმპერიას გადაეცა, მოლდოვის ნაწილი და ბესარაბია კი რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. მოლდოვის სამთავროს დარჩენილი ტერიტორია ვლახეთის სამთავროსთან გაერთიანდა. გაერთიანებული სამთავროების მმართველმა ალექსადრ იოანე კუზამ ისარგებლა ყირიმის ომში რუსეთის კატასტროფული მარცხით და 1859 წელს რუმინეთის სახელმწიფოს შექმნის დეკლარაცია მიიღო.

1866 წელს მმართველობის სადავეები თავის ხელში აიღო გერმანელმა პრინცმა კარლ ჰოჰენცოლერნ - ზიგმარინგენმა, რომლის კორონაცია 1881 წელს შედგა. აღნიშნულმა ფაქტმა მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას და ერთიანი რუმინული ნაციის შექმნის პროცესს, რომელიც 1878 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით დაგვირგვინდა - ბერლინის კონგრესმა ერთხმად აღიარა რუმინეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.[3]

1917 წლის ბოლოს რუსეთში რევოლუციისა და მონარქიის დამხობის შემდეგ ბესარაბიაში მოლდოვის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა. 1918 წლის იანვრის დასაწყისში რუმინეთის ჯარები ბესარაბიაში შევიდნენ, ხოლო მარტის ბოლოს გამოცხადდა მოლდოვის რუმინეთთან გაერთიანება. დნესტრის მარცხენა სანაპიროს ნაწილი საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. 1924 წელს იქ უკრაინის სსრ-ის შემადგენლლობაში მოლდოვის ასსრ ჩამოყალიბდა. ავტონომიურ რეგიონში დაიწყო მოლდოველების, როგორც ცალკეული ეროვნების, თვითიდენტიფიკაციის კამპანია. შემუშავდა კირილიცაზე დაფუძვნებული მოლდოვური ანბანი და მოლდოვური ენა გამოცხადდა ცალკე ენად და არა რუმინული ენის დიალექტად.

1939 წელს სსრკ-მ და გერმანიამ ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის პაქტს (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი), რომელიც მოიცავდა საიდუმლო დამატებით ოქმს, რომლის მიხედვითაც ბესარაბია საბჭოთა გავლენის სფეროში გადადიოდა. 1940 წელს ბესარაბია და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილი (1919 წლიდან რუმინეთის ნაწილი) სსრკ-ს ანექსიის შედეგად მოლდოვის ასსრ-ის ნაწილი გახდა. 1940 წლის 2 აგვისტოს მოლდოვამ სსრკ-ის შემადგენლობაში საკავშირო რესპუბლიკის სტატუსი მიიღო დედაქალაქით კიშინიოვში.

---

[3] ვაჟა ჩოჩია, „ბისმარკი და გერმანიის პრობლემა, 1862-1882“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი., 2011, გვ259

ძირითადი ნაწილი

მოლდოვის რუმინეთთან გაერთიანების მოთხოვნამ მასობრივი ხასიათი გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მიიღო. გაერთიანების მომხრეებს უნიონისტებს უწოდებდნენ, რუმინული სიტყვის - უნირის (კავშირის) გამო. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ მოლოტოვ-რიბენტროპის პაკტის გადახედვას იმის მომიზეზებით, რომ 1940 წელს საბჭოთა კავშირმა ბესარაბიის ანექსია მოახდინა. აღნიშნული პროცესის ერთგვარი კატალიზატორი საბჭოთა კავშირის დაშლა იყო, რამაც საზღვრების გადახედვის თეორიული შესაძლებლობა გააჩინა. შექმნილმა ვითარებამ მოლდოვეთში პრორუმინული განწყობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. მოლდოვის დამოუკიდებლობის დეკლარაციამ, რომელიც მიღებულ იქნა 1991 წლის 27 აგვისტოს, ღიად დაგმო ბესარაბიის ანექსიის ფაქტი საბჭოთა კავშირის მიერ და ოფიციალურ ენად მოლდავურის ნაცვლად რუმინული გამოაცხადა.[4]

გაერთიანების[5] იდეა განსაკუთრებით ძლიერი იყო მოლდოვაში დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში. მას შემდეგ, რაც 1990 წელს ხელისუფლებაში მოვიდა მოლდოვის სახალხო ფრონტისა და პრორეფორმისტი კომუნისტების კოალიცია, დაიწყო აქტიური ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობდა ორი ქვეყნის ეფექტურ გაერთიანებას. მოლდოვას დამოუკიდებლობის დეკლარაციამ, რომელიც მიღებულ იქნა 1991 წლის 27 აგვისტოს, ღიად დაგმო ბესარაბიის რუმინეთისგან გამოყოფა და ოფიციალურ ენად აღიარა რუმინული და არა მოლდოვური. ამ დოკუმენტმა, ამგვარად, შექმნა სამართლებრივი საფუძველი მოლდოვას რუმინეთთან შესაძლო გაერთიანებისთვის, რასაც როგორც მოლდოვის მაშინდელი მთავრობა, ასევე საზოგადოებაც ემხრობოდა. რუმინეთის დროშა და ეროვნული ჰიმნი გამოცხადდა მოლდოვას ოფიციალურ სახელმწიფო სიმბოლოებად.

გაერთიანების იდეამ სწრაფად მოიპოვა მხარდაჭერა თავად რუმინეთშიც. ბუქარესტმა აღიარა მოლდოვის დამოუკიდებლობა, მაგრამ მისი დეკლარაცია ირიბად გულისხმობდა, რომ დამოუკიდებლობა მხოლოდ გარდამავალი ნაბიჯი იყო რუმინეთთან გაერთიანების გზაზე. მოლდოველებისთვის სავიზო შეზღუდვები შედარებით სწრაფად მოიხსნა და შემოღებული იქნა გამარტივებული სასაზღვრო მოძრაობის რეჟიმი. ბუქარესტმა ასევე ორგანიზება გაუწია რუმინულ ენაზე წიგნებითა და სასწავლო სახელმძღვანელოებით მოლდოვის სკოლებისა და ბიბლიოთეკების შევსებას.

---

[4] ელ. რესურსი, https://regnum.ru/article/2692009 (ბოლო წვდომა 31.03.2026)

[5] Kamil Catus.., IN THE SHADOW OF HISTORY ROMANIAN-MOLDOVAN RELATIONS, Warshava, Poland, 2015, p. 57

ფაქტობრივი სიმბოლური ქმედებების გარდა, რუმინეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო რეალური ძალისხმევის განხორციელება გაერთიანების მხარდასაჭერად. ეს პირველ რიგში დაკავშირებული იყო რუმინეთში რადიკალურად გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ასევე ჩაუშესკუს დამხობის შემდეგ პოლიტიკურ არასტაბილურობასთან. აღნიშნულმა ფაქტორმა აიძულა ბუქარესტი ძირითადად შიდა სიტუაციაზე კონცეტრირებულიყო. სიტუაცია გართულდა კიშინიოვსა და სეპარატისტულად განწყობილ რეგიონებთან, გაგაუზიისა და დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებულ ხელისუფლებას შორის მზარდი დაძაბულობით, რომლებმაც შესაბამისად, 1990 წლის 19 აგვისტოს და 2 სექტემბერს გამოაცხადეს დამოუკიდებლობა.

რუმინეთში საჯარო დებატებში გაერთიანების საკითხების თანდათანობითი წინ წამოწევა 2004 წელს დაიწყო, როდესაც ტრაიან ბასესკუმ პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა. მისი თანამდებობაზე ყოფნის პირველ თვეებში კიშინიოვთან ურთიერთობების გაღრმავების მცდელობებმა გამოიწვია ტაქტიკური პროდასავლური შემობრუნება, რომელიც პეზიდენტმა ვორონინმა 2004 წლის დასაწყიში გააკეთა, მოსკოვის მხარდაჭერის დაკარგვასთან დაკავშირებით. გაერთიანების თემა სულ უფრო მეტად იკავებდა საჯარო სივრცეს. მოლდოვურმა და რუმინულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტატიები. რომლებიც ეძღვნებოდა ტექნიკურ საკითხებს, სცენარებს და შესაძლო გაერთიანებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ეს დისკურსი სრულიად ახალ დონეზე ავიდა 2006 წლის 1 ივლისს, როდესაც ბასესკუმ შესთავაზა კაშინიოვს მოლდოვის შეერთების ვარიანტი, სანამ ეს უკანასკნელი ეროკავშირში გაწევრიანდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მმართველმა მოლდოველმა კომუნისტებმა კატეგორიულად უარყვეს რუმინეთის პრეზიდენტის წინადადება, აღნიშნულმა ფაქტმა მაინც გამოიწვია ინტერესის ზრდა გაერთიანების თემის მიმართ ორივე ქვეყანაში. გაერთიანების კონტექსტში მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტ ბასესკუს 2013 წლის 27 ნოემბერს გაკეთებული განცხადება მოლდოვის მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირების წინა დღეს რუმინულ ტელევიზიაში, როდესაც მან განაცხადა, რომ მოლდოვასთან გაერთიანება რუმინეთის მესამე სტრატეგიული მიზანია ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ.

პრეზიდენტ ნიკოლაუ ტიმოფტის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოლდოვაში სახელმწიფო ენის საკითხი კვლავ წამოიჭრა. 2013 წლის 5 დეკემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის რამდენიმე წევრის მოთხოვნით, 1991 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ქვეყნის კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად აღიარა თუმცა

საპარლამენტო ოპოზიციამ მოლდოვის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები დაბლოკა.

2016 წლის 31 აგვისტოს პრეზიდენტმა ტიმოფტიმ კვლავ მოუწოდა პარლამენტის წევრებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის სახელწოდება შეეცვალათ. მოლდოვის ლიდერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რესპუბლიკაში ეთნიკური რუმინელები ცხოვრობენ და მოლდოველები მხოლოდ „ხელოვნურ ეთნიკურ ჯგუფს“ წარმოადგენენ, თუმცა ეს ინიციატივა უარყოფილ იქნა. 2016 წლის შემოდგომაზე ქვეყნის პრეზიდენტად სოციალისტი იგორ დოდონი იქნა არჩეული, რომელსაც მიაჩნდა, რომ მოლდოვამ უნდა გააძლიეროს საკუთხარი სახელმწიფოებრიობა და თავი აარიდოს „რუმინიზაციას“. 2020 წელს პრეზიდენტის თანამდებობა პროევროპული „მოქმედებისა და სოლიდარობის“ პარტიის ლიდერმა მაია სანდუმ დაიკავა. 2021 წლის აპრილში სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტს მოუწოდა სახელმწიფო ენად ოფიციალურად გამოცხადებულიყო რუმინული. 2023 წლის 16 მარტს კანონმდებლებმა მიიღეს კანონი, რომლის ძალითაც სახელმწიფო ენის სახელწოდება მოლდოვურიდან რუმინულით შეიცვალა. ოპოზიცია კანონპროექტს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა მმართველმა „მოქმედებისა და სოლიდარობის“ პარტიამ, რომელიც პარლამენტში უმრავლესობას ფლობს აღნიშნული კანონპროექტი მიიღო.[6]

დასკვნა

ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების მონაცემებით მოლდოვის მოსახლეობის 1,5 მილიონს გააჩნია ორმაგი მოქალაქეობა (მათ შორისაა თვით მაია სანდუც!) და რუმინეთთან გაერთიანების მომხრეთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და სტაბილურ უმეტესობად ყალიბდება. გაერთიანების სურვილი განსაკუთრებით პოპულარულია მოლდოვის დიასპორაში, რომლის უშუალო ჩარევის წყალობით შეინარჩუნა პრეზიდენტის სავარძელი სანდუმ, ხოლო მისმა პარტიამ „მოქმედება და სოლიდარობამ“ ხმების უმეტესობა (101 დან 55 მანდატი) მოიპოვა პარლამენტში.

პრეზიდეტ სანდუს 2026 წლის 11 იანვრის განცხადებას 20 იანვარს მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრის მიჰაი პოპშოის განცხადება მოჰყვა იმის შესახებ, რომ ხელისუფლება გაერთიანების თაობაზე დაუყოვნებლივ ჩაატარებს რეფერენდუმს, თუ რუსეთის არმია უკრაინის კონფლიქტის დროს რესპუბლიკის საზღვრებს მიუახლოვდება. მინისტრის მიერ

[6] ელ.რესურსი, https://tass.ru/info/26202229, (ბოლო წვვდომა 31.03.2026)

მოვლენების ასეთ შეფასებას შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვა რუმინეთში, რომლის დღევანდელი ხელისუფლება სათანადოდ აანალიზებს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, სრულებითაც არ ცდილობს ხელოვნურად დააჩქაროს მოვლენები და ირჩევს საკმაოდ პრაგ-მატულ გზას - დაწყებული პროცესი წარმატებით დააგვირგვინოს მოლდოვის ევროკავშირ-ში გაერთიანების შემდეგ.

2008 წელს რუმინეთის ხელისუფლებამ მიიღო ქვეყნის „მდგრადი განვითარების სტრატეგია 2008-2030“, რომელიც ითვალისწინებს მოლდოვის რესპუბლიკისადმი თანმიმ-დევრული პოლიტიკის ჩამოყალიბების გზით დაეხმაროს მას მთელს ტერიტორიაზე სუვე-რენიტეტის აღდგენაში და ევროკავშირის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ სივრცეში ინტეგრირების პროცესში ძლიერი ორმხრივი პარტნიორობის განვითარების მეშვეობით, რაც დაფუძნებულია კულტურის, ენისა და ტრადიციების ერთობლიობაზე.[7]

ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადი ხდება რომ შავი ზღვის რეგიონი ტრადიცი-ულად რჩება ევრაზიის გეოპოლიტიკური არქიტექტურის ტრანსფორმაციის უცვლელ ცენ-ტრად, სადაც მომავალში რუმინეთმა თვალსაჩინო და შესაძლებელია, გადამწყვეტი რო-ლიც კი ითამაშოს.

ბიბლიოგრაფია

ბიწაძე შადიმან.., საქართველო- რუმინეთის პარტნიორული თანამშრომლობის ასპექტები შავი ზღვის რეგიონში, სამხედრო შრომები, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, გორი., 2022;

ელ.რესურსი, https://redirme.com/46wsg3 (ბოლო წვდომა 31.03.2026)

ჩოჩია ვაჟა.., ბისმარკი და გერმანიის პრობლემა, 1862-1882 გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი., 2011;

ელ.რესურსი, https://regnum.ru/article/2692009 (ბოლო წვდომა 31.03.2026)

Kamil Catus.., IN THE SHADOW OF HISTORY ROMANIAN-MOLDOVAN RELATIONS, Warshava, Poland, 2015;

ელ.რესურსი, https://tass.ru/info/26202229, (ბოლო წვვდომა 31.03.2026)

NATIONAL SUSTAINABLE DEVELOPMENT STRATEGY. Romania 2013-2020-2030, BUCAREST, 2008.

[7] NATIONAL SUSTAINABLE DEVELOPMENT STRATEGY. Romania 2013-2020-2030, BUCAREST., p.135

ევროკავშირის ტრანსფორმაცია თანამედროვე მსოფლიო წესრიგში: მშვიდობის პროექტიდან სამხედრო- პოლიტიკურ აქტორამდე

მაია გამსახურდია
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი,
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
ORCID: 0009-0008-3739-9226

გიორგი ჩხიკვიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთოებების
ფაკულტეტის ასოც. პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ORCID: 0000-0002-7739-7232

აბსტრაქტი

სტატიაში გამოკვლეული და გაანალიზებულია ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის ტრანსფორმაცია თანამედროვე ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პირობებში. გლობალურ პოლიტიკაში ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევები, ცვლილებები ძალთა ბალანსში და რეგიონული თუ საერთაშორისო კონფლიქტების გამწვავება, საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში აყენებს ევროკავშირის ევოლუციის საკითხს, კერძოდ: ეკონომიკური გაერთიანებიდან სამხედრო-პოლიტიკურ აქტორამდე. ევროკავშირის არსებობა და სტატუსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეეძლება მას საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სტატიაში განხილულია პოლიტიკური დისკურსები ევროპის უსაფრთხოების პრობლემატიკაზე, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობის პროცესში. ამ ომმა ფუნდამენტური გავლენა მოახდინა ევროკავშირის როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაზე. მან დააჩქარა ევროპული უსაფრთხოების პოლიტიკის რეფორმირების გატარების აუცილებლობა და გამოკვეთა ევროკავშირის შემდგომი გაფართოებისა და შიდა რეფორმირების ჩატარების საკითხი, როგორც, თავდაცვისა და უსაფრთხოების, აგრეთვე, პოლიტიკური და ინსტიტუციური ცვლილებების კუთხით. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომიურობის კონცეფციას, ტრანსატლანტიკური ურთიერთობების დინამიკას და იზოლაციონიზმის რისკებს. სტატიის მიზანია გამოავლინოს, გაანალიზოს და შეაფასოს ევროკავშირის ინსტიტუციური ტრანსფორმაციისა და გაფართოების შესახებ მიმდინარე დისკურსები. კვლევა ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების კვლევებში გამოყენებულ კომპლექსური ანალიტიკურ მიდგომებს.

საკვანძო სიტყვები: ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა, ინსტიტუციური ტრანსფორმაცია, ეკონომიკური კავშირი, მშვიდობის პროექტი, სამხედრო - პოლიტიკური აქტორი, სტრატეგიული ავტონომიურობა, იზოლაციის რისკი.

The Transformation of the European Union in the Contemporary World Order: From a Peace Project to a Military-Political Actor

Maia Gamsakhurdia
Chief Scientist of the Scientific Research Center of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of International Relations
ORCID: 0009-0008-3739-9226

Giorgi Chkhikvishvili
Associate Professor of the Faculty of Law and International Relations of
Georgian Technical University
Doctor of Social Sciences
ORCID: 0000-0002-7739-7232

Abstract

This article examines and critically analyzes the transformation of the European security architecture within the context of an emerging contemporary world order. Intensifying geopolitical challenges, shifts in the global balance of power, and the escalation of both regional and international conflicts have brought the issue of the European Union's evolution to the forefront of the international political agenda—particularly its transition from an economic union to a military-political actor. The EU's sustainability and international standing are increasingly contingent upon its capacity to effectively ensure its own security. The study explores key political discourses surrounding European security, which have gained particular salience in light of the ongoing Russia–Ukraine war. This conflict has exerted a profound impact on both the internal and external dimensions of EU policy. It has accelerated the imperative for comprehensive reform of European security policy and has underscored the necessity of further enlargement and internal transformation of the Union, encompassing defense and security frameworks, as well as broader political and institutional reforms. Particular emphasis is placed on the concept of EU strategic autonomy, the evolving dynamics of transatlantic relations, and the potential risks associated with rising isolationist tendencies. The primary objective of this article is to identify, analyze, and critically assess contemporary discourses on the institutional transformation and enlargement of the European Union. The research is grounded in comprehensive analytical approaches commonly employed within the field of international relations.

Keywords: European security architecture, institutional transformation, economic integration, peace project, military-political actor, strategic autonomy, risk of isolationism.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ევროპის უსაფრთხოების არქი-ტექ-ტონიკის კვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ევროპული უსაფრთხოების სისტემის განვითარების პერ-სპექტივები და მისი როლი გლობალურ უსაფრთხოების გარემოში. ევროპის უსაფრ-თხოების პრობლემა მთელი სიმწვავით წარმოჩინდა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის პერიოდში, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიული გარემო და დააყენა ეგზისტენციალური არჩევანის წინაშე: დარჩენილიყო სხვა ძალების უსაფრთხოების გარანტიების იმედად, თუ ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ სტრა-ტეგიულ მოთამაშედ. ამ კონტექსტში განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა პოლიტი-კურმა დებატებმა, რომლებიც დაკავშირებულია ევროპული უსაფრთხოების ინსტიტუ-ციურ და სტრატეგიულ მომავალთან. მასში ძირითადი აქცენტები კეთდება თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე ევროკავშირის სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებ-ლობების გაძლიერებისა და მისი მშვიდობის პროექტიდან სამხედრო-პოლიტიკურ მოთა-მაშედ გარდაქმნის საკითხებზე, აგრეთვე, ევროკავშირის გაფართოებისა და ინსტიტუცი-ური რეფორმირების აუცილებლობის თემებზე, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების მე-ქანიზმების რეფორმაზე და ა. შ. ევროკავშირთან ერთად ევროპის უსაფრთხოების სისტე-მაში ცენტრალური ადგილი ასევე უკავია NATO-ს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში ევროპის კოლექტიური თავდაცვის მთავარ ინსტიტუ-ციურ მექანიზმად ჩამოყალიბდა. ამიტომ თანამედროვე დისკუსიებში აქტიურად განიხი-ლება საკითხი ევროკავშირის თავდაცვითი ინიციატივებისა და ნატოს შესაძლებლობების კორელაციის შესახებ[1].

აღნიშნული პროცესები პირდაპირ უკავშირდება ევროპის უსაფრთხოების სისტემის მომავალი განვითარების თემას და ევროკავშირის შესაძლებლობას, უფრო ეფექტურად უპასუხოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ გამოწვევებს.

კვლევის მიზანია გააანალიზოს ევროპის უსაფრთხოების არქიტექტონიკის ტრანსფორ-მაცია თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე და შეაფასოს ის პროცესები, რომლებიც განსაზღვრავენ ევროკავშირის როლის მოდერნიზაციას საერთაშორისო უსაფრ-თხოების სისტემაში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

[1] Notre Europe. Jacques Delors Institute. SAILING ON HIGH SEAS: REFORMING AND ENLARGING THE EU FOR THE 21ST CENTURY. Report of the franco-german working group on the EU institutional reform. 19 September 2023.

1. ევროკავშირის, აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ აქტორად ტრანსფორმაციის პროცესის ანალიზი;
2. ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის დინამიკის განხილვა და ევროკავშირის თავდაცვითი ინიციატივებისა და ნატოს შესაძლებლობების კორელაციის ანალიზი;
3. ევროკავშირის გაფართოებისა და ინსტიტუციური რეფორმების შესახებ თანამედროვე დისკურსის ანალიზი და მისი შესაძლო გავლენის განსაზღვრა ევროპის უსაფრთხოების მომავალ არქიტექტონიკაზე.

მიმდინარე კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ჰიპოთეზა: თანამედროვე გეო-პოლიტიკური გამოწვევების ფონზე ევროპის უსაფრთხოების არქიტექტონიკა ტრანს-ფორ-მირდა ისეთი პოლიტიკური მოდელისკენ, სადაც ევროკავშირი ცდილობს ეკონო-მიკური ინტეგრაციის პროექტიდან სამხედრო-პოლიტიკურ მოთამაშედ გარდაქმნას, უსაფრთ-ხოების სფეროში საკუთარი სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერებას, შიდა ინსტიტუ-ციური რეფორმების ჩატარებას, ტრანსატლანტიკური პარტნიორობის შენარჩუნებასა და NATO-სთან ინსტიტუციური ურთიერთქმედების ბალანსის დამყარებას.

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უძველესი და ფუნდამენტური კონცეფცია (Balance of Power Theory). ამ თეორიის ავტორების: კლასიკური რეალიზმის მამამთავრის ჰანს მორგენთაუ,[2] სტრუქტურული რეალიზმის წარმომადგენელის კენეთ ვოლცის,[3] და ,,შეტევითი" (Offensive) რეალიზმის ფუძებმდებლის ჯონ მირშაიმერის,[4] შეხედულებების მიხედვით მოხდა ევროპის უსაფრთ-ხოების არქიტექტონიკის ტრანსფორმაციის პროცესებისა და თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე მისი გავლენის შეფასება და შემოთავაზებულ ჰიპოთეზის და-დასტურება[5].

მიმდინარე კვლევა დაფუძნებულია საერთაშორისო ურთიერთობების კვლევებში გამ-ოყენებულ კომპლექსურ ანალიტიკურ მიდგომებზე. კერძოდ, ის აერთიანებს:

ისტორიულ-ანალიტიკურ მეთოდს, რომლის საშუალებითაც გაანალიზებულია ევ-როპის უსაფრთხოების სისტემის ფორმირების ეტაპები და მისი ტრანსფორმაციის პროცე-სები თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე;

[2] Hans Morgenthau, Politics Among Nations, 1948
[3] Kenneth Waltz, Theory of International Politics", 1979
[4] John Mearsheimer, "The Tragedy of Great Power Politics", 2001
[5] იქვე.

შედარებითი ანალიზის მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ევროპის უსაფრთხოების ინსტიტუციური ტრანსფორმაცია ევროკავშირისა და ნატოს შორის ურთიერთობის კონტექსტში;

დისკურსის ანალიზს, რომლის მეშვეობითაც გაანალიზებულია ევროკავშირის გაფართოებისა და ინსტიტუციური რეფორმების შესახებ თანამედროვე პოლიტიკური დებატები.[6]

ძირითადი ნაწილი

მართალია, ევროპული ინტეგრაციის პროექტი დაიბადა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მაგრამ თავად ,,ერთიანი ევროპის იდეა" გაჩნდა 1945 წლამდე დიდი ხნით ადრე. ევროპული თანამშრომლობისა და საერთაშორისო პოლიტიკური სუბიექტის დაარსების იდეას ავითარებდნენ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჟან ჟაკ რუსო და ანრი სენ სიმონი. მოგვიანებით, მე-19 საუკუნეში ჯუზეპე მაძინი და სხვა მოაზროვნეები, თუმცა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე ეს იდეები უიმედო და უტოპიური იყო. მხოლოდ, მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, როცა ომის შედეგებით ძლიერ შეძრწუნებულმა ევროპულმა ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ კონტინენტზე ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევა მხოლოდ სუპრანაციონალურ დონეზე ეკონომიკური თანამშრომლობის გზით იყო შესაძლებელი. შედეგად, საფუძველი ჩაეყარა იმას, რასაც უინსტონ ჩერჩილმა მოგვიანებით - ,,ევროპის შეერთებული შტატები" უწოდა. და მართლაც, 1967 წელს, „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება", „ევროპის ეკონომიკური კავშირი" და „ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა" გაერთიანდნენ და შექმნეს „ევროპის თანამეგობრობა".

1973 წელს თანამეგობრობის ,,ექვსეულს" - საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ბელგია და ლუქსემბურგი შეემატა. ხოლო, გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და დანია და 1993 წელს შეუერთდნენ. საბოლოოდ კი, „მაასტრიხტის ხელშეკრულების" გაფორმების შემდეგ, გაერთიანება „ევროკავშირად" ფორმირდა თანდათან ეკონომიკურ ინტეგრაციას მოჰყვა ევროპულ ქვეყნებს შორის სავაჭრო რეგულაციების ჰარმონიზება. მას, მოგვიანებით, სავაჭრო ბარიერების მოხსნა მოჰყვა. ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნამ და წარმატებულმა ეკონომიკურმა ინტეგრციამ დღის წესრიგში დააყენა თანამშრომლობის გაღრმავება პოლიტიკურ სფეროებშიც, მათ შორის მართლმსაჯულების, თავდაცვის, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.

[6] European Council/The Council of the European Union. (21March,2022). ,,A Strategic Compass for a stronger EU security and defence in the next decade.'.

21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურმა გამოწვევებმა - სუვერენულ სახელმწიფოთა საზღვრების ძალისმიერი გზით შეცვლამ, ავტოკრატიულ რეჟიმთა ალიანსის ზრდამ და რადიკალურ ნაციონალისტურ-პოპულისტური მოძრაობების აღმავლობამ, დღის წესრიგში ევროკავშირის პოლიტიკის საფუძვლიანად გადახედვა და სტრატეგიის ცვლილების საჭიროება დააყენა შუმანის დეკლარაციის ეს იდეა დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც 76 წლის წინ.[7] ევროკავშირის ფილოსოფიამ, რომელიც მთელი ათწლეულების განმავლობაში ეფუძნებოდა იმანუელ კანტის „მარადიული მშვიდობის“ (Perpetual Peace) იდეას, სადაც ეკონომიკური ურთიერთ-დამოკიდებულება, დემოკრატიული ღირებულებები და სამართლებრივი ნორმები ავტომატურად გამორიცხავდა ომს, პოლიტიკური პროცესების შესაბამისად, თანდათან „ჰობსიანური რეალიზმის“ ხასიათი შეიძინა და აღიარა, რომ საერთაშორისო სისტემაში ნორმები და სამართალი ვერ იარსებებს მათი დაცვის სამხედრო მექანიზმების არსებობის გარეშე.[8]

ამგვარი ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე პარადოქსულ ინსტრუმენტს წარმოადგენს „ევროპული სამშვიდობო ფონდი“ (EPF). მიუხედავად სახელწოდებისა, ფონდი იქცა მთავარ მექანიზმად, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირმა ისტორიაში პირველად დაიწყო მებრძოლი ქვეყნისთვის ლეტალური შეიარაღების მიწოდების დაფინანსება. თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის პოლიტიკურ დღის წესრიგში დგას არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების შეიარაღება, არამედ ერთიანი „ევროპული თავდაცვის კავშირის“ შექმნა, რაც გულისხმობს სამხედრო ინდუსტრიის ინტეგრაციას, შეიარაღების სტანდარტიზაციას და ერთიანი შესყიდვების სისტემას. ევროკავშირის პოლიტიკა ამ მიმართულებით, აშშ-ს 47-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ტრანზაქციულმა მიდგომამაც გააქტიურა. მისმა სისტემატურმა კრიტიკამ ევროპელი მოკავშირეების მისამართით და რიტორიკამ, რომ ალიანსი უნდა იყოს ფინანსურად „მომგებიანი“ აშშ-სთვის; რომ უსაფრთხოების გარანტია არ იქნება ავტომატური და „ჰეგემონი“ არ არის ვალდებული უსასყიდლოდ უზრუნველყოს სხვების უსაფრთხოება, ევროპაში სტრატეგიული გაურკვევლობის განცდა გააჩინა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ევროპის უსაფრთხოების იმგვარი მოდელის ინსტრუმენტალიზაციას, სადაც ევროკავშირს შეეძლება დამოუკიდებლად მართოს კრიზისები თავის პერიფერიებზე. ევროპა მიხვდა, რომ ფრაგმენტირებული სამხედრო ბიუჯეტები (სადაც თითოეული ქვეყანა სხვადასხვა მოდიფიკაციის ტანკებსა თუ თვითმფრინავებს აწარმოებს) არ იქნება

[7] European Union. n.d. “Déclaration de Schuman – mai (1950)“. https://redirme.com/b9znzj, (Accessed, 31.03.26)
[8] ლ. გამჯაშვილი, ევროკავშირი-არჩევნების შედეგები და რისკები საქართველოს დემოკრატიისთვის. (20/08/2024).

ეფექტური. შესაბამისად, ტრანსფორმაციის მთავარი ვექტორი ახლა უკვე მიმართული გახდა სტრატეგიული ცვლილებებისაკენ - - მშვიდობის პროექტიდან, სამხედრო-პოლიტიკურ მოთამაშედ ტრანსფორმაციისა, რომელსაც საკუთარი ღირებულებების დაცვა იარაღით ძალითაც შეეძლება.

ევროპის სტრატეგიული ავტონომიურობა

"ევროპის სტრატეგიული ავტონომიურობის" ეს საკმაოდ მოძველებული იდეა, 2017 წლიდან, საფრანგეთში ემანუელ მაკრონის არჩევის შემდეგ გაცოცხლდა.[9] უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური ხასიათი შეიძინა. პირველად, ევროკავშირის ისტორიაში, წევრმა ქვეყნებმა „ევროპული თავდაცვის" გასაძლიერებლად, ერთხმად მხარი დაუჭირეს „ერთიანი სამხედრო და თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდის იდეას" [10]

ევროკავშირი იძულებული გახდა ომის პრევენციის, მშვიდობის შენარჩუნებისა და ევროპული და გლობალური სტაბილურობის გაძლიერების მიზნით შეემუშავებინა შეიარაღების დაფინანსების მექანიზმები. რადგან, ორგანიზაციას არ შეეძლო საერთო ბიუჯეტიდან სამხედრო ხარჯების გაწევა, ისე, როგორც წევრ სახელმწიფოებს, ამიტომ 2021 წლის 22 მარტს, საბჭოს გადაწყვეტილებით (CFSP 2021/509) შეიქმნა ევროკავშირის ფინანსური მექანიზმი (European Peace Facility) (EPF), რომელიც საშუალებას აძლევს ევროკავშირს, მოახდინოს კონფლიქტური სიტუაციებზე სწრაფი და გრძელვადიანი რეაგირება. ამ გზით ევროკავშირი ცდილობს შექმნას სტრატეგიული ავტონომია და გაზარდოს თავისი ზეგავლენა საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაში, რაც განსაკუთრებით ხილვადი გახდა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. გერმანიის ახალი პოლიტიკური დოქტრინა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად უბრუნდება ცივი ომის პერიოდის „შეკავების პოლიტიკის" კონცეპტუალურ ჩარჩოებს, თუმცა იგი მნიშვნელოვნად არის ადაპტირებული თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალობებზე. აღნიშნული დოქტრინა ხაზს უსვამს რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების შეკავებას არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ჰიბრიდული გამოწვევების-კიბერუსაფრთხოების, ენერგეტიკული დამოკიდებულებისა და დეზინფორმაციის-კონტექსტშიც. ამგვარად, უსაფრთხოების გაგება ფართოვდება და მოიცავს როგორც ტრადიციულ, ისე არატრადიციულ კომპონენტებს. ევროპული სივრცის დაცვა განიხილება როგორც სტრატეგიული პრიორიტეტი, რაც გულისხმობს

[9] Elysee.,,Discours d'Emmanuel Macron pour une Europe souveraine, unie, démocratique'(September 26, 2017.).
[10] Notre Europe. Jacques Delors Institute. SAILING ON HIGH SEAS: REFORMING AND ENLARGING THE EU FOR THE 21ST CENTURY. Report of the franco-german working group on the EU institutional reform. 19 September 2023.

როგორც აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერას, ისე ნატოს ფარგლებში კოლექტიური თავდაცვის მექანიზმების გაძლიერებას. ამ კონტექსტში, გერმანია ცდილობს გაზარდოს საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, მათ შორის თავდაცვითი ბიუჯეტის ზრდისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციის გზით, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის პასუხისმგებლობის ზრდასთან საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში.[11]

დოქტრინის მთავარ ამოცანად განისაზღვრა გერმანიის, როგორც ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთი წამყვანი გარანტორის, როლის გაძლიერება. აღნიშნული მიზანი ეფუძნება როგორც ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, ისე მის პოლიტიკურ გავლენას ევროკავშირში. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტრანსატლანტიკური პარტნიორობის გაღრმავებას, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის კონტექსტში, რაც აღიქმება როგორც ევროპული უსაფრთხოების სისტემის მდგრადობის ერთ-ერთი საფუძველი. ამავე დროს, დოქტრინა არ გამორიცხავს დიპლომატიური არხების შენარჩუნებას და კონფლიქტების პრევენციის მნიშვნელობას, რაც მიუთითებს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ტრადიციულ ბალანსზე ძალასა და დიალოგს შორის. საბოლოოდ, ახალი პოლიტიკური ხედვა მიზნად ისახავს არა მხოლოდ საფრთხეების შეკავებას, არამედ სტაბილური და მდგრადი უსაფრთხოების არქიტექტურის ფორმირებას ევროპულ სივრცეში.

ევროპული იზოლაციონიზმის რისკები

ევროპული იზოლაციონიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მრავალგანზომილებიან გამოწვევად ყალიბდება, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დინამიკაზე. აღნიშნული ტენდენცია გულისხმობს ევროპის ქვეყნების მხრიდან საერთაშორისო პროცესებში აქტიური მონაწილეობის შემცირებას, რაც თავის მხრივ ასუსტებს მრავალმხრივ თანამშრომლობას, საერთაშორისო ინსტიტუტების ეფექტიანობას და კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმებს.

პოლიტიკური თვალსაზრისით, იზოლაციონიზმის გაძლიერება საფრთხეს უქმნის ევროპული ინტეგრაციის საფუძვლებს. ეროვნული სუვერენიტეტისა და შიდა პოლიტიკურ პრიორიტეტებზე გადაჭარბებული აქცენტირება შესაძლოა გახდეს ევროკავშირის შიგნით ფრაგმენტაციის გაღრმავების მიზეზი. ეს პროცესი განსაკუთრებით სახიფათოა მაშინ,

[11] Ibid. Notre Europe. 19 September 2023.

როდესაც წევრ სახელმწიფოებს შორის ინტერესთა თანხვედრა სუსტდება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი რთულდება. შედეგად, ირღვევა საერთო ევროპული სტრატეგიის ერთიანობა, რაც ამცირებს ევროპის შესაძლებლობას, ეფექტიანად უპასუხოს გლობალურ გამოწვევებს. უსაფრთხოების სფეროში იზოლაციონიზმი იწვევს კოლექტიური თავდაცვის სისტემების დასუსტებას. თანამედროვე საფრთხეები, როგორიცაა ტერორიზმი, კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, ჰიბრიდული ომები და რეგიონული კონფლიქტები, საჭიროებს კოორდინირებულ და ერთობლივ რეაგირებას. იზოლაციონისტური პოლიტიკა კი ამცირებს ინფორმაციის გაცვლის, რესურსების გაერთიანებისა და ერთობლივი ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას. ამასთანავე, ასეთი მიდგომა ასუსტებს ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს და ამცირებს ევროპის როლს საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაში. ეკონომიკური ასპექტით, იზოლაციონიზმი იწვევს ბაზრების დახურვის ტენდენციას, რაც უარყოფითად აისახება სავაჭრო ბრუნვაზე, უცხოურ ინვესტიციებსა და ტექნოლოგიურ განვითარებაზე. გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკური წარმატება დიდწილად დამოკიდებულია საერთაშორისო თანამშრომლობაზე, ინოვაციებზე და ღია ბაზრებზე. იზოლაციონიზმის პირობებში კი იზრდება ეკონომიკური სტაგნაციის, ინფლაციისა და კონკურენტუნარიანობის შემცირების რისკები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ და კულტურულ განზომილებებსაც. იზოლაციონიზმის გაძლიერება ხშირად ასოცირდება ნაციონალისტური და პოპულისტური დისკურსების ზრდასთან, რაც შეიძლება გამოიხატოს მიგრანტების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებაში, სოციალური პოლარიზაციის გაღრმავებასა და დემოკრატიული ღირებულებების შესუსტებაში. ამგვარი პროცესები საფრთხეს უქმნის ევროპული საზოგადოების მრავალფეროვნებასა და ტოლერანტობის პრინციპებს. გეოპოლიტიკურ კონტექსტში, ევროპული იზოლაციონიზმი ასუსტებს ევროპის გავლენას საერთაშორისო არენაზე და ზრდის სხვა გლობალური აქტორების-როგორიცაა ჩინეთი, რუსეთი და სხვა რეგიონული ძალები-გავლენის გაფართოების შესაძლებლობას. შედეგად, იცვლება ძალთა ბალანსი და ევროპა შესაძლოა აღმოჩნდეს პასიურ პოზიციაში, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მის შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო დღის წესრიგზე.

დასასრულს, ევროპული იზოლაციონიზმის რისკები კომპლექსურ და ურთიერთდაკავშირებულ პრობლემათა ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოების და სოციალურ ასპექტებს. აღნიშნული გამოწვევების ეფექტიანი მართვა საჭიროებს თანამშრომლობაზე, ინტეგრაციასა და საერთო პასუხისმგებლო-

ბაზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ევროპის, როგორც ძლიერი და გავლენიანი აქტორის, პოზიციების შენარჩუნება და გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

დასკვნა

ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის კვლევამ აჩვენა, რომ ევროპა იმყოფება ფუნდამენტური გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესში. აღნიშნული ევოლუცია-„ეკონომიკურიდან სამხედრო-პოლიტიკურ“ განზომილებაზე გადასვლა-ასახავს იმ რეალობას, სადაც უსაფრთხოება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებითა და ინსტიტუციური ინტეგრაციით, არამედ სულ უფრო მეტად ეფუძნება სამხედრო შესაძლებლობებს, სტრატეგიულ ავტონომიასა და კოლექტიური თავდაცვის მექანიზმების გაძლიერებას. ამ ცვლილებას თან ახლავს უსაფრთხოების პარადიგმის გადაფასება, რომლის ფარგლებში ეკონომიკური კეთილდღეობა უკვე აღარ განიხილება როგორც უსაფრთხოების საკმარისი გარანტი.

გერმანიის ახალი პოლიტიკური დოქტრინის ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროპული უსაფრთხოების სისტემაში იზრდება ლიდერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გლობალური ძალთა ბალანსი იცვლება და საერთაშორისო წესრიგი უფრო მეტად არასტაბილური ხდება. გერმანიის გააქტიურება არა მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობების ზრდას გულისხმობს, არამედ პოლიტიკურ-სტრატეგიული როლის გაძლიერებასაც, რაც მიმართულია ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ. აღნიშნული პროცესი ასახავს უფრო ფართო ტენდენციას, ვინაიდან ევროპული ქვეყნები ცდილობენ გაზარდონ საკუთარი თავდაცვითი შესაძლებლობები და შეამცირონ გარე აქტორებზე დამოკიდებულება. ამავდროულად, ევროპული იზოლაციონიზმის რისკები ქმნის დამატებით გამოწვევას აღნიშნული ტრანსფორმაციის პროცესში. იზოლაციონისტური ტენდენციების გაძლიერება შეიძლება გამოიწვიოს ევროკავშირის შიგნით პოლიტიკური ფრაგმენტაციის გაღრმავება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საერთო უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობას. თუ წევრი სახელმწიფოები პრიორიტეტს მიანიჭებენ მხოლოდ ეროვნულ ინტერესებს, ეს დაასუსტებს კოლექტიური მოქმედების უნარს და შეაფერხებს ერთიანი სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უსაფრთხოების გაძლიერების პარალელურად არ მოხდეს დემოკრატიული ღირებულებებისა და ღია საზოგადოების პრინციპების დაკნინება. უსაფრთხოების პოლიტიკის მილიტარიზაციამ, თუ იგი არ იქნება დაბალანსებული დემოკრატიული კონტროლის მექანიზმებით, შესაძლოა გამოიწვიოს ინსტიტუციური

დისბალანსი და სამოქალაქო თავისუფლებების შეზღუდვა. შესაბამისად, ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ძალის ზრდას, არამედ სამართლის უზენაესობასა და ინსტიტუციურ გამჭვირვალობას. ეკონომიკური განზომილებაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღნიშნულ პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სამხედრო კომპონენტი ძლიერდება, ეკონომიკური სტაბილურობა კვლავ რჩება საერთო უსაფრთხოების საფუძვლად. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზ-რუნველყოფა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და ტექნოლოგიური დამოუკიდებ-ლობის გაძლიერება წარმოადგენს იმ მიმართულებებს, რომლებიც განსაზღვრავს ევროპის მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

გეოპოლიტიკურ ჭრილში, ევროპა დგას აუცილებლობის წინაშე, ჩამოაყალიბოს უფრო მკაფიო და ერთიანი საგარეო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მის აქტიურ მონაწი-ლეობას საერთაშორისო პროცესებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იზოლაციონიზმის გაძლიერება შეიძლება გახდეს ევროპის გლობალური როლის შემცირების წინაპირობა, რაც თავის მხრივ გააძლიერებს სხვა გლობალური ძალების გავლენას. საბოლოო ჯამში, ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა წარმოადგენს კომპლექსურ და დინამი-კურ სისტემას, რომლის წარმატება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე - პოლიტიკურ ერ-თიანობაზე, ეკონომიკურ მდგრადობაზე, სამხედრო მზადყოფნაზე და ღირებულებით ერთობაზე. ამ პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა უსაფრთხოების გაძლიერებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის შენარჩუნებას შორის. სწორედ ეს ბა-ლანსი განსაზღვრავს ევროპის მომავალს, როგორც სტაბილური, უსაფრთხო და გავლენია-ნი გეოპოლიტიკური აქტორის.

ბიბლიოგრაფია

გამჯაშვილი, ლ. ევროკავშირი-არჩევნების შედეგები და რისკები საქართველოს დემოკრატიისთვის. (20/08/2024). https://gfsis.org/ გადამოწმებულია 13.03.26;

European Union. n.d. "Déclaration de Schuman–mai (1950)". https://redirme.com/nb2ewy, (Accessed, 31.03.26)

Elysee.,,Discours d'Emmanuel Macron pour une Europe souveraine, unie, démocratique'. (September 26, 2017.). https://redirme.com/2kvnyy, . (Accessed, 31.03.26)

European Council/The Council of the European Union.,, A Strategic Compass for a stronger EU security and defence in the next decade." (21March,2022). https://redirme.com/uwqehw, . (Accessed, 31.03.26)

Morgenthau Hans, Politics Among Nations, 1948

Waltz Kenneth, Theory of International Politics", 1979

Mearsheimer John, "The Tragedy of Great Power Politics", 2001

French Presidency of the Council of the European Union. (January 19, 2022). “Discours du Président de la République devant le Parlement européen – Strasbourg“. https://redirme.com/266qpu, (Accessed, 31.03.26)

Notre Europe. 19 September 2023. Jacques Delors Institute. SAILING ON HIGH SEAS: REFORMING AND ENLARGING THE EU FOR THE 21ST CENTURY. Report of the franco-german working group on the EU institutional reform. https://redirme.com/sxf7j7, (Accessed, 31.03.26)

ძალაუფლებისა და უსაფრთხოების ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში და გეოპოლიტიკური თანამშრომლობის სტრატეგიები

ვიცე-პოლკოვნიკი კახაბერ ყავლაშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
შტაბის G-5 სამსახურის უფროსი

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს XXI საუკუნის გეოპოლიტიკურ არქიტექტურაში ძალაუფლებისა და უსაფრთხოების ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას, რაც გამოწვეულია ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმ რეალობით, რომ თანამედროვე კონფლიქტებში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამოცდილება, მნიშვნელოვან როლს „ალგორითმული ძალაუფლება“ იძენს. თუ ტრადიციული შეკავების ეპოქაში სახელმწიფოს სიძლიერე სამხედრო შეიარაღების რაოდენობით იზომებოდა, დღეს უპირატესობა გადადის ინფორმაციის დამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების სისწრაფეზე. ხელოვნური ინტელექტი საშუალებას იძლევა, რომ მოწინააღმდეგის ნაბიჯები მანამდე იქნას გათვლილი და ნეიტრალიზებული, სანამ ის ფიზიკურ ძალას გამოიყენებს. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები დღეს ასრულებენ „სტრატეგიული ძალის გამაძლიერებლის“ როლს. ეს არ ნიშნავს ტრადიციული შეიარაღების ჩანაცვლებას, არამედ მათ ინტეგრაციას მონაცემთა მართვის სისტემებში, რაც მცირე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, მინიმალური რესურსებით მოახდინონ მოწინააღმდეგის მასირებული ტექნიკური უპირატესობის ნეიტრალიზება გადაწყვეტილების მიღების ციკლის დაჩქარებისა და დარტყმების მაღალი სიზუსტის ხარჯზე. აღნიშნული ტრანსფორმაცია საშუალებას იძლევა, ათასობით დრონიდან, თანამგზავრიდან და სენსორიდან მიღებული ქაოტური მონაცემები წამებში გადაიქცეს ზუსტ სამხედრო სამიზნეებად, რითაც იქმნება ასიმეტრიული შეკავების ახალი მოდელი.

ნაშრომში გაანალიზებულია „ხისტი ძალის“ გარდაქმნა „ჭკვიან ძალად“. ეს ტერმინი აღწერს ახალ რეალობას, სადაც არც მხოლოდ კინეტიკური იარაღი და არც მხოლოდ დიპლომატია აღარ არის საკმარისი. წარმატება დამოკიდებულია მათ სინთეზზე ციფრულ ინსტრუმენტებთან. პრაქტიკულ ჭრილში ეს ტრანსფორმაცია ვლინდება კიბერ-შესაძლებლობებში, რაც გულისხმობს, რომ დღეს ერთი კოდის გაშვებით შესაძლებელია მოწინააღმდეგის ენერგოსისტემის, კავშირგაბმულობის და სამხედრო მართვის ცენტრების პარალიზება. ასეთი „უხილავი“ იერიში ხშირად უფრო ეფექტური და სტრატეგიულად დამანგრეველია, ვიდრე მასშტაბური ფიზიკური ინტერვენცია, რაც კიბერსივრცეს გეოპოლიტიკური გავლენის რეალურ ბერკეტად აქცევს.

ნაშრომში განხილულია საქართველოს როლი, როგორც ევროპასა და აზიას შორის „ციფრული დერეფნის“ უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტად. პროექტს პრაქტიკულ საყრდენს აძლევს „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის“ ინიციატივა, სახიფათ ევროკავშირის "Global Gateway" სტრატეგიის ნაწილია. აღნიშნული მარშრუტი წარმოადგენს ევროატლანტიკური სივრცისათვის კრიტიკულ ალტერნატივას, რადგან ის გვერდს უვლის როგორც რუსეთის ფედერაციას, ისე არასტაბილურ რეგიონებს. საქართველო, რომელიც უზრუნველყოფს ამ ციფრული არტერიის უსაფრთხოებას, ხდება ევროპის ინფორმაციული მდგრადობის და მარშრუტების დივერსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი რგოლი.

კვლევა ასევე განიხილავს ჰიბრიდულ საფრთხეებსა და დეზინფორმაციულ ომებს, რამაც საერთაშორისო ურთიერთობებში „ნულოვანი ნდობის“ მიდგომის დანერგვა გახადა აუცილებელი. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში შპიონაჟისა თუ დესტაბილიზაციის რისკების პრევენციას, რადგან ნებისმიერი ციფრული ნაკადი თუ ტექნიკური კომპონენტი ექვემდებარება მუდმივ კონტროლს და ავთენტურობის შემოწმებას. დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები გეოპოლიტიკური თანამშრომლობის ახალი სტრატეგიების შესახებ, რაც გულისხმობს მრავალშრიანი ტექნოლოგიური ალიანსების შექმნასა და ერთობლივი კიბერ-თავდაცვითი მექანიზმების ფორმირებას.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, ციფრული სუვერენიტეტი, კიბერუსაფრთხოება, ჰიბრიდული ომი, ნულოვანი ნდობა.

Transformation of Power and Security in the Digital Era and Strategies for Geopolitical Cooperation

Kakhaber Kavlashvili
Head of G-5 Service of
LEPL David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia

Abstract

This paper explores the fundamental transformation of power and security within the 21st-century geopolitical architecture, driven by the rapid evolution of digital technologies. The relevance of the study is underscored by the reality that in modern conflicts, "algorithmic power" assumes a decisive role. While in the era of traditional deterrence, a state's strength was measured by the quantity of tanks, naval vessels, and nuclear warheads, today the advantage is shifting toward the speed of data processing and decision-making. Artificial intelligence (AI) enables an adversary's moves to be calculated and neutralized before physical force is even deployed, fundamentally altering the understanding of strategic advantage and national defense.

The study analyzes the evolution of "Hard Power" into "Smart Power", a term describing a new reality where kinetic weapons or diplomacy alone are no longer sufficient; success depends on their synthesis with digital instruments. In practical terms, this transformation is evident in cyber capabilities: today, launching a single code can paralyze an opponent's energy grid, communications, or military command centers. Such "invisible" strikes are often more effective and strategically devastating than large-scale physical intervention, establishing cyberspace as a tangible lever of geopolitical influence.

A central argument of the paper focuses on Georgia's role as a security guarantor of the "digital corridor" between Europe and Asia. This is not merely a theoretical concept; the practical foundation is provided by the "Black Sea Submarine Electricity and Optical Fiber Cable" initiative, which is a component of the EU's "Global Gateway" strategy. This route represents a critical alternative for the Euro-Atlantic space, as it bypasses both the Russian Federation (the Northern route) and other unstable regions. By ensuring the security of this digital artery, Georgia becomes a vital link in Europe's informational resilience and route diversification.

The research also details hybrid threats and disinformation warfare, which have necessitated the adoption of a "Zero Trust" approach in international relations. This principle implies the necessity of continuous digital verification when dealing with partners or technological providers to avoid risks of espionage or destabilization within critical infrastructure. The concluding section outlines recommendations for new geopolitical cooperation strategies, involving the creation of multi-layered technological alliances and the formation of joint cyber-defense mechanisms.

Keywords: Geopolitics, Digital Sovereignty, Cybersecurity, Hybrid Warfare, Zero Trust.

შესავალი

21-ე საუკუნეში გლობალური გეოპოლიტიკური არქიტექტურა განიცდის უპრეცედენტო ტრანსფორმაციას, რაც ტრადიციული ძალთა ბალანსის რღვევასა და უსაფრთხოების ახალი, ციფრული პარადიგმის წარმოშობაში გამოიხატება. ისტორიულად, სახელმწიფოს სუვერენიტეტი და მისი ადგილი საერთაშორისო იერარქიაში განიხილებოდა გეოგრაფიული მოცულობის, დემოგრაფიული რესურსისა და სამხედრო პოტენციალის ჭრილში. თუმცა, მიმდინარე ტექნოლოგიურმა რევოლუციამ დღის წესრიგში შემოიტანა ე.წ. „ალგორითმული ძალაუფლების“ ფენომენი. ეს არ ნიშნავს ფიზიკური შეიარაღების მნიშვნელობის დაკარგვას, არამედ მათ ფუნდამენტურ ინტეგრაციას მაღალტექნოლოგიურ სისტემებთან, სადაც უპირატესობა გადადის ინფორმაციის დამუშავების სისწრაფეზე, მონაცემთა ანალიზსა და კიბერსივრცეში დომინირებაზე. სწორედ ამიტომ, თანამედროვე სტრატეგიული შეკავების მექანიზმები სულ უფრო მეტად ეყრდნობა არა მხოლოდ სამხედრო ძალას, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით დაჩქარებას, რაც საშუალებას იძლევა მოწინააღმდეგის ნაბიჯები მათ რეალიზებამდე იქნას ნეიტრალიზებული.

ამგვარმა ტრანსფორმაციამ წარმოშვა „ჭკვიანი ძალის“ ახალი გაგება, რომელიც „ხისტი ძალის“ სამხედრო კომპონენტებისა და ციფრული ინსტრუმენტების მჭიდრო ურთიერთქმედებასა და ძალისხმევის გაერთიანებას ეფუძნება. დღეს კიბერ-შესაძლებლობები აღარ განიხილება როგორც მხოლოდ დამხმარე საშუალება, ისინი წარმოადგენენ დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ ბერკეტს. ასეთ პირობებში, როდესაც ჰიბრიდული საფრთხეები და დეზინფორმაციული კამპანიები სახელმწიფოებრივი მდგრადობის მთავარ გამოწვევად იქცა, საერთაშორისო ურთიერთობებში მკვიდრდება „ნულოვანი ნდობის“ მიდგომა. აღნიშნული კონცეფცია გულისხმობს ტექნოლოგიური დამოკიდებულების კრიტიკულ გადაფასებას და იმ აქტორთა მუდმივ ავთენტურობის შემოწ-მებასა და სისტემურ კონტროლს, რომელთა ციფრული პროდუქტები თუ ინფრასტრუქტურა შესაძლოა გამოყენებულ იქნას ფარული სადაზვერვო საქმიანობისა თუ სტრატეგიული დესტაბილიზაციისთვის.

წინამდებარე თემის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქციის ახალ ინტერპრეტაციას. ქვეყანა აღარ უნდა იქნას აღქმული მხოლოდ ტრადიციულ ენერგეტიკულ დერეფნად. თანამედროვე რეალობაში მას გააჩნია პოტენციალი, ჩამოყალიბდეს ევროპასა და აზიას შორის „ციფრული დერეფნის“ უსაფრთხოების მთავარ გარანტად. შავი ზღვის წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის პროექტი,

რომელიც ევროკავშირის "Global Gateway" სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, საქართველოს აძლევს უნიკალურ შანსს, გახდეს ევროატლანტიკური სივრცის საინფორმაციო მდგრადობისა და სიმტკიცის ქვაკუთხედი. მონაცემთა გადაცემის მარშრუტების დივერსიფიკაცია საქართველოს გავლით წარმოადგენს კრიტიკულ ალტერნატივას, რაც ამცირებს დასავლეთის დამოკიდებულებას არასანდო გეოპოლიტიკურ მარშრუტებზე და აძლიერებს რეგიონულ სტაბილურობას. ნაშრომი მიზნად ისახავს დაასაბუთოს, რომ საქართველოს ციფრული სუვერენიტეტის განმტკიცება და მისი ჩართულობა ტექნოლოგიურ ალიანსებში არის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უალტერნატივო სტრატეგია.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლების ბუნება ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას განიცდის. ტრადიციული, კინეტიკური შეკავების მოდელები სულ უფრო მეტად უთმობს ადგილს „ალგორითმულ ძალაუფლებას“, სადაც სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა პირდაპირ არის დამოკიდებული ციფრული ინფრასტრუქტურის მდგრადობაზე. წინამდებარე ნაშრომი ფოკუსირებულია შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკურ ძვრებზე და საქართველოს როლზე, როგორც ევროატლანტიკური სივრცის ინფორმაციული უსაფრთხოების ახალ კვანძზე.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს მზარდი ჰიბრიდული საფრთხეები და გლობალური დაპირისპირება მონაცემთა ნაკადების კონტროლისთვის. ნაშრომში განხილულია უსაფრთხოების ახალი, ინტერდისციპლინური მოდელი. კვლევა განმარტავს ციფრულ ტექნოლოგიებს და ასაბუთებს, რომ 21-ე საუკუნეში ფიზიკური და ალგორითმული უსაფრთხოება ერთიან, განუყოფელ სტრატეგიულ ციკლს ქმნის.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას და მოიცავს პოლიტიკური მეცნიერების, სამხედრო სტრატეგიისა და ციფრული ტექნოლოგიების ერთობლიობას. დასახული მიზნების მისაღწევად გამოყენებულ იქნა შემდეგი ანალიტიკური ინსტრუმენტები:

შედარებითი ანალიზი: ტრადიციული „ხისტი ძალის“ მოდელებისა და თანამედროვე „ალგორითმული ძალაუფლების“ ეფექტიანობის შესაფასებლად. ანალიზი ფოკუსირებულია გადაწყვეტილების მიღების ციკლის სისწრაფის გავლენაზე სტრატეგიულ უპირატესობაზე.

შემთხვევის შესწავლა: შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური დეკონსტრუქცია და საქართველოს „ციფრული დერეფნის“ პროექტის ანალიზი, როგორც უსაფრთხოების ახალი მოდელი.

კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირი, ნატო) სტრატეგიული დოკუმენტები, სამხედრო-ანალიტიკური ანგარიშები და გლობალური ინსტიტუტების მონაცემები კრიტიკული ციფრული ინფრასტრუქტურის შესახებ.

ნაშრომი ეფუძნება შემდეგ კვლევით ჰიპოთეზას: ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ფუნდამენტურად ცვლის ძალაუფლებისა და უსაფრთხოების ტრადიციულ მოდელებს, რაც მცირე სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს, აძლევს შესაძლებლობას, მოიპოვონ გეოპოლიტიკური მდგრადობა ციფრული ინფრასტრუქტურის სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ტექნოლოგიური თანამშრომლობის გზით.

ძირითადი ნაწილი

ალგორითმული ძალაუფლება და სტრატეგიული შეკავების ტრანსფორმაცია

თანამედროვე გეოპოლიტიკურ აზროვნებაში „ძალაუფლების“ ფენომენი განიცდის ფუნდამენტურ პარადიგმულ რევიზიას. ათწლეულების განმავლობაში, საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური რეალიზმის სკოლა ძალაუფლებას განსაზღვრავდა, როგორც სახელმწიფოს უნარს, მოახდინოს ფიზიკური იძულება ძლიერი სამხედრო შესაძლებლობების მეშვეობით. ამ პარადიგმაში უსაფრთხოება იზომებოდა შეიარაღების რაოდენობითა და გეოგრაფიული სიღრმით. თუმცა, ციფრულმა რევოლუციამ ეს სტატიკური მოდელი შეცვალა და წინა პლანზე წამოსწია ალგორითმული უპირატესობა, რომელიც ძალაუფლების წყაროს მატერიალურიდან ინტელექტუალურ-ტექნოლოგიურ სიბრტყეში გადაიტანს.[1]

ალგორითმული ძალაუფლება არ ნიშნავს ფიზიკური შეიარაღების მნიშვნელობის დაკნინებას, პირიქით, ის წარმოადგენს შეიარაღების ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთ მთავარ შესაძლებლობას. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ უპირატესობა გადადის ინფორმაციის დამუშავების სიზუსტესა და გადაწყვეტილების მიღების სისწრაფეზე. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები დღეს ასრულებენ „სტრატეგიული ძალის გამაძლიერებლის“ როლს, რომელიც საშუალებას იძლევა, ათასობით დრონიდან, თანამგზავრიდან და სენსორიდან მიღებული ქაოტური მონაცემები წამებში გადაიქცეს ზუსტ სამხედრო სამიზნეებად.

ალგორითმული ძალაუფლება პრაქტიკულად ვლინდება შემდეგ სტრატეგიულ განზომილებებში:

[1] Joseph S. Nye, The Future of Power (New York: PublicAffairs, 2011), 115.

- **OODA Loop-ის ციფრული ტრანსფორმაცია:** სამხედრო სტრატეგიის ფუნდამენტური ციკლი - **OODA Loop** (ინგლისური აბრევიატურა: **O**bserve - დაკვირვება, **O**rient - ორიენ-ტაცია, **D**ecide - გადაწყვეტილება, **A**ct - მოქმედება) ალგორითმების მეშვეობით განიც-დის სრულ ციფრულ ტრანსფორმაციას.[2] ეს ნიშნავს, რომ დაკვირვებისა და ორიენ-ტაციის ფაზებში ხელოვნური ინტელექტი წამებში ამუშავებს ათასობით სენსორიდან მიღებულ მონაცემს, რაც სარდლობას აძლევს საშუალებას, მიიღოს გადაწყვეტილება და იმოქმედოს მყისიერად. ციფრული ტრანსფორმაცია ამ ციკლში გამორიცხავს ადამიანურ დაყოვნებას ინფორმაციის გაფილტვრისას, რაც საშუალებას იძლევა მოწინააღმდეგის ნაბიჯები მანამდე იქნას ნეიტრალიზებული, სანამ ის ფიზიკურ ძალას გამოიყენებს.
- ინფორმაციული უპირატესობა და დიდი მონაცემები: მონაცემთა მასიური დამუშავება რეალურ დროში სამხედრო ოპერაციების მართვის შტაბს აძლევს საშუალებას, დაინახოს ბრძოლის ველის სრული და ობიექტური სურათი. ეს უპირატესობა საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს მოწინააღმდეგის სუსტი წერტილები იმაზე ადრე, ვიდრე მოასწრებს საპასუხო რეაგირებას.[3]
- სიზუსტე მრავალრიცხოვნობის წინააღმდეგ: ხელოვნური ინტელექტი საშუალებას იძ-ლევა, მცირე რესურსებით მიღწეულ იქნას მაქსიმალური სტრატეგიული ეფექტი. პრაქტიკაში, ალგორითმით მართული მაღალი სიზუსტის ერთი დარტყმა ხშირად უფრო ეფექტური და დამანგრეველია, ვიდრე ათასობით ჭურვის მასიური გამოყენება.[4] ეს ფაქტორი რადიკალურად ცვლის ომის წარმოების ეკონომიკასა და ეფექტიანობას, რაც მცირე სახელმწიფოებს მასშტაბური აგრესიის შეკავების რეალურ შანსს აძლევს.
- ფსიქოლოგიური და კიბერ-შეკავება: თანამედროვე გეოპოლიტიკაში შეკავების მექანიზ-მი ფუნდამენტურად შეიცვალა. მოწინააღმდეგის კრიტიკული სისტემების ციფრული პარალიზების შესაძლებლობა ქმნის სტრატეგიული ზემოქმედების ახალ დონეს, სადაც პოტენციური აგრესორი აცნობიერებს, რომ კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში მისი სახელმწიფოებრივი მართვის იერარქია, ენერგეტიკული სისტემა და ლოჯისტიკური ჯაჭვები მყისიერად მწყობრიდან გამოვა. ციფრულ ეპოქაში სტრატეგიული მიზნების მიღწევა და „ომის მოგება“ შესაძლებელი ხდება პირველი ფიზიკური გასროლის გარე-შეც. ამ პირობებში კიბერსივრცე გარდაიქმნება სტრატეგიული იძულების უმძლავრეს

[2] John Boyd, The Essence of Winning and Losing (Maxwell AFB: Air University Press, 1996), 12-14.
[3] Eric Schmidt and Jared Cohen, The New Digital Age: Reshaping the Future of People, Nations and Business (New York: Alfred A. Knopf, 2013), 154.
[4] Christian Brose, The Kill Chain: Defending America in the Future of High-Tech Warfare (New York: Hachette Books, 2020), 88.

ინსტრუმენტად, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, მოწინააღმდეგეს თავს მოახვიოს საკუთარი ნება ფიზიკური ინტერვენციის მაღალი დანახარჯებისა და მსხვერპლის გარეშე.[5]

აღნიშნული თეორიას ადასტურებს ისეთი ისტორიული პრეცედენტები, როგორიცაა Stuxnet-ის ოპერაცია ირანის ბირთვული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ (2010), რამაც ფიზიკური იერიშის გარეშე გამოიწვია სტრატეგიული ობიექტის დეზორგანიზაცია,[6] ასევე 2015-2016 წლებში უკრაინის ენერგოსისტემაზე განხორციელებული შეტევები, რომლებმაც აჩვენა კრიტიკული რესურსების დისტანციური მართვის გზით მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მასშტაბები.[7] ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ კიბერ-იარაღი აღარ არის მხოლოდ დამხმარე საშუალება, არამედ წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრატეგიულ ბერკეტს.

შესაბამისად, თანამედროვე გეოპოლიტიკური კონკურენცია გადავიდა „მონაცემთა სუვერენიტეტის“ ფაზაში, სადაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღარ განისაზღვრება მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის ფიზიკური დაცვით. ციფრულ ეპოქაში სუვერენიტეტი ტრანსფორმირდა მონაცემთა ნაკადების, ალგორითმული გადაწყვეტილებებისა და კრიტიკული ციფრული ინფრასტრუქტურის კონტროლის უნარში. სახელმწიფო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ციფრული სივრცის ავტონომიურ დაცვას და არ ფლობს დამოუკიდებელ ალგორითმულ ინსტრუმენტებს, დგება ტექნოლოგიური და ციფრული დამოკიდებულების საფრთხის წინაშე. ეს ფენომენი გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ქვეყნის უსაფრთხოების არქიტექტურა, სამხედრო მართვის სისტემები და ეკონომიკური სტაბილურობა სრულად არის დამოკიდებული უცხოური ტექნოლოგიური გიგანტების ან სხვა სახელმწიფოების კეთილგანწყობაზე.

ამ გარემოში, ფორმალური სამხედრო აღჭურვილობა, როგორიც არ უნდა იყოს მისი მასშტაბი, კარგავს თავის სტრატეგიულ წონას, თუ მას არ ახლავს ციფრული თვითმყოფადობა. ალგორითმული უპირატესობის გარეშე, ტრადიციული არმია ხდება მოწყვლადი „უხილავი“ იძულების მიმართ, რადგან მოწინააღმდეგეს ეძლევა შესაძლებლობა, დისტანციურად მოახდინოს სამხედრო იერარქიის დეზორიენტაცია ან კავშირგაბმულობის სრული პარალიზება. შესაბამისად, თანამედროვე გეოპოლიტიკაში დამოუკიდებლობის

[5] Peter W. Singer and Allan Friedman, Cybersecurity and Cyberwar: What Everyone Needs to Know (Oxford: Oxford University Press, 2014), 102.

[6] დავით მაღლაფერიძე, „კომპენსაციის დაკმაყოფილება ბალტიისპირეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში“, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი 2023, 31.

[7] Eric Schmidt and Jared Cohen, The New Digital Age: Reshaping the Future of People, Nations and Business (New York: Alfred A. Knopf, 2013), 158.

რეალური საზომი არის ტექნოლოგიური რეზისტენტობის უნარი, სახელმწიფომ თავად განსაზღვროს საკუთარი ციფრული უსაფრთხოება და არ გახდეს სხვისი ალგორითმული გათვლების ობიექტი.

ენერგეტიკული დერეფნიდან გლობალურ ციფრულ არტერიამდე

თანამედროვე გეოპოლიტიკურ გარემოში საქართველოს სტრატეგიული როლი განიცდის თვისებრივ ტრანსფორმაციას, რაც მოითხოვს ევროპული უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში ქვეყნის ფუნქციის სტრატეგიულ გადაფასებასა და ახლებურ პოზიციონირებას. თუ გასულ ათწლეულებში საქართველოს მნიშვნელობა ძირითადად ენერგეტიკული რესურსების ტრანზიტს (ნავთობის და გაზსადენების სახით) უკავშირდებოდა, ციფრული რევოლუციის ეპოქაში დღის წესრიგში დგება მისი, როგორც „ციფრული დერეფნის" უსაფრთხოების გარანტის ფუნქცია. აღნიშნული კონცეფცია გულისხმობს ქვეყნის ჩამოყალიბებას მონაცემთა გლობალური მიმოცვლის საკვანძო „ჰაბად", რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ევროპის ციფრულ ბაზარს ცენტრალურ აზიასა და შორ აღმოსავლეთთან.[8]

ეს არ არის მხოლოდ თეორიული მისწრაფება, იდეას მყარ პრაქტიკულ/ემპირიულ საფუძველს აძლევს „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის" ინიციატივა. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის "Global Gateway" სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია და მიზნად ისახავს მონაცემთა გადაცემის ალტერნატიული, მაღალსიჩქარიანი და დაცული მარშრუტის შექმნას.[9] საქართველოს სტრატეგიული წონა ამ პროცესში სამი ძირითადი ფაქტორით განისაზღვრება:

- საინფორმაციო მდგრადობა და მარშრუტების მრავალფეროვნება: დღეისათვის ევროპასა და აზიას შორის მონაცემთა ნაკადების კრიტიკული ნაწილი გადის ან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე (ჩრდილოეთის მარშრუტი), ან წითელი ზღვისა და სუეცის არხის გავლით. პირველი მარშრუტი მოიცავს ფუნდამენტურ პოლიტიკურ რისკებს, ხოლო მეორე - ფიზიკური საბოტაჟისა და გეოგრაფიული კონცენტრაციის საფრთხეებს. საქართველო ევროატლანტიკურ სივრცეს სთავაზობს ე.წ. „მესამე გზას", რომელიც ყველაზე მოკლე და პოლიტიკურად საიმედო კავშირია."[10]

[8] European Commission, "Global Gateway: Strategic Investment in Digital Connectivity," Brussels, 2023, https://ec.europa.eu/ (accessed April 24, 2026).
[9] World Bank, "Digital Connectivity in the South Caucasus: Opportunities for Georgia," Washington, DC: World Bank Group, 2024, 45-48.
[10] Atlantic Council, "The Black Sea as a Digital Frontier: Strategic Imperatives for NATO," Washington, DC, 2024, https://www.atlanticcouncil.org/ (accessed April 24, 2026).

- უსაფრთხოების გარანტი და „ციფრული ფარი“: საქართველო აღარ უნდა იქნას აღქმული მხოლოდ მონაცემთა პასიურ „გამტარად“. ის ყალიბდება ამ ციფრული არტერიის უსაფრთხოების აქტიურ მცველად. საქართველოს ტერიტორიაზე მონაცემთა ნაკადების დაცულობა განმსაზღვრელი ფაქტორია ევროპის საინფორმაციო სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისთვის. კრიტიკული ციფრული ინფრასტრუქტურის ფიზიკური და კიბერ-დაცვის მექანიზმების დანერგვით, საქართველო ხდება დასავლეთის საერთო უსაფრთხოების სისტემის განუყოფელი და ორგანული ნაწილი.
- გეოპოლიტიკური იმუნიტეტი: ციფრული ჰაბის სტატუსი ქვეყანას ანიჭებს დამატებით სტრატეგიულ მდგრადობასა და დაცულობის მაღალ ხარისხს. რაც უფრო მეტი გლობალური აქტორის (ევროკავშირი, აშშ, ცენტრალური აზია) კრიტიკული მონაცემები გაივლის საქართველოს ციფრულ დერეფანში, მით უფრო იზრდება საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესი ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობისა და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის მიმართ. ეს ქმნის ე.წ. „სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულების“ გარემოს, სადაც საქართველოს უსაფრთხოება ხდება მსოფლიოს წამყვანი აქტორების ინფორმაციული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი.[11]

საქართველოსა და მოლდოვასაგან განსხვავებით, ბელორუსმა მხარი დაუჭირა რუსეთს და უფლება მისცა საკუთარი ტერიტორია და სამხედრო ინფრასტრუქტურა უკრაინაში შეჭრისათვის გამოეყენებინა, რისთვისაც დასავლური სამყაროს სამართლიანი უკმაყოფილება დაიმსახურა. დასავლეთმა ბელორუსისათვის ადრე დაწესებული სანქციები გაამკაცრა, რაც მას კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის რუსეთზე.[12]

ამრიგად, საქართველოს „ციფრული დერეფნის“ ფუნქცია სცილდება ვიწრო ეკონომიკურ განზომილებას და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ახალ, მაღალტექნოლოგიურ სტრატეგიას წარმოადგენს. ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურისათვის საქართველო ყალიბდება ე.წ. „სტრატეგიულ ალტერნატივად“, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ნაკადების მდგრადობას გლობალური გეოპოლიტიკური რყევების პირობებში.[13] ამ გარემოების გათვალისწინებით, ქვეყნის როლი გარანტირებულია არა მხოლოდ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, არამედ მისი უნარით მოახდინოს კრიტიკული ციფრული

[11] შოთა ღვინერია, „საქართველოს როლი ევროპის ციფრული ავტონომიის კონტექსტში“, სტრატეგიული მიმოხილვა 15, № 1 (2025): 22-25.
[12] Council of the European Union, „Timeline - EU sanctions against Belarus.“ https://shorturl.at/o5nSA (გადამოწმებულია, 13.03.2025)
[13] შოთა ღვინერია, „საქართველოს როლი ევროპის ციფრული ავტონომიის კონტექსტში“, სტრატეგიული მიმოხილვა 15, № 1 (2025): 27.

ინფრასტრუქტურის სრული ინტეგრაცია საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტებთან.

საქართველოს ტრანსფორმაცია ენერგეტიკული გამტარიდან გლობალურ ციფრულ არტერიამდე ნიშნავს ქვეყნის „სტრატეგიულ ჩაშენებას“ დასავლურ ციფრულ სუვერენიტეტში.[14] რაც უფრო მეტად იქნება ევროატლანტიკური სივრცის საინფორმაციო მედეგობა დამოკიდებული საქართველოს გავლით არსებულ უსაფრთხო მარშრუტებზე, მით უფრო გაიზრდება ქვეყნის შეკავების პოტენციალი ნებისმიერი აგრესიული აქტორის მიმართ. შესაბამისად, ციფრული ინფრასტრუქტურის დაცვა და მართვა დღეს განიხილება, როგორც ეროვნული თავდაცვის განუყოფელი ნაწილი, სადაც ფიზიკური უსაფრთხოება და ალგორითმული მდგრადობა ერთიან სტრატეგიულ ციკლს ქმნის.[15]

ჰიბრიდული საფრთხეები და ნულოვანი ნდობის სტრატეგია გეოპოლიტიკაში

ბოლო დროინდელი გეოპოლიტიკური დაპირისპირების მთავარ მახასიათებლად ჰიბრიდული ომის წარმოება იქცა, სადაც ზღვარი მშვიდობასა და კონფლიქტს შორის მაქსიმალურად წაშლილია. ამ გარემოში ციფრული ინფრასტრუქტურა, მონაცემთა ნაკადები და ტექნოლოგიური მომწოდებლები ხდებიან ეგზისტენციალური საფრთხის წყაროები. თუ ტრადიციული უსაფრთხოების მოდელები ეყრდნობოდა „პერიმეტრულ თავდაცვას“ (შიდა ქსელის ავტომატურ ნდობას), თანამედროვე ჰიბრიდულმა რეალობამ წარმოშვა საერთაშორისო ურთიერთობებში „ნულოვანი ნდობის“ არქიტექტურის დანერგვის აუცილებლობა.[16]

აღნიშნული მიდგომის საჭიროებას ადასტურებს ისეთი მასშტაბური ჰიბრიდული ოპერაციები, როგორიც იყო SolarWinds (2020) შეტევა. ამ შემთხვევაში, მავნე კოდი ჩაშენდა სანდო პროგრამულ განახლებაში, რამაც აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურებისა და ათასობით ორგანიზაციის შიდა ქსელებში შეღწევა გახადა შესაძლებელი.[17] ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ „ნდობაზე“ დაფუძნებული ძველი მოდელი აღარ მუშაობს, საფრთხე კი შეიძლება მოვიდეს არა გარედან, არამედ იმ ტექნოლოგიური მომწოდებლისგან, რომელსაც სახელმწიფო სრულად ენდობა.

---

[14] European Commission, "The Global Gateway: Strategic Connectivity and Georgia's Digital Future," Brussels, 2024, https://ec.europa.eu/ (accessed April 24, 2026).

[15] Atlantic Council, "Digital Corridors and Geopolitical Resilience," Washington, DC, 2024, https://www.atlanticcouncil.org/ (accessed April 24, 2026).

[16] Peter W. Singer and Allan Friedman, Cybersecurity and Cyberwar: What Everyone Needs to Know (Oxford: Oxford University Press, 2014), 145-150.

[17] Kim Zetter, "The SolarWinds Hack: A New Era of Supply Chain Attacks," Cybersecurity Review 14, no. 1 (2021): 12-18.

შესაბამისად, „ნულოვანი ნდობის“ სტრატეგია გეოპოლიტიკურ ჭრილში გულისხმობს პრინციპს - „არასოდეს ენდო, ყოველთვის გადაამოწმე“. ეს მიდგომა მოითხოვს ყოველი ციფრული ნაკადის, მომხმარებლისა თუ მოწყობილობის მუდმივ გადამოწმებას, მიუხედავად იმისა, იმყოფება ის ქსელის „შიგნით“ თუ „გარეთ“. საქართველოსთვის, როგორც „ციფრული დერეფნისთვის“, ეს ნიშნავს, რომ პარტნიორული ურთიერთობები ტექნოლოგიურ სფეროში უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ პოლიტიკურ კეთილგანწყობას, არამედ მკაცრ, უწყვეტ ტექნიკურ აუდიტსა და ავთენტურობის დადასტურებას.

„ნულოვანი ნდობის“ კონცეფცია, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროდან გეოპოლიტიკურ ჭრილში ტრანსფორმირდა, ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპს: „არასოდეს ენდო, ყოველთვის გადაამოწმე“. სტრატეგიულ დონეზე აღნიშნული მიდგომა სამ ძირითად განზომილებაში ვლინდება:

- ტექნოლოგიური დამოკიდებულების პრევენცია: სახელმწიფოები სულ უფრო მეტად ამბობენ უარს კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში (მაგ. 5G ქსელები, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღრუბლოვანი სერვისები) იმ მომწოდებლების ჩართვაზე, რომლებიც ავტორიტარული რეჟიმების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ეს არის „ნულოვანი ნდობის“ პრაქტიკული გამოხატულება - ტექნოლოგიური პარტნიორობა განიხილება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების რისკი და არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მომტანი გარიგება.[18]
- ინფორმაციული ჰიგიენა და მედეგობა: ჰიბრიდული ომის პირობებში, სადაც ალგორითმები საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისთვის გამოიყენება, „ნულოვანი ნდობის'' სტრატეგია მრავალშრიანი გადამოწმებისა და უტყუარობის მექანიზმების შექმნას გულისხმობს. სახელმწიფოებრივი მედეგობა დღეს პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად არის დაცული ქვეყნის საინფორმაციო სივრცე გარედან მართული, ალგორითმული დესტაბილიზაციისგან.[19]
- კრიტიკული კვანძების დაცვა: საქართველოსთვის, როგორც „ციფრული დერეფნისთვის“, „ნულოვანი ნდობის'' მიდგომა ნიშნავს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი ყოველი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი თუ მონაცემთა ცენტრი უსაფრთხოების უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს უნდა პასუხობდეს. ეს ზრდის საქართველოს სანდოობას

[18] Robert Knake, The Digital Silk Road: China's Strategic Challenge (New York: Council on Foreign Relations, 2023), 78.
[19] Atlantic Council, "Information Warfare and the Zero Trust Model," Washington, DC, 2024, https://www.atlanticcouncil.org/ (accessed March 29, 2026).

ევროატლანტიკური პარტნიორების თვალში და ქვეყანას „სუფთა ქსელის“ ინიციატივის სრულუფლებიან ნაწილად აქცევს.[20]

შედარებითი ანალიზი და სტრატეგიული რეკომენდაციები

შედარებითი ანალიზის ფარგლებში, ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტრადიციული და ალგორითმული ძალაუფლების სისტემური განსხვავებები. აღნიშნული შედარება წარმოადგენს ნაშრომის მთავარი ჰიპოთეზის ემპირიულ დასტურს და ხაზს უსვამს ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის გარდაუვალობას:

ცხრილი 1. ძალაუფლების მოდელების შედარებითი დახასიათება[21]

შედარების კრიტერიუმები	ტრადიციული ძალაუფლება (Hard Power)	ალგორითმული ძალაუფლება (Smart Power)
ფუნდამენტური რესურსი	მატერიალური (ფოლადი, ცოცხალი ძალა, ნავთობი)	არამატერიალური (მონაცემები, AI კოდი, ალგორითმები)
გადაწყვეტილების ციკლი	ხაზოვანი, ადამიანურ ფაქტორზე დამოკიდებული	ავტომატიზებული, მყისიერი (AI-OODA Loop)
სტრატეგიული ეფექტიანობა	მასიურობა და რაოდენობრივი უპირატესობა	მაღალი სიზუსტე და ინფორმაციული დომინირება
შეკავების ფორმა	ფიზიკური ბლოკადა და კინეტიკური ინტერვენცია	ციფრული პარალიზება და „ნულოვანი ნდობის“ მოდელი
მოქმედების არეალი	გეოგრაფიული სივრცე (ხმელეთი, ზღვა, ცა)	მულტიგანზომილებიანი (ფიზიკური და კიბერსივრცე)

აღნიშნული შედარება ცხადყოფს, რომ თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში მხოლოდ ფიზიკური რესურსების ფლობა აღარ არის საკმარისი სუვერენიტეტის სრულფასოვანი დაცვისთვის. უპირატესობა გადადის იმ აქტორების ხელში, რომლებიც ახერხებენ მონაცემთა ნაკადების ეფექტურ მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მაქსიმალურ აჩქარებას.

[20] შოთა ღვინერია, „ტექნოლოგიური სუვერენიტეტი და საქართველოს უსაფრთხოების გარემო“, სტრატეგიული მიმოხილვა 16, № 1 (2025): 12-15.

[21] წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ ჯოზეფ ნაის (ჯ. ნაი, The Future of Power, 2011 – „ჭკვიანი ძალის“ კონცეფცია) და ერიკ შმიდტის (ე. შმიდტი, The New Digital Age, 2013 – „ციფრული დომინირება“) ნაშრომების სინთეზის საფუძველზე.

შემთხვევის შესწავლის მეთოდით გაანალიზებული მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოს „ციფრული დერეფანი“ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ევროპული საინფორმაციო მდგრადობისთვის. სტატისტიკური პროგნოზებით, ევროპასა და აზიას შორის მონაცემთა ნაკადების მოცულობა ყოველწლიურად საშუალოდ 30-40%-ით იზრდება.[22]

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის ტექნიკური მახასიათებლები (დაახლოებით 1,195 კმ სიგრძე და 100 ტერაბიტი/წამში გამტარუნარიანობა) იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, რომ რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით მონაცემთა გადაცემის დაყოვნება შემცირდეს 15-20 მილიწამით. ეს დროითი უპირატესობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაღალტექნოლოგიური ალგორითმული მართვის სისტემებისთვის, სადაც წამის მეასედებიც კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.[23]

ჰიბრიდული საფრთხეების ანალიზისა და ტექნოლოგიური დამოკიდებულების რისკების გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია შემდეგი სტრატეგიული რეკომენდაციები:

- „სუფთა ქსელის“ (Clean Network) სტანდარტის ლეგიტიმაცია: საქართველომ, საერთაშორისო პარტნიორებთან (ევროკავშირი/ნატო) მჭიდრო თანამშრომლობით, უნდა შეიმუშაოს მკაცრი კრიტერიუმები ტექნოლოგიური მომწოდებლებისთვის. რეკომენდებულია კრიტიკულ ციფრულ ინფრასტრუქტურაში მხოლოდ იმ კომპანიების დაშვება, რომლებიც აკმაყოფილებენ „ნულოვანი ნდობის“ უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებს და არ იმყოფებიან ავტორიტარული რეჟიმების პოლიტიკური გავლენის ქვეშ.[24]
- ციფრული აუდიტისა და უწყვეტი გადამოწმების მექანიზმი: საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატებში (კერძოდ, შავი ზღვის კაბელის პროექტის ფარგლებში) უნდა დაინერგოს მონაცემთა ნაკადების უწყვეტი ციფრული მონიტორინგი. ეს გამორიცხავს „ნაგულისხმევი ნდობის“ მოძველებულ პრინციპს და უზრუნველყოფს ნებისმიერი ანომალიური აქტივობის მყისიერ იდენტიფიცირებასა და პრევენციას.
- ტექნოლოგიური დამოკიდებულების პრევენციის სტრატეგია: რეკომენდებულია კრიტიკული სახელმწიფოებრივი მონაცემთა მასივებისა და „ქლაუდ“ სერვისების გადანაწილება რამდენიმე სანდო საერთაშორისო პლატფორმაზე. აღნიშნული მიდგომა თავიდან ააცილებს ქვეყანას ერთ კონკრეტულ ტექნოლოგიურ მომწოდებელზე სახიფათო/

[22] Telegeography, "Global Bandwidth Forecast Service: Black Sea Region Analysis," 2024, https://www.telegeography.com/ (accessed March 29, 2026).
[23] World Bank, "Digital Connectivity in the South Caucasus," 2024, 52-54.
[24] Robert Knake, The Digital Silk Road: China's Strategic Challenge (New York: Council on Foreign Relations, 2023), 92.

სარსიკო დამოკიდებულებას და შეინარჩუნებს გადაწყვეტილების მიღების სრულ ავტონომიას.[25]

- ერთობლივი კიბერ-თავდაცვითი ცენტრების ფორმირება: „ციფრული დერეფნის“ უსაფრთხოების განსამტკიცებლად, აუცილებელია პარტნიორ ქვეყნებთან ერთიანი ციფრული თავდაცვის პროტოკოლების შემუშავება. ეს თანამშრომლობა უნდა დაეფუძნოს „ნულოვანი ნდობის“ არქიტექტურას და უზრუნველყოს კოლექტიური რეაგირება ჰიბრიდულ იერიშებზე.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომმა ცხადყო, რომ 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ რეალობაში სახელმწიფოს გადარჩენის ფორმულა ფუნდამენტურად შეიცვალა. ტრადიციული სამხედრო ძალისა და ციფრული ტექნოლოგიების შეთანხმებულმა თანამოქმედებამ წარმოშვა „ალგორითმული მედეგობის“ ცნება, რომელიც დღეს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი საყრდენია. ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ საქართველოს უსაფრთხოების მომავალი განისაზღვრება მისი უნარით, მოახდინოს საკუთარი გეოპოლიტიკური ფუნქციის ახლებური თვითდამკვიდრება გლობალურ იერარქიაში.

ეს ტრანსფორმაცია გულისხმობს საბოლოო გადასვლას „ენერგეტიკული გამტარის“ სტატიკური მოდელიდან „გლობალური ციფრული კვანძის“ დინამიკურ მოდელზე, რაც ქვეყანას სრულიად ახალ სტრატეგიულ სტატუსს ანიჭებს. საქართველო ყალიბდება არა მხოლოდ გეოგრაფიულ ტერიტორიად, არამედ ევროატლანტიკური სივრცის საინფორმაციო უსაფრთხოების კრიტიკულ არტერიად, სადაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა იზომება არა მხოლოდ ცეცხლის ძალით, არამედ „OODA Loop“-ის ციფრული სისწრაფითა და მონაცემთა დაცულობით.

საქართველოს ჩართულობა შავი ზღვის ციფრულ პროექტებში წარმოადგენს ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის გაზრდას დასავლური უსაფრთხოების სისტემაში, რაც ნებისმიერი აგრესიული აქტორისთვის შეკავების მაღალ ბარიერს ქმნის. კვლევამ აჩვენა, რომ ჰიბრიდული საფრთხეების პირობებში ციფრული სუვერენიტეტის განვითარება და შენარჩუნება შესაძლებელია „ნულოვანი ნდობის“ არქიტექტურის, მექანიზმების დანერგვით. აღნიშნული სტრატეგია უზრუნველყოფს ტექნოლოგიური მოწყვლადობის და

[25] European Commission, "Digital Sovereignty and the Zero Trust Model in Global Gateway Projects," Brussels, 2024, https://ec.europa.eu/ (accessed March 29, 2026).

დამოკიდებულების თავიდან აცილებას და გარანტიას იძლევა, რომ საქართველოს გავლით არსებული „ციფრული დერეფანი“ დარჩება „სუფთა ქსელის“ სტანდარტის ერთგული.

საბოლოო ჯამში, წინამდებარე ნაშრომი აყალიბებს ხედვას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ციფრული სუვერენიტეტის განმტკიცება არის ქვეყნის ეროვნული თავდაცვ-ის სტრატეგიის განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა. ეს არის გზა, რომლითაც საქართველო ევროპული უსაფრთხოების ოჯახის არა მხოლოდ პარტნიორი, არამედ მისი ინფორმაციული მდგრადობის გარანტი და შეუცვლელი წევრი ხდება, სადაც ფიზიკური უსაფრთხოება და ალგორითმული სიმტკიცე ერთიან, განუყოფელ სტრატეგიულ ციკლს ქმნის.

ბიბლიოგრაფია

Boyd, John. The Essence of Winning and Losing. Maxwell AFB: Air University Press, 1996.

Nye, Joseph S. The Future of Power. New York: PublicAffairs, 2011.

Schmidt, Eric, and Jared Cohen. The New Digital Age: Reshaping the Future of People, Nations and Business. New York: Alfred A. Knopf, 2013.

Singer, Peter W., and Allan Friedman. Cybersecurity and Cyberwar: What Everyone Needs to Know. Oxford: Oxford University Press, 2014.

Zetter, Kim. Countdown to Zero Day: Stuxnet and the Launch of the World's First Digital Weapon. New York: Crown, 2014.

Brose, Christian. The Kill Chain: Defending America in the Future of High-Tech Warfare. New York: Hachette Books, 2020.

Zetter, Kim. "The SolarWinds Hack: A New Era of Supply Chain Attacks." Cybersecurity Review 14, no. 1 (2021): 12-18.

European Commission. "Global Gateway: Strategic Investment in Digital Connectivity." Brussels, 2023. (accessed April 24, 2026).

Knake, Robert. The Digital Silk Road: China's Strategic Challenge. New York: Council on Foreign Relations, 2023.

მაღლაფერიძე, დავით. „კომპენსაციის დაკმაყოფილება ბალტიისპირეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში“. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, 2023.

Atlantic Council. "Digital Corridors and Geopolitical Resilience." Washington, DC, 2024. (accessed April 24, 2026).

Atlantic Council. "Information Warfare and the Zero Trust Model." Washington, DC, 2024. (accessed March 29, 2026).

Atlantic Council. "The Black Sea as a Digital Frontier: Strategic Imperatives for NATO." Washington, DC, 2024. (accessed April 24, 2026).

European Commission. "Digital Sovereignty and the Zero Trust Model in Global Gateway Projects." Brussels, 2024. (accessed March 29, 2026).

European Commission. "The Global Gateway: Strategic Connectivity and Georgia's Digital Future." Brussels, 2024. (accessed April 24, 2026).

Telegeography. "Global Bandwidth Forecast Service: Black Sea Region Analysis." 2024. (accessed March 29, 2026).

World Bank. "Digital Connectivity in the South Caucasus: Opportunities for Georgia." Washington, DC: World Bank Group, 2024.

ღვინერია, შოთა. „ჰიბრიდული ომი და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები“. სტრატეგიული კვლევების ჟურნალი 12, № 2 (2024): 45-50.

Wired. "How an Entire Nation was Digitally Shut Down." (Case Study: Estonia 2007 & Ukraine 2015). Accessed March 29, 2026. .

ღვინერია, შოთა. „საქართველოს როლი ევროპის ციფრული ავტონომიის კონტექსტში“. სტრატეგიული მიმოხილვა 15, № 1 (2025): 22-27.

ღვინერია, შოთა. „ტექნოლოგიური სუვერენიტეტი და საქართველოს უსაფრთხოების გარემო“. სტრატეგიული მიმოხილვა 16, № 1 (2025): 12-15.

გლობალური რბოლა კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალებისთვის, როგორც ახალ ფრონტის ხაზი მსოფლიო დომინირებისთვის ბრძოლაში

ქეთევან მესხიძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალები და იშიათი მიწა-ლითონები ამჟამად სახელმწიფოთა შორის გეოპოლიტიკური მეტოქეობის ცენტრალურ საკითხად იქცა, რამდენადაც ვინც აკონტროლებს ასეთ რესურსებს - აკონტროლებს მომავალს.

სულ რაღაც ორ წელიწადში, 2021 წლიდან 2023 წლამდე, ლითიუმის კარბონატის ფასი, რომელიც ენერგეტიკული რევოლუციის მთავარი ელემენტია, 400%-ზე მეტით გაიზარდა, შემდეგ კი 80%-ით დაეცა. ამ დრამატულმა ცვლილებამ არა მხოლოდ შეარყია საავტომობილო ბაზარი, არამედ გახდა ახალი - რესურსებისთვის გეოპოლიტიკური კონკურენციის ეპოქის დასაწყისის სიგნალი. საგულისხმოა, რომ ერთი ელექტრომობილი საჭიროებს ექვსჯერ მეტ სასარგებლო წიაღისეულს, ვიდრე შიდა წვისძრავიანი მანქანა, ხოლო ქარის ელექტროსადგური ცხრაჯერ მეტს, ვიდრე გაზის ელექტროსადგური.

მსოფლიო რუკაზე ახალი საყრდენი წერტილები გამოჩნდა: ლითიუმის სამკუთხედი სამხრეთ ამერიკაში, კობალტის მაღაროები აფრიკის შუაგულში თუ ნიკელის საბადოები ინდონეზიაში. ამ ნედლეულის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სმარტფონები და ელექტრომობილები.

ალბათობა იმისა, ჩვენი სმარტფონის პატარა ელემენტი შეიცავდეს ჩილეს საბადოდან ამოღებულ ლითიუმს, ინდონეზიურ ნიკელსა და კანსკის მაღაროდან მოპოვებულ კობალტს, რომელსაც ჩინური კორპორაციები აკონტროლებენ - საკმაოდ დიდია.

ჩვენ ფუნდამენტური ცვლილების მომსწრენი გავხდით. არა მხოლოდ ნავთობი და გაზი, არამედ ლითონებიც XXI საუკუნის საწვავად იქცა. ამ აუცილებელი მინერალების მოპოვებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე კონტროლი ახლა ახალ ფრონტის ხაზებს აჩენს გლობალური დომინირებისთვის ბრძოლაში, სადაც უკვე აშკარად გამოკვეთილია ერთი ლიდერი - ჩინეთი, რომელიც დღეს აკონტროლებს იშვიათი მიწა-ელემენტების მსოფლიო წარმოების 70%-სა და ლითიუმის, ნიკელისა და კობალტის გადამუშავების სიმძლავრის ნახევარზე მეტს.

როგორ მოახერხა კომუნისტურმა გიგანტმა მომავლის რესურსების ბაზრის მონოპოლიზება? როგორ ცდილობს დასავლეთი ამის შეცვლას? და რას ნიშნავს ეს მწვანე ტრანსფორმაციისთვის, რაც ევროპის სამიზნეს წარმოადგენს?

სტატიაში განხილულია კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალების მზარდი მნიშვნელობა გლობალიზებულ მსოფლიოში, რომელიც ახალ გამოწვევად იქცა XXI საუკუნეში გლობალური დომინირებისთვის ბრძოლაში.

საკითხი მეტად აქტუალურია, რამდენადაც რესურსებზე კონტროლი ყველა გეოპოლიტიკურ მოთამაშეს სურს და შესაბამისად, ყალიბდება ახალი ფრონტის ხაზი, რამდენადაც სახელმწიფოები, აცნობიერებენ რა, რომ XXI საუკუნე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ლითონებით განისაზღვრება, ცდილობენ დაიცვან საკუთარი ინტერესები მზარდი კონკურენციის პირობებში, რამდენადაც იციან, რომ კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალებსა თუ იშვიათ მიწა-ელემენტების მიწოდების ჯაჭვებზე კონტროლი სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს და ამ ახალ ეპოქაში, ის, ვინც აკონტროლებენ მინერალებს - გააკონტროლებს მომავალს.

ასევე ყურადღება გამახვილებულია იშვიათი მიწა-ელემენტების მოპოვებასა და ე.წ. „ცივილიზებულ სამყაროში“ დიდი ენთუზიაზმით წახალისეულ „ენერგეტიკულ მწვანე ტრანსფორმაციაზე“, რომელიც გასაოცარ პარადოქსს მალავს: „ბინძური მოპოვების“ გარეშე სუფთა ენერგიის წარმოება შეუძლებელია - ერთი მხრივ, რეალიზდება ეკონომიკის დეკარბონიზაციისა და წიაღისეული საწვავისგან თავის შეკავების მისწრაფება, მეორე მხრივ, იგივე ტრანსფორმაცია მოითხოვს მინერალებისა და ლითონების მოპოვების უპრეცედენტო ინტენსიფიკაციას. ამ რესურსებზე წვდომა კი განსაზღვრავს არა მხოლოდ ქვეყნის ენერგეტიკულ ტრანსფორმაციას, არამედ მის ადგილს მომავლის მსოფლიო წესრიგში, რომელიც ახლა ყალიბდება. სახელმწიფო, რომელიც ვერ შეძლებს საიმედო მიწოდების ჯაჭვების უზრუნველყოფას, რისკავს დარჩეს ჩამორჩენილი ეკონომიკური, ტექნოლოგიური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: იშვიათი მიწა-ელემენტები, ჩინეთი, ენერგეტიკული სისტემები, ცირკულარული ეკონომიკა, რესურსების გეოპოლიტიკა, ეროვნული უსაფრთხოება.

The global race for critical minerals as a new frontline in the battle for world dominance

Ketevan Meskhidze
Associate Professor of Master's program in Security Studies of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Academic Doctor of International Relations

Abstract

Critical minerals and rare earth metals have now become a central issue of geopolitical rivalry between states, as whoever controls such resources controls the future.

In just two years, from 2021 to 2023, the price of lithium carbonate, a key element of the energy revolution, increased by more than 400%, then fell by 80%. This dramatic change not only shook up the automobile market, but also marked the beginning of a new era of geopolitical competition for resources. It is noteworthy that an electric car requires six times more minerals than an internal combustion engine car, and a wind power station requires nine times more than a gas-fired power plant.

New fulcrums have appeared on the world map: the Lithium Triangle in South America, cobalt mines in the heart of Africa, and nickel deposits in Indonesia. Modern smartphones and electric cars are unthinkable without these raw materials.

The likelihood that the tiny battery in your smartphone contains lithium mined in Chile, nickel from Indonesia, and cobalt mined in the Kansk mine, which is controlled by Chinese corporations, is quite high.

We have witnessed a fundamental shift. Not only oil and gas, but also metals have become the fuels of the 21st century. Control over the extraction, processing, and distribution of these essential minerals is now creating new front lines in the battle for global dominance, with one clear leader emerging: China, which now controls 70% of the world's rare earths production and more than half of the world's lithium, nickel, and cobalt refining capacity.

How did a communist giant manage to monopolize the market for the resources of the future? How is the West trying to change that? And what does this mean for the green transformation that Europe is aiming for?

The article discusses the growing importance of critical minerals in a globalized world, which has become a new challenge in the struggle for global dominance in the 21st century.

The issue is highly relevant, as all geopolitical players want control over resources, and accordingly, a new battlefield is emerging, as states, realizing that the 21st century will be defined by strategically important metals, try to protect their interests in the face of increasing competition, as they know that control over the supply chains of critical minerals or rare earth elements is gaining strategic importance, and in this new era, those who control the minerals will control the future.

Attention is also focused on the extraction of rare earth elements and the "green energy transformation" enthusiastically promoted in the so-called "civilized world", which hides a surprising paradox: Without "dirty mining", clean energy production is impossible - on the one hand, the aspiration to decarbonize the economy and move away from fossil fuels is realized, on the other hand, the same transformation requires an unprecedented intensification of the extraction of minerals and metals. Access to these resources will determine not only a country's energy transformation, but also its place in the future world order that is now being shaped. A state that cannot ensure reliable supply chains risks being left behind economically, technologically, and geopolitically.

Keywords: rare earth elements, China, energy systems, circular economy, resource geopolitics, national security.

შესავალი

ბოლო პერიოდის განმავლობაში სამხედრო ექსპერტთა და ანალიტიკოსთა ნაშრომებსა თუ რიტორიკაში განსაკუთრებით იჩინა თავი ტერმინებმა „კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალები“ და „იშვიათი მიწა-ელემენტები“.

ეს ის ნედლეულია, როლის მნიშვნელობაში დღეს ეჭვი აღარავის ეპარება გეოპოლიტიკური დომინირებისთვის ბრძლაში, მაგრამ საინტერესოა გავარკვიოთ, რას წარმოადგენენ ისინი და რატომ გახდა ასეთი მნიშვნელოვანი რესურსებისთვის გეოპოლიტიკური კონკურენციის ეპოქის დასაწყისში.

დავიწყოთ განმარტებით

შეერთებული შტატების 2020 წლის „ენერგეტიკის შესახებ კანონის“ თანახმად, კრიტიკული მინერალები არის რესურსები, რომლებიც აუცილებელია შეერთებული შტატების ეკონომიკისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის.[1] იმისთვის, რომ მინერალი კრიტიკულად მნიშვნელოვნად ჩაითვალოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად პირობას: პირველი - იყოს მნიშვნელოვანი შეერთებული შტატების ეკონომიკისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის; მეორე - ასრულებდეს მნიშვნელოვან ფუნქციას პროდუქტის წარმოებისას, რომლის არარსებობა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს შეერთებული შტატების ეკონომიკურ ან ეროვნულ უსაფრთხოებაზე; და მესამე, ასეთი მინერალის მიწოდების ჯაჭვი უნდა იყოს მოწყვლადი დარღვევების მიმართ. აქედან გამომდინარე, ლითიუმი, კობალტი, პლატინა, გრაფიტი, ტიტანი და იშვიათი მიწა-ლითონები მიეკუთნება კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტრადიციული წიაღისეული საწვავი, ისევე, როგორც ურანი - არ შედის ამ ჯგუფში.

შეერთებული შტატების გეოლოგიური სამსახური აწარმოებს საკვანძო მინერალების სიას, რომლის განახლებაც სამ წელიწადში ერთხელ ხდება და ამჟამად 50 დასახელებას მოიცავს. ბოლო ასეთი ჩამონათვალი გამოქვეყნებულ იქნა 2022 წელს[2]. ამერიკელებმა, ჯერ კიდევ XX საუკუნეში გააცნობიერეს მინერალური რესურსების მზარდი მნიშვნელობა გლობალიზებულ მსოფლიოში. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ და ნედლეულის მომარაგებას-

[1] Article: „What Are Critical Materials and Critical Minerals?“ U.S. Department of Energy, 2020, rb.gy/qoisxe, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[2] Jason Burton, „U.S. Geopolitical Survey Releases 2022, List of Critical Minerals“, National News Release, 2022, rb.gy/tpix6h, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

თან დაკავშირებით გაჩენილმა პრობლემებმა კონგრესი აიძულა მიეღო კანონი „სტრატეგიული და კრიტიკული მინერალების მარაგების შესახებ“,[3] რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული თავდაცვისთვის საჭირო კრიტიკული მასალების უზრუნველყოფას. თუმცა, ტექნოლოგიების განვითარებამ და მრეწველობის საჭიროებების ცვლილებამ, განსაკუთრებით თავდაცვის, მოწინავე სამომხმარებლო ტექნოლოგიებისა და ენერგეტიკის სექტორებში, განაპირობა მინერალებისადმი ინტერესის განახლება, რომლის გარეშეც „დიდი ძალების“ თამაშში მონაწილეობა შეუძლებელი იქნებოდა.

როგორც უკვე აღნიშნულ იქნა, იშვიათი მიწა-ელემენტები შედის რესურსების კიდევ ერთი კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალების ჯგუფში, რომელმაც ბოლო პერიოდის განმავლობაში ფართო გავრცელება ჰპოვა. ეს არის ჩვიდმეტი ელემენტისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მოიცავს სკანდიუმის ჯგუფის ორ ელემენტს - სკანდიუმს და ყველა ლანთანოიდს, მაგალითად, ლანთანს და ნეოდიუმს ან ერბიუმს[4]. ეს არის ლითონები, რომლებიც თანაარსებობენ მინერალებში და მსგავსი ქიმიური თვისებები გააჩნიათ, რაც თავისი არსით უნიკალურია და მოცემულ ელემენტებს გამოყენებადს ხდის მაგნიტების, დისპლეების, ელემენტების, კატალიზატორებისა თუ სხვა ნივთების წარმოებაში.

რაც შეეხება თავად სახელწოდებას - „იშვიათი მიწა-ელემენტები“, XV საუკუნიდან იღებს სათვეს, როდესაც ქიმიკოსები ძნელად ხსნად და დნობად ოქსიდებს „მიწებს“ უწოდებდნენ.[5] სინამდვილეში, ეს იყო ლითონის ოქსიდები, რომლებსაც დღეს იშვიათი მიწა-ელემენტების სახელით ვიცნობთ. თუმცა, იმ დროს აღნიშნული ლითონები უცნობი იყო. აქედან მომდინარეობს ტერმინი „მიწები“, რაც მყარ, მძიმე და დამუშავებისადმი მდგრად ელემენტებს ნიშნავს. აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ სახელწოდების მიუხედავად, იშვიათი მინერალები არც თუ ისე იშვიათია, მაგრამ დედამიწის ქერქში მცირე რაოდენობითაა გავრცელებული და გაფანტული, ან სხვა მინერალებთანაა შერეული. შესაბამისად, ერთი საბადოდან მეტალების დიდი რაოდენობით მოპოვება თითქმის შეუძლებელია და ძვირია. ამდენად, სწორედ ეს გაფანტულობა გვაიძულებს, რომ ისინი „იშვიათად“ აღვიქვათ.[6]

საკითხი მეტად აქტუალურია, რამდენადაც რესურსებზე კონტროლი ყველა გეოპოლიტიკურ მოთამაშეს სურს და შესაბამისად, ყალიბდება ახალი ფრონტის ხაზი, რამდენადაც

---

[3] Appendix B: „The Strategic and Critical Materials Stock Piling Act“ (50 U.S.C. § 98 et seq.), Defense Logistics Agency (mil), Pdf, rb.gy/c5ustv, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[4] Rare Earth Elements, Properties, Application, UPSC Prelims 2025, VAJIRAM & RAVI, Institute for IAS Examination, rb.gy/61t6sl, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[5] ი. აბაშიძე, ქართული საბჭთა ენციკლოპედია, თსუ, თბილისი, ტ.5, 1980, 287;

[6] გ. ქაშაკაშვილი, ო. მეტრეველი, „მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი,“ თბილისი, 2011, ტ. I, 904;

სახელმწიფოები, აცნობიერებენ რა, რომ XXI საუკუნე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ლითონებით განისაზღვრება, ცდილობენ დაიცვან საკუთარი ინტერესები მზარდი კონკურენციის პირობებში, რამდენადაც იციან, რომ კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალებსა თუ იშვიათ მიწაელემენტების მიწოდების ჯაჭვებზე კონტროლი სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს და ამ ახალ ეპოქაში, ის, ვინც აკონტროლებს მინერალებს - გააკონტროლებს მომავალს.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომი დაფუძნებულია სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდზე. კერძოდ, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიზნით კვლევა განხორციელებულ იქნა პროცესის მიდევნების (Process Tracing), შემთხვევის შესწავლისა (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით. აგრეთვე, კვლევის პროცესში მოხდა მეორეული სამეცნიერო-ლიტერატურული წყაროების ანალიზი, რათა შექმნილიყო ბაზისი შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით კვლევის გასაგრძელებლად.

ძირითადი ნაწილი

იშვიათი მიწა-ელემენტების მსოფლიო მარაგი დაახლოებით 120 მილიონ ტონადაა შეფასებული, ხოლო ყველაზე დიდი საბადოები, რომელიც 44 მილიონ ტონას შეადგენს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზეა განთავსებული.[7]

იშვიათი მიწა-ელემენტების მოპოვება სერიოზულ გარემოსდაცვით პრობლემებთან არის დაკავშირებული. მათი მოპოვების პროცესში ხდება მავნე რადიონუკლიდების გამოყოფა, როგორიცაა მაგალითად, თორიუმი და ურანი, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

მაღაროები, ჩვეულებრივი მტვრის გარდა, ასევე გამოყოფენ მძიმე მეტალებს, რომლებიც აბინძურებენ ჰაერსა და ნიადაგს. ასევე, ამ პროცესში წარმოიქმნება მყარი ნარჩენების გროვები, რომლებიც დაბინძურების გრძელვადიან წყაროს წარმოადგენს. იშვიათი მიწა-ელემენტების მოპოვება და გადამუშავება ძალზე ენერგომოხმარებადია, რაც გლობალურ დათბობას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ახალი, ღია კარიერული მაღაროების მშენებლობა, როგორც წესი, ბუნებრივი ეკოსისტემების დეგრადაციასა და სახეობების გადაშენებას იწვევს. ამდენად, იშვიათი მიწა-ლითონების მოპოვების სარგებელი მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

[7] Melissa Pistilli, „Rare Earths Reserves: Top 8 Countries“, INN (Investing News Network), 2025, https://redirme.com/fgwkre , (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

როგორც კომპანია „Advanced Magnet Lab Incorporated“-ის აღმასრულებელი დირექტორი მარკ სენტი აღნიშნავს, „სუფთა ენერგიის წარმოება მოპოვებითი მრეწველობის გარეშე შეუძლებელია. ეს უბრალოდ რეალობაა. და ეს მოპოვებითი მრეწველობა, როგორც ვხედავთ, ძალიან ბინძურია“. ეს მტკივნეული თეზისი, რა თქმა უნდა, პარადოქსია სუფთა და მწვანე მომავლისკენ გლობალური სწრაფვის კონტექსტში.[8] და მაინც, მიუხედავად აღნიშნული პრობლემებისა, ცხადია, რომ კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალებზე მოთხოვნა სულ უფრო მეტად იზრდება.

ენერგეტიკული სისტემების ტრანსფორმაცია სუფთა ტექნოლოგიების მიმართულებით არსებითად ზრდის მნიშვნელოვან მინერალებზე მოთხოვნას. ტრადიციულ, ნახშირწყალბადებზე დაფუძნებულ სისტემებთან შედარებით, ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა ფოტოელექტრული პანელები, ქარის ელექ-ტროსადგურები და ელექტრომობილები, გაცილებით მეტ მინერალურ რესურსს მოითხოვს. მსოფლიო ბანკი თავის ანგარიშში „სასარგებლო წიაღისეული კლიმატის ცვლილებებთან საბრძოლველად“ ვარაუდობს, რომ ისეთი მინერალების წარმოება, როგორიცაა გრაფიტი, ლითიუმი და კობალტი, 2050 წლისთვის შესაძლოა 500%-ით გაიზარდოს სუფთა ენერგიის ტექნოლოგიების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.[9]

მეცნიერთა გათვლებით, ქარის, მზის, გეოთერმული და ენერგიის შენახვის ტექნოლოგიების დანერგვას სამ მილიარდ ტონაზე მეტი მინერალი და ლითონი დასჭირდება.[10] ეს აბსტრაქტული ციფრები რომ კონკრეტულ მაგალითებში გადავიყვანოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ერთი ელექტრომობილის წარმოებისთვის ექვსჯერ მეტი მინერალია საჭირო, ვიდრე შიდა წვის ძრავიანი ავტომობილის საწარმოებლად, ხოლო ხმელეთზე ქარის ელექტროსადგურისთვის ცხრაჯერ მეტი, ვიდრე გაზის ელექტროსადგურისთვის. კონკრეტულად რამდენი ნედლეული იხარჯება ელექტრომობილის წარმოებაზე? მაგალითად, „Mustang Mac“-ის შემთხვევაში, საჭირო იქნება: 66 კგ - გრაფიტი, 53 კგ - სპილენძი, თითქმის 40 კგ -ნიკელი, 24,5 კგ - მანგანუმი, 13 კგ-ზე მეტი - კობალტი, თითქმის 9 კგ ლითიუმი,

[8] P. Mark Mills, „Mines, Minerals and Green Energy: A Reality Check“, Report, 2020, https://redirme.com/gwdmw5 (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[9] „Mineral Production to Soar as Demand for Clean Energy Increases“, World Bank Group, Press Release, Report 2020, https://redirme.com/3tr2e9 (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[10] იქვე;

ნახევარი კილოგრამი იშვიათი მიწა-ლითონები, 100 გ - თუთია და 300 გ - სხვა ნედლეული.[11] ენერგეტიკის ტრანსფორმაციასთან ერთად, მასთან დაკავშირებული მთელი სექტორი გადაიქცევა კრიტიკულად მნიშვნელოვან მინერალებზე მოთხოვნის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად.

2010-დან 2019 წლამდე პერიოდში, ახალი ენერგობლოკებისთვის საჭირო მინერალურ ნედლეულზე საშუალო მოთხოვნა 50%-ით გაიზარდა, რაც განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასთან არის დაკავშირებული. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზებით, 2040 წლისთვის ე.წ. სუფთა ენერგიის ტექნოლოგიებისთვის მინერალურ ნედლეულზე წლიური მოთხოვნის მთლიანი წილის მიხედვით, სპილენძსა და იშვიათ მიწა-ლითონებზე - 40%-ზე მეტი, ნიკელსა და კობალტზე - 60-70%, ხოლო ლითიუმზე თითქმის - 90%-იანი ნიშნულით ზრდაა ნავარაუდევი. [12]

ამდენად, „ენერგეტიკული მწვანე ტრანსფორმაცია“, რომელიც დიდი ენთუზიაზმითაა წახალისებული მთელ ე.წ. ცივილიზებულ სამყაროში, გასაოცარ პარადოქსს მალავს. ერთი მხრივ, რეალიზდება ეკონომიკის დეკარბონიზაციისა და წიაღისეული საწვავისგან თავის შეკავების მისწრაფება, მეორე მხრივ, იგივე ტრანსფორმაცია მოითხოვს მინერალებისა და ლითონების მოპოვების უპრეცედენტო ინტენსიფიკაციას.

აქედან გამომდინარე, თუ ვფლობთ ეკონომიკის ახალი დარგის განვითარებისთვის აუცილებელ მინერალებს, რომლებზე მოთხოვნაც მომდევნო წლებში მკვეთრად გაიზრდება, იმის გათვალისწინებით, რომ მათი მიწოდება რიგი მიზეზებიდან გამომდინარე შეზღუდულია, ცხადი ხდება, რომ გვაქვს რესურსები, რომელზეც კონტროლი ყველა მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშეს სურს და შესაბამისად, ყალიბდება ახალი ბრძოლის ველი, რამდენადაც კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალებსა და იშვიათ მიწა-ელემენტების მიწოდების ჯაჭვებზე კონტროლი სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს და სახელმწიფოები ცდილობენ დაიცვან საკუთარი ინტერესები მზარდი კონკურენციის პირობებში.

XX საუკუნეში, საერთაშორისო მეტოქეობის ფრონტის ხაზი ახლო აღმოსავლეთის ნავთობსაბადოებზე, ციმბირის გაზის საბადოებსა და მექსიკის ყურის მოპოვების პლატფორმებზე გადიოდა. სწორედ ნავთობი და ბუნებრივი აირი განსაზღვრავდა ძალთა გლობალურ ბალანსს მსოფლიოში. დღეს კი სახეზეა ინტერესთა ფუნდამენტური ცვლილებები.

[11] „The key minerals in an electric vehicle“, Minimg Doc. Minimg Industry, 2024, https://redirme.com/gkcevv, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[12] International Energy Agency: „The Role of Critical Minerals In Clean Energy Transitions“, World Energy Outlook Special report, Mineral Choices, 2021, https://mineral-choices.com/content/international-energy-agency-the-role-of-critical-minerals-in-clean-energy-transitions/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

ამჟამად გეოპოლიტიკური თავსატეხის მთავარ ელემენტს წარმოადგენს არა მხოლოდ ნახშირწყალბადები, არამედ ლითონებიც: ლითიუმი, კობალტი, ნიკელი, მანგანუმი, გრაფიტი, სპილენძი და იშვიათი მიწა-ელემენტები - ციფრული ეპოქისა და მწვანე ტრანსფორმაციის ახალი საწვავი.

ვნახოთ როგორ გამოიყურება კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ელე-მენტების მსოფლიო რუკა.

დავიწყოთ **სამხრეთ ამერიკით.** აქ არის ლითიუმის სამკუთხედის გული: ჩილე, არგენტინა და ბოლივია. მსოფლიოში ლითიუმის მარაგების 55%-ზე მეტი სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის. ჩილე, „მარილიანი უდაბნოს" წყალობით, როგორიცაა ატაკამა - ლითიუმის ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორია[13]. მეორე მხრივ, ბოლივიას, სავარაუდოდ, მსოფლიოში ამ ლითონის უდიდესი მარაგი აქვს - 21 მილიონ ტონაზე მეტი, თუმცა, ის კვლავ ავითარებს თავის სამთო შესაძლებლობებს[14]. ეს არის რეგიონი უზარმაზარი პოტენციალით, მაგრამ გამოირჩევა პოლიტიკური არასტაბილურობით, რაც, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენს ინვესტიციების ტემპზე.

რაც შეეხება **აფრიკას**, პრაქტიკულად, რესურსების ელდორადოსა და სტრატეგიული ძალაუფლების თამაშების არენას წარმოადგენს. მაგალითად, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე მსოფლიო მასშტაბით კობალტის მოპოვების დაახლოებით 74%-მდე მოდის[15], რომელიც ძირითადად ჩინელებს ერგოთ, რომლებმაც დიდი ხანის წინ იქ მილიარდობით დოლარის ინვესტიციები ჩადეს. ამავდროულად, ნამიბია, სამხრეთ აფრიკა და მადაგასკარი - გრაფიტის, მანგანუმისა და იშვიათი მიწა-ელემენტების მნიშვნელოვან მიმწოდებლებს წარმოადგენენ. აფრიკას აქვს რესურსები, თუმცა, ის არ წყვეტს, როგორ განკარგოს ისინი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, განსაკუთრებით - ინდონეზია და ფილიპინები, ამჟამად ნიკელის ბაზარზე უმსხვილესი მოთამაშეები არიან. ინდონეზიამ 2024 წელს 2.2 მილიონ ტონამდე ნიკელი აწარმოა[16], რაც მსოფლიო მარაგის ნახევარზე მეტია. მადნის ექსპორტის აკრძალვითა და ადგილზე გადამუშავების მოთხოვნით, ქვეყანამ უპირატესობა მოიპოვა არა მხოლოდ ნედლეულში, არამედ ინდუს-ტრიაშიც. რაც წარმოადგენს რესურსების გამოყენებისადმი პროტექციო-ნისტურ, მაგრამ გონივრული მიდგომის მაგალითს.

---

[13] Martin Silva, „The Race for Lithium in Latin America", AFP, Tico Times, 2022, https://redirme.com/dtvtr9, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[14] Stefan Ellerbeck, „Lithium: Here's Why Latin America is key to the global energy transition", World Economic Forum, 2023, https://redirme.com/m4b32y (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[15] Bruno Venditti, „Visualizing Cobalt Production by Country in 2023", Visual Capitalist, Minimg, 2024, https://redirme.com/kjtgdz, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[16] Andy Tunnicliffe, „Indonesia's nickel market stranglehold tightens, again", Mine, 2025, https://redirme.com/5jvqg2, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

და ბოლოს, მივადექით **ჩინეთს**, რომელიც აღნიშნულ სექტორში ნამდვილი ჰეგემონია. ამჟამად, ეს სახელმწიფო აკონტროლებს იშვიათი მიწა-ელემენტებისა და ლითონების მსოფლიო წარმოების თითქმის ¾-ს და მსოფლიოში ლითიუმის, კობალტისა და ნიკელის გადამუშავების სიმძლავრეების 50%-ზე მეტს[17]. ამის საფუძველზე ჩინელებმა მიაღწიეს უპირატესობას გადამუშავების ტექნოლოგიებში, ამიტომ 2023 წლის დეკემბერში პეკინმა აკრძალა იშვიათი მიწა-ელემენტების გამოყოფისა და გადამუშავების ექსპორტის ნოუ-ჰაუ, რითაც უზრუნველყო მისი მონოპოლია, რაც კარგად გააზრებულ სტრატეგიულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა ცდილობენ დაეწიონ ტემპს. შეერთებულმა შტატებმა კალიფორნიაში იშვიათი მიწა-ელემენტების მოპოვება განაახლა, კანადა კვებეკში ლითიუმის პროექტებში ინვესტირებას ახორციელებს, ხოლო ნორვეგია და ფინეთი კობალტისა და ნიკელის საკუთარ წყაროებს ეძებს. თუმცა, ეს მაინც ზღვაში წვეთია, აღნიშნულ სექტორში ჩინეთის დომინირებასთან შედარებით. მსოფლიოს ახალი რესურსების რუკა ძველი ნავთობის რუკას არ ჰგავს. დღეს, ახლო აღმოსავლეთის ნაცვლად, რესურსების ახალ რუკაზე ანდებია. ცენტრალური აფრიკა და მალაის არქიპელაგი (მდებარეობს ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებს შორის). ჩინეთში ლაბორატორიები სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. აქ ლოგიკურად ჩნდება კითხვა: სად არის ევროკავშირი ამ რბოლაში?

„მწვანე ტრანსფორმაციის“ ძიებაში ევროპა ჩინეთზე დამოკიდებულების ხაფანგში აღმოჩნდა, სადაც ქარის ტურბინებისა და მაგნიტების დასამზადებლად საჭირო ელემენტები გეოპოლიტიკური გავლენის ახალ ფორმად იქცა. წლების განმავლობაში ევროკავშირი ჩამორჩებოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ის ცდილობს დაეწიოს ტემპს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნედლეულისთვის ბრძოლაში.

გლობალური ბაზარი, გადავიდა რა ნახშირწყალბადების ეპოქიდან მწვანე ტრანსფორმაციისთვის საჭირო მინერალების ეპოქაში, ევროპელმა ლიდერებმა გააცნობიერეს, რომ გადამწყვეტი ქმედებები იყო საჭირო. შესაბამისად, მზარდი გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეწოლის საპასუხოდ, 2024 წლის მაისში ევროკომისიამ ახალი ინსტრუმენტი შემოიღო - კანონი „კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ნედლეულის შესახებ“, რომელიც მიმართულია ამ უკანასკნელის წყაროების დივერსიფიკაციის, ევროპული მიწოდების ჯაჭვის გაძლიერებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებში ინვესტიციების ზრდისკენ. ამით

[17] Ben Taulli, Busby Joshua., „The Devil is in the Details: Minerals, Batteries, and US Dependence on Chinese Imports“, Council on Strategic Risks, 2025, http://rb.gy/bsw18o/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

ევროპა ცდილობს გარე მომწოდებლებზე - უპირველეს ყოვლისა კი პეკინზე დამოკიდებულების შემცირებას.

აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ ევროკავშირის ქმედებები მხოლოდ კანონმდებლობით არ შემოიფარგლება. 2025 წლის მარტში, ევროკომისიამ გამოაქვეყნა ასობით სტრატეგიული პროექტის სია, რომელიც წარმოადგენს კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ნედლეულის ერთგვარი აღდგენის გეგმას და მიზნად ისახავს ევროპის მიერ მათი მოპოვებისა თუ გადამუშავების სიმძლავრეების გაძლიერებას.

აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთ უდიდეს ინვესტიციას წარმოადგენს პოლონეთის ქალაქ ზავიერციეში მდებარე აკუმულატორების ლითინგადამა-მუშავებელი ქარხანა „პოლვოლტი", სადაც „Elemental Group"-ის მიერ 800 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია იქნა განხორციელებული[18], რომელიც მი-მართულია ლითიუმის, ნიკელის, კობალტისა და სპილენძის ამოღებისკენ, მათ შორის ელექტრონული ნარჩენებიდან.

სამთომოპოვებითი და გადამამუშავებელი პროექტების განსაკუთრებული კონცენტრაცია შეინიშნება პირენეს ნახევარკუნძულზე, საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში, ასევე კონტინენტის ჩრდილოეთით. ამგვარად, ევროკავშირი არ პასიურობს. კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ნედლეულის შესახებ კანონის ამოქმედებითა და სტრატეგიული პროექტების განხორციელებით, იგი ცდილობს ხელახლა განსაზღვროს თავისი ადგილი რესურსების მსოფლიოს ახალ რუკაზე. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ რესურსების გეოპოლიტიკა არის სფერო, სადაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საბადოებზე წვდომა, არამედ უპირველეს ყოვლისა, მთელი მიწოდების ჯაჭვის დამუშავებისა და მართვის შესაძლებლობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოცემული მიმართულებით ევროპის გააქტიურებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უკრაინაში მიმდინარე ომმაც, რომელმაც არა მხოლოდ დაარღვია გლობალური მიწოდების ჯაჭვი, არამედ კრიტიკული მნიშვნელობის მქონე რესურსების სფეროში სწრაფი რეფორმების კატალიზატორად იქცა. მოცემულ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ უკრაინა, თავად წარმოადგენს იშვიათი მიწა-ელემენტების საბადოს, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკებების საგნადაც კი იქცა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მისი მასშტაბები შესაძლოა მნიშვნელოვნად გადაჭარბებული ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, 2025 წლის 3 თებერვალს, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ სურდა უკრაინის იშვიათ მიწა-ელემენტებზე წვდომის მიღება სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერის

[18]Article: „A $1 Billion Investment by Elemental Group", Elemental, 2025, http://rb.gy/uf5egl, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

სანაცვლოდ, რომელიც თავდაპირველად 500 მილიარდ დოლარად იქნა შეფასებული[19]. ეს კიდევ ერთხელ ახდენს შეერთებული შტატებისთვის სტრა-ტეგიული დანიშნულების მქონე ნედლეულის მიწოდების მნიშვნელობის დემონსტრირებას.

ამერიკელები ასევე ცდილობენ კრიტიკული მნიშვნელობის მინერალებზე წვდომისა და მოპოვების საკუთარი გზების პოვნას. ერთ-ერთი ასეთი გზა კი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე გადის. ცენტრალური აფრიკის ეს ქვეყანა წინააღმდეგობებით გამოირჩევა. ერთი მხრივ, სიღარიბე, არასტაბილურობა და კონფლიქტები, ხოლო მეორე მხრივ, აბსო-ლუტური დომინირება კობალტის წარმოების სფეროში. ამ უმნიშვნელოვანესი რესურსის მსოფლიო წარმოების 70%-ზე მეტი სწორედ ამ ქვეყანაზე მოდის[20]. თუმცა, კონგოს დემოკ-რატიული რესპუბლიკის ყველაზე დიდი გარე მოთამაშე, რა თქმა უნდა, ჩინეთია. ჯერ კიდე XXI საუკუნის პირველ ათწლეულში პეკინმა დაიწყო აქტიური მოქმედება ძირითადი მაღაროების აქციების წილის შესაძენად. იქ მუშაობდნენ ისეთი სახელმწიფო გიგანტები, როგორიცაა მაგალითად, „China Molibdenum“-ი, რომელიც ამჟამად ქვეყანაში კობალტის წარმოების 60%-ზე მეტს აკონტროლებს[21]. კონცესიის[22] სანაცვლოდ, კონგომ მიიღო ჩინური ინვესტიციები გზების, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის მშენებლობისთვის. ეს იყო მოდელი - „მინერალები განვითარების სანაცვლოდ“. მოდელი, რომელიც ადგილობრივებ-ის დაუღალავი შრომის შედეგად იყო დაფინანსებული.

არც ვაშინგტონია უმოქმედოდ. ბოლო პერიოდში შეერთებული შტატების ადმინისტრა-ციამ, ისევე როგორც ისეთმა კომპანიებმა, როგორიცაა „ტესლა“ და „ფორდი“, ინტენსიურად დაიწყეს ალტერნატივების ძიება როგორც კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ნედლეულის წყაროების, ასევე მათი უზრუნველყოფის საშუალებების თვალსაზრისით. ბაიდენის ადმი-ნისტრაციამ შექმნა ფონდი აფრიკაში ინვესტიციების მხარდასაჭერად, მათ შორის - დაკარგული გავლენის აღსადგენად ჩინეთის სასარგებლოდ.

ვაშინგტონმა ასევე სცადა კონგოსთან დადებულ კონტრაქტებში ირიბად ჩარევა. იგი დაჟინებით მოითხოვდა ჩინეთის მიერ დადებული შეთანხმებების გადახედვასა და აგრეთ-ვე 2008 წელს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთვრობასა და ჩინეთს შორის

---

[19] Starcevic Seb., „Trump demands $500B in rare earth from Ukraine for continued support“, Politico, 2025, https://redirme.com/dxvag5 (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[20] Cobalt In The Democratic Republic of Congo, Market Analysis, World Bank, 2021, http://rb.gy/c6krsd, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[21] Farrell Gregory., and Paul J. Milas., „China in the Democratic Republic of the Congo: A New Dynamic in Critical Mineral Procurement“, SSI Media, 2024, rb.gy/1uwefp /, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[22] კონცესია (Concession) - ნებართვა, დათმობა. სახელმწიფოს მიერ კერძო მრეწველთან, უცხოეთის ფირმასთან დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მრეწველი (ფირმა) იღებს გარკვეულ სამრეწველო საწარმოთა, მთამადნეულისა და მათი ექსპლუატაციის უფლებას) - ურიდია ს., გურგენიძე ვ., სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, თბილისი, 2004, გვ.483;

დადებული სინო-კონგოლოს ცნობილი შეთანხმების აუდიტს, რომელიც ეხებოდა ბუნებრივი რესურსების ინფრასტრუქტურულ ხარჯებზე გაცვლას[23]. შედეგად, ჩინური კომპანიები გახდნენ ქვეყნის 19 უდიდესი კობალტისა და სპილენძის საბადოდან 15-ის მფლობელი. საგულისხმოა, რომ კობალტი წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს ელექტრომობილების ელემენტების, სმარტფონებისა და ენერგიის შენახვის სისტემების საწარმოებლად. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მისი წყაროების კონტროლისთვის გლობალური ბრძოლაა გაჩაღებული.

აღნიშნულ დარგში არავის აქვს ილუზია, რომ ჩინეთი წარმოადგენს ამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი მინერალიების ბაზრის უდავო ლიდერს. ასეთი პოზიცია განპირობებულია უხვი ბუნებრივი რესურსების, მოწინავე ტექნოლოგიებისა და ნაკლებად მკაცრი გარემოსდაცვითი თუ შრომის ნორმების სტანდარტებთან დაკავშირებული კომბინაციით, რაც უფრო ეფექტური და იაფი პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ პეკინის ამჟამინდელი წარმატება ასევე ცივი გათვლების, გრძელვადიანი დაგეგმვისა და ათობით მილიარდი დოლარის ინვესტიციების შედეგია. დღესდღეობით, პეკინი აკონტროლებს იშვიათი მიწა-ლითონების მსოფლიო წარმოების თითქმის 70%-ს. გრაფიტის შემთხვევაში ეს - 78%-ზე მეტია[24]. ხოლო როდესაც საქმე ეხება ლითიუმის, ნიკელის ან კობალტის გადამუშავებას, ჩინეთის კონტროლქვეშაა მსოფლიო გადამუშავების სიმძლავრის ნახევარზე მეტი, რაც უპირატესობა კი არა, უკვე სრული დომინირებაა. აქ ლოგიკურად ჩნდება კითხვა: როგორ მოხდა, რომ ჩინეთმა ათწლეულებით გაუსწრო დასავლეთს ამ სტრატეგიულ რბოლაში?

2025 წლის თებერვალში, პეკინმა თავის ხუთ ძირითად ლითონზე, მათ შორის ვოლფრამზე, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამერიკული თავდაცვის ინდუსტრიისთვის, ექსპორტზე შეზღუდვების დაწესებით[25] კიდევ ერთხელ შეახსენა მსოფლიოს საკუთარი მნიშვნელობა. საგულისხმოა, რომ აპრილში, ჩინეთმა მკაცრი ექსპორტის შეზღუდვები დააწესა კიდევ შვიდ კრიტიკული მნიშვნელობის მქოდე იშვიათ მიწა-ელემენტზე,[26] რაც წარმოადგენდა ძლიერ პასუხს ტრამპის მიერ დაწესებულ ტარიფებზე. და რა თქმა უნდა, ეს იყო ძალის დემონსტრირება. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი, ასევე წარმოადგენს

[23] Article: „DR Congo wants to revise 2008 mining agreement with China“, The Brussels Times 2023, rb.gy/4n06yq, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);
[24] Chen Laurie., „China's rare earth weapon changes contours of trade war battlefield“, Reuters, 2025, https://redirme.com/9xrjgh (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);
[25] Article: „China Announces Export Controls in Five Critical Minerals“, Exiger, 2025, https://redirme.com/5k7jbw , (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);
[26] Jackson Lewis., Onstad Eric., Amy Lv., Scheyder Ernest., China hits back at US tariffs with export controls on key rar earths, Reuters, 2025, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

ლიდერს მსოფლიოში აკუმულატორების, განსაკუთრებით, ლითიუმ-იონური აკუმულა-ტო-რებუს წარმოებაში.[27] ამჟამად ისინი აწარმოებენ მსოფლიო ბაზარზე გაყიდვებში არსებული აკუმულატორების სამ მეოთხედზე (3/4-ზე) მეტს. უმსხვილესი მწარმოებლები არიან ისეთი გიგანტები, როგორიცაა „Cattle“ და „BYD“-ი. გარდა ამისა, პეკინზე მოდის კათოდური მასალების მსოფლიოში დამონტაჟებული წარმოების თითქმის 90% და ანოდური მასალების, ენერგიის გადაცემის უზრუნველყოფის ძირითადი კომპონენტების, წარმოების სიმძლავრის 97%-ზე მეტი, რაც წარმოადგენს ბატარეის საკვანძო კომპონენტებს, რომლებიც უზ-რუნველყოფენ ენერგიის გადაცემას.

წიგნში „ლითიუმის, სპილენძის მიღმა ომი და გლობალური ბრძოლა ჩვენი ცხოვრებისთვის“, ავტორი ერნესტ შეიდერი ლითიუმ-იონური ელემენტების წარმოებაში ჩინეთის უპირატესობას შემდეგნაირად აღწერს: „2021 წელს ჩინეთმა მსოფლიოში არსებული 200 ლითიუმ-იონური ელემენტების გიგა-ქარხნიდან 148 ააშენა ან აშენებს. აქედან 21 - ევროპაშია, ხოლო 11 - ჩრდილოეთ ამერიკაში. 2049 წლისთვის ჩინეთს სურს, რომ მის ტერიტორიაზე დაგეგმილი 136 ობიექტიდან კიდევ 101 აამოქმედოს“[28]. ამავდროულად, ჩინეთი მხოლოდ ქვეყნის შიგნით არ მოქმედებს. სი ძინპინის მიერ დაწყებული ცნობილი მასშტაბური ინიციატივა „ერთი სარტყლის გზა“, ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პროგრამა, ნედლეულის სექტორის ექსპანსიის საშუალებად იქცა.

2024 წელს, აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ლითონებისა და სამთო მოპოვების სექტორში ჩინეთის ინვესტიციებმა რეკორდულ მაჩვენებელს - 21 მილიარდ 400 მილიონ დოლარს მიაღწია. ამ თანხის უმეტესი ნაწილი ლათინურ ამერიკაში, ინდონეზიასა და უპირველეს ყოვლისა, აფრიკაშია მიმართული. მხოლოდ აფრიკაში ინვესტიციები 2024 წელს 30%-ზე მეტით გაიზარდა და თითქმის 30 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამ რეგიონებში ჩინური კომპანიები არა მხოლოდ კობალტს, ლითიუმსა და სპილენძს მოიპოვებენ, არამედ აშენებენ გზატკეცილებს, რკინიგზასა და ელექტროსადგურებს. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთლიან ეკოსისტემებს, რომლებიც ადგილობრივ ეკონომიკას პეკინთან აკავშირებს. აღსანიშნავია, რომ ისინი არა მხოლოდ ინვესტიციებს დებენ, არამედ ზღუდავენ ნოუ-ჰაუზე წვდომასაც. 2023 წლის დეკემბერში ჩინეთმა იშვიათი მიწა-ლითონების გადამუშავების ტექნოლოგიების ექსპორტზე აკრძალვები დააწესა, რაც მკაფიო

[27] Gong Huiwen., „The rise of China's new energy vehicle lithium-ion battery industry: The coevolution of battery technological innovation systems and policies“, Pdf, Elsevier, 2023;
[28] Scheyder Ernest., „The War Below. Lithium, Copper, and The Global Battle To Power our Lives“, Published by Atria/One Signal, 2024;

სიგნალი იყო, რომ ისინი აკონტროლებენ მიწოდების ჯაჭვს მაღაროებიდან დაწყებული - დასრულებულ კომპონენტებამდე.

კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წარმოებასა და შესაბამისად, მსოფლიოს მომავლის განმსაზღვრელი ინდუსტრიის სფეროში ჩინეთის დომინირების ფონზე, შეერთებული შტატები რიგ ნაბიჯებს დგამს თამაშის წესების პირობების გასათანაბრებლად.

გარდამტეხ მომენტად იქცა ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ენერგეტიკული ტრანსფორმაციისა და ეროვნული უსაფრთ-ხოებისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ნედლეულის შიდა წარმოე-ბისთვის [29] პრიორიტეტების მინიჭების შესახებ. პირველი ნაბიჯი იყო ინფლაციის შემცირების შესახებ კანონი, რომელიც, მწვანე ენერგიაში უზარმაზარი ინვესტიციების გარდა, შეერთებული შტატებიდან ან პარტნიორი ქვეყნებიდან ელექტრომობილების კომპონენტებისა და აკუმულატორების მოწოდებას ავალ-დებულებდა. რაც იმას ნიშნავდა, რომ ამერიკას სწრაფად უნდა ეწარმოებინა საკუთარი კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალები. პარალელურად, ბაიდენმა აამოქმედა ცივი ომის ეპოქის დროს არსებული კანონი - „თავდაცვის წარმოების აქტი“,[30] რომელიც მთავრობისთვის საკვანძო დარგებში პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების საშუალებას იძლევა. მისი წყალობით, თავ-დაცვის სამინისტრომ დაიწყო ლითიუმის, კობალტისა და ნეოდიმიუმის შიდა მოპოვების განვითარების დაფინანსება.

და ბოლოს, იმავე წელს მიღებული კანონი „მეცნიერება და ჩიპები“, რომელიც ძირითადად ნახევარგამტარებში ინვესტიციებით არის ცნობილი [31], ასევე მოიცავს მილიარდობით დოლარს ახალი მასალებისა და ძნელად მოსაპოვებელი ნედ-ლეულის ალტერნატივების კვლევისთვის. კონკრეტული ინვესტიციები მოჰყვა ასევე ახალ წესებსაც. 2022 წელს, ბაიდენის ადმინისტრაციამ 35 მილიონი დოლარი გამოყო კომპანია „MP Materials“-ის პროექტისთვის, (კალიფორნიის შტატი) მძმე, იშვიათი მიწა-ელემენტების გადასამუშავებლად,[32] რაც წარმოადგენს პირველ ასეთ ობიექტს შეერთებულ შტატებში. „ჩინეთი აკონტროლებს ამ მინერალების გლობალური ბაზრის დიდ ნაწილს. (...) ჩვენ ვერ შევქმნით ამერიკაზე დაფუძნებულ მომავალს, თუ ჩვენ თვითონ ვიქნებით დამოკიდებულნი ჩინეთზე

[29] „Treasury releases Proposed Guidance to Continue U.S. Manufacturing Boom in Batteries and Clean Vehicles, Strengthen Energy Security“, U.S. Department of The Treasury, Press Releases, 2023; https://redirme.com/qenzzm , (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[30] „President Biden Invokes Defense Production Act to Accelerate Domestic Manufacturing of Clean Energy“, U.S. Department of Energy, 2022, https://redirme.com/bpq2f6 (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[31] The White House: „Fact Sheet: Chips and Science Act Will Lowers Cost, Create Jobs, Strengthen Supply Chiains, and Counter China“, 2022, rb.gy/0aqf6v, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[32] „DoD Awards $35 Million to MP Materials to Build U.S. Heavi Rare Earth Separation Capacity“, U.S. Department of Defense, 2022, http://rb.gy/mj34ra/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

იმ მინერალებისთვის, რომლითაც დღევანდელი და ხვალინდელი პროდუქტები იწარმოება“. განაცხადა ჯო ბაიდენმა თეთრ სახლში 2022 წლის თებერვალში.[33]

თუმცა, შეერთებულ შტატებს არ სურს მარტო მოქმედება. ტეხასში შენდება თავდაცვის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული იშვიათი მიწა-ელემენტების გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ავსტრალიური კომპანია „Linus Rare Earth“-ის მიერაა მართული და გახდება ჩინეთის ფარგლებს გარეთ არსებული ამ ტიპის პირველი სრულმასშტაბიანი ობიექტი წარმოების სრული ციკლით.

პარალელურად, არკანზასში, კანადური კომპანია „Standard Litium“-ი ავითარებს პროექტს, რომელიც ბუნებრივი მარილწყალიდან ლითიუმის მოპოვებას ისახავს მიზნად, რაც ტრადიციული მოპოვების ალტერნატივაა და გარემოსთვის გაცილებით ნაკლებად ინვაზიურია. 2025 წლის იანვარში, პროექტმა ენერგეტიკის სამნისტროსგან მიიღო 225 მილიონი დოლარის მხარდაჭერა.[34] ვაშინგტონში იციან, რომ სამყაროსგან სრულად იზოლირება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბებულ იქნა მინერალების უსაფრთხოების პარტნიორობა - საერთაშორისო ალიანსი იმ ქვეყნებთან, რომლებსაც აქვთ მინერალები და ნოუ-ჰაუ. პარტნიორობის ფარგლებში, შეერთებული შტატები თანამშრომლობს ავსტრალიასთან, კანადასთან, იაპონიასთან, ევროკავშირთან და სამხრეთ კორეასთან, რათა შექმნას საერთო მიწოდების ჯაჭვები, რომლებიც თავისუფალი იქნება პეკინის გავლენისგან.

საინტერესო მაგალითს წარმოადგენს კანადა, რომელმაც 2024 წლის შემოდგომაზე გამოაცხადა ამბიციური გეგმა, გამხდარიყო იშვიათი მიწა-ელემენტების პირველი კომერციული წყარო ჩრდილოეთ ამერიკაში.[35] ამ დროს სასკაჩივანის პროვინციაში უკვე არსებულმა ასეთი ელემენტების გადამუშავებისა და წარმოების კომპლექსმა დაიწყო კომერციული წარმოება. ობიექტი წელიწადში 400 ტონა პრაზიოდიმის ნეოდიმის წარმოებას გეგმავს. ეს რაოდენობა საკმარისია 500 000 ელექტრომობილის წარმოებისთვის. აღსანიშნავია, რომ საწარმოო ასევე აპირებს სამარიუმის გადამუშავებას, რომელიც საჭიროა F-35 გამანადგურებლების წარმოებისთვის იმ მოცულობით, რომელიც მოიცავს მთელი ჩრდილოეთ ამერიკის საჭიროებების 25%-ს.

---

[33] Springfield Cary., Global Competition Over China-Dominated Market For Rare-Earth Elements Heats Up, 2023, https://redirme.com/rszvum (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[34] Standard Lithium: „Standard Lithium and Equinor Finalize $225 Million Grant from the U.S. Department of Energy for the South West Arkansas Project“, News & Events, Press Releases, 2025, http://rb.gy/ibyjy8, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

[35] Saskatchewan Research Council: „SRC Rare Earth Processing Facility First to Produce Rare Earth Metals in North America“, Energy, News Releases, 2024, rb.gy/38hhvl, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

მაღაროებისა და გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობის გარდა, შეერთებული შტატები ახორციელებს ინვესტიციებს მომავლის ტექნოლოგიებში. ენერგეტიკის სამინისტრომ შექმნა „კრიტიკული მასალების ინოვაციების ცენტრი“ (Critical Materials Innovation Hub) - კვლევითი ცენტრი, რომელიც დაკავებულია გამოყენებული ელემენტების გადამუშავებითა და ყველაზე ძნელად მოსაპოვებელი ნედლეულის შემცვლელების ძიებით. ასევე აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს მუშაობა იშვიათი მიწა-ელემენტების მოპოვების ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებულ ალტერნატიულ მეთოდებზე. ერთ-ერთ პერსპექტიულ კონცეფციას წარმოადგენს ამ ელემენტების მოპოვება ქვანახშირის ნაცარიდან. ეს მეთოდი არსებული ნარჩენების გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც ამცირებს ახალი მაღაროების გახსნის საჭიროებას. ტეხასის უნივერსიტეტის მიერ ოსტინში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქვანახშირის ნაცარი, რომელიც ქვანახშირის წვის ნარჩენია, შეიცავს იშვიათი მიწა-ელემენტების მნიშვნელოვან რაოდენობას. ათწლეულების განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 1,873 მილიონი ტონა ნახშირის ნაცარი დაგროვდა, საიდანაც დაახლოებით 70% პოტენციურად ვარგისია ამოსაღებად.[36]

სავარაუდოდ, ეს ნაცარი დაახლოებით 11 მილიონ ტონა იშვიათ მიწა-ელემენტებს შეიცავს, რაც თითქმის რვაჯერ აღემატება აშშ-ის ამჟამინდელ შიდა რეზერვებს. ამ ელემენტების ღირებულება 8,4 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. ასეთი ელემენტების მიღების კიდევ ერთი გზაა ელექტრონული ნარჩენების გადამუშავება, რომელიც იშვიათი მიწა-ელემენტების მეორად წყაროს წარმოადგენს. ამ სფეროშიც მიმდინარეობს კვლევები. დღეს შეერთებულ შტატებში არავის ეპარება ეჭვი, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ნედლეულზე კონტროლი - ეროვნული უსაფრთხოების საკითხია. საინტერესოა, შეძლებს თუ არა შეერთებული შთატები ჩინეთის უკან ჩამოტოვებას? სავარაუდოდ, ეს ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად - შეერთებული შტატები თამაშში დაბრუნდა.

და ბოლოს, ისევ დავუბრუნდეთ ლითიუმის ბაზარს, საიდანაც დავიწყეთ. პირველ რიგში, განვიხილოთ ლითიუმი და ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდება.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ამ ნედლეულის ბაზარი ნამდვილ ატრაქციონს ჰგავს. 2021 წლიდან 2023 წლამდე პერიოდში ლითიუმის კარბონატის ფასები 400%-ზე მეტით გაიზარდა და რეკორდულ მაქსიმუმს 2022 წლის ნოემბერში მიაღწია, როდესაც ტონაზე 80

[36] Kortsha Monica., „Enormous Cache of Rare Earth Elements Hidden Inside Coal Ash Waste“, Science & Technology, 2024, https://news.utexas.edu/2024/11/19/enormous-cache-of-rare-earth-elements-hidden-inside-coal-ash-waste/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

000 დოლარზე მეტი გადაიხადეს.[37] ეს მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო ელექტრომობილებსა და ენერგიის შენახვის სისტემებზე მზარდი მოთხოვნით. დეფიციტის შიშით, აკუმულატორების მწარმოებლებმა მასობრივად დაიწყეს მარაგების დაგროვება, რამაც ფასები კიდევ უფრო გაზარდა. თუმცა, უკვე 2023 წელს მოხდა კოლაფსი. რამდენიმე თვეში აღნიშნულ ნედლეულზე ფასები 80%-მდე დაეცა. რატომ? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ბაზარი ზედმეტად იყო გაჯერებული მარაგებით; მეორეც, ჩინეთში, რომელიც ლითიუმის მთავარი მომხმარებელია, მოთხოვნა შენელდა ეკონომიკის შენელებისა და ელექტრომობილების გაყიდვების შემცირების გამო, რაც კიდევ უფრო გაამწვავა გლობალური მიწოდების ზრდამ. ავსტრალიამ, ჩილემ და ჩინეთმა გაზარდეს წარმოება და ბაზარზე ახალი სამთო პროექტები შემოვიდა.[38] ეს აჩვენებს, თუ რამდენად არასტაბილურია ლითიუმის ბაზარი. ნედლეული, რომელიც მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ენერგეტიკული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი საყრდენი იქნება. პროგნოზები აჩვენებს, რომ 2030 წლისთვის ლითიუმზე მოთხოვნა სამჯერ გაიზრდება, ხოლო 2034 წლისთვის - ექვსნახევარჯერ. არსებობს რისკი, რომ ლითიუმის მიწოდება ვერ შეძლებს მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. უკვე 2029 წლისთვის შეიძლება წარმოიშვას დეფიციტი[39], რაც ენერგეტიკულ ტრანსფორმაციას შეაფერხებს. შედარებისთვის, ერთი წლის განმავლობაში - 2029 წლამდე, უფრო მეტი ლითიუმი იქნება საჭირო, ვიდრე 2015 წლიდან 2022 წლამდე იყო მოპოვებული.

ამჟამად ლითიუმის წარმოებაში დომინირებს **ოთხი ქვეყანა: ავსტრალია, ჩილე, ჩინეთი და არგენტინა.** ავსტრალია ლიდერია ლითიუმის მადნის მოპოვებაში, თუმცა, ჩინეთი აკონტროლებს მიწოდების ჯაჭვის დიდ ნაწილს ნედლეულის გადამუშავების ჩათვლით. ლითიუმი ძირითადად მადნიდან მოიპოვება - 66%, დანარჩენი 34% - მარილწყლიდან. ავსტრალია სპეციალიზირდება მადნებზე, ხოლო სამხრეთ ამერიკა - მარილწყალზე. შეერთებულ შტატებზე, რომელიც ოდესღაც ლითიუმის მსხვილი მწარმოებელი იყო, ამჟამად მსოფლიო წარმოების 1%-ზე ნაკლები მოდისს. თუმცა, ის ცდილობს გაზარდოს შიდა მოპოვება, რათა შეამციროს იმპორტზე დამოკიდებულება. ლითიუმზე მზარდი მოთხოვნა საჭიროებს მდგრადი მოპოვებისა და გადამუშავების მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულის სტაბილური მიწოდება. ელექტრომობილების აკუმულატორების სისტემები, ხდებიან რა ენერგეტიკულ გარდამავალ პერიოდში

[37] „Litium Prices for the Last 5 Years“, Daly Metal Prices, https://redirme.com/2a9ur5 (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);
[38] Article: „The Litium Mining Market“, Lithium Harvest, 2025, https://redirme.com/xpx2rg (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);
[39] Article: „The Future of Litium – Trends and Forecast“, Lithium Harvest, 2025, rb.gy/gwfs3p, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

დომინანტურ ძალად, სწრაფად გადაიქცევიან ლითიუმისა და სხვა მნიშვნელოვანი მინერალების ძირითად მომხმარებლებად.

დასკვნა

ამდენად, შეჯამების სახით შესაძლოა ითქვას, რომ გლობალური თვალსაზრისით, ენერგოსისტემების მდგრადობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა აღარ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ საკითხს. ეს სტრატეგიულ იმპერატივად იქცა. ახლა პოლიტიკოსებს უწევთ ახალი ტიპის რისკების პირისპირ დგომა. რისკების, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროფიცირებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საფუძვლად მყოფი მინერალების მზარდ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასთან. საინტერესოა რა ტენდენციები იქნება და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები მომავალში.

ზემოაღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოვლენების სამომავლო განვითარების რამდენიმე სავარაუდო სცენარის განხილვა:

პირველი არის გეოპოლიტიკური კონკურენციის ესკალაცია. ლითიუმის, კობალტის, ნიკელისა და იშვიათი მიწა-ელემენტების მოთხოვნასთან ერთად, სავარაუდოდ, გაიზრდება საბადოებზე წვდომისთვის რბოლაც, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ახალი დაძაბულობა რესურსებით მდიდარ რეგიონებში, გაზარდოს არასტაბილურობა და მსხვილი სახელმწიფოები ჩაითრიოს კონფლიქტებში მიწოდების ჯაჭვებისა და მათზე კონტროლის გამო;

მეორე შესაძლებლობა - ტექნოლოგიური რევოლუციაა. მიღწევებმა ქიმიაში, აკუმულატორებისა თუ ენერგიის შენახვის ალტერნატიულ ტექნოლოგიებში, შესაძლოა, საბოლოო ჯამში, შეამციროს ყველაზე პრობლემურ მინერალებზე დამოკიდებულება. თუმცა, განვითარების ასეთ პროცესს, როგორც წესი, ათწლეულები ან მეტი დრო სჭირდება. ამიტომ, ნაკლებსავარაუდოა, რომ ისინი სწრაფად გამოასწორებენ გლობალური ბაზრების წინაშე ამჟამად უკვე არსებულ ზეწოლას.

მესამე სცენარი გულისხმობს ცირკულარული ეკონომიკის ზრდას, რომელიც განპირობებულია მასშტაბური ინვესტიციებით გადამუშავების ინფრასტრუქტურასა და ხელახალ გამოყენებაში. ამ მიდგომას შეუძლია გარკვეულწილად შეამსუბუქოს მოთხოვნაზე ზეწოლა გამოყენებული მოწყობილობებისა და ბატარეებიდან მასალების ამოღებით. თუმცა, ეს უზარმაზარ სასტარტო კაპიტალდაბანდებას, ინოვაციებსა და გრძელვადიან დაგეგმვას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, თუ რომელი სცენარი იქნება დომინირებული, ერთი რამ ცხადია: სტრატეგიული მნიშვნელობის მინერალებზე კონტროლი უკვე წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების ძირითად ელემენტს.

ამ რესურსებზე წვდომა განსაზღვრავს არა მხოლოდ ქვეყნის ენერგეტიკულ ტრანსფორმაციას, არამედ მის ადგილს მომავლის მსოფლიო წესრიგში, რომელიც ახლა ყალიბდება. სახელმწიფო, რომელიც ვერ შეძლებს საიმედო მიწოდების ჯაჭვების უზრუნველყოფას, რისკავს დარჩეს ჩამორჩენილი ეკონომიკური, ტექნოლოგიური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. მომდევნო წლებში კონკურენცია კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მინერალებისთვის უფრო ინტენსიური, მძაფრი და თვალსაჩინო გახდება. სწორედ ეს მეტოქეობა ჩამოაყალიბებს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგს და გავლენას მოახდენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე - ელექტრომობილების ფასიდან დაწყებული სმარტფონების ხელმისაწვდომობითა და ეროვნული ენერგო-სისტემების სტაბილურობით დამთავრებული. ისევე, როგორც XX საუკუნე ნავთობით განისაზღვრებოდა, XXI საუკუნე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ლითონებით განისაზღვრება და ამ ახალ ეპოქაში, ის, ვინც აკონტროლებს მინერალებს - გააკონტროლებს მომავალს.

ბიბლიოგრაფია

აბაშიძე ი., ქართული საბჭთა ენციკლოპედია, თსუ, თბილისი, ტ.5, 1980, 287;

ქაშაკაშვილი, გ., მეტრეველი, ო., მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი, თბილისი, 2011, ტ. I, 904;

Article: „What Are Critical Materials and Critical Minerals?“ U.S. Department of Energy, 2020, rb.gy/qoisxe, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Article: „The Litium Mining Market“, Lithium Harvest, 2025, https://redirme.com/d5dxv2 , (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Article: „A $1 Billion Investment by Elemental Group“, Elemental, 2025, http://rb.gy/uf5egl, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Appendix B: „The Strategic and Critical Materials Stock Piling Act“ (50 U.S.C. § 98 et seq.), Defense Logistics Agency (mil), Pdf, rb.gy/c5ustv, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Article: „DR Congo wants to revise 2008 mining agreement with China“, The Brussels Times 2023, rb.gy/4n06yq, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Article: „China Announces Export Controls in Five Critical Minerals“, Exiger, 2025, https://redirme.com/7q9a2e (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Article: „The Future of Litium – Trends and Forecast“, Lithium Harvest, 2025, rb.gy/gwfs3p, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Burton Jason., „U.S. Geopolitical Survey Releases 2022, List of Critical Minerals“, National News Release, 2022, rb.gy/tpix6h, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Cobalt In The Democratic Republic of Congo, Market Analysis, World Bank, 2021, http://rb.gy/c6krsd, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Chen Laurie., „China's rare earth weapon changes contours of trade war battlefield", Reuters, 2025, https://redirme.com/yy7mb9 (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

„DoD Awards $35 Million to MP Materials to Build U.S. Heavi Rare Earth Separation Capacity", U.S. Department of Defense, 2022, http://rb.gy/mj34ra /, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Ellerbeck Stefan, „Lithium: Here's Why Latin America is key to the global energy transition", World Economic Forum, 2023, https://redirme.com/4q47ba (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Farrell Gregory., and Paul J. Milas., „China in the Democratic Republic of the Congo: A New Dynamic in Critical Mineral Procurement", SSI Media, 2024, rb.gy/1uwefp /, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Gong Huiwen., „The rise of China's new energy vehicle lithium-ion battery industry: The coevolution of battery technological innovation systems and policies", Pdf, Elsevier, 2023;

International Energy Agency: „The Role of Critical Minerals In Clean Energy Transitions", World Energy Outlook Special report, Mineral Choices, 2021, rb.gy/gfmbod/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Jackson Lewis., Onstad Eric., Amy Lv., Scheyder Ernest., China hits back at US tariffs with export controls on key rar earths, Reuters, 2025, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Kortsha Monica., „Enormous Cache of Rare Earth Elements Hidden Inside Coal Ash Waste", Science & Technology, 2024, rb.gy/xkbkqq/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

„Litium Prices for the Last 5 Years", Daly Metal Prices, rb.gy/hldrvz, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Mills P. Mark., „Mines, Minerals and Green Energy: A Reality Check", Report, 2020, https://www.goinggreencanada.ca/green_energy_reality_check.pdf (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

„Mineral Production to Soar as Demand for Clean Energy Increases", World Bank Group, Press Release, Report 2020, rb.gy/t7vb0g, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Pistilli Melissa., „Rare Earths Reserves: Top 8 Countries", INN (Investing News Network), 2025, rb.gy/1t6bzn /,(გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

„President Biden Invokes Defense Production Act to Accelerate Domestic Manufacturing of Clean Energy", U.S. Department of Energy, 2022, rb.gy/u2wy0l, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Rare Earth Elements, Properties, Application, UPSC Prelims 2025, VAJIRAM & RAVI, Institute for IAS Examination, rb.gy/61t6sl, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Silva Martin., „The Race for Lithium in Latin America", AFP, Tico Times, 2022, rb.gy/cw9c2o, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Starcevic Seb., „Trump demands $500B in rare earth from Ukraine for continued support", Politico, 2025, rb.gy/n81mv4/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Scheyder Ernest., „The War Below. Lithium, Copper, and The Global Battle To Power our Lives", Published by Atria/One Signal, 2024;

Springfield Cary., Global Competition Over China-Dominated Market For Rare-Earth Elements Heats Up, 2023, rb.gy/vscyjm/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Standard Lithium: „Standard Lithium and Equinor Finalize $225 Million Grant from the U.S. Department of Energy for the South West Arkansas Project“, News & Events, Press Releases, 2025, http://rb.gy/ibyjy8, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Saskatchewan Research Council: „SRC Rare Earth Processing Facility First to Produce Rare Earth Metals in North America“, Energy, News Releases, 2024, rb.gy/38hhvl, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

„The key minerals in an electric vehicle“, Minimg Doc. Minimg Industry, 2024, https://redirme.com/mr97xr (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Tunnicliffe Andy., „Indonesia's nickel market stranglehold tightens, again“, Mine, 2025, https://redirme.com/wsfr7n , (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Taulli Ben., Busby Joshua., „The Devil is in the Details: Minerals, Batteries, and US Dependence on Chinese Imports“, Council on Strategic Risks, 2025, http://rb.gy/bsw18o/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

„Treasury releases Proposed Guidance to Continue U.S. Manufacturing Boom in Batteries and Clean Vehicles, Strengthen Energy Security“, U.S. Department of The Treasury, Press Releases, 2023; https://home.treasury.gov/news/press-releases/jy1939, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

The White House: „Fact Sheet: Chips and Science Act Will Lowers Cost, Create Jobs, Strengthen Supply Chiains, and Counter China“, 2022, rb.gy/0aqf6v, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026);

Venditti Bruno., „Visualizing Cobalt Production by Country in 2023“, Visual Capitalist, Minimg, 2024, rb.gy/oj9oaq/, (გადამოწმებულ იქნა 15.02.2026).

თურქულ-აზერბაიჯანული სამხედრო ხელშეკრულებები და რეგიონის უსაფრთხოება 21-ე საუკუნეში

ელგუჯა სეხნიაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტის
ახლო აღმოსავლეთის ისტორიის პროგრამის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოს უახლოეს სამეზობლოში მიმდინარე, რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილებები. კერძოდ, თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის გაფორმებული სამხედრო ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები, რომლებიც ცვლის რეგიონული პოლიტიკის მოზაიკასა და ამყარებს უსაფრთხოების ახალ პრონციპებს.

შესავალ ნაწილში განხილულია თურქეთ-აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულებები, რომ-ლებიც გაფორმდა ყარაბაღის პირველი ომის წინ და გამოკვლეულია ამ ხელშეკრულებების გავლენა ორი ქვეყნის დიპლომატიურ ურთიერთობებსა და უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაში.

მეორე ნაწილში განხილულია ყარაბაღის მეორე ომის შემდგომ რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების ვითარება და ის შედეგები, რომლებიც თურქეთმა და აზერბაიჯანმა მიიღეს.

შემდგომში გამოკვლეულია, 21-ე საუკუნის ორი მნიშვნელოვანი თურქულ-აზერბაიჯანული ხელშეკრულება, 2021 წლის შუშის დეკლარაცია და 2025 წლის სამხედრო ურთიერთანამშრომლობის გაძლიერების მემორანდუმი. დასახელებული ორი ხელშეკრულებების მაგალითზე შესწავლილია მოცემულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში გაწერილი ორი ქვეყნის სამხედრო ურთერ-თანამშრომლობის გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე, კონკრეტულად კი საქართველოს ეროვ-ნული უსაფრთხოების ძირითად პრინციპებზე.

დასკვნის სახით მოცემულია, თურქულ-აზერბაიჯანული ურთიერთანამშრობის მოსალოდენლი შედეგები და მათი ურთიერთგავლენა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ასევე ის მაგა-ლითები, რომლებიც საქართველომ შეიძლება აიღოს თურქულ-აზერბაიჯანული ურთიერთა-ნამშრომლობიდან.

კვლევისას უმთავრესად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ ისტორიული ანალიზი და მეორეული კვლევა. გამოკვლევა დაყრდნობილია აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებებზე, ასევე თურქი და უცხოელი უსაფრთხოების მკლევარების ნაშრომებზე.

კვლევის უმთავრესი სისუსტე მდგომარეობს იმაში, რომ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რე-გიონებში ძალთა ბალანსი მუდმივად ცვალებადია. კვლევაში შესწავლილია 2021-2025 წლების ძალთა ბალანსი და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც ამჟამად მიმდინარე რეგიონალური კონფლიქტების ფონზე მარტივად შესაძლებელია შეიცვალოს.

საკვანძო სიტვები: ყარაბაღის მეორე ომი, თურანიზმი, თურქული პაქტი, კოლექტიური უსაფრთ-ხოება, სამხედრო ურთიერთთანამშრობლობა.

Turkish-Azerbaijani Military Biliteral Agreements and Regional Security in the 21-st Century

Elguja Sekhniashvili
The PHD student of the Faculty of the Middle Eastern studies of
The University of Georgia

Abstract

The aim of this article is to examine the changes in regional security policy in Georgia's neighborhood. In particular, the military cooperation agreements signed between the Republics of Türkiye and Azerbaijan, which change the mosaic of regional politics and establish new principles of security.

The introduction of the article discusses the Turkish-Azerbaijani military treaties that were signed before the First Karabakh War and examines the impact of these treaties on the development of the two countries' diplomatic relations and security strategy.

The second part discusses the security situation created in the region after the Second Karabakh War and the results obtained by Türkiye urkey and Azerbaijan.

Two important Turkish-Azerbaijani treaties of the 21st century, the 2021 Shusha Declaration and the 2025 Memorandum on Strengthening Military Cooperation, are explored further. On the example of the two named treaties, the impact of the military cooperation of the two countries enshrined in these international treaties on regional security, and specifically on the basic principles of Georgia's national security, is studied.

In conclusion, the expected results of Turkish-Azerbaijani cooperation and their mutual impact on Georgia's national security are given, as well as the examples that Georgia can take from Turkish-Azerbaijani cooperation.

The research is mainly characterized by qualitative research methods, in particular historical analysis and secondary research. The study is based on treaties signed between Azerbaijan and Türkiye, as well as the works of Turkish and foreign security experts.

The main weakness of the study is that the balance of power in the Caucasus and the Middle East is constantly shifting. The study examines the balance of power and security policy for 2021-2025, which could easily be altered in the current context of ongoing regional conflicts.

Keywords: The Second Karabakh War, Turanism, Turkish Pact, collective security, military cooperation.

შესავალი

2020 წლის ყარაბაღის მეორე ომის შედეგად აზერბაიჯანის რესპუბლიკამ აღიდგინა საკუთარი ტერიტორიული მთლიანობა და შეძლო იმ ტერიტორიების განთავისუფლება, რომელიც თითქმის 30 წლის განმავლობაში სომხური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.[1] აღნიშნულმა მოვლენამ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია. ცნობილი ფაქტია, რომ 2020 წელს აზერბაიჯანის არმიის გამარჯვება დიდწილად დამოკიდებული იყო თურქულ სამხედრო დახმარებაზე. თურქეთისა და სტრატეგიული ურთიერთობები შემდგომ ოფიციალურ დიპლომატიურ დონეზე გაიწერა თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მიერ შუშაში გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომლებმაც ფაქტობრივად შექმნა თურქული პაქტი რეგიონში.

შემდგომში აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის კიდევ რამდენიმე ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც აძლიერებს თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ურთიერთთანამშრომლობას, სამხედრო, სტრატეგიულ და ეროვ-ნული უსაფრთხოების საკითხებში.

ჩვენი ორი მეზობელი სახელმწიფოს გაძლიერება და მათი სტრატეგიული პარტნიორობის შესწავლა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ვიცოდეთ თუ რა სამხედრო და გეოპოლიტიკური ცვლილებები მიმდინარეობს ჩვენს უახლოეს სამეზობლოში და რა გამოწვევების წინაშე აყენებს ეს ცვლილებები საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას. ამიტომ მნიშვნელოვანია თურქეთისა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის მეორე ომის შემდგომ ხელმოწერილი ხელშეკრულებების შესწავლა და მათგან მომდი- ნარე გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასება.

ძირითადი ნაწილი

1. თურქულ-აზერბაიჯანული სამხედრო - დიპლომატიური ურთიერთობა ყარაბაღის მეორე ომამდე

მოდით პირველ რიგში მოკლედ გავერკვეთ თუ რა ხელშეკრულებები არსებობდა აზერბაიჯანისა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის სტრატეგიული ურთიერთდახმარების საკითხში, ყარაბაღის მეორე ომამდე.

[1] Kirby Paul. Erdogan: Tukey's all-powerful leader of 20 years. https://redirme.com/eydp3v, (გახსნილია 2026 წლის 17 მარტი).

აზერბაიჯანისა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის, სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავება აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ძალიან მალე, 1992 წელს დაიწყო. თურქეთი იყო ის ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა აღიარა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. მეტიც, ყარაბაღის ომის დაწყების შემდგომ, თურქეთის რესპუბლიკამ საკუთარი შეიარაღებული ძალები მზადმყოფნაში მოიყვანა და მზად იყო „მოძმე აზერბაიჯანს“ სამხედრო გზებით დახმარებოდა. თუმცა, აშშ-ს, რუსეთისა და სხვა დიდი ძალების ჩარევით ეს კამპანია არ განხორციელდა.[2]

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებრივ დონეზე ორი ქვეყნის ურთიერთობა საკმაოდ წარმატებული იყო. ჯერ კიდევ 1992-1993 წლებში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც აზერბაიჯანელ სამხედროებს საშუალებას აძლევდა თურქეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში მიეღოთ განათლება. იმ პერიოდში, ეს იყო საკმაოდ მომგებიანი შეთანმხება აზერბაიჯანისთვის, რადგან აზერბაიჯანს მიეცა საშუალება ჰქონოდა ნატოს სტანდარტებით აღზრდილი სამეთაურო კადრები, რომლებიც აზერბაიჯანის თანამედროვე ტიპის არმიის ჩამოყალიბებაში მიიღებდნენ მონაწილეობას.

მას შემდეგ რაც, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს, ჰეიდარ ალიევი, აზერბაიჯანმა თურქეთთან ურთიერთანამშრომლობა კიდევ უფრო გააღრმავა. ორ ქვეყანას შორის დაიწყო, სამხედრო-ტექნიკური ინფორმაციის, სადაზვერვო მონაცემების გაცვლა და თურქეთიდან იარაღის შესყიდვა.

როგორც ჰეიდარ ალიევი ამბობდა თურქეთი და აზერბაიჯანი ურთიერთანამშრომლობას ახორციელებს პოლიტიკით „ერთი ხალხი, ორი სახელმწიფო“. შემდგომში ეს განაცახდი იქცა „ერთი ხალხი, ორი სახელმწიფო“-ს დოქტრინად.

უკვე 2010 წელს, მას შემდეგ რაც, თურქეთის რესპუბლიკამ, რეჯეფ თაიფ ერდოღანის მეთაურობით, კავკასიაში უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება დაიწყო, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთს შორის გაფორმდა სტრატეგიული პარტნიორობისა და ურიერთდახმარების ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების თანახმად თურქეთი იღებდა ვალდებულებას აზერბაიჯანი მოემარეგებინა თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებით და ნებისმიერი სამხედრო ინოვაციის შესახებ აზერბაიჯანი ჩაეყენებინა საქმის კურსში. აქ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ის ფაქტი, რომ სწორედ 2010 წლიდან დაიწყო

[2] Vusal Atayev, „Türkiye ve Azerbaycan ilişkileri çerçevesinde 2020 Karabağ Savaş'ının Askeri ve diplomasi yönlerinin incelemesi. (Milli Savunma Üniversitesi Atatürk Stratejik araştimalar ve lisanüstü eğitim enstitütüsü, İstanbul,2022), 55-57.

აზერბაიჯანში უპილოტო საფრენი აპარატების სისტემების განვითარება და სამხედრო პერსონალის წვრთნა თანამედროვე მეთოდებით.[3]

2. ყარაბაღის მეორე ომი და შუშის დეკლარაცია

როგორც მოსალოდნელი იყო აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა შედეგები გამოიღო და 2020 წელს აზერბაიჯანის არმიამ დაამარცხა სომხეთის რესპუბლიკის არმია. ეს ყველაფერი კი დიდწილად აზერბაიჯანის არმიის თანამედროვე აღჭურვილობის ქონამ და თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებმა განაპირობა. 2020 წლის ყარაბაღის ომმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მოძველებული საბჭოთა ტაქტიკის გამოყენება მოტომექანიზებული ძალებით, სადაც შემტევი ქვეითი ჯარი გამაგრებულია მძიმე ტექნიკით, სრულიად შეუსაბამოა თანამედროვე თაობის ომებში. აზერბაიჯანმა საკუთარი სამხედრო ტაქტიკის ცვლილება, სწორედაც რომ თურქეთიდან მიღებული ინფორმაციის წყალობით შეძლო.

ყარაბაღის მეორე ომის შემდგომ აზერბაიჯანმა გადაწყვიტა საკუთარი სამხედრო გამარჯვება დიპლომატიურ დონეზე გაეფორმებინა. აქედან გამომდინარე, 2021 წლის 15 ივნისს, თურქეთის პრეზიდენტი, აზერბაიჯანის ქალაქ შუშას ეწვია, სადაც აზერბაიჯანის პრეზიდენტ, ილჰამ ალიევთან ერთად მხარეებმა ხელი მოაწერეს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც შუშის დეკლარაციის სახელით არის ცნობილი. რეგიონული ბაილატელარული ურთიერთანამშრომლობის საკითხში, შუშის დეკლარაციას ანალოგი არ აქვს, რადგან ფაქტობრივად შეიქმნა თურქულ-აზერბაიჯანული უსაფრთხოების ფაქტი, რომლის გარანტორი თურქეთია.[4]

შუშის დეკლარაციის თანახმად, აზერბაიჯანისა და თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოები, ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით საერთო პოლიტიკას შეიმუშავებს. დამეთანხმებით, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, ნებისმიერი ქვეყნისთვის ის ორგანოა, სადაც სახელმწიფოს სუვერენიტეტისთვის ზესაიდუმლო საკითხები განიხილება. სხვა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან გახსნილობა კი მაღალი ნდობის მაჩვენებელია. შესაბამისად შუშის დეკლარაციის აღნიშნული მუხლის თანახმად, აზერბაიჯანი გახდა თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკის გამტარი და ე.გ. წოდებული „პროქსი“. შუშის ხელშეკრულებამ თურქეთი აქცია

[3]Öztiğ Laçin Idil. A comparative analysis of Turkish Foreign policy on the Azerbaijan –Armenia Conflicts (1998-2000). Insight Turkey. Vol. 25. No. 145. (2023).

[4] Safi. Polat Milli İstikbarat Teşkilati 1826-2023.İlk defa yayımlaman MİT arşiv belgeleriyele.İstanbul.455. (2023).

ბალკანეთიდან ჩინეთამდე მნიშვნელოვან სტრატეგიული, კომუნიკაციებისა და სატრანსპ-ორტო შესაძლებლობის მქონე ქვეყნად.[5]

შუშის დეკლარაციის მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი ის არის, რომ აზერბაიჯანისა და თურქეთის არმიები ჩააღრმავებენ ურთიერთანაშრომლობას, ხოლო თურქეთი ხელს შეუწ-ყობს აზერბაიჯანში სამხედრო-ტექნიკური ინდუსტრიის გაძლიერებას. უფრო დიდი მას-შტაბით ჩატარდება თურქულ-აზერბაიჯანული წვრთნები, „TurazKartalı“ „Turazşahını“. გარდა ამისა, შეიქმნება ერთობლივი სამეთაურო სისტემა, რომლის თანახმადაც, როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს ერთობლივ თურქულ-აზერბაიჯანულ სამხედრო შენაერთებს საერთო მეთაურები ეყოლებათ.[6]

აუცილებლად უნდა გამოვყოთ იმ თურქული კომპანიების აქტივობები, რომლებიც აზერბაიჯანში მოღვაწეობენ. ესენია: ASELSAN, TUSAŞ, ROKETSAN, BAYKAR, MKE A.Ş.. ამ კომპანიებიდან განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ BAYKAR, რომელიც აზერბაიჯანში უპი-ლოტო საფრენ აპარატებს ანუ დრონებს, აწარმოებს. როგორც ვიცით, დრონებმა 2020 წელს აზერბაიჯანის გამარჯვებაში უდიდესი როლი ითამაშა.[7]

აზერბაიჯანის ასეთი გამალებული შეიარღება ხელს უწყობს მისი ეროვნული ინტერე-სებისა და სუვერენიტეტის დაცვას. გარდა ამისა, თურქეთის რესპუბლიკა აზერბაიჯანის გაძლიერებით ქმნის მის დასაყრდენ ბირთვს კავკასიაში და თავისუფლად შეუძლია გაატაროს საკუთარი ინტერესები კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავ-ლეთში, რადგან როგორც აჰმეთ დავუთოღლუ, თავის ცნობილ ნაშრომში „სტრატეგიული სიღრმე“ ამბობდა „აზერბაიჯანი და კასპიისპირეთი თურქეთისთვის დომინაციისთვის უმთავრეს როლს თამაშობს“.[8]

გარდა ამისა, თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჰაქან ფიდანი, 2023 წელს გამოქვეყნებულ თურქეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ამბობდა, რომ თურ-ქეთმა ახალი უსაფრთოხების გარემო უნდა დაამყაროს კავკასიაში, რადგან ეს რეგიონი ყველაზე მეტად დაზარალდა კონფლიქტებით და ის მშვიდობას იმსახურებს. თურქეთმა კი ამას მულტილატერალიზმითა და ინსტიტუციონალიზმით უნდა მიაღწიოს. ფიდანის ამ განცხადების არსი კარგად გამოჩნდა, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის გამორფებულ ხელშეკრულებებში, რადგან თურქეთი აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულებებით

---

[5] იქვე, Safi. Polat Milli İstikbarat Teşkilati 1826-2023, p.457.

[6]Fatih Zerquliev“Şuşa Beyannamesi Çerçevesinde Azerbaycan – Türkiye ortaklığı”. ..(2025). https://redirme.com/jr2ej9 (გახსნილია 2026 წლის 15 მარტი).

[7] იქვე.

[8] Davutoğlu.Ahmet Stratejik derinlik: Türkiye'nin uluslararası konumu. 50. Baski. (Küre Yayınları.İstanbul,2002). 181-183.

ქმნის იმ სამართლებრივ ბაზისს, რომლითაც მას შეუძლია ლეგალურად იმოქმედოს კავკასიის რეგიონში და ე.გ. წოდებული "Pax Turka" დაამყაროს.[9]

3. 2025 წელი - თურქული უსაფრთხოების პაქტის დაბადება

მიუხედავად შუშის დეკლარაციის მნიშვნელობისა, თურქეთი და აზერბაიჯანი არ გაჩერებულან და მათ სამხედრო სფეროში უფრო ჩაღმრავებული ხელშეკრულება გააფორმეს. კერძოდ, 2025 წლის 22 ივლისს, ანკარაში გამართულ შეხვედრაზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრ, გენერალ ზაკირ ჰასანოვსა და თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრ, გენერალ იაშარ გულერს შორის გაფორმდა „ერთობლივი სამხედრო უსაფრთხოების გაძლიერების" მემორანდუმი. აღნიშნული ხელშეკრულების მიზანია ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში ურთიერთანამშრომლობის გაღრმავება.[10]

2025 წლის ხელშეკრულებაში ვაწყდებით ასევე ერთ უმნიშვნელოვანეს ჩანაწერს, რომელიც კავკასიის უსაფრთხოების გარემოს მთლიანად ცვლის. კერძოდ, მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები იღებენ ურთიერთდახმარების ვალდებულებას, მათ წინაშე არსებული ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევების დროს. ეს გულისხმობს იმას, რომ აზერბაიჯანსა ან თურქეთზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, ამოქმედდება კოლექტიური თავდაცვის მექანიზმი და ერთ ქვეყანაზე თავდასხმა განიხილება როგორც ორივე ქვეყანაზე თავდასხმა. შესაბამისად, აგრესიაზე პასუხი იქნება კოლექტიური და მყისიერი[11].

აღნიშნული მემორანდუმის რატიფიცირება აზერბაიჯანისა და თურქეთის რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოებში 2025 წლის 16 დეკემბერს დაასრულეს. თურქი მკლევარები „თურქულ ნატოდ წოდებული" მემორანდუმის გაფორმებას აფასებენ, როგორც თურქული სამყაროს თავდაცვითი პაქტის შექმნას და თურქული საგარეო პოლიტიკის ტრიუმფად. მათი აზრით, ასე იქმნება „Tek Ordu" ანუ ერთიანი თურქული არმია, რომელიც არამხოლოდ რეგიონული, არამედ მსოფლიო უსაფრთხოების სადარაჯოზე იდგება.[12]

ეს ნამდვილად ასეა, რადგან როგორც ვიცით თურქეთის არმია ნატოს წევრ ქვეყნებს შორის სიძლიერებით მეორე არმიაა და თურქული ჯარის სიდიადე და პოტენციალი ბევრი დასავლური ქვეყნის არმიის პოტენცილას აღემატება. აზერბაიჯანის არმია კი რეგიონის

---

[9] Hakan FİDAN. „Turkish Foreign Policy at the Turn of the 'Century of Türkiye": Challenges, Vision, Objectives, and Transformation. Insight Turkey, Vol. 25, No. 3 (June 2023), 18-20.

[10] SDE (2025). " Azerbaycan Parlamentosu Türkiye ile Yapılan SavunmaAnlaşmasını Onayladı: Bir Ülkeye Yapılan Saldırı Diğerine de Yapılmış Sayılacak". 1.

[11] იქვე

[12] TRT AVAZ "Türk dünyasında tarihi savunma paktı: "Karşılıklı Askeri Güvenlik" Mutabakatı onaylandı". 2025. https://redirme.com/vbdjua (გახსნილია 2026 წლი 11 მარტი).

მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი არმიაა. ასეთი ორი არმიის გაერთიანება და ურთიერთანამშრომლობა რეგიონში ძალთა ბალანსის შეცვლის გარანტორი იქნება.

თურქეთ-აზერბაიჯანს შორის გაფორმებული სამხედრო ხელშეკრულებები ბადებს შეკითხვებს თუ რა ცვლილებებს გამოიწვევს ეს სამართლებრივი ბაზისი რეგიონში. პირველ რიგში რეგიონში ძლიერდება თურქული გავლენა. თურქეთი იწყებს თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მაქსიმიზაციას, რაც გულისხმობს კავკასიასა და ცენტრალური აზიის რეგიონში თურქეთის გავლენის გაძლიერებასა და ახალი რეგიონული უსაფრთხოების ჩარჩოების შექმნას. მეორეს მხვრივ, ორმაგად ძლიერდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცულობა. ერთის მხვრივ აზერბაიჯანი საკუთარ თავს ძლიერი თავისი ძლიერი შეიარაღებული ძალების მეშვეობით იცავს მეორეს მხვრივ კი, აზერბაიჯანი სუვერენიტეტის იცავს თურქეთის შეიაღარებული ძალები.[13]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აზერბაიჯანი თავის მტრებს აფრთხილებს, რომ არ ღირს მასზე შეიარაღებული თავდასხმის მიტანა, რადგან ეს ავტომატურად გამოიწვევს კონფლიქტში თურქეთის ჩართვას. თურქეთი კი ნატოს წევრი ქვეყანაა, რომლის ეროვნულ უსაფრთხოებაზე ვრცელდება ნატოს ქარტიის მეხუთე მუხლი, კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ. ასე, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო თურქეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ უსაფრთხოებას შეუქმნის პრობლემას არ არის გამორიცხული მსგავს კონფლიქტში ჩაერთოს ნატოც, რამაც ერთი შეხედვით რეგიონული კონფლიქტი შესაძლოა გლობალურ კონფლიქტში გადაიზარდოს.[14] ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზერბაიჯანულმა დიპლომატიამ დიდ გამარჯვებას მიაღწია, რადგან აზერბაიჯანმა შეძლო ომი მის დაწყებამდე მოეგო. ამასთან, ფაქტობრივად აზერბაიაჯანი ნატოს წევრიც გახდა, რადგან 2025 წლის შეთანხმებით თურქული და აზერბაიჯანული არმიები გაერთიანდა.

თურქეთ-აზერბაიჯანის სამხედრო ურთიერთდახმარების ხელეკრულების განხილვისას არ შეიძლება არ განვიხილოთ ამჟამად ირანის გარშემო მიმდინარე კონფლიქტი. როგორც ბოლო მოვლენებმა აჩვენა, ირანმა, დაარღვია, როგორც თურქეთის, ისე აზერბაიაჯანის რესპუბლიკის საჰაერო სივრცე და სცადა მათ სტრატეგიულ ობიექტებზე თავდასხმის

[13] იქვე. TRT AVAZ "Türk dünyasında tarihi savunma paktı: 2025.
[14] QHA (2025). "Bakü ve Ankara arasında tarihî askerî mutabakat: Saldırı halinde ortak savunma dönemi". https://redirme.com/jzmhbs (გახსნილია 2026 წლის 12 მარტი).

მიტანა.[15] აღნიშნული თავდასხმა, ზემოთ განხილული ხელშეკრულების თანახმად, კოლექტიური თავდაცვის მუხლის ამოქმედებას უდრის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ომი ირანსა და მთლიან თურქულ სამყაროს შორის და კონფლიქტში ღიად ნატოს ჩართვა, რაც ისევ და ისევ ამ კონფლიქტის გლობალურ კონფლიქტად გადაქცევას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, გრძელვადიან ეტაპზე, არ უნდა ველოდოთ სრულმასშტაბიან ირანულ შეტევას, აზერბაიჯანისა და თურქეთის მიმართულებით, რადგან ეს გამოიწვევს ომს ირანულ და სრულ თურქულ სამყაროს შორის, რომელიც ირანისთვის მძიმე შედეგებით დასრულდება.

დასკვნა

რა უნდა ისწავლოს თურქულ-აზერბაიჯანული პაქტიდან საქართველომ. პირველი გაკვეთილი რაც თურქულ-აზერბიაჯანული პაქტის დადებიდან საქართველომ შეიძლება ისწავლოს არის ის რომ, პატარა ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი და კეთილგანწყობილი მოკავშირის ყოფნა. საქართველოს მსგავსს პატარა სახელმწიფოებს საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ ძლიერი მოკავშირეების არსებობის შემთხვევაში შეუძლიათ.

მეორე მნიშველოვანი გაკვეთილი ის არის, რომ პატარა სახელმწიფოებს აუცილებლად სჭირდებათ ძლიერ ალიანსებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება, რადგან მულტილატერალიზმი და ინდივიდუალიზმი არის ის საშუალებები, რომლებითაც მცირე სახელმწიფოებსაც შეუძლიათ საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და სუვერენიტეტის დაცვა.

დაბოლოს, აუცილებელია საქართველოს თავდაცვის ძალების მოდერნიზება და მისი პერსონალის მუდმივი გადამზადება, რათა მოხდეს თანამედროვე ომის ტიპებისთვის ადაპტირება. უკიდურეს შემთხვევაში ყველა სახელმწიფო თავიანთ არმიაზე დამოკიდებულია. საქართველო კი არის ქვეყანა, რომელიც მუდმივად ტრანსფორმირებადი უსაფრთხოების გარემოში ცხოვრობს. აქედან გამომდინარე საჭიროა საქართველოსაც ჰყავდეს ძლიერი თავდაცვის ძალები.

ბიბლიოგრაფია:

Atayev. Vusal. 2022 . *Türkiye ve Azerbaycan ilişkileri çerçevesinde 2020 Karabağ Savaş'ının Askeri ve diplomasi yönlerinin incelemesi.* İstanbul: Milli Savunma Üniversitesi Atatürk Stratejik

[15] TRT Haber (2026) „Azerbaycan: Nahçıvan'a saldırı için gönderilen 4 İran İHA'sından biri etkisiz hale getirildi". https://redirme.com/bh3bb2 (გახსნილია 2026 წლის 17 მარტი).

araştimalar ve lisanüstü eğitim enstitütüsü uluslararası ilişkiler ve bölgesel çalişmalar ansbilim dali.

Davutoğlu.Ahmet, *Stratejik derinlik: Türkiye'nin uluslararası konumu*. 50. Baski. Küre Yayınları.İstanbul. (2002).

FİDAN. Hakan. Turkish Foreign Policy at the Turn of the 'Century of Türkiye':Challenges, Vision, Objectives, and Transformation. Insight Turkey, Vol. 25, No. 3 (June 2023), pp. 11-25

Kirby Paul. Erdogan: Tukey's all-powerful leader of 20 years. https://redirme.com/sfuaxj . (გახსნილია 2026 წლის 17 მარტი).

Öztiğ Laçin Idil. (2023). A comparative analysis of Turkish Foreign policy on the Azerbaijan – Aemenia Conflicts (1998-2000). Insight Turkey. Vol. 25. No. 2. (Spring): 139-162.

QHA (2025). "Bakü ve Ankara arasında tarihî askerî mutabakat: Saldırı halinde ortak savunma dönemi". https://redirme.com/wwgfwa (გახსნილია 2026 წლის 12 მარტი).

TRT Haber(2026) „Azerbaycan: Nahçıvan'a saldırı için gönderilen 4 İran İHA'sından biri etkisiz hale getirildi". https://redirme.com/9ps6wr (გახსნილია 2026 წლის 17 მარტი).

TRT AVAZ "Türk dünyasında tarihi savunma paktı: "Karşılıklı Askeri Güvenlik" Mutabakatı onaylandı". 2025. https://redirme.com/naau9y (გახსნილია 2026 წლი 11 მარტი).

Safi. Polat (2023). Milli İstikbarat Teşkilati 1826-2023. İlk defa yayımlaman MİT arşiv belgeleriyele.Kronik Yayınevi, İstanbul.

SDE (2025). "Azerbaycan Parlamentosu Türkiye ile Yapılan SavunmaAnlaşmasını Onayladı: Bir Ülkeye Yapılan Saldırı Diğerine de Yapılmış Sayılacak".

Zerquliev. Fatih.(2025). "Şuşa Beyannamesi Çerçevesinde Azerbaycan – Türkiye ortaklığı". https://redirme.com/mm7tqs (გახსნილია 2026 წლის 15 მარტი).

ჩინეთის გეოპოლიტიკური მისწრაფებები და გამოწვევები

ვიცე - პოლკოვნიკი ლაშა კლიმიაშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მეთაურის მოადგილე - შტაბის უფროსი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი სწავლობს ჩინეთის გეოპოლიტიკური მისწრაფებების სტრატეგიულ განზომილებას, მათ რეალიზებაში არსებულ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს. XXI საუკუნეში ჩინეთი მრავალ სფეროში წარმოადგენს გლობალურ ეკონომიკურ ძალას, რაც მას საშუალებას აძლევს აქტიურად დაისახოს თავისი პოლიტიკური, სამხედრო და ტექნოლოგიური მიზნები, როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე. მიმდინარე კონტექსტში ქვეყნის მთავარი ამოცანა არის აშშ-ის ჩანაცვლება მსოფლიო იერარქიის მწვერვალზე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკურ და სამხედრო გავლენას, არამედ დიპლომატიურ და კიბერულ ასპექტებს, ასევე საერთაშორისო ინსტიტუტების ფორმატების შეცვლას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ჩინეთის გეოპოლიტიკურ მოქმედებებზე სამ მთავარ მიმართულებაზე: რეგიონული სტრატეგიული გავლენა, საერთაშორისო ეკონომიკური პოზიციონირება და შიდა გამოწვევების მართვა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ჩინეთ-რუსეთი-ამერიკის სამკუთხა ურთიერთობა, რომელიც რეგიონის სტაბილურობისთვის ცენტრალური მნიშვნელობისაა. ავტორი აღნიშნავს, რომ ჩინეთი ცდილობს განავითაროს სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან, რაც მას რეგიონული გავლენის გასაძლიერებლად სჭირდება. თუმცა ანალიზი მიუთითებს, რომ რუსეთთან თანამშრომლობა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან სტაბილურობას, განსაკუთრებით ამერიკის ჩართულობის ფონზე, რაც შესაძლოა შეამციროს ჩინეთის გეოპოლიტიკური პროექტების წარმატების შესაძლებლობა.

დამატებით, ნაშრომში განხილულია ტაივანის კრიზისი, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხი. ტაივანთან დაკავშირებული ჩინეთის ქმედებები არა მხოლოდ რეგიონული დაძაბულობის ზრდის მიზეზია, არამედ გლობალური ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს. საერთაშორისო ვაჭრობა, ტექნოლოგიური მიწოდების ჯაჭვები და ინვესტორების სტრატეგიული გადაწყვეტილებები პირდაპირ ექვემდებარება ამ კონფლიქტს, რაც ხაზს უსვამს ჩინეთის ქმედებების გლობალურ შედეგებს.

ეკონომიკური ასპექტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინეთის გეოპოლიტიკურ გეგმებში. ნაშრომი განიხილავს დასავლურ ქვეყნებთან ეკონომიკურ დეკაპლინგს, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროკავშირთან, და ჩინეთის მცდელობას შექმნას დოლარის ალტერნატიული სარეზერვო ვალუტა. მსგავსი ინიციატივები მიზნად ისახავს საერთაშორისო ვაჭრობის მოდელების გარდაქმნას და ჩინეთის ფინანსური გავლენის გაძლიერებას, თუმცა ისინი ასევე წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას გლობალური ფინანსური სისტემისთვის, რისკის ქვეშ აყენებენ საერთაშორისო ინვესტორებისა და ცენტრალური ბანკების სტაბილურობას.

რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, ავტორი ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად ჩინეთის სტრატეგიული შესაძლებლობებისა, ქვეყანას აქვს მნიშვნელოვანი შიდა სუსტი წერტილები: დემოგრაფიული კრიზისი, უძრავი ქონების სექტორში მაღალი დავალიანება, ახალგაზრდული უმუშევრობა და სოციალური უთანასწორობა. ეს ფაქტორები მნიშვნელოვნად ართულებს ამბიციური საგარეო პოლიტიკის გატარებას. ავტორი აღნიშნავს, რომ შიდა სირთულეები ქმნის სტრატეგიულ დილემას ჩინეთის ხელისუფლებისთვის: როგორ განახორციელოს გლობალური ამბიციები, დაუზიანებლად შენარჩუნდეს ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა.

საერთო ჯამში, ნაშრომი ასახავს, რომ ჩინეთის გეოპოლიტიკა XXI საუკუნეში დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ შიდა სუსტ წერტილებზე და საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურულ კონფლიქტებზე. ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობა ხასიათდება როგორც სტრუქტურული კონფლიქტი, რომელიც მსოფლიო ინვესტორებს, პარტნიორ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ინსტიტუტებს სტრატეგიული არჩევანის წინაშე აყენებს. ნაშრომი მიუთითებს, რომ მომავალი გლობალური არქიტექტურა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ჩინეთის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც პასუხობენ როგორც შიდა გამოწვევებს, ისე გლობალურ ამბიციებს.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, გეოპოლიტიკა, ჰეგემონია, ტაივანი, ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები, სტრატეგიული კონკურენცია

Geopolitical Aspirations and Challenges of China

Lieutenant Colonel Lasha Klimiashvili
Deputy Commandant – Chief of Staff
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
PhD Candidate in International Relations
Georgian Technical University

Abstract

The present study examines the strategic dimensions of China's geopolitical ambitions, as well as the opportunities and constraints in their implementation. In the 21st century, China has emerged as a global economic power across multiple sectors, enabling it to actively pursue political, military, and technological objectives at both regional and global levels. In the current context, the country's primary goal is to replace the United States at the top of the global hierarchy, which involves not only economic and military influence but also diplomatic and cyber dimensions, as well as the reshaping of international institutional frameworks to serve its interests.

The study focuses on China's geopolitical activities in three main areas: regional strategic influence, international economic positioning, and management of domestic challenges. One of the most critical issues is the China-Russia-U.S. triangular relationship, which is central to regional stability. The analysis notes that China seeks to develop a strategic partnership with Russia to strengthen its regional influence. However, it also points out that cooperation with Russia does not always ensure long-term stability, especially in the context of U.S. involvement, which may limit the success of China's broader geopolitical projects.

Additionally, the study examines the Taiwan crisis, one of the most sensitive issues in both military and political strategy. China's actions regarding Taiwan not only increase regional tensions but also pose significant risks to global economic and financial stability. International trade, technology supply chains, and strategic investment decisions are directly affected by this conflict, highlighting the global consequences of China's policies.

The economic dimension plays a key role in China's geopolitical plans. The study analyzes the economic decoupling from Western countries, particularly the United States and the European Union, and China's efforts to establish an alternative reserve currency to the U.S. dollar. Such initiatives aim to reshape international trade patterns and strengthen China's financial influence; however, they also present serious challenges to the global financial system, potentially jeopardizing the stability of international investors and central banks.

Regarding domestic factors, the study emphasizes that despite China's strategic capabilities, the country faces significant internal vulnerabilities, including a demographic crisis, high debt levels in the real estate sector, youth unemployment, and social inequality. These factors considerably complicate the pursuit of an ambitious foreign policy. The study notes that these domestic challenges create a strategic dilemma for Chinese authorities: how to pursue global ambitions while maintaining economic and social stability.

Overall, the study demonstrates that China's geopolitics in the 21st century depends not only on economic growth but also on internal weaknesses and structural conflicts in international relations. The China-U.S. relationship is characterized as a structural conflict that places global investors, partner states, and international institutions in a position of strategic choice. The study concludes that the future global order will largely depend on China's strategic decisions, which must respond both to domestic challenges and global ambitions.

Keywords: China, geopolitics, hegemony, Taiwan, China–U.S. relations, strategic competition

შესავალი

ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რომელმაც ქვეყანა მსოფლიოს მეორე უდიდეს ეკონომიკად აქცია, კარდინალურად შეცვალა გლობალური გეოპოლიტიკური ლანდშაფტი. 1972 წელს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის ისტორიული ვიზიტის შემდეგ, რომელმაც ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების ნორმალიზაციის საფუძველი ჩაუყარა, ორი ქვეყანა ტაქტიკური მოკავშირეობიდან სტრატეგიული კონკურენციის ეტაპამდე მივიდა. ბეიჯინგი, ამჟამად, ყველა ფრონტზე ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სამხედრო და ფინანსურ სფეროებში იწვევს და კონკურენციას უწევს ვაშინგტონს.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულიდან, პრეზიდენტ სი ძინპინის ხელმძღვანელობით, ჩინეთმა უარი თქვა ე.წ. "მშვიდობიანი ამოსვლის" კონცეფციაზე და გადავიდა უფრო ასიმეტრიულ საგარეო პოლიტიკაზე. ეს ცვლილება გამოიხატება სხვადასხვა ინიციატივაში: ინფრასტრუქტურის ინვესტიციების სარტყელი - Belt and Road Initiative (BRI), Asian Infrastructure Investment Bank (AIIB), რენმინბის ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა; და ამერიკულ ტექნოლოგიურ უპირატესობაზე პასუხის გაცემა ხელოვნური ინტელექტის, 5G-ისა და ნახევარგამტარების სფეროში.

ნაშრომი სტრუქტურირებულია შემდეგნაირად: მეორე ნაწილი განიხილავს ჩინეთ-რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის ევოლუციას; მესამე ნაწილი ანალიზებს ჩინეთის ასიმეტრიულ პოლიტიკას, განსაკუთრებით ტაივანის მიმართ; მეოთხე ნაწილი ეხება სავაჭრო ომებს, ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ კონკურენციას; მეხუთე ნაწილი აფასებს ფინანსური ძალის შეზღუდვებს; ხოლო დასკვნა გვთავაზობს ინტეგრირებულ შეფასებას.[1]

ძირითადი ნაწილი

1. ცვლადი ალიანსები: ჩინეთ-რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა

საბჭოთა კავშირის კოლაფსამდე, ჩინეთი და ამერიკა ტაქტიკური მოკავშირეები იყვნენ საბჭოთა საფრთხის წინაშე. ნიქსონ-კისინჯერის "ჩინური გახსნის" სტრატეგიამ, რომელმაც 1972 წელს შეაჩერა ორ ათწლეულზე მეტ ხანს გაგრძელებული მტრობა, საფუძველი ჩაუყარა 1979 წელს სრულ დიპლომატიურ ურთიერთობებს. ეს ნაბიჯი განაპირობა მაოს საბჭოთა შეჭრის შიშმა და ნიქსონის გეოსტრატეგიულმა ხედვამ „ორი კომუნისტური გოლიათის დაშოროება“

[1] J. Kandhari, China's Geopolitical Aspirations and Challenges. Morgan Stanley Investment Management, Macro Insight, Q3 2022, (2022).

დღეს ორი ქვეყანა "მტრობელი პარტნიორების" (frenemies) ურთიერთობაშია მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, კომპლექსური დიპლომატიური ურთიერთობები და, ამავდროულად, ტექნოლოგიური, სამხედრო და გეოეკონომიკური დომინირებისთვის ინტენსიური კონკურენცია. ვაშინგტონმა ჩინეთი მსოფლიო წესრიგის "ყველაზე სერიოზულ გრძელვადიან გამოწვევად" განსაზღვრა, მოიშველიებს რა ჩინეთის მიერ ამერიკული კომპანიებისა და სამთავრობო უწყებების გატეხვის ფაქტებს, ტაივანის მიმართ მუქარებს და ინტელექტუალური საკუთრების დარღვევებს.[2]

ბოლო ათწლეულში ჩინეთი და რუსეთი მჭიდრო სტრატეგიულ პარტნიორობაში შეიყარნენ ამერიკის ჰეგემონიის გასაწონასწორებლად. თუმცა ეს ურთიერთობა ღრმად ასიმეტრიულია: სამი ათეული წლის წინ ეკონომიკური ტოლები, ბეიჯინგი და მოსკოვი განსხვავებულ ადგილზე დგანან - ჩინეთის ეკონომიკა ამჟამად ათჯერ აღემატება რუსეთისას. ამ ურთიერთობაში ჩინეთი ეკონომიკური ძალმოსილი მხარეა, ხოლო რუსეთი სამხედრო დახმარებით უზრუნველყოფს ჩინეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შეჭრამ უკრაინაში პუტინი საერთაშორისო გარიყულად აქცია, სი ძინპინი მტკიცედ უჭერს მხარს რუსეთს. ამ პოზიციას სტრატეგიული ხარჯი ახლავს: ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვა 777 მილიარდ დოლარს, ხოლო ამერიკასთან 657 მილიარდ დოლარს შეადგენს. ჩინეთი ამერიკის იმპორტის 18%-ს და ევროკავშირის 22%-ს ანაწილებს, ეს ციფრები ბეიჯინგის გარე-ეკონომიკური ექსპოზიციის მასშტაბს ცხადყოფს.

სანქციების რისკის გათვალისწინებით, ბეიჯინგი ფრთხილ ბალანსირებას ახდენს: რუსეთიდან დიდი ფასდაკლებით ნავთობს შეისყიდის (მაისში რუსეთმა საუდის არაბეთი ჩანაცვლა ჩინეთის უმსხვილეს ნავთობის მომწოდებლად), მაგრამ ამავდროულად ამერიკის წითელ ხაზებს არ კვეთს. ბეიჯინგს კარგად ახსოვს, თუ როგორ გაყინა დასავლეთმა მოსკოვის 640 მილიარდი დოლარის სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩინეთის 3.2 ტრილიონი დოლარის სავალუტო რეზერვებიდან 1 ტრილიონი დოლარი ამერიკულ დოლარშია, ეს ციფრი სტრატეგიული დაუცველობის ზომას განსაზღვრავს.[3]

2. ჩინეთის ასერტიული პოლიტიკა და მეზობლებთან ურთიერთობა

ჩინეთის ასერტიული საგარეო პოლიტიკა ნეგატიური რეაქციით შეხვდა ინდო-წყნარი ოკეანის სარტყლის ქვეყნების მიერ. ტერიტორიული დავები - სამხრეთ ჩინეთის ზღვაში

[2] J. J. Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics*. W. W. Norton & Company. (2001).
[3] G. Allison, Destined for War: Can America and China Escape Thucydides's Trap? Houghton Mifflin Harcourt. (2017).

(ფილიპინები, მალაიზია, ინდონეზია), სენკაკუ/ დიაოიუს კუნძულებზე (იაპონია), გალვანის ხეობაში (ინდოეთი) ქმნის ანტი-ჩინურ სტრატეგიულ კოალიციებს. იაპონია ეძებს ამერიკასთან ახლო რეგიონულ პარტნიორობას, სამხრეთ კორეა მზად არის ტოკიოსთან ისტორიული საჩივრები უკანა პლანზე გადადოს ბეიჯინგის წინააღმდეგ, ხოლო ინდოეთი აქტიურად მონაწილეობს Quad-ში (კვადრილატერალური უსაფრთხოების დიალოგი) ავსტრალიასთან, იაპონიასთან და ამერიკასთან ერთად.

ევროკავშირთანაც ურთიერთობა გართულდა: ჩინეთის მხარდაჭერამ რუსეთისთვის 2021 წლის მარტის გაყინვას მოჰყვა. ევროკავშირმა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სანქციები ჩინეთს 1989 წლის ტიანანმენის მოედნის მოვლენების შემდეგ პირველად დაუწესა. ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, მათ შორის ჩეხეთი, სი ძინპინის პუტინისადმი მხარდაჭერას ევროპული უსაფრთხოებისთვის საფრთხედ აფასებენ.

ტაივანის საკითხი XXI საუკუნის ყველაზე მძაფრ გეოპოლიტიკურ ნაკადს წარმოადგენს. ბეიჯინგი 24-მილიონიანი კუნძულის 160 კილომეტრის მოშორებით "განხეთქილ პროვინციად" მოიხსენიებს. ჩინეთი ტაივანს 1949 წლიდან მოითხოვს, როდესაც ნაციონალისტები სამოქალაქო ომში დამარცხების შემდეგ კონტინენტიდან გაიქცნენ. ტაიბეიმ ჰონგ კონგის მაგალითი გაითვალისწინა და ბეიჯინგის "ერთი ქვეყანა - ორი სისტემის" წინადადება კატეგორიულად უარყო.

ვაშინგტონი "სტრატეგიული ბუნდოვანების" პოლიტიკას 70 წელზე მეტია ატარებს: მხარს უჭერს "ერთი ჩინეთის" პოლიტიკას, ამავდროულად სამხედრო ძალით აფერხებს შეჭრას.[4] მიანიშნებს, რომ სამხედრო შეჭრა ჩინეთისთვის კატასტროფული იქნება: სამხედრო და ადამიანური დიდი დანაკარგები; გლობალური ელექტრონიკისა და ნახევარგამტარების ინდუსტრიის განადგურება; ტექნოლოგიური ტალანტის გაქცევა; კრიტიკულ ტექნოლოგიებსა და ამერიკის ფინანსურ სისტემასთან წვდომის დაკარგვა. ამ გამოთვლებიდან გამომდინარე, ჩინეთის რეალური მიზანი, სავარაუდოდ, ტაივანის ფორმალური სახელმწიფოდ აღიარების პრევენციაა და არა ძალით გაერთიანება.

3. სავაჭრო ომები, ტექნოლოგიური და ეკონომიკური კონკურენცია

ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ომი, რომელიც 2018 წელს ტარიფების ომის სახით დაიწყო, გლობალური ვაჭრობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ცვლილების მიზეზი გახდა. ამერიკის ვიეტნამიდან იმპორტი ოთხ წელიწადში ჩინეთიდან იმპორტის 9%-

[4] G. J. Ikenberry, Liberal Leviathan: The Origins, Crisis, and Transformation of the American World Order. Princeton University Press. (2011).

დან 20%-მდე გაიზარდა. ჩინეთი ამერიკის საერთო იმპორტში წილს კარგავს, განსაკუთრებით ტექნოლოგიური პროდუქტების სეგმენტში "China+1" სტრატეგიის კლასიკური მაგალითი, სადაც კომპანიები ერთ ალტერნატიულ ბაზას ჩინეთის გვერდით ქმნიან.

ამერიკის ტექნოლოგიური ემბარგო, რომელიც ჩინური სატელეკომუნიკაციო გიგანტის (Huawei) წინააღმდეგ ვიწრო ღონისძიებად დაიწყო, 60-ზე მეტ კომპანიაზე გავრცელდა. სი ძინპინის მმართველობის განმავლობაში სამი განსხვავებული ამერიკული ადმინისტრაცია სანქციებს ადებდა ჩინეთს ადამიანის უფლებებისა და სავაჭრო პრაქტიკების გამო, მათ შორის სინძიანის პროვინციაში შრომითი ძალადობისა და 2020 წლის „Phase One“ სავაჭრო შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის გამო.[5]

ჩინეთი ინტენსიურად ჩქარობს ტექნოლოგიური სიმწიფის მოპოვებას სტრატეგიულ სფეროებში: ნახევარგამტარების, ხელოვნური ინტელექტის, 5G ქსელებისა და მწვანე ენერგეტიკის კუთხით. ამ "ტექნო-ნაციონალიზმის" მოტივაცია გასაგებია: ამერიკული ტექნოლოგიური ექსპორტის შეზღუდვებმა ჩინეთს ცხადყო, რომ ტექნოლოგიური სუვერენიტეტი გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობის გასაღებია.

ჩინეთი მეორე უდიდესი ეკონომიკა და საერთაშორისო ვაჭრობის ლიდერია, მაგრამ ფინანსური სისტემის კუთხით „ჯუჯა“ სახელმწიფოა. ეს პარადოქსი ამჟამად ბეიჯინგის ყველაზე დიდი სტრატეგიული დილემაა. IMF-ის მონაცემებით, 2022 წლის პირველ კვარტალში დოლარი მსოფლიო სარეზერვო ვალუტების 59%-ს შეადგენდა, ხოლო ჩინური იუანი გლობალური სარეზერვო ვალუტების სტრუქტურაში გაცილებით მოკრძალებულ ადგილს იჭერს.

გლობალური სავაჭრო ანგარიშსწორებების მხოლოდ 3% ხდება იუანში, სანამ დოლარი ამ სეგმენტის 40%-ს ფარავს, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა გლობალური ვაჭრობის მხოლოდ 10%-ს მოიცავს. ჩინეთმა ალტერნატიული ანგარიშსწორების სისტემა - Cross-Border Interbank Payment System (CIPS) - შექმნა, ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის CHIPS-ის კონკურენტი. თუმცა ეს ჯერ კიდევ შეუმოწმებელი სისტემაა და CHIPS-ის გვერდის ავლა პრაქტიკულად ძნელია.

ბეიჯინგი ცდილობს სარეზერვო ვალუტის კონსორციუმის ჩამოყალიბებას ინდონეზიასთან, მალაიზიასთან, ჰონგ კონგთან, სინგაპურთან და ჩილესთან - BIS-ში 15 მილიარდი იუანი იქნება განთავსებული. ციფრული იუანი (e-CNY) ამ შესაძლებლობებს ზრდის, თუმცა ფულის გათეთრების პოტენციალი ჩინეთის ცენტრალურ ბანკს ახალი სანქციების ქვეშ

[5] R. D. Blackwill, J. M. Harris, War by Other Means: Geoeconomics and Statecraft. Belknap Press. (2016).

მოახვედრებდა. ანალიტიკოსთა შეფასებით, ათ წელზე ნაკლებ ვადაში იუანი ვერ გახდება სერიოზული ალტერნატივა დოლარისთვის სტრუქტურული ცვლილებები ღრმა ფინანსური ბაზრის, კაპიტალის ლიბერალიზაციისა და სრული კონვერტებადობის გარეშე შეუძლებელია.[6]

ჩინეთის შიდა გამოწვევები და გეოპოლიტიკა

ჩინეთის საგარეო ამბიციები ეჯახება ქვეყნის შიგნით არსებულ სუსტ წერტილებს. ერთი შვილის პოლიტიკის დემოგრაფიული მემკვიდრეობა ქვეყანას სტრატეგიული სიდუხჭირის წინაშე აყენებს: სამუშაო ასაკის მოსახლეობა კლებულობს, ხოლო მოხუცებული მოსახლეობა იზრდება. ეს ტენდენცია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პოტენციალს ამცირებს და სოციალურ დაცვის ხარჯებს ზრდის.

Evergrande-ს კოლაფსით კულმინირებული უძრავი ქონების კრიზისი სისტემური ფინანსური სტრესის ინდიკატორია. ბანკების სესხების დანაკარგები, იპოთეკის გადახდის ბოიკოტი და ახალგაზრდების უმუშევრობა ქვეყნის სოციალური სტაბილურობის ყველაზე სერიოზული გამოწვევებია. მიუხედავად სი ძინპინის მმართველობის კონსოლიდაციისა ამ გამოწვევებს ავტომატურად ვერ გადაჭრის.

დასკვნა

ჩინეთი XXI საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოქმედი სუბიექტია. მისი ამბიციები ამერიკის ჰეგემონიის გამოწვევა რეალური და სტრატეგიულად კარგად გამოთვლილია. Belt and Road Initiative, AIIB, CIPS, e-CNY, ასევე ტექნოლოგიური დამოუკიდებლობის მცდელობები ყველა ეს ინსტრუმენტი შეკრებილია ერთ კოჰერენტულ ხედვად: ამერიკული სისტემის ალტერნატიული ინფრასტრუქტურის შექმნა.

თუმცა ჩინეთს სამი სტრუქტურული შეზღუდვა აქვს: პირველი, დემოგრაფიული კრიზისი და ეკონომიკური სიდუხჭირე ამცირებს გრძელვადიანი ზრდის პოტენციალს; მეორე, ფინანსური სისტემის სიმწიფის ნაკლებობა, დოლარის ბატონობის ალტერნატივის შექმნა ათწლეულების საქმეა; მესამე, გეოპოლიტიკური გარემო სულ უფრო მტრულია ამერიკა, ევროპა, იაპონია, ინდოეთი, ავსტრალია კოორდინირებულ სტრატეგიებს ქმნიან ჩინეთის გარშემო.

გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების კონტექსტში, ჩინეთი ასახავს XXI საუკუნის ზოგად წინააღმდეგობას: ძალის ცვლა (power shift) ხდება, მაგრამ ის ნაკლებად სრული, ნელი

[6] R. D. Blackwill, & J. M. Harris, War by Other Means: Geoeconomics and Statecraft. Belknap Press. (2016).

და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებით შეკავებულია, ვიდრე "ჩინური საუკუნის" ოპტიმისტური პროგნოზები ვარაუდობდნენ. სი ძინპინის ჩინეთი იქნება ტრანსფორმირებული, ამბიციური მაგრამ სელექციური, ხელშეუხებლობით განმსჭვალული და საბოლოო ჯამში, გლობალური სტრატეგიული ანალიზისთვის ყოველდღიური ფრთხილი შეფასების ობიექტი.

ბიბლიოგრაფია

Kandhari, Jitania. "China's Geopolitical Aspirations and Challenges." Morgan Stanley Investment Management, Macro Insight, Q3 2022.

Mearsheimer, John J. The Tragedy of Great Power Politics. New York: W. W. Norton & Company, 2001.

Allison, Graham. Destined for War: Can America and China Escape Thucydides's Trap? Boston: Houghton Mifflin Harcourt, 2017.

Ikenberry, G. John. Liberal Leviathan: The Origins, Crisis, and Transformation of the American World Order. Princeton: Princeton University Press, 2011.

Economy, Elizabeth C. The Third Revolution: Xi Jinping and the New Chinese State. New York: Oxford University Press, 2018.

Blackwill, Robert D., and Jennifer M. Harris. War by Other Means: Geoeconomics and Statecraft. Cambridge: Belknap Press, 2016.

International Monetary Fund. World Economic Outlook Database. Washington, DC: IMF Publications, 2022.

World Trade Organization. World Trade Statistical Review. Geneva: WTO Publications, 2022.

SWIFT. RMB Tracker: Monthly Reporting and Statistics on Renminbi Progress towards Becoming an International Currency. Brussels: SWIFT BI Watch, 2022.

J.P. Morgan. Global Currency Strategy: The Dollar's Dominance in International Payments. New York: J.P. Morgan Research, 2022.

World Bank. World Integrated Trade Solution Database. Washington, DC: World Bank Group, 2022.

ხელოვნური ინტელექტი როგორც სამხედრო სტრატეგიების და დოქტრინების გარდამქმნელი ძალა თანამედროვე გეოპოლიტიკაში

თეიმურაზ შეშაბერიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორანტი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები მნიშვნელოვნად არის განპირობებული სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესით, რომლის ცენტრალურ ელემენტადაც ხელოვნური ინტელექტი (AI) გვევლინება. აღნიშნული ნაშრომი იკვლევს ხელოვნურ ინტელექტს, როგორც სამხედრო სტრატეგიის გარდამქმნელ ძალას თანამედროვე გეოპოლიტიკურ გარემოში და აფასებს მის გავლენას როგორც ტაქტიკურ, ისე სტრატეგიულ დონეზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ ცვლის AI ტრადიციულ სამხედრო დოქტრინებს, ბრძოლის წარმოების მეთოდებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს, რაც საბოლოოდ ახდენს ძალთა ბალანსის ტრანსფორმაციას საერთაშორისო სისტემაში.

ნაშრომში გაანალიზებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითადი მიმართულებები სამხედრო სფეროში, მათ შორის ავტონომიური იარაღის სისტემები, უპილოტო პლატფორმები, დაზვერვისა და სადაზვერვო ანალიტიკის ავტომატიზაცია, ასევე საბრძოლო ოპერაციების რეალურ დროში მართვა. ხაზგასმულია, რომ AI-ის მეშვეობით შესაძლებელია დიდი მოცულობის მონაცემების სწრაფი დამუშავება და პროგნოზირების გაუმჯობესება, რაც ზრდის ოპერატიული და სტრატეგიული გადაწყვეტილებების სიზუსტეს. ამასთან, განხილულია კიბერუსაფრთხოების ახალი გამოწვევები, სადაც ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება როგორც თავდაცვით, ისე შეტევით მიზნებისთვის, რაც ზრდის კიბერკონფლიქტების სირთულესა და მასშტაბს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციული და ჰიბრიდული ომის თანამედროვე ფორმებს, სადაც AI მნიშვნელოვან როლს ასრულებს დეზინფორმაციის გავრცელებაში, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებასა და ფსიქოლოგიური ოპერაციების განხორციელებაში. ნაშრომი ასევე განიხილავს ტექნოლოგიური დომინაციისთვის მიმდინარე გლობალურ კონკურენციას, განსაკუთრებით წამყვან სახელმწიფოებს შორის, სადაც ხელოვნური ინტელექტი განიხილება როგორც სტრატეგიული რესურსი, რომელიც განსაზღვრავს მომავალ სამხედრო და ეკონომიკურ უპირატესობას.

ამასთანავე, კვლევა ყურადღებას ამახვილებს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ რისკებსა და გამოწვევებზე. მათ შორისაა ავტონომიური სისტემების კონტროლის პრობლემა, არაკონტროლირებადი ესკალაციის საფრთხე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის ნაკლებობა და ადამიანის როლის შემცირება. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეთიკური და სამართლებრივი დილემები, რომლებიც უკავშირდება სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ გადაწყვეტილებების ალგორითმებისთვის გადაცემას, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ადაპტაციის საჭიროებას ახალ რეალობასთან.

ნაშრომი ასკვნის, რომ ხელოვნური ინტელექტი უკვე წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს თანამედროვე სამხედრო სტრატეგიის ფორმირებაში და მისი გავლენა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ AI მნიშვნელოვნად ზრდის სამხედრო ოპერაციების ეფექტიანობასა და სისწრაფეს, იგი ასევე ქმნის მრავალმხრივ საფრთხეებს, რომელთა მართვა შეუძლებელია მხოლოდ ეროვნული ძალისხმევით. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო თანამშრომლობას, რეგულაციების შემუშავებასა და საერთო სტანდარტების ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიის პასუხისმგებლიან და უსაფრთხო გამოყენებას გლობალურ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი (AI), სამხედრო სტრატეგია, გეოპოლიტიკა, ავტონომიური იარაღის სისტემები, კიბერუსაფრთხოება; ჰიბრიდული ომი, ინფორმაციული ომი, ტექნოლოგიური დომინაცია, საერთაშორისო უსაფრთხოება, ეთიკური გამოწვევები.

Artificial Intelligence as a Transformative Force in Military Strategy and Doctrine within Modern Geopolitics

Teimuraz Sheshaberidze
PhD Candidate in Political Science of
Caucasus International UniversityFaculty of
Social and Human Sciences

Abstract

In the 21st century, geopolitical transformations are significantly driven by rapid technological progress, with artificial intelligence (AI) emerging as a central element. This paper examines AI as a transformative force in military strategy within the contemporary geopolitical environment and evaluates its impact on both tactical and strategic levels. Particular attention is paid to how AI reshapes traditional military doctrines, methods of warfare, and decision-making processes, ultimately contributing to shifts in the global balance of power.

The study analyzes the main directions of AI application in the military domain, including autonomous weapons systems, unmanned platforms, intelligence gathering, and real-time operational management. It emphasizes that AI enables the rapid processing of vast amounts of data and enhances predictive capabilities, thereby increasing the accuracy and efficiency of both operational and strategic decisions. At the same time, the paper explores emerging cybersecurity challenges, where AI is used for both defensive and offensive purposes, increasing the complexity and scale of cyber conflicts.

Special focus is placed on modern forms of information and hybrid warfare, in which AI plays a crucial role in the dissemination of disinformation, manipulation of public opinion, and execution of psychological operations. The paper also discusses the ongoing global competition for technological dominance, particularly among leading states, where AI is regarded as a strategic resource that determines future military and economic superiority.

Furthermore, the research highlights the risks and challenges associated with the integration of AI into military systems. These include issues of control over autonomous systems, the risk of unintended escalation, lack of transparency in decision-making processes, and the diminishing role of human judgment. Ethical and legal dilemmas are particularly महत्वपूर्ण, especially those concerning the delegation of life-and-death decisions to algorithms and the need to adapt international humanitarian law to new technological realities.

The paper concludes that artificial intelligence has already become one of the most significant factors in shaping modern military strategy, and its influence is expected to grow further. While AI substantially increases the efficiency and speed of military operations, it also introduces complex risks that cannot be managed solely at the national level. Therefore, international cooperation, regulatory frameworks, and the development of common standards are essential to ensure the responsible and secure use of AI on a global scale.

Keywords: Artificial Intelligence (AI); Military Strategy; Geopolitics; Autonomous Weapons Systems; Cybersecurity; Hybrid Warfare; Information Warfare; Technological Dominance; International Security; Ethical Challenges.

შესავალი

21-ე საუკუნის გლობალური უსაფრთხოების გარემო მნიშვნელოვნად იცვლება ტექნოლოგიური ინოვაციების ფონზე. ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ტრანსფორმაციულ ფაქტორს სამხედრო სტრატეგიაში, რომელიც საშუალებას აძლევს სამხედრო ოპერაციებს უფრო სწრაფად, ზუსტად და ეფექტურად წარიმართოს. ტრადიციული სამხედრო მიდგომები, რომლებიც დაფუძნებულია ადამიანურ გადაწყვეტილებებზე, მეთაურობასა და კონტროლზე და სტანდარტულ დოქტრინებზე, დღეს გამოწვევის წინაშე დგანან სამხედრო სტრატეგიებში AI-ის ინტეგრაციის გამო.

ხელოვნური ინტელექტის სამხედრო ინტეგრაცია მოიცავს ავტონომიურ იარაღს, სადაზვერვო ანალიზს, ოპერაციების მართვას რეალურ დროში, კიბერ შეტევებსა და ჰიბრიდულ ოპერაციებს. AI-ის შემოღება არა მხოლოდ ოპერაციული ეფექტიანობით ხასიათდება, არამედ სერიოზულად ცვლის სამხედრო დოქტრინებს, გლობალურ ძალთა ბალანსსა და საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტებს. სტატიის მიზანია გაანალიზოს AI-ის ტრანსფორმაციული გავლენა, წარმოადგინოს კონკრეტული პროგრამების მიმოხილვა და შედარებითი ანალიტიკა სხვადასხვა სახელმწიფოების გამოცდილებასთან.

თეორიული ჩარჩო

ხელოვნური ინტელექტის გავლენის გაანალიზება თანამედროვე სამხედრო სტრატეგიაზე მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს სამხედრო თეორიას, ტექნოლოგიური ინოვაციების კვლევას და გლობალური უსაფრთხოების ანალიზს. სამხედრო დოქტრინა, როგორც სისტემური ცოდნისა და პრაქტიკული მოქმედების ჩარჩო, განსაზღვრავს იმ პრინციპებსა და მეთოდებს, რომელთა საფუძველზეც შეიარაღებული ძალები გეგმავენ, ორგანიზებას უწევენ და ახორციელებენ ოპერაციებს. ისტორიულად, სამხედრო დოქტრინები ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროგრესთან: ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ შეცვალა საბრძოლო ტაქტიკა, მექანიზებულმა ომმა — ოპერატიული მანევრი, ხოლო ბირთვულმა იარაღმა — სტრატეგიული შეკავების კონცეფცია. ამ კონტექსტში, ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს არა უბრალოდ მორიგ ტექნოლოგიურ სიახლეს, არამედ სისტემურ გარდამტეხ ძალას, რომელიც ცვლის ომის წარმოების ლოგიკას.

თანამედროვე პირობებში AI-ის ინტეგრაცია სამხედრო სფეროში უნდა განიხილებოდეს როგორც ხარისხობრივად ახალი ეტაპი, რადგან იგი სცდება ტრადიციული ტექნოლოგიური ინსტრუმენტის ფუნქციას. განსხვავებით წინა ტექნოლოგიური რევოლუციებისგან, AI-ს შეუძლია დამოუკიდებლად მონაცემთა ანალიზი, გარემოს შეფასება და გარკვეულ

შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღებაც კი. ეს თვისება ფუნდამენტურად ცვლის სამხედრო მოქმედებების დინამიკას, რადგან გადაწყვეტილების მიღების პროცესი აღარ არის მხოლოდ ადამიანზე დამოკიდებული. შედეგად, ჩნდება „ალგორითმული ომის“[1] კონცეფცია, სადაც მონაცემთა ანალიზი, პროგნოზირება და ოპერაციების მართვა მნიშვნელოვნად ავტომატიზებულია.

თეორიული ჩარჩოს პირველი მნიშვნელოვანი განზომილება არის AI-ის ტექნოლოგიური შესაძლებლობები. თანამედროვე სამხედრო სისტემები ეფუძნება დიდი მოცულობის მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, რაც მოიცავს სატელიტურ გამოსახულებებს, სენსორულ მონაცემებს, სიგნალებს და სხვა წყაროებს. ხელოვნური ინტელექტი, განსაკუთრებით მანქანური სწავლების ალგორითმები, საშუალებას იძლევა მოხდეს ამ მონაცემების სწრაფი და ეფექტიანი ანალიზი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სადაზვერვო შესაძლებლობებს (ISR – Intelligence, Surveillance, Reconnaissance). მაგალითად, AI-ს შეუძლია ამოიცნოს ობიექტები, პროგნოზირება გაუკეთოს მოწინააღმდეგის ქმედებებს და შესთავაზოს ოპტიმალური სტრატეგიული არჩევანი. ამგვარი შესაძლებლობები არა მხოლოდ ზრდის ოპერაციულ ეფექტიანობას, არამედ ამცირებს გაურკვევლობას, რაც ყოველთვის იყო სამხედრო დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა.

ამავე დროს, AI-ის ტექნოლოგიური პოტენციალი ვლინდება ავტონომიური სისტემების განვითარებაში. უპილოტო საფრენი აპარატები, რობოტიზებული სახმელეთო პლატფორმები და საზღვაო დრონები სულ უფრო მეტად იღებენ დამოუკიდებელი მოქმედების უნარს. ეს ტენდენცია ქმნის ახალ რეალობას, სადაც ადამიანური რესურსის როლი ნაწილობრივ იცვლება ტექნოლოგიური სისტემებით. შესაბამისად, სამხედრო სტრატეგიაში იზრდება ტექნოლოგიური კომპონენტის მნიშვნელობა, ხოლო ადამიანური ფაქტორი გარკვეულწილად მეორეხარისხოვანი ხდება, განსაკუთრებით ტაქტიკურ დონეზე.

თეორიული ჩარჩოს მეორე განზომილება უკავშირდება სამხედრო დოქტრინების ადაპტაციას. ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ ტექნოლოგიური ცვლილებები ყოველთვის მოითხოვს დოქტრინალური ცვლილებების განხორციელებას. AI-ის შემთხვევაში ეს პროცესი განსაკუთრებით სწრაფია, რადგან ტექნოლოგია დინამიურად ვითარდება. თანამედროვე სამხედრო დოქტრინები უკვე ითვალისწინებს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, ქსელურ ოპერაციებს (network-centric warfare) და მრავალგანზომმი-

[1] U.S. Department of Defense, *Summary of the 2018 Department of Defense Artificial Intelligence Strategy* (Washington, DC, 2018).

ლებიან ბრძოლას (multi-domain operations), სადაც მოქმედებები სინქრონიზებულია მიწაზე, ჰაერში, ზღვაში, კიბერსივრცეში და კოსმოსშიც კი, AI-ის ამგვარი გამოყენების მაგალითები ფართოდ იქნა წარმოჩენილი ბოლო დროის სამხედრო მოქმედებებში რუსეთ-უკრაინის, ისრაელ-ჰამასის და ამერიკა-ისრაელ-ირანის ომებში.

AI-ის ინტეგრაცია ამ დოქტრინებში იწვევს ოპერაციული პროცესების ტრანსფორმაციას. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების ციკლი (OODA loop – Observe, Orient, Decide, Act) მნიშვნელოვნად ჩქარდება, რადგან AI-ს შეუძლია ინფორმაციის დამუშავება რეალურ დროში. ეს ქმნის „დაჩქარებული ომის" კონცეფციას, სადაც გამარჯვებას ხშირად განსაზღვრავს არა მხოლოდ ძალის რაოდენობა, არამედ ინფორმაციის დამუშავების სისწრაფე. შედეგად, სახელმწიფოები ცდილობენ განავითარონ ისეთი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას და ოპერატიულ მოქნილობას.

მესამე განზომილება მოიცავს გეოპოლიტიკურ შედეგებს. AI-ის განვითარება ქმნის ახალ ფორმას საერთაშორისო კონკურენციისთვის, სადაც ტექნოლოგიური უპირატესობა პირდაპირ კავშირშია სამხედრო და პოლიტიკურ ძალასთან. წამყვანი სახელმწიფოები, როგორიცაა აშშ, ჩინეთი და რუსეთი, აქტიურად ინვესტირებენ AI ტექნოლოგიებში, რადგან აცნობიერებენ, რომ ეს წარმოადგენს მომავალში ძალაუფლების განსაზღვრის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს.[2] AI ასევე ცვლის ძალთა ბალანსის ტრადიციულ მოდელებს. თუ ადრე სამხედრო უპირატესობა განისაზღვრებოდა რესურსებითა და სამხედრო ძალის მოცულობით, დღეს უფრო მნიშვნელოვანი ხდება ტექნოლოგიური შესაძლებლობები, მონაცემთა დამუშავების უნარი და ინოვაციური პოტენციალი. ეს ქმნის ასიმეტრიულ უპირატესობებს, სადაც შედარებით მცირე სახელმწიფოებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა, თუ ისინი ფლობენ მოწინავე ტექნოლოგიებს. გარდა ამისა, AI-ის გავრცელება ზრდის გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის არაკონტროლირებადი ესკალაციის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ავტომატიზებულ სისტემებთან. თუ გადაწყვეტილების მიღება გადადის ალგორითმებზე, იზრდება შეცდომის ალბათობა, რაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის სწრაფი და გაუთვალისწინებელი განვითარება. ამასთანავე, კიბერუსაფრთხოების სფეროში AI-ის გამოყენება აძლიერებს როგორც თავდაცვით, ისე შეტევით შესაძლებლობებს, რაც ზრდის კიბერკონფლიქტების ინტენსივობას.

[2] Michael C. Horowitz, Artificial Intelligence International Competition and the Balance of Power, Texas National Security Review 2018 pg-38-39.

ამრიგად, წარმოდგენილი თეორიული ჩარჩო აერთიანებს სამ ძირითად კომპონენტს: **ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, დოქტრინალურ ტრანსფორმაციას და გეოპოლიტიკურ შედეგებს**. ეს ინტეგრირებული მიდგომა საშუალებას იძლევა სრულყოფილად შეფასდეს ხელოვნური ინტელექტის გავლენა თანამედროვე სამხედრო სტრატეგიაზე. AI არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ ინოვაციას, არამედ არის სისტემური ფაქტორი, რომელიც გარდაქმნის ომის ბუნებას, საერთაშორისო ურთიერთობებს და უსაფრთხოების არქიტექტურას გლობალურ დონეზე.

ძირითადი ნაწილი

1. შემთხვევითი კვლევა: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება რუსეთ–უკრაინის ომში

რუსეთ–უკრაინის ომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ფართომასშტაბიან კონფლიქტს, სადაც ხელოვნური ინტელექტი ინტეგრირებულია სამხედრო ოპერაციების სხვადასხვა დონეზე. აღნიშნული კონფლიქტი ხშირად განიხილება, როგორც „ცოცხალი ლაბორატორია“, სადაც ხდება თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების, მათ შორის AI-ის, პრაქტიკული ტესტირება რეალურ საბრძოლო პირობებში.

ომის მიმდინარეობამ ნათლად აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტი აღარ წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ ან ექსპერიმენტულ ინსტრუმენტს, არამედ უკვე ჩამოყალიბდა როგორც სამხედრო სტრატეგიის განუყოფელი კომპონენტი. მისი გამოყენება მოიცავს როგორც ტაქტიკურ დონეს — მაგალითად, დრონების მართვასა და სამიზნეების იდენტიფიკაციას, ასევე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებს — მონაცემთა ანალიზს, გადაწყვეტილების მიღებასა და ოპერაციების კოორდინაციას.[3]

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება არის AI-ის გამოყენება უპილოტო საფრენ აპარატებში (დრონებში), ასევე საკმაოდ სწრაფად განვითარებადი და მომავლის საკმაოდ მზარდი პერსპექტივის მქონე ავტომატიზირებული საშუალებები როგორიცაა სახმელეთო დრონები, უკვე ფართოდ გამოიყენება უკრაინის კონფლიქტში რომლებიც ჩაშენებული ხელოვნური ინტელექტის მიერ იმართება და რომლებიც ასრულებენ ტაქტიკურ მოქმედებებს როგორც საბრძოლო ასევე ლოჯისტიკურ ოპერაციებს ხმელეთზე. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები ამუშავებენ ვიზუალურ და სენსორულ მონაცემებს, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად გამოვლინდეს სამხედრო ობიექტები და განხორციელდეს ზუსტი

[3] M. C. Horowitz, *Artificial Intelligence, International Competition, and the Balance of Power*. Texas National Security Review, 2018.

დარტყმები. შედეგად, AI ამცირებს ადამიანურ შეცდომებს და ზრდის ოპერაციულ ეფექტიანობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონაცემთა ანალიტიკის სისტემებს, როგორიცაა უკრაინის მიერ გამოყენებული „Delta“ პლატფორმა. აღნიშნული სისტემა აერთიანებს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას — დრონებიდან, სატელიტებიდან, რადარებიდან — და ქმნის ერთიან ციფრულ საბრძოლო სურათს. AI-ის დახმარებით ხდება ამ მონაცემების სწრაფი დამუშავება, რაც საშუალებას აძლევს სამხედრო ხელმძღვანელობას რეალურ დროში მიიღოს გადაწყვეტილებები. ასეთი სისტემები მნიშვნელოვნად ამცირებს დროის ინტერვალს ინფორმაციის მიღებასა და მოქმედებას შორის, რაც თანამედროვე ომში კრიტიკული ფაქტორია.[4]

ასევე აღსანიშნავია AI-ის გამოყენება კიბერუსაფრთხოების სფეროში. უკრაინის კონფლიქტში კიბეროპერაციები წარმოადგენს ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება როგორც თავდაცვით, ისე შეტევით მიზნებისთვის — მაგალითად, კიბერშეტევების გამოვლენისა და მათზე რეაგირების ავტომატიზაციისთვის. ამასთანავე, მოწინააღმდეგე მხარეებიც იყენებენ AI-ს, რაც ქმნის კიბერკონფლიქტების ახალ, უფრო კომპლექსურ ფორმას.[5]

გარდა ამისა, AI მნიშვნელოვან როლს ასრულებს საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ოპერაციებში. სოციალური მედიის ანალიზი, დეზინფორმაციის გავრცელება და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება სულ უფრო მეტად ეფუძნება ალგორითმულ მოდელებს. ეს ტენდენცია აჩვენებს, რომ თანამედროვე ომი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური ბრძოლის ველით და გადადის საინფორმაციო სივრცეშიც, სადაც AI წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. უკრაინის ომმა ასევე წარმოაჩინა AI-ის გამოყენება მრავალგანზომილებიან ოპერაციებში. ხელოვნური ინტელექტი ინტეგრირებულია საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სისტემებში, რაც უზრუნველყოფს ოპერაციების კოორდინაციას სხვადასხვა სივრცეში. ეს ადასტურებს, რომ თანამედროვე სამხედრო სტრატეგია სულ უფრო მეტად ეფუძნება ტექნოლოგიურ სინერგიას, სადაც სხვადასხვა პლატფორმები ერთიან ქსელში არიან ჩართული.[7]

ამრიგად, რუსეთ–უკრაინის ომი ნათლად აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარების გზა უკვე შეუქცევადად მიემართება როგორც სამხედრო სტრატეგიის

[4] UK Ministry of Defence (2023). *The Role of AI in the Ukraine War*.
[5] ICDS (2023). *Artificial Intelligence in the War in Ukraine*.

ცენტრალური ელემენტი. მისი გამოყენება არა მხოლოდ ზრდის ოპერაციულ ეფექტიანობას, არამედ ცვლის ომის ბუნებას, აჩქარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და ქმნის ახალ გამოწვევებს უსაფრთხოების სფეროში. აღნიშნული კონფლიქტი გვიჩვენებს, რომ მომავლის ომები სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ტექნოლოგიურ უპირატესობაზე და მონაცემთა მართვის შესაძლებლობებზე.[6]

2. საერთაშორისო AI პროგრამების ანალიტიკური მიმოხილვა.

Project Maven (აშშ) - Project Maven მიზნად ისახავს საბრძოლო ვიდეო და სენსორული მონაცემების ანალიზს, რათა დრონების ოპერაციები უფრო ეფექტური გახდეს. პროექტი ახდენს ოპერატიულ სიზუსტეს, მნიშვნელოვნად აჩქარებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და ზრდის ISR შესაძლებლობებს. თუმცა, პროექტს აკრიტიკებდნენ ეთიკური მიზეზების გამო, განსაკუთრებით სიცოცხლისა და სიკვდილის გადაწყვეტილებების ავტომატიზაციის საკითხებში.

GOSPEL/LAVENDER (აშშ/ისრაელი) - წარმოადგენს მრავალპლატფორმიან ავტონომიურ ოპერაციათა მართვის სისტემას, რომელიც კოორდინირებს საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო პლატფორმებს რეალურ დროში. სისტემაში ინტეგრირებული მონაცემები მრავალი სენსორიდან საშუალებას აძლევს სამხედრო ხელმძღვანელობას ოპერაციების დაგეგმვა და მართვა ეფექტურად. GOSPEL-ის სტრატეგიული მნიშვნელობა გამოიხატება მრავალპლატფორმიანი ოპერაციების სინქრონიზაციაში და ბრძოლის ეფექტურობის ზრდაში, ხოლო **LAVENDER** - კონკრეტულად სამიზნეების შერჩევაში.

ჩინეთის AI პროგრამები ჩინეთი ინტენსიურად მუშაობს ISR სისტემებზე, ავტონომიურ დრონებზე და სადაზვერვო მონაცემების ანალიზზე. მიზანი არის რეგიონალური უპირატესობის მიღება, ოპერატიული სისწრაფის გაზრდა და ჰიბრიდული ოპერაციების შესაძლებლობების გაფართოება.

რუსეთის AI პროგრამები რუსეთი აქცენტს აკეთებს ჰიბრიდულ ომზე, კიბერ შეტევებზე და საინფორმაციო ოპერაციებზე. AI-ის გამოყენება საშუალებას აძლევს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას, ფსიქოლოგიური ოპერაციების ავტომატიზაციას და სახელმწიფო ინტერესების ეფექტურ დაცვას გლობალურ სცენარზე.

3. ეთიკური, სამართლებრივი და უსაფრთხოების გამოწვევები

ხელოვნური ინტელექტის სამხედრო სფეროში ინტეგრაციამ და უკვე პრაქტიკაში გამოყენებამ, სამხედრო სტრატეგიების ცვლილებასთან ერთად ასევე წარმოშვა

[6] G. C. Allen, *Understanding AI Technology in National Security*. Harvard Belfer Center. (2019).

ეთიკური და სამართლებრივი ნორმების სერიოზული დარღვევები და გამოწვევები. სრულად ავტონომიური სამხედრო რობოტების იდეა, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ ალგორითმების საფუძველზე და წინასწარ მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ სისტემებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება, ისინი მოქმედებენ მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მონაცემების ფარგლებში და არ გააჩნიათ უნარი, სრულყოფილად გაარჩიონ კომბატანტები და არაკომბატანტები, ასევე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა რეალურ დროში ადაპტაციისა და გადაწყვეტილების მიღების. ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჩინეთის მიერ ინდოეთის საზღვართან ავტონომიური რობოტების შესაძლო განთავსების შესახებ დებატების ფონზე, რომელიც COVID-19-ის შემდეგ გააქტიურდა. არატრადიციული ომისკენ ასეთი გადაადგილება აჩენს მნიშვნელოვან კითხვებს. „Sharp Claw"-ისა და „Mule 200"-ის ტიპის სრულად ავტონომიური რობოტების გამოყენება ქმნის ახალ საფრთხეებს, განსაკუთრებით ინდოეთის საზღვრის უსაფრთხოების კონტექსტში.

პოტენციური რისკები:

ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვები: რა მოხდება მაშინ, როდესაც შეიქმნება ისეთი სიტუაცია, რომლისთვისაც AI წინასწარ არ არის დაპროგრამებული? შეუძლია თუ არა მანქანას რეალურად გაიგოს ომის სირთულეები და სწორად გაარჩიოს კომბატანტები და არაკომბატანტები? როგორ უნდა განსაზღვროს, ვის უნდა დაესხას თავს და ვის არა? ჩინეთის ბოლო სამხედრო სწავლებებმა „Golden Dragon 2024"-მა ტაივანის გარშემო, სადაც სამხედროებთან ერთად მოქმედებდნენ რობოტ-ძაღლები, გლობალური შეშფოთება გამოიწვია და კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება იმ პოტენციურ შედეგებზე, რაც ასეთი ტექნოლოგიების გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს. ავტონომიური სისტემების გამოყენება წარმოშობს ძირითადი ეთიკური კითხვებს – ვინ არის პასუხისმგებელი სიცოცხლისა და სიკვდილის გადაწყვეტილებებში, როგორ ადაპტირდება საერთაშორისო სამართალი და როგორ შეიძლება AI-სგან წარმოშობილი ესკალაცია. სტრატეგიული სტაბილურობისთვის აუცილებელია საერთაშორისო რეგულაციების ჩამოყალიბება, გამჭვირვალეობა და საერთაშორისო თანამშრომლობა.[7]

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტი (AI) უკვე ჩამოყალიბდა, როგორც თანამედროვე სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე განმსაზღვრელი

[7] Neil Davison, A legal perspective: Autonomous weapon systems under international humanitarian law Scientific and Policy Adviser Arms Unit, Legal Division International Committee of the Red Cross.

ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის როგორც ომის წარმოების ფორმებს, ისე საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურას. მისი ინტეგრაცია სამხედრო სფეროში აღარ არის მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაცია — იგი წარმოადგენს სტრუქტურულ ტრანსფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე, ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ასევე ძალთა გლობალურ ბალანსზე.

ამასთან, კვლევამ ასევე გამოკვეთა, რომ AI-ის ინტეგრაცია სამხედრო სფეროში იწვევს სერიოზულ სისტემურ გამოწვევებს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ადამიანის როლის შემცირება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ზრდის შეცდომების, არაკონტროლირებადი ესკალაციისა და გაუთვალისწინებელი შედეგების რისკს. განსაკუთრებით მწვავეა ავტონომიური იარაღის სისტემებთან დაკავშირებული ეთიკური და სამართლებრივი დილემები, სადაც სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ გადაწყვეტილებების გადაცემა ალგორითმებზე აყენებს ფუნდამენტურ კითხვებს პასუხისმგებლობის, სამართლიანობისა და ჰუმანურობის შესახებ.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსებული ჩარჩოები ნაწილობრივ ადეკვატურია, თუმცა აშკარად საჭიროებს ადაპტაციას ახალ ტექნოლოგიურ რეალობასთან. განსაკუთრებით პრობლემურია პასუხისმგებლობის განსაზღვრა იმ შემთხვევებში, როდესაც გადაწყვეტილებები მიღებულია ნახევრად ან სრულად ავტონომიური სისტემების მიერ. ამასთან, ტექნოლოგიური გაუმჭვირვალობა და ალგორითმული მიკერძოება კიდევ უფრო ართულებს როგორც სამართლებრივ შეფასებას, ისე ოპერაციების შემდგომ ანალიზს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ორმხრივ ფენომენს: ერთი მხრივ, იგი მნიშვნელოვნად ზრდის სამხედრო ოპერაციების ეფექტიანობასა და სიზუსტეს, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის მრავალმხრივ ეთიკურ, სამართლებრივ და უსაფრთხოების გამოწვევებს. მისი პასუხისმგებლიანი გამოყენება მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ განვითარებას, არამედ პოლიტიკურ ნებას, საერთაშორისო რეგულაციებსა და ეთიკურ ჩარჩოებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ AI ემსახურებოდეს უსაფრთხოების განმტკიცებას და არა მის დესტაბილიზაციას.

ბიბლიოგრაფია

U.S. Department of Defense, Summary of the 2018 Department of Defense Artificial Intelligence Strategy (Washington, DC, 2018).

Michael C. Horowitz, Artificial Intelligence International Competition and the Balance of Power, Texas National Security Review 2018 pg-38-57.

UK Ministry of Defence (2023). The Role of AI in the Ukraine War.

ICDS (2023). Artificial Intelligence in the War in Ukraine.

Singer, P. W., & Brooking, E. T. (2018). *LikeWar: The Weaponization of Social Media*. Houghton Mifflin Harcourt.

Scharre, P. (2018). *Army of None: Autonomous Weapons and the Future of War*. W. W. Norton & Company.

Allen, G. C., & Chan, T. (2017). *Artificial Intelligence and National Security*. Harvard Belfer Center.

Cummings, M. L. (2017). *Artificial Intelligence and the Future of Warfare*. Chatham House.

Lin, P., Abney, K., & Bekey, G. A. (2008). *Robot Ethics: The Ethical and Social Implications of Robotics*. MIT Press.

Neil Davison, A legal perspective: Autonomous weapon systems under international humanitarian law Scientific and Policy Adviser Arms Unit, Legal Division International Committee of the Red Cross.

United Nations Office for Disarmament Affairs (UNODA). (2021). *Autonomous Weapons Systems and International Law*.